



10  
7  
1911 წლის ივნისი  
ივანე გულაშვილი



ქართული  
სსრკ-ის

„ლიტერატურა და ხელოვნება“  
თბილისი

იაკობ ბალახაშვილის „ბარათაშვილის ცხოვრება“ — ახალი ქართული მწერლობის ფუძემდებლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიის ვრცელი მატიაინა.

წიგნში ცნობილი წყაროების თანმოყრასა და სისტემატიზაციასთან ერთად, ფაქტიური მასალის მხრივ ბევრი რამ ახალია; განსაკუთრებით აღსანიშნავია ბარათაშვილის მოწიფეობის დროინდელი თარგმანი, რომელი მწერლის, ტაციტის თხზულებიდან.

ამასთანავე, დადგენილი და გამოკვლეულია, ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრების არა ერთი თარიღი და ბიოგრაფიული საკითხი.

K 65.945



## პორტრეტისათვის

ამ წიგნში თუმცა მკითხველი ვერ იპოვის ნიკოლოზ ბარათაშვილის დოკუმენტურ სურათს, მაგრამ ჩვენამდე მოაღწია მ. თუმანიშვილის მიერ დახატულმა პოეტის ესკიზმა და მგოსნის გარეგნობის რამდენიმე აღწერამ\*.

ბარათაშვილის თანამედროვეებს ხელთ ჰქონდათ პოეტის რეალური პორტრეტი.

იონა მეუნარგიასთვის მგოსნის ბიძას, გრიგოლ ორბელიანს უთქვამს: „ნ. ბარათაშვილის პორტრეტი კოლა ერისთავის დედასა (პოეტის დას ეკატერინეს — ი. ბ.) ჰქონდა და არ ვიცი რა უყო“<sup>1</sup>. ამასვე ამბობს მგოსნის სკოლის ამხანაგი ლუკა ისარლიშვილიც: „ბარათაშვილის პორტრეტი დარჩა, მაგრამ ვისთან იპოვება ჯერ არ ვიცი. ერთი კოლას დედასა ჰქონდა და რა უყო არ ვიცი“<sup>2</sup>.

ი. მეუნარგია კი, პოეტის ნათესავ-მეგობრებში შეკრებილი ცნობების საფუძველზე წერდა: „ბარათაშვილის ერთადერთი დაგეროტიპი, რომელიც შერჩენია მის დას ნინო ბარათაშვილს,

---

\* ამ თავის ძირითად მასალად გამოყენებულია მკვლევარ ს. ცაიშვილის თანაავტორობით გაზეთ „სახალხო განათლების“ 1950 წლის 13 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული წერილი: „ნ. ბარათაშვილის პორტრეტის საკითხისათვის“.

დაღუპულა იმ საშინელ ცეცხლში, რომელმაც გადაბუგა გოლოვინის პროსპექტის სახლები და მათ შორის დუბელირის ფოტოგრაფიაც. ეს დაგეროტიპი გადაეცა ფოტოგრაფისათვის ილია ქავკავაძეს“<sup>3</sup>.

მაშასადამე, ნ. ბარათაშვილის დებს შერჩენიათ ძმის ორი სურათი: ხელით ნახატი პორტრეტი ეკატერინე ერისთავის საკუთრება ყოფილა, ხოლო დაგეროტიპული ანასახი ნინოს ჰქონია.

### ხელით ნახატი სურათის შესახებ

წინათ ფოტოგრაფის მაგივრობას მხატვარი პორტრეტისტი სწევდნენ.

იმ დროის თბილისში ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობდა მხატვარი იაკობ იონათამაშვილი. გაზეთი „ქავკახი“ შენიშნავდა:

„საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, ჩვენ გვყავდა მხოლოდ ერთი პორტრეტისტი, ცნობილი «ქართველი რაფაელის» სახელით. ვინაც დასჭირდებოდა პორტრეტი, მიიღებდა ი. ნ. იონათამაშვილთან და იგი ყოველთვის წარმატებით აკმაყოფილებდა დამკვეთის ყოველგვარ მოთხოვნას. ხშირად ზეპირად ხატავდა გარდაცვლილ პიროვნებათა სახეებს, რომლებიც კი, ოდესმე უნახავს და მუდამ ზუსტად ამსგავსებდა. იონათამაშვილის ფუნჯს ეკუთვნის სრულიად მიმსგავსებული პორტრეტები ჩვენს მხარეში მყოფ მთავარ ხელმძღვანელ პიროვნებებისა“<sup>4</sup>.

ი. იონათამაშვილს თავისი სამხატვრო ატელიე მოთავსებუ-

ლი ჰქონია ციციშვილის (ამჟამად ნ. ბარათაშვილის) ქუჩაზე, საკუთარ სახლში. „კავკასსკი კალენდარი“ აცხადებდა: „დახელოვნებული ოსტატი ი. ნ. იონათამაშვილი. ციციშვილის ქუჩა, საკუთარი სახლი“<sup>5</sup>.

რადგან თბილისში პირველი დაგეროტიპისტის ჩამოსვლამდე ფოტოგრაფის მაგიერობას მხატვარი იაკობ იონათამაშვილი ეწეოდა, შესაძლებელია, დღემდე მიმალული, ეკატერინე ერისთავის კუთვნილი პორტრეტი მგოსნისა, ამ მხატვრის ფუნჯს ეკუთვნოდეს.

### პოეტის დაგეროტიპული სურათის გამო

ახლა ნ. ბარათაშვილის დაგეროტიპული სურათის შესახებ. ვერ ორიოდ სიტყვა საერთოდ დაგეროტიპზე.

მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში, ნეპსონმა და დაგერმა საფუძველი დაუდვეს ვერცხლის ფირფიტაზე ქიმიური რეაქტივებითა და სხივების ზემოქმედებით ანაბეჭდის მიღებას. დაგეროტიპი მცირე დროის შემდეგ, პოზიტიურ ანაბეჭდს იძლეოდა, მხოლოდ ერთი სურათისას. მისი გადაღების შემდეგ გამრავლება არ შეიძლებოდა. ერთი გადაღებიდან, ნეგატივის მიღების შედეგად, ქალაქზე სურათების ბეჭდვა, გამოგონებულ იქნა ბარათაშვილის გარდაცვალების შემდეგ.

1839 წელს დაგერმა, თავისი სახელით გამოიტანა ვერცხლის ფირფიტებზე ქიმიური რეაქტივებით ანაბეჭდის მიღების წესი.

დაგეროტიპიის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის რუს მხატვარს ალექსი გრეკოვს. 1840 წელს მან ვერცხლის



ფირფიტების მაგიერ მოვერცხლილი სპილენძის ფირფიტების ხმარებას დაუდვა საფუძველი, შეამოკლა პოზირება-გადაღების დრო, უფრო მეტი თვალსაჩინოება მისცა ანაბეჭდს.

გრეკოვის ერთ-ერთი პირველი მოწაფეთაგანი იყო ცნობილი მხატვარი-ფოტოგრაფი სერგი ლევიცკი.

ლევიცკიმ 1839 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი, შეიძინა გრეკოვისაგან დაგეროტიპი, გადავიდა პეტერბურგში და ხელი მიყო სურათების გადაღებას.

1842 წელს, როცა პეტერბურგიდან კავკასიის მინერალური წყლების შესასწავლად წამოვიდა იული ფრიცშე, მის ექსპედიციას, როგორც ფოტოგრაფი, წამოჰოლია სერგი ლევიცკი.

ს. მოროზოვი ამას წინათ გამოცემულ წიგნში: „Русские путешественники фотографы“ წერს:

„Левицкий... примкнул к экспедиции на Северный Кавказ, возглавлявшейся видным русским химиком Ф. Ф. Фрицше. Экспедиции было поручено обследовать минеральные воды. Незадолго перед этим Фрицше по поручению Академии наук изучил теорию светописи и хорошо овладел техникой нового изобретения. Левицкий в путешествии с успехом занимался дагеротипией“.<sup>5</sup>

აკადემიკოს მარი ბროსეს იული ფრიცშესთვის დაუვალეზბია საქართველოში ქართული ნაბეჭდი წიგნებისა და ხელნაწერების შექმნა.

პეტერბურგში დაბრუნებისთანავე, 1843 წლის 11 იანვარს, იული ფრიცშეს მიერ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ფილოლოგიურ-ისტორიული განყოფილებისადმი წარდგენილ მოხსენებაში ვკითხულობთ:

„... ბატონ კოლეგა ბროსეს დავალებით ტფილისში ყოფ-

ნისას ძალიან შევეცადე ქართული წიგნები შემეძინა, მაგრამ ჩემი ძიება უშედეგოდ დამთავრდა. რის შოვაც მე შევძელი ეს არის სამი პატარა წიგნაკი, რომლებიც 1841 და 1842 წლებში გამოქუციათ ტფილისში ქართულ ენაზე მეურნეობის ზოგიერთ დარგში ცოდნის გასაავრცელებლად; ამასთანავე მაქვს პატივი გადავცე ისინი ფილოლოგიურ-ისტორიულ განყოფილებას.

ხელნაწერები, რომელთაგან, როგორც ცნობილია, შედგება ქართული ენის მწიგნობრული სიმდიდრე, როგორც მითხრეს, მხოლოდ იშვიათად და გამონაკლისის სახით იყიდება და მათი შეძენა შეიძლება მარტო ასლების გადაღების გზით.

ახლა ერთმა ქართველმა პოეტმა, რომლის გაცნობის შესაძლებლობაც მე ტფილისში მქონდა, თავადმა ბარათაშვილმა თანხმობა განაცხადა, თუ ეს აკადემიისათვის სასურველი იქნება, პირველად დაემზადებინა ნუსხა მისთვის ცნობილი ხელნაწერებისა, და შემდეგ, იმის მიხედვით, რასაც აკადემია ამოირჩევდა, დაემზადებია მათი ასლები. ვეშურები რა ვაცნობო ეს აკადემიას, იმავე დროს გამოვთქვამ ჩემს მზადყოფნას, მოვავგონო ბატონ ბარათაშვილს ჩემზე მოცემული დაპირება, თუკი, შესაძლოა, ბროსე არ მოისურვებდა უშუალოდ მიემართა მისთვის“ 7.

ფრიცშუს თანმხლებმა სერგეი ლევიციიმ, დაგეროტიპით პირველი გადაღებები აწარმოა საქართველოში. სულ მოკლე დროში მას სურათების ერთობ მდიდარი კოლექცია შეუქმნია. ს. მოროზოვი შენიშნავს:

„Левницкому удалось снимки горных видов. Несколько лучших дагеротипов он послал в Петербург комиссионеру по продаже оптических принадлежностей, а тот,



восхитившись работой фотографа, отправил дагеротипы в Париж оптику Шевалье. Парижский оптик, под тем предлогом, что в камере-обскуре Левицкого был объектив его фирмы, поместил два самых изящных ландшафта русского фотографа в своей витрине на Парижской выставке и... получил за них медаль! Эта была первая в истории фотографии медаль за художественные снимки. Награда за труд русского фотографа-путешественника попала владельцу парижской оптической фирмы“.<sup>3</sup>

ცხადი ხდება, რომ ფრიცშესა და ლევიცკის თბილისში გაუცვნიათ ქართველი ლიტერატორები და მათ შორის, ჩვენი სასიქადულო პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი.

რადგან ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრების პერიოდში, საქართველოში, ლევიცკის გარდა სხვა დაგეროტიპისტი არ ჩამოსულა, გვგონია, რომ სწორედ ლევიცკის მიერ იყო გადაღებული, ბარათაშვილის ის ერთადერთი დაგეროტიპული სურათი, რომელიც შემდეგ პოეტის დასთან წინო ბარათაშვილთან ინახებოდა.

იბადება კითხვა, რა ბედი ეწია პოეტის ამ დაგეროტიპს?

1891 წლის გაზეთ „ივერიაში“ ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნული საკითხის შესახებ წერდა:

„ნ. ბარათაშვილის მეორე გამოცემა რომ მომზადდა, ბარათაშვილის სურათის გამო მივმართე გრ. ორბელიანს, რომელიც ბიძა იყო ბარათაშვილისა და ვთხოვე, რომ ბარათაშვილის სურათი თუ მოიძებნება სადმე, დაგვხმარეთ, რომ იაპონის არ დაიკარგოს და დავაბეჭდინებთ-მეთქი. გრ. ორბელიანმა მიამბო, რომ ბარათაშვილის სურათი იმის დასა აქვს ქართლში, ერთადერთი სურათით. პატარა მოითმინეთ, წერილს მივწერ,



მომივა და გადმოგცემთ. გავიდა რამდენიმე ხანი და გრ...  
 ზელიანს წერილი მიეწერა, როგორც გამოცხადდა კიდევ, მაგ-  
 რამ სურათის მიღება დაგვიანდა და მეც ბოლომდე ველარ  
 მივდიე ამ საქმეს.

ახლა შევიტყვეთ, რომ ბარათაშვილის სურათი მისი დის-  
 გან ტფილისში ჩამოტყანიათ კიდევ და ერთი ლითოგრაფიის  
 პატრონისათვის გადაუციათ, რომ დაებეჭდა, მაგრამ სურათი  
 ვერ დაბეჭდილა, რადგანაც ლითოგრაფია დამწვარა და ბარა-  
 თაშვილის ერთადერთი სურათიც მიჰყოლია.

ჩვენ არ ვიცით ვისი ლითოგრაფია იყო ის ლითოგრაფია,  
 ის კი ვიცით, რომ ტფილისში ამ თორმეტი წლის წინათ დაი-  
 წვა ცნობილ ტომსონის ლითოგრაფია, სადაც დაიწვა აგრეთვე  
 სულხან-საბა-ორბელიანის ის დედანი, რომლიდანაც სხვა  
 სურათებიც დაბეჭდეს და გაამრავლეს“<sup>9</sup>.

მოყვანილ წერილს ილია ხონელი იმავე წლის გაზეთ  
 „ნოვოე ობოზრენიეში“ შემდეგი შენიშვნით გამოეხმაურა:

„ზაქარია ჭიჭინაძე წერს გაზეთ «ივერიის» უკანასკნელ  
 ნომერში, რომ მისი ცნობით ერთადერთი პორტრეტი პოეტი-  
 სა, რომელიც ჰქონია მის დას, დაიწვა ამ თორმეტი წლის  
 წინათ, ტფილისის რომელიღაც ლითოგრაფიაში. ზ. ჭიჭინაძეს  
 პგონია, რომ ეს იყო ტომსონის ლითოგრაფია. ეს ცნობები  
 საჭიროებენ შესწორებებს. აქ საუბარია პოეტის იმ დაგერო-  
 ტიპულ პორტრეტზე, რომელიც სამოციანი წლების დასაწყის-  
 ში მგოსნის დისგან წამოიღო ი. გ. ქავჭავაძემ და გადასაღებად  
 გადასცა დუბელირის ფოტოგრაფიას.

რადგან ილია ქავჭავაძემ მალე დასტოვა ტფილისი და  
 მერე გადავიწყდა უკან წამოეღო პორტრეტის ორიგინალი, და  
 გავგო გადაიღეს თუ არა ასლები, მაშინ ამ სტრიქონების ავ-



ტორმა თვითონ მიმართა თხოვნით ფოტოგრაფიის მფლობელთ მოენახათ ეს ძვირფასი განძი. დუბელირმა განაცხადა, რომ ეს პორტრეტი დაიღუპა სამოციანი წლების შუა ხანებში<sup>10</sup>.

ამ „გამოხმალურების“ მიხედვით ირკვევა დაგეროტიზმის დაღუპვის დრო. ი. ხონელი გადმოგვცემს დუბელირის სიტყვებს, რომ დაგეროტიპული პორტრეტი ნ. ბარათაშვილისა დამწვარა სამოციანი წლების შუა ხანებშიო.

ამის შემდეგ საშუალება გვეძლევა უფრო დაზუსტდეს, თუ როდის გამოართვა ი. ჭავჭავაძემ ბარათაშვილის დაგეროტიპი პოეტის დას ნინოს. როგორც ვნახეთ, ი. ხონელი ამ ამბავს „სამოციანი წლების დასაწყისს“ აკუთვნებს და თან დასძენს, რომ დუბელირისათვის დაგეროტიპის მიცემის შემდეგ ი. ჭავჭავაძემ „მალე ტფილისიცი დასტოვაო“.

ცნობილია, რომ ი. ჭავჭავაძე სამოციან წლებში თბილისს კარგა ხნით მოშორდა. 1864 წელს მან ჯერ ქუთაისში და მერე დუშეთში დაიწყო მუშაობა. მაშასადამე, ბარათაშვილის დაგეროტიპის გამოვლინება და ასლის გადასაღებად ფოტოგრაფიისათვის გადაცემა 1864 წელს, ან მანამდე მომხდარა.

1863 წელს დუბელირს თავისი ფოტოგრაფია მოთავსებული ჰქონია დღევანდელი პიონერთა სასახლის მახლობლად. დასახელებული წლის გაზეთი „კავკაზი“ იუწყებოდა:

„Фотография Дубелира имеет честь довести до сведения почтеннейшей публики, что в ней получены из-за границы новейшие аппараты для снимания всякого рода портретов, визиты, карточек и видов.“

Фотография — на бульваре, рядом с садом Наместника, во дворе кондитеров Гилье и Ренье<sup>11</sup>.

ილია ჭავჭავაძე პირადად იცნობდა თურმე დუბელირს. ამას



საესებით ადასტურებს, მის მიერ 1863 წლის პირველ მარტს, მომავალი მეუღლის, ოლღა გურამიშვილისადმი მიმართული ბარათი:

„შენი სურათები მივიღე, გადასაყრელია. შენ კი მარწმუნებდი, კარგადა ვარო გამოსული. როგორ შეიძლება ვესტინისთან გადაღება? იცი, რას გეტყვი? თუკი დამიჯერებ, შენ შეგიძლია კარგი სურათები შეიძინო: რაინესაგან რომ წამოჰყვები ტროტუარს, მარჯვნივ, პირველ ალაყათში შეხვალ, მემრე იარე პირდაპირ და დიუბელერის ფოტოგრაფიის კარს მოადგები.

თუ წამოხვალ და წამოიყვან ისეთ ვინმე თანმხლებ ქალს, რომელსაც არასოდეს უნახივარ და არ მიცნობს, მაშინ იქ შეგხვდებით, ვითომცდა ფოტოგრაფი ვარ, პოზას მე ამოგირჩევ; სურათის სიდეკარგე, ასე თუ ისე, ამაზეა დამოკიდებული, და თითონეე დავაყენებ ფოტომაქანას. შენ ნახავ, როგორი პორტრეტი გამოვა, ოლონდ თმა იმგვარად დაივარცხნე, როგორც პირველად გქონდა ვესტინისთან. ძალზე გიხდებოდა! თუ დღეს მოახერხებ წამოსვლას, ახლავე მაცნობე, წინდაწინვე უნდა მოვემზადო. გიგზავნი მედალიონს“<sup>12</sup>.

ამ დათარიღებით შესაძლებელი ხდება გაირკვეს ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და ჟურნალისტის კირილე ლორთქიფანიძის ერთი ცნობა.

როგორც ვიცით, სამოციან წლებში კ. ლორთქიფანიძემ შეამზადა კრებულ „ჩონგურის“ მასალები და 1864 წელს დაბეჭდა კიდეც პეტერბურგში. ხსენებული კრებულის სათაური ბარათაშვილის ლექსის „ჩონგურის“ მიხედვითაა არჩეული. აღმანახში თავდაპირველად ნ. ბარათაშვილის ლექსებია მოთავსებული.



რამდენიმე წლის წინათ პროფ. გიორგი აბზიანიძემ ქუთაისის ისტორიულ-ენათოგრაფიულ მუზეუმში იბოვანაშვილს „ჩონგურის“ სატიტულო ფურცლის ვარიანტი. ამ ფურცელზე მიწერილი პირველი ორი ეპიგრაფი ნ. ბარათაშვილის ლექსებიდანაა აღებული. დასახლებულ ფურცელს, კ. ლორთქიფანიძის ხელით დართული აქვს შემდეგი შენიშვნა: „ფოტოგრაფიული პორტრეტი ბარათაშვილისა უნდა მოიჭრას ფოლადზე ან ლაიფციგში, ან აქ (იგულისხმება პეტერბურგი,—ი. ბ.). ამას გარდა, ქვეშ სახელი და გვარი — ფაქსიმილე, ან ნამდვილი, ან აეტოგრაფიადამ გაკეთებული, ქართულად თუ არა, რუსულად მაინც“<sup>13</sup>.

მართლა არსებობდა. თუ არა „ფოტოგრაფიული პორტრეტი ბარათაშვილისა“, როგორც ამას წერს კ. ლორთქიფანიძე კრებულ „ჩონგურის“ სატიტულო ფურცლის ვარიანტზე?

ნ. ბარათაშვილის დროს ფოტოგრაფია არ არსებობდა. კ. ლორთქიფანიძემ, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ ახლად-გამოვლინებული იყო პოეტის დაგეროტიბული ანასახი, რომელიც ფოტოგრაფიული წესით გასამრავლებლად დუბელირს ჰქონდა გადაცემული და ვარაუდობდა, ერთ-ერთი ფოტოგრაფიული ცალი, თავისი კრებულისათვის გამოეყენებინა.

კ. ლორთქიფანიძის ზემომოყვანილი ჩანაწერი მხოლოდ ასე უნდა იქნეს გაგებული, თორემ გ. აბზიანიძის პუბლიკაციამ ახალი გაუგებრობა გამოიწვია. ზოგიერთმა, ლაიპციგში ფოტოგრაფირებული, ჯოხზე დაყრდნობილი, ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილიშვილის, სანდრო დავითის ძე ჭავჭავაძის სურათი (იხ. ზუგდიდის მუზეუმის ეკატერინე ჭავჭავაძისეული ალბომები) ნიკოლოზ ბარათაშვილის გამოსახულებად მიიჩნია.

პოეტს რომ სხვა დაგეროტიბული სურათი არ დარჩენია,

ამას ადასტურებს 1881 წელს გაზეთ „დროებაში“ მოთავსებული ცნობა. კორესპონდენტი წერდა: „მე ვიყავი მიცვალებული პოეტის დასთან, კნენია სუმბათოვთან, რომელიც ცხოვრობს სოფელ ქვიშხეთში. მან მიაშბო: „ჩემ დას კნენია ვეზიროვისას აქვსო ჩვენი ძმის ხელნაწერებიო, მაგრამ დაკარგვისა ეშინია, რადგან ერთადერთი დაგეროტიპის პორტრეტი ნიკოლოზისა დაგვიკარგესო, ამისათვის ველარავის მივცემთ ჩვენი ძმის ხელნაწერებსო“<sup>14</sup>.

ეჭვი არ არის, რომ აქ პოეტის და გულისხმობდა დუბელირის ფოტოგრაფიის ხანძრის დროს დაღუპულ დაგეროტიპს.

ბარათაშვილის გარდაცვალებისთანავე გადაწყვეტილი იყო პოეტის გამოსახულების ხელით ნაბატი სურათისა, თუ დაგეროტიპის პუბლიკაცია. 1846 წლის 19 იანვარს, ლევან მელიქიშვილი თბილისიდან წერდა მგოსნის ბიძას, გრიგოლ ორბელიანს: „განვიზრახეთ ნ. ბარათაშვილის ლექსები დავბეჭდოთ. ეხლა ვაგროვებთ განსვენებულის ყველა ნაწერებს, ერთ წიგნად დავბეჭდავთ, ზედ დაეურთობთ მის სახეს“<sup>15</sup>.

სამწუხაროდ, განზრახული გამოცემა არ დასტამბულა და ბარათაშვილის პორტრეტიც გამოუქვეყნებელი დარჩა.

დუბელირის ფოტოგრაფიის დაწვისა და ბარათაშვილის დაგეროტიპული სურათის დაღუპვისთანავე, დაიწყო პოეტის სხვა სურათის ძებნა. პრესაში ქვეყნდებოდა სხვადასხვა სახის მოწოდებანი: „მოგვაწოდეთ ნ. ბარათაშვილის პორტრეტი“. ცნობებიც: „ამა და ამ ადგილას და ამა და ამ პირთან აღმოჩნდა ნ. ბარათაშვილის პორტრეტიო“<sup>16</sup>.

\* ამ „ქრონიკების“ ყალბ ინფორმაციებს უკრიტიკოდ ენდობა ვ. სიღამონიძე 1961 წლის 11 აგვისტოს გაზეთ „თბილისში“ დაბეჭდილ თავის წერილში ი. ბ.

არც ერთი ცნობა არ გამართლებულა. ბარათაშვილის რეალური სურათის საძიებლო დადგენილება კი, ერთგვარი ბიძგი მისცა პოეტის ყალბი პორტრეტის გამოტანას.

### ყალბი პორტრეტის ისტორიისათვის

1904 წლის ჟურნ. „მოგზაური“ აცხადებდა: „1904 წელს ხელისმომწერნი ჟურნალის გარდა მიიღებენ ნ. ბარათაშვილის დიდ სურათს“. <sup>16</sup> იმავე წლის ჟურნ. „მოგზაურის“ მესამე და მეოთხე გაერთიანებულ ნომერში ეწერა: „მოგზაურის“ რედაქციაში იყიდება ნიკოლოზ ბარათაშვილის დიდი სურათი“ <sup>17</sup>.

„მოგზაურის“ მიერ დაბეჭდილი და პრემიად დარიგებული, ნ. ბარათაშვილის პორტრეტად გამოცხადებულია ის სურათი, რომელშიაც პოეტი წარმოდგენილია ქულაჯაში გადავარცხნილი თმით და მოკლე წვერ-ულვაშით. სურათი რედაქციისათვის გადაუცია ზაქარია ქიქინაძეს.

თუ როგორ წარმოიშვა ბარათაშვილის ეს ყალბი სურათი, მოვეუსმინოთ მწერალსა და მთარგმნელს, ივანე ავალიშვილს:

„ქარელში ცხოვრობდა თავადი იასონ დავითის ძე ციციშვილი. მწერლობასთან ერთად მას უყვარდა ხატვა და თავის სამწიგნობრო კაბინეტში გამართული ჰქონდა სამხატვრო კუთხეც ფერებ-იარაღებით. იქვე კედელზე ეკიდა მისი ნახატი სურათები. იასონი მხოლოდ თავის გასართობად ხატავდა, როგორც მხატვრობის მოყვარული. საერთოდ, მას უყვარდა ფოტოსურათების გადიდება და შეფერადება ტანისამოსისა შესაფერი ფერადებით.

ერთხელ, როდენაც მას ქარელში ვესტუმრე, ერთმა მშვე-

ნიერ ჩარჩოიანმა სურათმა მიიქცია ჩემი ყურადღება მის კაბინეტში. სურათს ქვეშ ეწერა: ალექსანდრე ციციშვილი, თუმცა დღესაც მიჩნეულია ნ. ბარათაშვილის გამოსახულებად.

ჩემი გაკვირვება იასონს გავუზიარე, ხოლო მან მიპასუხა: „ეგ ხომ ბარათაშვილი არ არის, რა ვქნა, ვერ იცანი ჩემი ძმა ალექსანდრე, პეტერბურგში მეფე ალექსანდრე მეორეს რომ საპატიო დარაჯად ახლდა? ეს მაშინდელ ქულაჯაში გამოიწყო-ბილი, გადაღებული ფოტოგრაფიაა. სურათი სხვაფრივ ჩემი შეფერადებულია და გადიდებული, ხოლო ბარათაშვილად კი შემდეგმა გარემოებამ გადააქცია:

რამდენი ხნის წინათ, ჩემი მეგობარი ზაქარია ქიქინაძე მეწვია, ჩემი ძმის სურათი მეტად მოიწონა და მთხოვა. მეც დავუთმე; მხოლოდ შევეკითხე, თუ რათ უნდოდა? ზაქარიამ მიპასუხა: „ლამაზად არის გამოიწყობილი ქართულს ტანისამოსში, ნახატიც კარგია, ჩემს ოთახში ჩამოვკიდებო“. როცა წასვლისას სურათი ქალაქში გავუხვიე და გადავეცი, გულით შემეხვეწა: — ძალიან გთხოვთ, თუ სადმე შეგხვდეს ეს სურათი, არაფერი სთქვაო! არც ისა სთქვა, რომ თქვენგან წამოვიღეო. მეც შეეპირდი.

გავიდა რამდენიმე ხანი. ტფილისში ჩავედი და გოლოვინის გამზირზე, ერთი მაღაზიის ვიტრინაში გაცეხულმა ვნახე ჩემი ძმის, ალექსანდრეს სურათი, ლითოგრაფიით დაბეჭდილი, ქვეშ წარწერით: „ნ. ბარათაშვილი“. პირველად მეტად გამიკვირდა, მერე კი მომავონდა ზაქარიას სათხოვარი. სხვათა შორის, პორტრეტის გამოცემამდის ზაქარიას გავერცელებინა ხმა: „ერთ ოჯახში ვნახე ბარათაშვილის პორტრეტი, ვაბეჭდვინებ და ამ დღეებში გასასყიდათ გამოვაო“. ასე გამაცნო იას. ციციშვილ-



მა ჩვენში პოპულარული ნ. ბარათაშვილის სურათის ტორია“<sup>18</sup>.

ივანე ავალიშვილის მონათხრობს სრულიად ეთანხმება ალექსანდრე ციციშვილის ასულის — მარიამ ციციშვილი-ხოზბერიძის მოგონება:

„1905 წლის რევოლუციის დროს ვცხოვრობდით ლეთეთში, ქარელის მახლობლად. ოთახის კედლებზედ შოთა რუსთაველის, ილია ქავეჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და სხვა ჩვენი მწერლების სურათები იყო გაკრული.

მამაჩემი, ალექსანდრე დავითის ძე ციციშვილი, ხშირად გვეტყოდა ხოლმე: „აი, აქ დაკიდებული ბარათაშვილის სურათი, ჩემი სურათიდან არი გადაღებული, ოღონდ ცოტათი ცხვირი არის გაგანიერებულიო, ნიკოლოზ ბარათაშვილს სურათი არ დარჩაო.

მამა მიგვითითებდა ხოლმე ქართულ კაბაში მისი ახალგაზრდობის ფოტოგრაფიულ სურათზე, რომელიც ძალიან ჰგავდა ბარათაშვილის სურათს. პირდაპირ ვერ გაარჩევდი, რომელი იყო მამაჩემი, თუ ის, ხელიც კი მამაჩემს უგავდა. მამაჩემის ძმის — იასონ დავითის ძე ციციშვილისაგან ვადმოცემულიც კარგად მახსოვს, რომ „მამაშენის სურათი წაიღეს და გააქეთეს ბარათაშვილის სურათით“. როგორც მახსოვს, ზ. ჭიჭინაძეს უნდა წაეღო“<sup>19</sup>.

ალექსანდრე დავითის ძე ციციშვილის სურათი ნაპოვნია. პროფ. გ. აბზიანიძე ამის გამო შენიშნავს: „ჩვენ ხელთ არის ალ. ციციშვილის სურათი ჯგუფში, რომელიც ეკუთვნის სწორედ იმ პერიოდს, როცა გადაღებულ იყო ალ. ციციშვილის პორტრეტი, შემდეგში ნ. ბარათაშვილად გასაღებული. ეს ჯგუფი წარმოადგენს ალექსანდრე მეორის „კონვოის“, მიუხე-

დავად იმისა, რომ აქ აღ. ციციშვილი პროფილითაა მოცემული და სახეც პატარად ჩანს, მაინც გარკვეული მსგავსება არის ბარათაშვილის ყალბ პორტრეტთან, სახის საერთო მოხაზულობისა და ქართულ ყაიდაზე გადავარცხნილი თმის მიხედვით“ 20.

როცა საზოგადოებრიობამ ხმა აღიძალდა ქურნალ „მოგზაურის“ მიერ ნიკოლოზ ბარათაშვილისად გასაღებული პორტრეტის წინააღმდეგ, ყალბისმქეხელებმა ხმა დაარხიეს, თითქოს მხატვარმა ტარასი მომცემლიძემ, ეს სურათი პოეტის დის გაძოსახულების მეშვეობით დახატა.

1905 წელს გამომცემლობა „კავკაზოვედნიეს“ მიერ რუსულ ენაზე გამოცემულ ბარათაშვილის ლექსთა კრებულში მოთავსებულ ამ ყალბ სურათს, მისი რეაბილტაციის მიზნით, მიწერილი აქვს: „ეს პორტრეტი წარმოსახულია ახალგაზოდა მხატვრის მომცემლიძის მიერ განსვენებულის დის სახის ნაკვეთიან მიხედვით, რომელიც გარეგნობით გვაგონებს თავის ძმას“.

ცნობა, თითქოს ტ. მომცემლიძემ გადახატა პოეტის და, სწორი არ არის.

მხატვრის ცოლი ელენე მომცემლიძე ირწმუნება: „კარგად მახსოვს, ერთხელ ჩემი შეუღლე მოვიდა შინ გახარებული და სთქვა ნ. ბარათაშვილის სურათი აღმოჩნდაო, მე მომანდევს ამ სურათის რესტავრაციის გაკეთებაო. მართლაც ნაპოვნი სურათი მან გადახატა და გაადიდა. რამდენადაც მახსოვს, ჩემი ქმრის მიერ გადახატული სურათი დაბეჭდეს ლიტოგრაფიულად და „მოგზაურის“ ხელისმომწერთ დაურიგეს პრემიად. მახსოვს, ჩემი ქმრის ამხანაგები: ივ. როსტომაშვილი, აღ. ხახანაშვილი და სხვები ამბობდნენ ამ სურათზე: „ტარასიმ კარგად გადახატა, დედანს ძლიერ გავსო“ 21.



მაშასადამე, ტარასი მომცემლიძეს პირდაპირ გადაუხატა და გაუდიდებია ზ. ჭიჭინაძის ძიერ მიწოდებული ალექსანდრე ციციშვილია სურათის პირი და არა პოეტის დის სოფიო სუმბათაშვილის ფოტოსურათიდან შეუქმნია ის.

### თუმანიშვილისეული ესკიზი

1875 წელს ქართველ ლიტერატორთა ერთი ჯგუფი, პეტრე უმიკაშვილის თაოსნობით, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწერების კრებულის გამოცემაზე მუშაობდა. გამომცემლებს სურდათ წიგნი პოეტის სურათის დართვით დაებეჭდათ. არა ერთი არქივი გადაისინჯა ამ მიზნით და დასახელებული ჯგუფის წევრმა, გიორგი თუმანიშვილმა ახლადგარდაცვლილი მამის— მიხეილ თუმანიშვილის (1818 — 1875) ქალაქებში იპოვა ფანქრით დახატული მამაკაცის ესკიზური პორტრეტი, რომელსაც მიხ. თუმანიშვილის ხელით რუსულად მიწერილი ჰქონდა ინიციალები „Н. Б.“.

ამ ესკიზის გამო გ. თუმანიშვილი 1893 წელს წერდა: „მამაჩემის ქალაქებში ჩვენ ვიპოვეთ ფანქრით შესრულებული ესკიზი წარწერით: „ნ. ბ.“ თანამედროვეებმა აღნიშნეს, რომ ეს ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტია, მაგრამ მთლად დამაკმყოფილებელი არაა. ესკიზი, მათი სიტყვით, უფრო ჰგავდა პოეტის ბიძას ილია ორბელიანს, ვიდრე თვით პოეტსო. ასე გადმოგვცა ჩვენ ილია ჭავჭავაძემ, რომელმაც მამაჩემის ეს ჩანახატი წაიღო თან, რათა ეჩვენებინა ის ნიკოლოზ ბარათაშვილის დებისა და სხვა ნათესავებისათვის“ 22.

როგორც გიორგი თუმანიშვილი ირწმუნება, მის მიერ მა-

მის ქაღალდებში აღმოჩენილი ბარათაშვილის სახის გამომხატველად მიჩნეული ეს ესკიზი ხელიდან ხელთ გადასვლის საფასურად დაკარგულა“<sup>23</sup>.

მას შემდეგ ეს ჩანახატი მხოლოდ მეოცე საუკუნის დასაწყისში იქნა ხელახლა მოპოვებული. ის, 1916 წელს გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას მიაწოდა ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელმა.

ხსენებული გაზეთის „სურათებიან დამატებაში“ (№ 46) მოთავსდა აღნიშნული ესკიზი „ნ. ბ.“ შემდეგი წარწერით: „ახლად ნაპოვნი სურათი, ნახატი მ. თუმანიშვილისა — მგოსნის სიცოცხლეში“.

ამის შემდეგ ნიკოლოზ ბარათაშვილის გამოსახულების ეს ესკიზური ჩანახატი, თანდათან ძალაში შედიოდა. ის რამდენიმე ცნობილი ქართველი მხატვრის საინტერესო თემად იქცა პოეტის სრულყოფილი სახის აღსადგენად, მაგრამ 1938 წლის ეურნალ „მნათობში“ დაბეჭდილ წერილში მკვლევარმა პავლე ინგოროყვამ ეს სურათი უარყო.

აღნიშნულ სტატიაში პატივცემული მკვლევარის მოსაზრება, რომ დასახელებული ესკიზის „ცალკე ხაზები არც ერთის ნიშნეულის დეტალით არ შეეფარდება პოეტის თანამედროვეთა ჩვენებას“, სწორი არ არის.

შეუძლებელია არ ვერწმუნოთ პოეტის დას, ბარბარე ვეზირიშვილს. ცნობილია, როდესაც ბ. ვეზირიშვილს „ნ. ბ.“-ს ესკიზი უჩვენეს, მან ამ ესკიზში თავისი ძმა იცნო, თუმცა თანაც უკმაყოფილება გამოთქვა, რომ იგი ამ ნახატზე ცოტა უღამაზოდ არის ასახული<sup>24</sup>.

ვერაინ უარყოფს, რომ „თანამედროვეებმა აღნიშნეს, რომ ეს პორტრეტი ბარათაშვილისაა, მაგრამ მთლად დამაკმაყოფი-

ლებელი არაა. ესკიზი, მათი სიტყვით, უფრო ჰგავდა პოეტის ბიძას, ილია ორბელიანს, ვიდრე თვით მას“<sup>25</sup>. ეს სრულყოფილი იმას არ გამოორიცილებს, თითქოს ესკიზი „ნ. ბ.“ ბარათაშვილს პორტრეტულ დეტალებს არ შეიცავდეს. ეს პორტრეტი, ექსპერტის დასკვნით, პოეტის ყოფილა, „მაგრამ მთლიანად დამაკმაყოფილებელი არა“<sup>26</sup>.

ესკიზს არ შეიძლება მოეთხოვოს ფოტოგრაფული სიზუსტე. რაგინდ ადექვატურიც არ უნდა იყოს იგი, მასში მაინც იქნება მხატვრის უნებლიე დაცილებანი. ექსპერტის მეთაურს ილია ჭავჭავაძეს გასინჯული ჰქონდა ბარათაშვილის დაგეროტიპი და მან მაინც აღიარა, რომ ეს პორტრეტი შინაია.

რომ პოეტის ზოგი თანამედროვენი ამ ესკიზში უფრო ილია ორბელიანს ხედავდნენ, ამაშიც არაფერია გასაკვირი. ილია ორბელიანი პოეტის ალალი ბიძა იყო დედის მხრივ. თუ ესკიზი „ნ. ბ.“ პოეტის თანამედროვეთ ილია ორბელიანს მოაგონებდათ, ეს იმას ნიშნავს, რომ დისწული და ბიძა სახით ერთმანეთს ჰგვანებია.

ესკიზ „ნ. ბ.“-ს შესახებ პ. ინგოროყვა წერს: „საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ეს სურათი, არა ჰგავს არც ილია ორბელიანს... შეადარეთ ილია ორბელიანის სურათი, დაბეჭდილი ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1922 წლის გამოცემის 96 გვერდზე და „თუმანიშვილისეული“ სურათი, მოთავსებული იმავე გამოცემის 240-ე გვერდზე“<sup>27</sup>.

უნებურად ისმის კითხვა: ილია ორბელიანის ის სურათი, რომლის შესახებაც ზემომოყვანილ ამონაწერში ლაპარაკობს პატივცემული მკვლევარი, ზუსტად გადმოგვცემს თუ არა „მერანის“ აღრესატის გამოხატულებას? ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში გამოვლინებულია ილია ორბე-

ლიანის მეორე სურათი, რომელიც სწორედ ძალიან ჰგავს ეს-  
კიზ „ნ. ბ.“-ს.

არ არის მართალი, თითქოს ჩანახატ „ნ. ბ.“-ს არ ემჩნეო-  
დეს „შეერთებული წარბები“, „ხშირი წარბები ერთმანეთთან  
გადაღობილი“. ხსენებულ ესკიზს სრულიად გარკვევით ამჩ-  
ნევია შეერთებული წარბები, „ხშირი წარბები, ერთმანეთთან  
გადაღობილი“. მერე რა, რომ მონახატში წარბები, „ძალიან  
ხშირი“ არ არის? ჰქონდა კი, პოეტს მეტიმეტად ხშირი წარ-  
ბები?

არც ისაა სწორი, რომ ნ. ბარათაშვილი უღვაშს არ ატა-  
რებდა. ლუჯა ისარლიშვილი, მეგობარი პოეტისა, გადმოგვ-  
ცემს, რომ უღვაშს ხშირად არ ატარებდა<sup>28</sup>. ჩანს, პოეტი  
ზოგჯერ ატარებდა უღვაშს. ნინო ყიფიანს ბარათაშვილის  
გარეგნობა სწორედ „შავი უღვაშებით ჰქონდა წარმოდგენი-  
ლი“<sup>29</sup>. მამასადამე, რა გასაკვირია, რომ მ. თუმანიშვილს ამ  
ესკიზში პოეტი უღვაშით წარმოესახა.

მართალია, კ. მამაცაშვილი ამბობს, რომ ბარათაშვილი  
„ცოტა პირხმელი“ იყო<sup>30</sup>, მაგრამ ამ „ცოტა პირხმელობას“  
მისი ბიოგრაფები, თანდათან აზვიადებენ. ი. მეუნარგია ამ გა-  
ყოქმას — „ცოტას“ აკლებს და აღნიშნავს „პირხმელი“  
ყოლო<sup>31</sup>. ზ. ჭიჭინაძე უფრო შორს მიდის: „სახით გრძელი  
ყოლო“<sup>32</sup>.

„პირხმელობა“ და „სიმსუქნე“ პიროვნების არსებითი ნიშა-  
ნი არ არის, დღეს პირხმელი, ხვალ სახით მსუქანი შეიძლება  
გახდეს. ესკიზ „ნ. ბ.“-ში ნ. ბარათაშვილი გადმოცემულია საკ-  
მაოდ მრგვალი სახით და მრგვალივე თავის მოყვანილობით,  
რაც სავსებით ეთანხმება პოეტის ნათესავის, ცნობილი მწერ-  
ლის ალექსანდრე ორბელიანის დახასიათებას, რომელიც ნ. ბა-

რათაშვილს „პატარა ლამაზ თავიანს“ ეძახის<sup>33</sup>. ეს არსებითი თვისება ნ. ბარათაშვილის სახის მოყვანილობისა, კარგად არის გადმოცემული მ. თუმანიშვილის ესკიზში.

ნახატში „ნ. ბ.“ ზეჰოთ იცქირება, მაგრამ მაინც გარკვევით ჩანს მისი „ბუდეშურად მოყვანილი თვალები“. ვერც იმაში დავეთანხმებით პატივცემულ მკვლევარ პ. ინგოროყვას თითქოს, „ნ. ბ.“-ს ესკიზზე გამოხატული იყოს სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილი კაცი. ესკიზზე გარკვევით ჩანს, რომ მას ე. წ. „ვენგერკა“, სამოქალაქო და არა სამხედრო სამოსი აცვია. „ვენგერკის“ გამოწეულ საყელოს ქვემოთ ადვილად შესამჩნევია ბაბთით გამოსკენილი პერანგის იახი, რაც სამხედრო ტანისამოსს არ შეიძლება ჰქონოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ დიმიტრი ყიფიანი პოეტს „ნოღაცხვირიანს“ ეძახის<sup>34</sup>. ესკიზზე გარკვევით ჩანს ქართველისათვის ეს უჩვეულო შემთხვევა — ნოღაცხვირიანობა.

პოეტს ძლიერ ჰგვანებია მისი და ნინო<sup>35</sup>. უმცროსი და სოფიო სუმბათაშვილისა კი, პირდაპირი განსახიერება ყოფილა პოეტისა. კოტე ყიფიანი გადმოგვცემს: „პოეტის და სოფიო როგორც დედაჩემი ამბობდა, ძალიან ჰგავდა თავის ძმას, ნიკოს, ისე, რომ სოფიოს უღვაშები რომ დაეხატა თავის ტუჩებზე, ვერ გაარჩევდით, ეს მართლა სოფიო არის, თუ ნიკო ბარათაშვილიო“<sup>36</sup>.

თუ „ნ. ბ.“-ს ესკიზს პოეტის დების ნინოსა და სოფიოს თოტოსურათებს შევუჭერებთ, მათ შორის უმაღლეს ვიპოვით გასაოცარ მსგავსებას. სოფიოს პორტრეტს მხოლოდ ის აკლია, რომ სახეზე „უღვაშები დაეხატოს“.

თავისდაუნებურად ისმის კითხვა, გაწაფული იყო თუ არა

მიხეილ თუმანიშვილი ხატვაში? როდის და რა შემთხვევის გამო მოხატა მან ესკიზი „ნ. ბ.“.

გიორგი თუმანიშვილი თავისი მამის, როგორც მხატვრის შესახებ წერს: „მამაჩემი, რასაკვირველია, ნამდვილი მხატვარი არ იყო, მაგრამ მისი დილექტანტური ფანქრული ჩანახატები უმეტეს შემთხვევაში ემსგავსებოდნენ თავიანთ ორიგინალებს“<sup>37</sup>.

ჯერჯერობით ცნობილია მიხეილ თუმანიშვილის მიერ შესრულებული ოთხი ესკიზური პორტრეტი. მათ შორის ერთი მიხ. თუმანიშვილის მიერ ფანქრით ნახატი ავტოპორტრეტი, რომელშიაც მხატვარი ჭაბუკად გამოიყურება. ამ ავტოპორტრეტის შედარება მ. თუმანიშვილის ფოტოსურათთან (სამოციანი წლები), ნათელყოფს, რომ ხატვაში მიხ. თუმანიშვილს, არცთუ ისე გაუწაფავი ხელი ჰქონია.

სხენებელი ესკიზი შესრულებულია პატარა ზომის თეთრ ქაღალდზე, შავი ფანქრით. სურათის მეორე მხარეზე, აგრეთვე შავი ფანქრით, დახატულია სხვა მამაკაცის სახე, წერის იმავე მანერით შესრულებული. ამ მეორე ესკიზს მიწერილი აქვს „3. П.“.

გიორგი თუმანიშვილის ცნობით „Н. Б.“-ს მეორე მხარეზე „3. П.“-ით აღნიშნული მონახატი ზაქარია ფალავანდიშვილის გამოხატულებაა<sup>38</sup>.

ვიდრე შევეხებოდე საკითხს, როდის და რისთვის დახატა მ. თუმანიშვილმა, საწერი ქაღალდის ნახევარი ფურცლის ერთ გვერდზე ესკიზი „Н. Б.“ და მეორეზე „3. П.“ — საჭიროა ორი-ოდე სიტყვა ითქვას ზაქარია ფალავანდიშვილის შესახებ.

ზაქარია მიხეილის ძე ფალავანდიშვილი მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ მოღვაწეთა რჩეულ



ჭგუფს ეკუთვნის. ის დაიბადა 1817 წ., ქ. თბილისში. მისი უახლოესი მეგობრები იყვნენ: ნიკოლოზ ბარათაშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, პლ. იოსელიანი, სულხან ბარათაშვილი, ლ. მელიქიშვილი, დ. ყიფიანი, კ. მამაცაშვილი, დავ. ქავჭავაძე, ილია ორბელიანი და სხვები.

თბილისის პირველი გიმნაზიის დასრულების შემდეგ ზაქ. ფალავანდიშვილი მოსკოვის უნივერსიტეტში შევიდა.

იმ ხანებში ზაქარია დაუახლოვდა აკად. მ. ბროსეს და პროფ. დავ. ჩუბინიშვილს. მათი ღვაწლისა და შრომის შედეგად 1841 წელს, პეტერბურგში გამოიცა „ვეფხისტყაოსანი“, „ახლად დაბეჭდილი, შეერთებულითა ღვაწლითა უფლითა ბროსეტ, ზაქარია ფალავანდოვისა და დავით ჩუბინოვისათა, ლექსიკონით“.

1845 წლის 10 ივლისს, სრულიად ახალგაზრდა, 28 წლის, ზაქარია ფალავანდიშვილი გარდაიცვალა. დიმიტრი ყიფიანი თავის „მემუარებში“ აღნიშნავდა: „ზაქარია ფალავანდიშვილი, ყმაწვილი კაცი, დიდს იმედებს რომ იძლეოდა, მაგრამ მალე გარდაიცვალა“<sup>39</sup>.

ზ. ფალავანდიშვილის გარდაცვალების გამო ჟურნალ „ზაკავკაზსკი ვესტნიკში“ მოთავსებულ ნეკროლოგში ვკითხულობთ: „მეგობრებმა და ტოლებმა ცრემლით მორწყეს მისი საფლავი, რედაქციამ მისი სახით დაჰკარგა თანამშრომელიც და ქართულ ენაზე მთარგმნელიც, რომლის ბრწყინვალე ნიქსა და შრომის უნარზე დიდს იმედებს ამყარებდნენ“<sup>40</sup>.

როცა მარი ბროსემ გაიგო ზ. ფალავანდიშვილის გარდაცვალება, მან 1845 წლის 20 სექტემბერს, თბილისში წერილი გაუგზავნა ნიკოლოზ ფალავანდიშვილს, „სადაც აცნობებს, რომ მან 13 სექტემბერს, პეტერბურგში დაბრუნებისას, შეიტყო

ზაქარია მიხეილის ძე ფალავანდიშვილის გარდაცვალება, რის გამოც დიდ მწუხარებას გამოსთქვამს. ბროსე წერს, რომ იგი ზაქ. ფალავანდიშვილს მოსკოვში გაეცნო და მასზე დიდ იმედებს ამყარებდა, როგორც მომავალ საზოგადო მოღვაწეზე<sup>41</sup>.

1845 წლის უკანასკნელ თვეებში საქართველოს „ორი დიდი დანაკლისი“ მოუვიდა. 1845 წლის 10 ივლისს თბილისში გარდაიცვალა 28 წლის ნიჭიერი ლიტერატორი ზაქარია ფალავანდიშვილი და იმავე წლის 9 ოქტომბერს განჯაში — 29 წელში ვადამდგარი უბადლო ლირიკოსი ნიკოლოზ ბარათაშვილი.

თითქმის ერთსა და იმავე დროს გარდაცვალებული ლიტერატორები უახლოვეს მიგობრები იყვნენ მიხეილ თუმანიშვილისა. ამ ზედიზედ დამთხვეული ორი ჯობიღური განცდისას მიხეილ თუმანიშვილმა „ერთი ჩაჯდომით“ საწერი ქალაქის ნახევარი თორცლის ერთ გვირდზე ზეპირად დახატა ზაქარია ფალავანდიშვილი და მიორიზე — ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ნ. ბ.-ს ესკიზიდან ჩანს, რომ მხატვარს თავდაპირველად განზრახული ჰქონია ანასახი პროფილით ყოფილიყო. შემდეგ ის განზრახვა შეუცვლია და სურათი ნახევრადმიბრუნებული გაუკეთებია. ამიტომ ესკიზზე ზედმეტად დარჩენილა პირველად მოხატული თავის ნაწილები — კეფა და მარცხენა ყური ასევე დაუსრულებელია ზაქარია ფალავანდიშვილის გამოსახულებაც.

აღნიშნული გარემოება ოდნავადაც არ გვაძლევს უთღობას. აღწერილ ესკიზურ ნახატებში, ხსენებულ მოღვაწეთა პირისახის გამოსახულების მთავარი და არსებითი ხაზები არ დაეინახოთ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა აკადემიური კრებოლის გამოცემასთან დაკავშირებით, 1915 წელს შემდგარ-

კომისიის დაეალეწით და პირადად თვით პოეტის დის, ბარბარე ვეზირიშვილის თხოვნით, სახალხო მხატვარმა მოსე თოიძემ, ოჯახში ინახულა პოეტის და. ამ შეხვედრის მიზანი იყო, მოსე თოიძე გაცნობოდა საგვარეულო ფოტოსურათებსა და დის მოგონებებს ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტის შესაქმნელად.

როდესაც ბ. ვეზირიშვილისას თუმანიშვილისეული ესკიზური ჩანახატი უჩვენეს, მან ამ მონახატში თავის ძმა იცნო, თუმცა თანაც უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ იგი ამ ნახატზე ულამაზოდ არის, ცხოვრებაში უფრო კარგი იყო <sup>42</sup>. მხატვარი მ. თოიძე აღნიშნავს: „განცვიფრებული ვიყავ ესკიზის მსგავსებით იმ პირებთან, ვისი ფოტოსურათებიც ვეზირიშვილისამ მაჩვენა და თვით ვეზირიშვილთანაც“ <sup>43</sup>.

ნ. ბარათაშვილის ოჯახის წევრთა ჩვენს დრომდე მოღწეული ფოტოსურათები, განსაკუთრებით კი პოეტის დების — ნინოსა და სოფიოს სურათები, პოეტის ბიძისა და თანამოსაყის — ილია ორბელიანის ახლადგამოვლინებული სურათი. აშკარად მოწმობენ „ნ. ბ.“-ს ესკიზის, მსგავსებას ბარათაშვილების და ორბელიანების ჩვენამდე მოღწეულ გამოსახულებებთან.

ამგვარად, მიხ. თუმანიშვილისეული ესკიზური ჩანახატი, ინიციალებით „ნ. ბ.“, ერთადერთი დოკუმენტია ნიკოლოზ ბარათაშვილის სახის მოსაგონებლად.

თუმანიშვილისეული ესკიზის მიჩქმალვა და უგულვებლყოფა უმართებულოა. არ არსებობს არავითარი საბუთი მისი უარყოფისათვის. ესკიზს უნდა ჩამოსცილდეს ხატვის პროცესში უნებლიეთ წაუშლელად დარჩენილი ის ზედმეტი ნაწილი, რომელიც სურათის პროფილით წარმოსახვის შემთხვევაში იყო გაკეთებული.

საჭიროა გზა დაეთმოს მიხეილ თუმანიშვილის ესკიზურ ჩანახატს, რომელიც უდავოდ გადმოგვცემს ნიკოლოზ ბარათაშვილის სახის არსებით შტრიხებს.

რომ მკითხველს წარმოდგენა ჰქონდეს, „ნ. ბ.“-ს ესკიზში რამდენად სწორად არის გადმოცემული, ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტული დეტალები, აქ მოვიყვან პოეტის ნათესავეების, მეგობარ-ნაცნობებისა და პირველი ბიოგრაფების აღწერილობებს მგოსნის გარეგნობისას.

ბარათაშვილის დის, ბარბალე ვეზირიშვილის სიტყვით, „ნიკო ძალიან მალბაზი, მარდი იყო და მიმზიდველი სახისა. შუათანა ტანის, არც გამზდარი, არც მსუქანი; წაბლისფერი თმა, ბუდეშურად მოყვანილი თვალები; წარბები შეერთებულნი; წვერ-ულვაშს იპარსავდა, იცვამდა ევროპიულს სამოქალაქო ტანსამოსს“ 44.

ლუკა ისარლიშვილის აღწერილობით: „ბარათაშვილი მოთეთრო სახისა იყო. პირხმელი, შავი ცოცხალის თვალებით, წაბლისფერი თმით, საშუალო ტანისა და სისქისა. ხშირი წარბები ერთმანეთთან გადალობილი ჰქონდა. მოგრძო თვალები ცხვირისაკენ იყო დახრილი. წვერს არ ატარებდა. ხშირად არც ულვაშსაც. სახე შორიდან შნოიანი, ახლოდან ცოტა დაღმევილსა ჰგვანდა. იცვამდა ბუზმენტიან ქულაჯას. უფრო ხშირად სერთუკი ეცვა. საგრძნობლად კოჭლობდა, მაგრამ მაინც ბევრს დარბოდა“ 45.

დიმიტრი ყიფიანის წერს, რომ პოეტი იყო „დაბალ-დაბალი, ჩამკვრივებული, ნოღა, მეტისმეტად ცოცხალი, მხიარული, მოსწრებული“ 46.

დიმიტრი ყიფიანის ცოლი, ნინო იგონებს, რომ პოეტი „დაბალი ტანისა იყო, წმინდა სახე და პატარა შავი ულვაშები.

თმას ყოველთვის მოკლედ იკრიჭავდა, არ უყვარდა გრძელი თმა. ლაპარაკობდა სხაპასხუპით და ძალიან ცოცხალი იყო<sup>47</sup>.

დომ. ყიფიანის ცოლს უთქვამს პოეტის ღის სოფიო სუმბათაშვილის პორტრეტს რომ „უღვაშები“ გაუკითდეს და სერთუკი ჩააცვათ, თქვენ პოეტის პორტრეტი გეჭნებათ<sup>48</sup>.

კონსტანტინე მამაცაშვილი ამბობს: „ნიკ. ბარათაშვილი იყო შუათანა ტანისა, ჩინებული ტანადი, ცოტა პირხმელი, ცოცხალი შავი თვალებით, წაბლისფერი თმით, სახე საგანგებოდ მიმზიდველი (ქართულად რომ იტყვიან, მარილიანი)“<sup>49</sup>.

ალექსანდრე ორბელიანი, ნათესავი ნ. ბარათაშვილისა, შემდეგს წერდა პოეტზე: „ეხლა მის პატარასა, ლამაზსა თავზედ მამულისა პოეტობის ბრწყინვალეებას გვირგვინს დაადგამდნენ“<sup>50</sup>.

ზ. კიკინაძის მიერ შეგროვილი ცნობებით, ნ. ბარათაშვილი, „მოთეთრო სახის კაცი ყოფილა, სახით გრძელი. შავი თვალებით, წაბლისფერი თმით, ტანით შუათანა, საშუალო სისქისა“<sup>51</sup>.

ი. მელნარჯია, პოეტის მცნობთა სიტყვებით. ბარათაშვილის გარეგნობას ასე აგვიწერს: „გავონებით, ნ. ბარათაშვილი იყო მოთეთრო სახისა, პირხმელი, შავი ცოცხალის თვალებით, წაბლისფერი თმით, საშუალო ტანისა და სისქისა. ხშირი წარბები ერთმანეთთან გადალობილი და თვალები ოდნავ დახრილი ცხვირისაკენ. წვერ-უღვაშს არ ატარებდა, რის გამო მისი სახე შორიდან ლაზათიანი, ახლოდან ცოტა დაჭყანული იყო“<sup>52</sup>.

მკითხველი შეამჩნევდა, რომ ნ. ბარათაშვილის გარეგნობის აღმწერიანი მთელ რიგ ხაზებში ხედებიან ერთმანეთს, მაგრამ ზოგიერთში კი სცილდებიან. რატომ ხდება ეს? აი, რატომ:

პიროვნების ამოცნობის და ერთგვარობის დადგენისას.

მეცნიერება უარყოფს ადამიანის შეცნობის ისეთ ნიშნებს, როგორცაა: მსუქანი, გამხდარი, ღაელაქა, გაპარსული, ქაღალა. ადამიანი, ღღეს ღაელაქა, ხვალ ფერმკრთალი შეიძლება გახდეს, ღღეს გაპარსულია, ერთი თვის შემდეგ გრძელწვერიანი. ღღეს ქაღალაა, ხვალ თმაშეღებელი. ამიტომ ამ დარგის ჰუშაქნი ემყარებიან პიროვნების არსებით და უცვლელ ნიშნეულობებს, რომლებზედაც ვერ მოქმედებს გარემოება, დრო და ადამიანი. არსებით, უცვლელ ნიშნებად ითვლება: სიმაღლე, ტანის აღნაგობა, სახის გარშემოწერილობა და ზომა შუბლისა, ცხვირის, ყურების, ტუჩების, ნიკაპის, თვალის გაჭრილობა, გუგის ფერი და სხვ...

ბარათაშვილის გარეგნობის აღმწერნი ერთნაირად გადმოგვეცემენ პოეტის არსებითსა და უცვლელ ნიშნეულობებს, მაგრამ სცილდებიან ერთმანეთს, როცა აგვიწერენ ბარათაშვილის გამოსახულების არა არსებითს ნიშნებს როგორცაა: წვერ-ულვაშის დაყენება, პირხმელობა, სიმსუქნე და სხვ.

აქ მოყვანილი აღწერილობებიდან გარკვევით ჩანს, რომ ბარათაშვილის გამოსახულების არსებითი ნიშნეულობანი, სავსებით დაცულია მიხეილ თუმანიშვილისეულ ჩანახატში.

მასშადადამე, ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტის აღდგენა, ამ ესკიზის მიხედვით უნდა მოხდეს, მაგრამ ისე, რომ სახის საერთო ნაკვეთების მოსაძებნად და დამახასიათებელი ნიშნების გასამართავ მასალად გამოყენებულ იქნას დების — ნინოსა და სოფიოს ფოტოაურათები, ბიძის — ილია ორბელიანის ახლად გამოვლინებული პორტრეტი, რომელიც თითქმის აღქვატურია მიხეილ თუმანიშვილისეულ ესკიზთან და თანაჟედროვეთა მონათხრობები პოეტის გარეგნობის შესახებ.

მორიგი სიტყვა მხატვრებს ეკუთვნით.

## ნ. კველიშვილის წინადადება



1956 წლის ქურნალ „დროშაში“ ნ. კველიშვილმა წამოაყენა წინადადება ნ. ბარათაშვილის პორტრეტის კრახოლოგიური მეთოდით ე. ი. თავის ქალის მიხედვით აღდგენის შესახებ<sup>53</sup>.

ეს წინადადება ანგარიშგასაწევია.

### პოეტის ნაბინარები

ნიკოლოზ ბარათაშვილის მშობლები თბილისის მკვიდროი იყვნენ. პოეტი თბილისში დაიბადა და თავისი ხანმოკლე სიცოცხლე, უკანასკნელი წლის გამოკლებით თბილისშივე გაატარა.

ბარათაშვილი დაბადებულა „ორბელიანთა აულში“, პაპის—ზურაბ ორბელიანის პატარა ორსართულიან სახლში, რომელიც მღვებარეობდა ახლანდელი ორბელიანის ქუჩის № 2 სახლის გვერდით, აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის მხარეზე.

„ორბელიანთა უბნიდან“ ბარათაშვილი მალე პოეტის მამის, მელიტონ ბარათაშვილის სახლში, „მუხრანთან ხიდის“ ახლო გადასულან.

ნიკოლოზ ბარათაშვილსა და მის მშობლებს ამის მერე ერთ ხანს ძველი თბილისის ცენტრში, ერეკლე მეორის ქ. № 1 უცხოვრიათ.

1831 წლის ოქტომბერ-ნოემბრიდან 1838 წლის 20 აპრილამდე ნიკოლოზ ბარათაშვილი სამების ეკლესიის მახლობლად, მღვდლის, სიმონ აღნიაშვილის სახლში — ახლა განათლების ქუჩა № 6 მდგარა.

მკვლევარი ა. კოჭლავეაშვილის ვარაუდობს, რომ „ნიკოლოზ ბარათაშვილი განათლების ქუჩიდან პირდაპირ ანჩისხატის უბანში არ უნდა გადასახლებულიყო და მანამდე კიდევ სადღაც უნდა ეცხოვრა“<sup>54</sup>.

ამის შემდეგ კი ბარათაშვილები „ანჩისხატის უბანში“ გადასულან.

1841 წლის 28 მაისს ნიკოლოზ ბარათაშვილი თბილისიდან თავის ბიძას გრიგოლ ორბელიანს წერდა: „ჩვენც ახალს სახლებში გადავედით, ანჩისხატის უბანში; უწინ რომ აბხაზი იდგა“<sup>55</sup>.

ეს სახლი მდებარეობს ანჩისხატის ქუჩის დასავლეთ მხარეს. ჩახრუხადის ქუჩაზე იგი არის № 17, ხოლო ანჩისხატის ქუჩაზე №-16. სახლის მფლობელი ანტონ აბხაზი ყოფილა.

ბარათაშვილის დროს ეს სახლი ჩახრუხადის ქუჩიდან ერთ-სართულიანი ყოფილა, ანჩისხატის ქუჩიდან კი — ორსართულიანი.

პოეტის იქ ბინადრობის პერიოდში სახლს შესავალი ანჩისხატის ქუჩიდან ჰქონია, ხოლო ფანჯრები ჩახრუხადის ქუჩაზე გადიოდა.

ნ. ბარათაშვილის ამ უკანასკნელ თბილისურ ნაბინარს მემორიალური დაფა აქვს მიკრული.

## წ ი ნ ა კ რ ე ბ ი

ნიკოლოზ ბარათაშვილი ჩამომავალია „დიდი ბარათასი“, რომელიც საისტორიო ასპარეზზე მეთხუთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში გამოჩნდა.

ამ „დიდი ბარათას“ ჩამომავალნი და პოეტის პირდაპირი



წინაპრები ყოფილან: მელქისედეკ ბარათაშვილი (16 ს.), რევაზ (17 ს.), შერმაზან (17 ს.), ლუარსაბ (17 — 18 ს. ს.), ნიკოლოზ (18 — 19 ს. ს.) და მელიტონ (1795 — 1860) — მამაპოეტისა<sup>56</sup>.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთ-ერთი შორეული წინაპარი, რევაზ ბარათაშვილი, შესანიშნავ რაინდად, უკეთილშობილეს მამულიშვილად გვეხატება.

„რევაზ ბარათაშვილი ცნობილი პირია. 1633 წელს, სპარსეთის ძიერ განდევნილ თეიმურაზ პირველის ნაცვლად ყაენმა ქართლში გამოგზავნა გამაჰმადიანებული როსტომი, რომელიც შემდეგში 1658 წლამდე მეფობდა ქართლის ტახტზე.

მოწინავე ქართველი ფეოდალები სასტიკი წინააღმდეგობით შეხვდნენ სპარსოფილ როსტომის დანიშვნას და მთელი მისი მეფობის პერიოდში ცხადად, თუ ფარულად ებრძოდნენ და არა ერთი შეთქმულება მოაწყვეს.

ერთი ასეთი შეთქმულება მოხდა 1646 წელს. შეთქმულებმა გადასწყვიტეს, ცხირეთს მცირე ამალით მყოფი როსტომი გამოეტყუებინათ ბრძოლის ველზე და ომში მოეკლათ, «რომ სამართლით არავის დაებრალოსო». სომხეთის მელიქის ღალატის გამო შეთქმულებამ «ცუდად ჩაიარა», როსტომმა შეთქმულები დაიჭირა, ზოგს თვალები დასთხარა, ზოგი დაახრჩო, ხოლო ერთი აქტიური შეთქმულთაგანი რევაზ ბარათაშვილი კახეთს გარდაიხვეწა თეიმურაზ პირველთან.

კახეთში გადავარდნილი რევაზ ისევ მხნედ იბრძოდა გარეშე დამპყრობლების წინააღმდეგ და ახალ შეთქმულებას უწყობდა სხვებთან ერთად მაჰმადიან როსტომს, მაგრამ თეიმურაზის საიდუმლო დავალებით იმერეთისკენ ფარულად მიმავალი რევაზი, საკუთარმა სიძემ, როსტომის მომხრე როინ ჯავახიშ-

ვილმა ქართლში ვერაგულად შეიპყრო და როსტომს წარუ-  
დგინა.

რევაზს აღმოაჩნდა როსტომის საწინააღმდეგო თეიმურაზის  
საიღუმლო წერილები იმერეთის მეფესთან და გამძვინ-  
ვარებულმა როსტომმა რევაზ ბარათაშვილს თვალები დას-  
თხარა.

„რა როინის ჯალაბმან (ე. ი. რევაზის დამ) ძმა ნახა თვალებ-  
დათხრილი, ქმარი გაუშვა, ჩოხანი ჩაიკვა და რა ცოცხალი  
იყვნენ, ქმარი თვალთ აღარ იხილა ძმის დაქირვის ჯავ-  
რითა“ 57.

არანაკლებ საინტერესო პიროვნებაა მგოსნის პაპა ნიკო-  
ლოზ (ნინია) ბარათაშვილი.

ნინია ერეკლე მეორის სიძე ყოფილა, მეტისმეტად ენამახ-  
ვილი და საუცხოო მთხრობელი. ისტორიკოსი ნიკოლოზ ბერ-  
ძენიშვილი გადმოგვცემს:

„Нам известно по преданию, что при Ираклии сла-  
вился, как бойкий и забавный рассказчик один из кня-  
зей Бараташвили; он был душою салакбо, и вокруг него  
всегда собиралась толпа слушателей.

Однажды царь велел призвать князя во дворец, и  
поручение это выпало на долю придворного служителя-  
новичка. — Да я и в лицо его не знаю. — Нужды нет, —  
сказал царь, улыбнувшись, — ступай на салакбо, подой-  
ди к самой большой кучке слушателей, и кого они будут  
слушать, того и зови сюда“ 58

ნინია საჯაროდ ამხელდა თურმე გიორგი მეცამეტის ხელ-  
მწიფობის სუსტ მხარეებს, რასთვისაც ფიზიკურად დასჯილა  
კიდევ. ლუკა ისაარლიშვილის ცნობით: „გიორგი რომ ტახტზე

ავიდა, მისს სიძეს (დის ქმარს) ნინია ბარათაშვილს ეტყვა: ეხ! რა მეფობას შეიძლებს ესაო! როცა ერეკლეს სიკვდილის შემდეგ ექვსი თვე გასულა და ტრაური გათავებულა, მუფის კარისკაცს ჩვეულებრივად დაუყვირნია: ბატონის სიძე მობრძანდებო, — ქუდი ჩამოიხადეთ!

... შემოვიდა თვითონაცა. „ბიჭებო, მიშველეთ, დაჰკარით!“ დაჰკრეს.

— შემიძლია თუ არა მეფობა? დაჰკარით, გააგდეთო! — გასძახა გიორგიმ<sup>59</sup>.

1803 წელს ნინია რუსეთში წასულა.

ბუნებრივად იბადება კითხვა, რამ გამოიწვია მისი რუსეთს წასვლა და სად ცხოვრობდა იგი?

კავკასიის არქეოლოგრაფიული კომისიის „აქტების“ მეორე ტომიდან ვიგებთ, რომ 1803 წლის აპრილში, რუსეთში გაგზავნილი, გიორგი მეცამეტის მეუღლის, მარიამ გიორგი ციციშვილის ასულის (1767 — 1850) ამაღაში ირიცხებოდა პოეტის პაპაც<sup>60</sup>.

მარიამ ბატონიშვილი თავის ამაღით 1811 წლამდე ბელგოროდში ცხოვრობდა და 1811 წლიდან კი — მოსკოვში. ნინია ბარათაშვილიც მოსკოვში უნდა გაჰყოლოდა დედოფალს.

როგორც მკვლევარ გ. კაკიაშვილის მიერ გამოქვეყნებული ცნობებით ირკვევა, ნინია ბარათაშვილი 1818 წელს საქართველოში — თავის საკუთარ სოფელ მარაბდაშია და საქმიანი ურთიერთობა აქვს არსენა ოძელაშვილის მამასთან<sup>61</sup>.

ღიად რჩება საკითხი, თუ როდის გარდაიცვალა პოეტის პაპა.



როცა ანჩისხატის უბანში შესულმა ივანე კერესელიძემ, შორიდანვე, დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის სახლი შეიცნო, იგი მაშინვე, მეფე გიორგი მეცამეტის ნამოძღვრალს — მელითაურს ანაფორაში ჩააფრინდა და ენადაბმით ყურში უთხრა: „დავბრუნდეთ, ვერ შევალ“.

მაგრამ „დაბრუნება“ აღარ ხერხდებოდა.

რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ „ციხკრის“ მომავალი რედაქტორი და გიორგი მელითაური ანტონ აფხაზის სახლის ეზოში იღვნენ და მასპინძელს ელოდებოდნენ.

ეს „ბარათთან“ ბინა იყო, რომელშიაც მელიტონიანნი 1841 წლის დამლეგს გადმოვიდნენ.

მოსულნი მელიტონთან იყვნენ მოსალაპარაკებლად გამოგზავნილნი... თუმცა სჯობს თითონ ივანე კერესელიძემ გვიამბოს:

„მელიტონ ბარათაშვილის ყმის ქალი ერთმა მდიდარმა სომეხმა შეირთო. მისი ყმის ოჯახი მეტად ღარიბი იყო, გარეთუბანს, ერთს მიწურს ქოხში იღვნენ. და სიძე—კი შეძლებული კაცი იყო, მასთანვე ნასწავლიც.

მდიდარმა ქვემო ქვეყნელმა სომეხმა მე დამავალა ქორწილის მოგვარება, რაისთვისაც ფულიც მომცა წინათვე. მე დავიჭირავე მუსიკა, საზანდარი, საქორწილო სახლიც, მაშინდელი კომერციული სკოლა, რომელიც შუა ბაზარში იყო.

დანიშნულ დროს, მეფე და მისი სტუმრები დროშეებით წავიდნენ ქალის წამოსაყვანად. მივიდნენ თუ არა, ამათ ქალიანთ კარებზე კომბლებით კაცები დახვდნენ და ყველა ესენი

არ აუშვეს ქალიანთ ოთახში... გამოირკვა, რომ ქალი მელიტონ ბარათაშვილის ყმა არის და ვიდრე ბატონისაგან ნებართვას არ მიიღებთო, მინამ ქორწილი შეუძლებელია.

მელიტონთან წასვლა მე მარგუნეს და მღვდელს მელითაურს. ეს იქნებოდა 1850 წელში. მელიტონი ჩიბუხის წევით გამოვიდა დარბაზში, მომესალმა და მისვლის მიზეზი მკითხა, მეც მოვახსენე. მან იუარა: „ყმა ჩემია და ჩემსას ვთხოვლობ“.

როგორც იქნა, ხუთას მანეთად მოვრიგდით. მაშინვე მღვდელი მელითაური გაექანა საქორწილო სახლში საქმროსთან და საქმე შეატყობინა.

საქმროს მაშინვე მიეცა ხუთასი მანეთი. ეს ფული მოიტანა, ბარათაშვილს ჩავაბარეთ. მხოლოდ ამის შემდეგ მოგვცა მან ნებართვა ჯვარისწერისა და ქალის წაყვანის, რაის გამო ბარათიც დაგვიწერა“<sup>62</sup>.

ივანე კერესელიძის ნაამბობს პოეტის მამის დახასიათების სისრულისათვის, ჩვენ დაურთავთ იონა მეუნარგიას ლაკონურ აღწერას მელიტონის გარეგნობისას: „ნიკოლოზის მამა, მელიტონ, კვალერიის თეთრს მუნდირში ჩამრგვალებული ჯმუხი ქართველი თავადი იყო“<sup>63</sup>.

მელიტონის პორტრეტმა ჩვენამდე არ მოაღწია, ანდა ჯერ ნაპოვნი არ არის.



მელიტონ ბარათაშვილი დაბადებულა 1795 წელს.

„ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლის“ კურსდასრულებული მელიტონი საკმაოდ განათლებული კაცი იყო. მან ზემიწევნით იცოდა ქართული მწერლობა. ტყბილ მოაუბრეს

და მჭევრმეტყველს, მშობლიური ენის გარდა კარგად სცოდნია, რუსული, სომხური და თურქული ენები.

„მაშინ რუსულის ცოდნა ყველაზე მეტად ფასობდა. ახალ სელისუფლებას ენის უცოდინრობა უჭირებდა საქმეს. თარჯიმნებს სანთლით დაეძებდნენ, დიდად აფასებდნენ“<sup>64</sup>.

1810 წლიდან მელიტონი თარჯიმანია საქართველოს მთავარმართებლის ტორმასოვის კანცელარიაში.

აღნიშნული წლიდან იწყება მელიტონ ბარათაშვილის დამსახურებათა და წარჩინებათა ისტორია.

საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცული საბუთი გვაუწყებს:

„საქართველოს მთავარმართებელთან თარჯიმნად ვიყავი. ემონაწილეობდი 1811 წელს ახალციხის ექსპედიციაში კავალერიის გენერალ ტორმასოვთან. ამ საქმეში გამოჩენილი სიმამაცისა და ერთგულებისათვის უმოწყალესად მებოძა ჩინი პრაპორშჩიკისა... 1812 წლის თებერვალს გენერალ-ლეიტენანტ მარკიზ პაულიჩთან ვიყავი კახეთს, სოფელ ჩუმლაყის აღებისა და მემპობხეების დამარცხების დროს“<sup>65</sup>.

კახეთის 1812 წლის ამბოხებაში მონაწილეობისათვის, პეტერბურგში გადასახლებულ გრიგოლ ბატონიშვილს, ხელისუფლებამ მხლებლებად, პოდპორუჩიკი ბებუთაშვილი და მელიტონ ბარათაშვილი გააყოლა. მარკიზ პაულიჩი 1812 წლის 18 მარტს გრაფ რუმიანცევს წერდა: „გივზავნიტ ბატონიშვილს გრიგოლს. მის გამყოლად ვგზავნი ხერსონის გრენადერთა პოლკის პოლპორუჩიკს ბებუთოვს, ხოლო ბოქაულად და თარჯიმნად პრაპორჩიკს ბარათოვს“<sup>66</sup>.

1813 წელს მელიტონი კახეთის ექსპედიციაში იმყოფებო-

და, შემდეგ ინფანტერიის გენერალ რტიშევს ახლდა გულს-  
ტანში.

1816 წლის 12 ოქტომბერს პორუჩიკობა ებოძა. ოთხი  
წლის შემდეგ კაპიტნობა. 1824 წელს დაინიშნა განჯის პოლიც-  
მეისტერად და ოლქის უფროსად.

1829 წლის 17 მარტიდან მთავარმართებელმა პასკევიჩმა  
მელიტონი, საქართველოს თავადაზნაურობის წინამძღოლ გე-  
ნერალ მაიორ ბაგრატიონ-მუხრანელთან, საგანგებო საქმეების  
მოთავედ დანიშნა.

ყველა ღირსებასა და ნაკლთან ერთად, მელიტონს ერთი  
საშინელი თვისება ჰქონდა — მეტისმეტი გულფიცხი, ანჩხლი  
და მყვირალა იყო.

სახალხო მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის დედა ნატალია გად-  
მოგვცემს: „როდესაც «სახალხო ფურცელში» მგოსნის ბიო-  
გრაფია წავიკითხე, თვალწინ წარმომიდგა ნიკოლოზის მამის  
მელიტონის მედიდური სახე და ახირებული ჩვეულებანი,  
რომელიც დასჩემებოდა, როგორც მდიდარსა და დიდი ოჯახის  
წარმომადგენელს“<sup>67</sup>.

ივანე კერესელიძეც ირწმუნება: „მელიტონი თავის სად-  
გომში რომ გააბამდა ყვირილს, თეკლე ბატონიშვილის სახლში  
გვესმოდა, კანტორის პირდაპირ“<sup>68</sup>.

მელიტონის გულფიცხოების გამო მის ოჯახს მრავალჯერ  
ცრემლი უღვრია და „მწარე პური უჭამია“.

ბევრს ცდილობდნენ პოეტის მამის მახლობელნი აღმოეფხ-  
ვრათ მელიტონში ეს ზნე, მაგრამ ვერაფერმა უშველა. იმედ-  
დაკარგული გრიგოლ ორბელიანი თავის ძმას ილიას წერდა:  
„ჩვენი მელიტონ ისევ-ისეა, ანჩხლი, მკყივანა, მყვირალა, თა-  
ვის სახლის დამამწარებელი“<sup>69</sup>.

არა ნაკლებ მრისხანე იყო იგი სახლს გარეთაც.

„მელიტონი, — წერს ნატალია ნიკოლაძე, — ძალზე განუზღვრებელი, ფიცხი, ამაყი, თავისნება და გულყოფილი კაცი იყო. იმ კუთხეში მისგან მოსვენება არავისა ჰქონია. ხშირად მოხდებოდა, რომ გავიდოდა ქალაქში, ეტლს დაუძაბებდა. ჩაჯდებოდა შიგ და მთელი დღე სეირნობდა. მოვიდოდა შინ, მეეტლეს მადლობასაც არ ეტყოდა, შინ შევიდოდა და დიდი ხნის შემდეგ მეეტლეც იძულებული იქნებოდა უფულო და უმადლობოდ შინ გამგზავრებულყო<sup>70</sup>.

ივანე კერესელიძე ამბობს, რომ თბილისში მელიტონის „შიშით ვაჭრები და ხელოსნები თავის დუქნის წინ სკამზე ჯდომასაც ვერც-კი გაბედავდნენ, როცა კი მელიტონი, ტფილისის რომელიმე ქუჩაში გაივლიდა“<sup>71</sup>.

სამსახურში მელიტონი მოურიდებელი და მოუთმენელი ყოფილა.

საქართველოს მთავარმართებლებიდან განსაკუთრებით ახლო იყო მელიტონ ბარათაშვილი, ალექსი პეტრეს ძე ერმოლოვთან.

ერმოლოვისა და პასკევიჩის შემდეგ საქართველოს მთავარმართებლად დანიშნულ როზენის ჩამოსვლისთანავე მელიტონი შეეცადა მასთანაც კარგი დამოკიდებულება ჰქონოდა.

1832 წლის 15 იანვარს მელიტონი რუსეთში მყოფ გრიგოლ ორბელიანს თხოვდა:

„ალექსეი პეტროვიჩი (ერმოლოვი — ი. ბ.) მიდი ნახე და როცა ნახო, ასე უთხარ ჩემი, რომ თქვენს შემდგომ ისე არის-თქო გაშვებული და უკანასკნელ ცხოვრებაშია თქო. ამ ახლანდელს ჩვენს მთავარმართებელს თქო დიდი თქვენი პატივისცემა



აქვს-თქო. ბარათოვი მწერს-თქო, რომ ბარონ როზინს წიგნი მისწერე-თქო. Который, скажи, надеется, что по письму вашему обратит свое внимание.

არა ჰქნა, რომ არ ნახო და ეს ასე არ მოახსენო. ჩემი დიდად შეწუხება უთხარ და კიდევ ეცადე, რომ ეგებ მართლა ერთი წიგნი მოსწეროს ჩემთვის, ახლანდელს ჩვენს მთავარ-პარტებელს“ 72.

ცხრანეტი დღის შემდეგ დაწერილ ბარათში მელიტონი გრიგოლ ორბელიანს მოაგონებდა: „ამას წინად, რომ მოგწერე, ალექსი პეტროვიჩის ნახვა, რატომ არასა მწერ“ 73.

ცოლისძმასთან გაგზავნილმა წერილებმა გასჭრეს. გრიგოლ ორბელიანმა ინახულა ერმოლოვი, ხოლო მან ბარათი მოსწერა საქართველოში ბარონ როზინს.

ამ დღიდან ახალმა მთავარპარტებელმა წყალობის თვალთ დაუწყო ყურება მელიტონს. მალე მელიტონმა მაიორობა, ჯვარი და პენსია მიიღო.

1832 წლის 30 აგვისტოს გახარებული მელიტონი გრიგოლ ორბელიანს ატყობინებდა: „ეს არის ეხლა მაიორობა და ოთხ-მოცდა ათი თუმანი თეთრი ფული პენცია მომივიდა ფელდ-მარშლის წარდგენით და მივეშურები დასაფიცებლად. ახლა შენ იცი, როგორ კარგს ნასტაიაჩის კავალერსკის ვერცხლისას ყვითელს აპელატებს გამოვიგზავნი და რასაც მისცემ, ჩემგან ერთი ორად მოგივა. მიშურნი არ იყოს ნასტაიაჩი ზოლოტიე შტაბ ოფიცრისა და პირველს ფოშტაში გამო-მიგზავნე“ 74.

როცა, ეს ამბავი ზაქარია ორბელიანმა გაიგო, იგი თავის ძმას გრიგოლს გაკვირვებული წერდა: „არ ვიცი, რას თანამდებობაში არის მელიტონ ან რისთვის მისცეს ან ჩინი ან პენცია.

შემატყობინე სწორედ, ნეტავი მაჩვენა ჩვენი ბრუციანი და სხვა არა მინდა რა“ 75.

გრიგოლ ორბელიანი კი, თავის მხრივ, ზაქარიას, აი, რას წერდა: „ამას წინათ გაზეთში წაეიკითხე за отличия противу Грузии в 1832 году Баратов награждается. ჩვესი მე-ლიტონის მეტი ვინ არის მაიორი. მიულოცე ჩემ მაგიერ სიხარულით და უთხარი, რომ მურთუხალიშვილს რომ ხმალი შემოჰქარ ყბაში-თქო, იმისათვის მოგივიდა награждение-თქო“. 76

ნამა და შვილი სრული ანტიპოდები იყვნენ. დამოკიდებულება მელიტონსა და ნიკოლოზ ბარათაშვილს შორის არ იყო მანკდამაინც კეთილგანწყობილი.

ისე კი, პოეტის მამა, მეტად სტუმართმოყვარე და ხელგაშლილი კაცი ყოფილა.

მელიტონიანთ სახლის კარი ყველასათვის ღია იყო. უფრო ხშირად მათთან დადიოდნენ: ეგნატე იოსელიანი, ალექსანდრე ქავკავაძე, ნიკოლოზ და მიხეილ ფაველენიშვილები, ალექსანდრე და გიორგი სავინაშვილები, ღაღით კანდელაკი და სხვანი.

მელიტონის ბინა ერთგვარ ლიტერატურულ სალონსაც წარმოადგენდა. დიდ პატივში იყო სალონები იმ დროს, რადგან არც პერიოდული პრესა, არც კლუბები და არც თეატრები ჰქონდა არ იყო.

ახალ ცხოვრების წესს არც მელიტონი რჩებოდა უკან. რუსეთსა და საზღვარგარეთ წამსვლელთ იგი ავალეებდა სხვადასხვა ნიეთების ჩამოტანას.

ევროპაში მყოფი ზაქარია ორბელიანი კერძო ბარათში თავის ძმას გრიგოლს წერდა: „მელიტონს უთხარით ჩემს მაგიერად, მოელოდეს, ასეთს ნიეთებს მოუტან ფრანციიდან,

რომ გაჰყვირდეს. ძალიან არ ვიცი, რომ მელიტონ იტყვის... ნეტა რას მიჰქარავსო, ყოველთვის ასე აღმითქვამს და არაფერს კი არ მომიტანს ხოლმეო“ 77.

1835 წლის იანვრიდან მელიტონ ბარათაშვილი საკმაოდ დიდი ხნით ლოგინად ჩავარდა. ახლა ბარათაანთ სახლიდან, პილიტონის გაბმული ყვირილის ნაცვლად, ავადმყოფის კენესა ისმოდა.

დასახელებული წლის 18 თებერვალს ზაქარია ორბელიანი თავის ძმას გრიგოლს წერდა: „Мелитон очень болен, так что я уж не имею надежды к его выздоровлению.“

როგორ დაღუბა თავისი სახლი და ცოლ-შვილი, ერთი გროზი არა აქვთ, ან რით უნდა დაიმარხოს და ან რით უნდა იცხოვრონ ცოლ-შვილმა იმის შემდეგ ვინც დარჩება. ეხლაც ზოვია ამის ხარჯი, შინ, ვგონებ 5.000 რუბლსა ხარჯაუდეს წელიწადში და საბოლოოდ კი ფიქრი არა ჰქონია. არ ვიცი დედას როგორ უქნია ეს და რათ უყაბულნია, მე რომ არ ვიყავი მაშინ აქა და ეხლა ვპსაცან ესე.

Этот долг падёт на нас, ибо лежит на залоге нашем. После смерти Мелитона, чем бедная Афилия (ეფემია — ი. ბ.) заплатит как этот долг, так и прочие партикулярныя .არ ვიცი, რა ექნა, ვწუხვარ ამას“ 78.

მარტის დასაწყისში მელიტონმა ოღნავ მოიკეთა. 1835 წლის 12 მარტს ზაქარია ორბელიანი ატყობინებდა თავის ძმას გრიგოლს: „მელიტონ ეხლა კარგათ არის, გამოდერა სიკვდილისაგან“ 79.

მაგრამ აპრილში ავადმყოფი ისე ცუდად გახდა, რომ მისი მორჩენის იმედი ყველას გადაუწყდა.

იმ ხანებში ნიკოლოზ ბარათაშვილმა გამნაზიის კურსი დაამთავრა. თავის ბიძას, გრიგოლ ორბელიანს, წერდა:

„ჩემი სურვილი იყო ჯარისკაცობა, იგი მზრდიდა მე აქო-  
ბამდო და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხოლმე  
გულში. მაშ რალამ დამიშალა, თუკი ჩემი სურვილი იყო? აი,  
რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ  
კოჭლი ხარო და თუ არ ინვალიდის კამანდაში, სხვაგან არ  
მიგიღებენო. მაშინ, როდესაც ფეხი უკეთ მქონდა და კარგა-  
დაც მაქვს, ასე, რომ ჩემებურად კიდევ ვპხტი და კიდევ  
ვტანცაობ.

მაგრამ რადგანაც შევიტყვე უარი მათი და მით უამოვნო-  
ბა, ვსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა, რომ თუ შტატ-  
ცი ვიყო, ვიყო. არც ეს შომისრულეს. უბედოროების გამო,  
მამაც ამ დროს ავად შეიქმნა და ავადმყოფი ჩემს თხოვნაზე  
ასე მეტყოდა: „შვილო, ხომ ხედავ შენის სახლის გარე-  
მობასო, შენს სახლს არ უპარრონებო?“. ამის შემდეგ  
გული აღარ იყო რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემის თხოვ-  
ნით“ 80.

მომგობინებული მელიტონი ლოგინიდან წამოღვა და მე-  
ურნეობის თადარიგს შეუდგა.

1835 წლის 9 დეკემბერს იგი თბილისიდან წერდა გრიგოლ  
ორბელიანს:

„Я в сию минуту еду на Гомбор, мою резиденцию.  
Туда и обратно часто весьма разъезжаю. Теперь хуже,  
больше не казначей, вместо меня заступил старый, ко-  
торый ездил до сих пор за ремонтом. На Гомборе скучно  
ужасно, больше от нечего делать!

ვპსწუხვარ დიდათ, არა მაქვს იღბალი მე ამაღლებისათვის  
ხარისხებით, აღთქმები ბევრი იყო, რაც ამოველ აქა, ჯერ კი  
გზა არა მომცეს რა.

სხეებრ პირგაკოცებ, ჩემო სიცოცხლევ — ნეტა შენ ჰაგი-  
ერად. მე ვიყო მოშორებით მშობელს ქვეყანასა. მოსავალი  
წრეულს ვერ გვქონდა. არ მომდის არა და ეხლა გული გამი-  
ტყდა. ცხენისთვის ფულს უთუოდ მოელოდე“<sup>81</sup>.

1836 წ. დასაწყისიდან მელიტონი კვლავ ავადმყოფობდა.  
დასახელებული წლის 13 ივლისს ზაქარია ორბელიანი თბილი-  
სიდან რიგაში წერდა თავის ძმას გრიგოლს: „Мелитону все  
не здоровится, но ему теперь лучше и все от невыдер-  
жанности он болен, говорят, он объелся“.<sup>82</sup>

1837 წლის იანვრის დასაწყისიდან მელიტონ ბარათაშვილი  
ისევ ცუდად გახდა და ჩაწვა ლოგინში. დასახელებული წლის  
მარტში ზაქარია წერდა თავის ძმას გრიგოლს: „მელიტონ იყო  
ავათ ჩემს გამოსვლის დროს 21 იანვარსა, ვგონებ ეხლა კარ-  
გათ იყოს“<sup>83</sup>.

მელიტონის ავადმყოფობა გაგრძელდა. ამ ხანებში მას  
გრიგოლ ორბელიანისაგან წერილი მოუვიდა: საპასუხო ბარათის  
დაწერა მელიტონმა ნიკოლოზს დაავალა და შეიღმა ეს  
დავალება მაშინვე შეასრულა.

ქვემოთ მოთავსებულ ბარათს, მართალია, ბოლოში ნიკო-  
ლოზ ბარათაშვილის ხელითვე აწერია: „შენი ძმა მელიტონი“,  
მაგრამ იმავე წერილში ერთ ადგილას ვკითხულობთ: „მე კი  
ასე ავად ვარ, რომ ამ წიგნსაც ტატოს ვაწერიებ“.

აი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ეს ავტოგრაფული წერილი:

ძ მ ა ო გ რ ი გ ო ლ !

შენი წიგნი მომივიდა, რომელმაც დიდად მასიამოვნა. შენის მშვიდო-  
ბით უოღნით. ხანჯალი გეთხოვნა და ამასთანავე გიგზავნი; იმედი მაქვს,  
რომ მოგეწონოს, შენი ღისათვის რომ წინდები გეთხოვნა, ისიც ამაში  
ძევს.

ეპისკოპოსი, რომ შენის დათხოვნის არზა უკვე დაუბრუნებიათ. დიდად მეწყინა. როგორ არ ვიცოდი, რომ როგორ მიგერთმევეინა. შენის დათხოვნისათვის აქაც ჰკითხეს და აქედგანაც წამოვიდა ვოენის მინისტრთან შენი აქ წამოსვლის ნება. მე კი ასე ავად ვარ, რომ ამ წიგნსაც ტატოს ვაწერინებ.

შენი ძმა მელიტონი.

წელს 1837-სა მარტის 1-სა  
ქ. ტფილისი 84.

1837 წლის ივნისის 9-ს მელიტონ ბარათაშვილმა, როგორც თბილისის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა, ავადმყოფობის გამო შევებულება ითხოვა. ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა. იმავე წლის 12 აგვისტოს მელიტონი დაუბრუნდა თავის სამსახურს.

მელიტონ ბარათაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით მოწყობილ იქნა 1837 წლის 11 ოქტომბერს ბალი, თბილისში ჩამოსულ ნიკოლოზ პირველის პატივსაცემად.

იმავე წლის 25 ნოემბერს, ავადმყოფობის გამო, მელიტონმა თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლის თანამდებობიდან განთავისუფლება მოითხოვა და მალე გამოვიდა კიდეც სამსახურიდან.

1838 წლის 12 მაისს მელიტონი კვლავ დაუბრუნდა სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებას, მაგრამ ამ თანამდებობას მალე სრულიად გამოეთხოვა.

1839 წლის 21 იანვარს მან სხვა სახის სამსახურში გამწესება მოითხოვა. იმავე წლის 8 ოქტომბერს იგი განჯის ოლქის უფროსად იქნა გამწესებულნი. აქ მან ორიოდე წელი დაპყრო. მერე სამსახური მიატოვა და თბილისს დაუბრუნდა.

1844 წლის 16 ოქტომბერს მელიტონმა საქართველოს მთავარმართებელს შესაფერ სამსახურში გამწესება სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო.

ხელგაშლილმა უყაირათო ცხოვრებამ და გამუდმებულმა ავადმყოფობამ მელიტონი თანდათან უკიდურეს სიღარიბეში ჩააგდო, მამულები ვალებში გაეყიდა. 1844 წლის ოქტომბრის დასასრულს მას დამბლა დაეცა. ამან კიდევ უფრო უკან დასწია ბარათაანთ ოჯახის მატერიალური მდგომარეობა. გრიგოლ ორბელიანი ამის გამო წერდა თავის ძმას, ზაქარიას: „ილიასაგან მომვივიდა წიგნი, რომელშიაც მაცნობებს მელიტონის დამბლობასა, შენი მტერი შესწუხდეს ისე, როგორც მე ამ ამბითა“<sup>85</sup>.

1844 წლის ნოემბერში ნიკოლოზ ბარათაშვილი ნახჩევანს წაევიდა სამსახურში.

მელიტონი სულ ისევ ავადმყოფობდა. „შენმა სიძემ, — წერდა მელიტონის მეუღლე გრიგოლ ორბელიანს, — სიყვარულით მოგიკითხა, ავათ არის თავის სნეულებისაგან“<sup>86</sup>.

1845 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილი განჯაში გადაიყვანეს, მაზრის უფროსის თანაშემწედ, სადაც 9 ოქტომბერს გარდაიცვალა.

ოჯახის მარჩენალი შვილის სიკვდილმა მელიტონზე თავზარდამცემად იმოქმედა. მელიტონის აუწერელ მწუხარების შესახებ ილია ორბელიანი შემდეგს წერდა თავის ძმას, გრიგოლს: „მელიტონის ყურებისათვის ვერ გამიძლია, გულს ცეცხლი შეკიდება და აღარა მესმის რა. ნეტაი შენა, რომ მელიტონს არ ხედავ“<sup>87</sup>.

1845 წლის 16 ოქტომბერს, ოჯახის ბურჯის დაკარგვით გულდათუთქული მელიტონი, დეკანოზ დიმიტრი ალექსი-მეს-

ხიშვილს თხოვდა: „მაღალ ღირსო, მამაო დეკანოზ დიმიტრი: უმდაბლესად გთხოვთ ახლათ გარდაცვალებულისა ჩემის შვილის ნიკოლოზის პანაშვიდი შეიდი წირვა გთხოვთ გადაუხადოთ შესრულების შემდგომად. ამის საწირავს მოგართმევთ.— რომელზედაც ხელს ვაწერ“<sup>88</sup>.

1845 წლის 11 დეკემბერს გაცემულ იქნა განკარგულება ნიკოლოზ ბარათაშვილის ოჯახისათვის დახმარების სახით უკანასკნელი წლიური ჯამაგირის გაცემის შესახებ.

სრულ სიღარიბეში ჩავარდნილი, დამბლადაცემული მელიტონი ხელისუფლებას ნივთიერ დახმარებას სთხოვდა ხოლმე. მთავრობა ხანდახან ძალზე მცირე თანხას უწყალობებდა.

1849 წელს მელიტონმა მეუღლეც დაჰქარგა. ავადმყოფმა, გაღატაკებულმა მოხუცმა დასტოვა თბილისი და სოფელ ოსიაურში გადასახლდა.

ასე გაიარა ათ წელზე მეტმა.

1860 წლის 6 დეკემბერს გრიგოლ ორბელიანი ქეთევან ორბელიანისადმი გაგზავნილ ბარათში მელიტონის შესახებ წერდა: „მელიტონ მომიკითხე, როგორ არის და ტფილისისთვის ხომ არ ოხრავს“<sup>89</sup>.

თბილისისა რა გითხრათ, მაგრამ სიკვდილი რომ აღარ მოდიოდა, ეს კი აწუხებდა ალბათ დავრდომილ მოხუცს.

1860 წლის დეკემბერში მელიტონი გარდაიცვალა. ოსიაურის მიწას მიაბარეს იგი.

## დ ე ლ ა

მისი სურათი არ შენახულა. თანამედროვეთა გადმოცემით, ის იყო ქერა, პირხმელი, ლამაზი ქალი, რომლის მაღალ ტანს მეტად შვენიოდა თურმე, გულპირმოჭრილი ქართული კაბა.





ეფემიას მამა ზურაბ (დომიტრი) ორბელიანი მეტად დაახლოებული იყო მეფე ერეკლესთან. „პატარა კახმა“ შას შიათხოვა თავისი ქალის ელენეს ახული ხორეშან, შემდეგში დედა ეფემიასი.

ეფემიას გარდა, ხორეშანს სამი ვაჟი ჰყავდა: გრიგოლ (პოეტი) ზაქარია და ილია.

ეფემია დაბადებულა 1799 წელს.

ქართველთა ჩვეულების თანახმად, მერვე წელში გადამდგარ ეფემიას წერა-კითხვა დედამ შეასწავლა. ჯერ „დავითნი“ აკითხა, მერე „სამოციქულო“ და „სახარება“. სასულიერო ლიტერატურა მალე საერომ შეცვალა და ახალგაზრდა ქალი გატაცებით დაეწაფა სამიჯნურო და საგმირო თხზულებებს.

თხუთმეტი წლის ეფემია ცოლად გააყოლეს მელიტონ ბარათაშვილს, რომელსაც სხვა მზითვებთან ერთად სახლიც მიუტანა.

მრისხანე, უხასიათო, ანჩხლი და მყვირალა ქმრის ხელში ეფემია წამებული იყო. ამ ნიადაგზე ნიკოლოზ ბარათაშვილს მუდამ უსიამოვნება ჰქონდა მამასთან.

მაგრამ ასეთი არ იყო პოეტის დედა ეფემია, რომელმაც შთააგონა თავის ძმას გრიგოლ ორბელიანს დაეწერა ერთი საუკეთესო ლექსთაგანი ქართული პოეზიისა „ჩემს დას ეფემიას“:

ჩემდა ნუგეშად, ჩემდა შევბად, სასიხარულოდ,  
 ლხენად გლახვულის, უდროოდა მწარ დამკნარისა,  
 დაო სასურველ! ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ,  
 და განმასვენე კვეთებადგან ბოროტმხვედრისა!

მისთვის ელოცავ ცაის შავნი დღენი ჩემთვის შთომილნი,  
არ შექსწყუნენ, ვიდრე კვალად ჩემთა თვალთ არ გიხილონ,  
და მაშინ, ოდეს საუკუნოდ მივლულთ თვალნი,  
მშობლიურ მიწა ხელთა შენთა გულს დამაყარონ.



ასე წერდა გრიგოლ ორბელიანი 1834 წელს, რიგაში მყოფი, საყვარელი დედის, ხორეშანის სიკვდილის შემდეგ თავის დას — ეფემიას და „ღედობას“ ავედრებდა.

რალაც განსაკუთრებული სინაზით უყვარდა გრიგოლ ორბელიანს თავისი და. ეს ძალიან კარგად იცოდა მელიტონმა, ამიტომ ცოლისძმისადმი გაგზავნილ ბარათებში, მუდამ ეფემიას ამბავსაც ატყობინებდა ხოლმე.

კუბოს კარამდე მტკიცე და ურყევი იყო და-ძმას შორის მეგობრობა, სიყვარული, პატივისცემა და მოკრძალება. ეფემია საკუთარი შვილივით ზრუნავდა ძმაზე. 1831 წლის 3 სექტემბერს გრიგოლ ორბელიანს წერდა:

„საყვარელო ძმაო გრიგოლ! ღმერთსა ვთხოვ შენს მშვიდობით ნახვას. ჩემს ამბავს იკითხამ ღვთის მოწყალებით კარგათ გახლავართ, მხოლოდ შენის ჯავრისა და მწუხარების მეტი არა გეიჭირს რა. გენაცვალე, გრიგოლ, შენს თავს გაუფრთხილდი“<sup>90</sup>.

და განა მარტო ამ ბარათში? ყველგან და ყოველთვის ზრუნავდა ძმაზე, რომელიც ნატრობდა „მშობლიურ მიწის მის ხელთაგან გულს დაყრას“.

1832 წლის თებერვლის დასაწყისში ეფემია ავად გახდა. იმავე წლის 4 თებერვალს გ. ორბელიანისადმი გაგზავნილ ბარათში მელიტონი წერდა: „შენი და უჭლებად არის“<sup>91</sup>.

ამ ამბავმა ძალზე დაალონა გრიგოლ ორბელიანი. საბედნიეროდ, ეფემია მალე გამოკეთდა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ხასიათის გამომჟღავნებაში ეფემიამ გადამწყვეტი როლი შეასრულა.

ახლა, როცა ეფემიას ცხოვრებას ვეცნობით და გვითხულობთ მის პირად ბარათებს, ცხადი ხდება, რომ მელახტოლია და უნაზესი ლირიზმი, რომელიც ასე ძალუმაღ ახასიათებდა პოეტს, უმთავრესად დედიდან მომდინარეობს.

საგნებზე და მოვლენებზედაც დედა-შვილს თითქმის ერთნაირი შეხედულებანი ჰქონდათ.

თუ ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანს წერდა: „ტფილისი ისევ ის ქალაქია, უსარგებლო გონებისა და გულისათვის“<sup>92</sup>, ეფემიას მიერ იმავე აღრესატიისადმი გაგზავნილ ბარათში ვკითხულობთ: „აქაური (თბილისის — ი. ბ.) ამბავი ღირსი ხსოვნისა არ არის რა, რომ მომეწერა, მხოლოდ ამის მეტი, რომ ქალაქში ამეამად სკუჩრობა გახლამს“<sup>93</sup>.

პოეტი თავის დედას საალერსოდ „ფეფოს“ ეძახდა.

ეფემიას ლიტერატურულ გემოვნებას ანგარიშს უწევდა, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილი, ისე გრიგოლ ორბელიანიც.

1835 წლის 23 მარტს გრიგოლ ორბელიანი თავის ძმას ზაქარიას ქალაქ ბირჟიდან წერდა: „ეფემიას დიდი ხანია მივწერე წიგნი და ლექსები გაუგზავნე, არც ის ვიცი, მოუვიდა თუ არა“<sup>94</sup>.

ეფემია ყოველთვის პირუთვნელ აზრს გამოთქვამდა მასთან წაკითხულ, თუ გამოგზავნილ ლიტერატურულ მასალაზე.

1835 წლის აპრილის პირველ რიცხვებში მელიტონი მძიმე ავადმყოფი, ლოგინად ჩავარდა. გრიგოლ ორბელიანს ის ცოცხალთა შორის აღარ ეგონა და ამის გამო იმავე წლის 11 აპრილს თავის ძმას ზაქარიას ასე მიმართავდა:

„იმედი მაქვს, რომ თუ ბარონ როზენი მანდ არის, ნიკო-

ლადი იოსებიჩისა და მუხრანის ბატონის შემწეობით პენსიაზე წარადგინოს ეფემია. ეს ერთი ღონისძიება არის საბრალლო ეფემიასათვის სანუგეშოდ. ჩვენც ასეთს სიღარიბეში ვართ, რომ შემწეობა მაგდენი არა შეგვიძლიან რა.

ოხ, რა ძნელია მოსათმენად, რომ კაცი ჰხედავდეს ესრეთ გულის საყვარელს დას უკანასკნელ განწირულობაში და არა შეეძლოს შემწეობა. მომწერე, გეთაყვა, ზაქარიავ, ყოველივე ეფემიას საქმე დაწვრილებით, ნურას დამიძალავ ჩემს სანუგეშოდ“ 95.

მელიტონი მალე წამოდგა.

შამილის მიერ ილია ორბელიანის ტყვედ წაყვანამ აატირა მოსიყვარულე დის მგრძნობიარე გული.

1842 წლის 20 აპრილს ეფემია თბილისიდან წერდა თავის ძმას ზაქარიას:

ჩემო სიცოცხლე, ძმაო ზაქარიაე! მომილოცამს ქრისტეს აღდგომა. ღმერთმა მრავალს წელიწადს დაგასწროს ბედნიერებით და შენის ცოლისა და შვილის სიცოცხლით.

ძმაო, ამისთანა უბედურება შეეიტყვეთ, — ილიკოს დაქერა, დატყვევება. იფიქრე, ჩემო სიცოცხლე, რა დღე იქნებოდა ჩემთვის, განა კიდევ მე ცოცხლებში ვწერივარ? მგონია კარგად უნდა იცოდე, ამ დაწყვეტილს სოფელში თქვენს მეტი სასიამოვნო რა შეგულება?

ოჰ, ზაქარიაე, როგორ უნდა გაძლოს ილიკომ იმ ურჯულოს ხელში და ან როდისღა შეღირსება იმის ნახვა, ამით კიდევ ჩემს თავს ნუგეშს ვცემ, შენ იცოცხლო, შენ გენაცვალე, ზაქარიაე, სახლის დიდებაე.

ძმაო, შენ რომ მხნე და გონიერი კაცი ხარ, ეცადე ილიასთვინ, რომ შენი სახელი იდიდოს და გამოიხსნა იმისი ყმაწვილკაცობა იმ ურჯულოებისაგან.

ღმერთსა ეთხოვთ, შენ სიცოცხლეს, ზაქარიაე, დღეს ამ წიგნს რომ გწერდი, გრიგოლის წიგნი მოუვიდა ტატოს, შეუტყვია ილიას დაქერა.

დიდს მწუხარებას იწერება, ასე რომ ავთაიე შექნილა და ხვერწინეს —  
ყოველივე წერილათ შემატყობინეთო როგორ მომხდარათ იმისი დაწერა.  
შენმა სიძემ სიყვარულით მოგიციტხა. ესეც ძალიან ავთ არის. ძველად  
მწოლიარე. რაც შენ წასულხარ, მას აქეთ სულ ავთ არის. ~~დაწერა~~  
შენი და, ეფემია ბარათოვისა. წელსა 1842, აპრილის 20-სა 92.

1842 წლის 2 მაისს ნ. ბარათაშვილი გრ. ორბელიანს ამ  
ამბის გამო წერდა: „ფეფოს მწუხარება გვაწუხებს ყველას;  
ხომ იცი, ტყვეობა და სიკვდილი ჩვენს დედაკაცებს ერთი  
ჰგონიათ, მეტადრე ლეკის ტყვეობა“ 97.

1844 წლის ნოემბერში მელიტონის ლოჯინში ჩავარდნისა  
და დამბლადდაცემის შემდეგ ეფემიას მდგომარეობა სასო-  
წარკვეთილი იყო.

„რა უნდა ჰქნას, — წერდა გრ. ორბელიანი თავის ძმას ზა-  
ქარიას, — უბედურმა სიყრმითვე ეფემიამ, რით შეინახოს ესო-  
დენი წერილი შვილები სრულიად დატაკად დაშთომილნი.  
ტატოც ნახჩევანში წასულა ლევანთან ერთად. ამდენს ჩვენს  
თავის ვაივაგლახს ესლა გვაკლდა. რა ვუყოთ, რითა ან როგორ  
შევეწივნეთ უსახლკაროსა, უპუროსა, უტანისამოსოს ჩვენს  
დასა“ 98.

მელიტონის დაუძლურებამ და მარჩენალი შვილის თბილი-  
სიდან მოშორებამ უაღრესად მოსტეხა და დაადარდიანა  
ეფემია.

ჯერ ნახჩევანში და მერე განჯაში გამწესებული ბარათაშვი-  
ლი იშვიათად იცლიდა წერილის საწერად. ეს კიდევ უფრო  
მომაკვდინებლად მოქმედებდა დედაზე.

თუმცა მშობლებს, სატრფოს, მეგობრებსა და ნათესაებს  
მოშორებული ნიკოლოზ ბარათაშვილი ამბობდა:



რაა, მოეშორდე ჩემსა მამულსა,  
 ზოვაცლდე სწორთა და მეგობართა,  
 ნულა ვიხილავ ჩემთა მშობელთა  
 და ჩემსა სატრფოს, ტკბილმოუნარსა,

სატრფოს ცრემლის წილ  
 მკვდარსა, ოხერსა,  
 დამეცემიან ციური ცვარნი,  
 ჩემთა ნათესავთ  
 გლოვისა ნაცვლად  
 მივალალებენ სუენი მყივარნი

მაგრამ „სიყრმითვე უბედურმა“ ეფემიამ ანდერძი დაურ-  
 ლვია შვილს და მწარედ დაიტირა იგი. გოდების ზარს გვაგონე-  
 ბენ მისგან მოთქმით ნათქვამი სიტყვები:

„მე უბედური, უბედურად ქმნილი, მოვაცლდი ჩემს სიხა-  
 რულს შვილს და რა შვილს, რომლისგანაც მოველოდი ყოველ  
 სიხარულს. ვუი და ვაი ჩემს მოსწრებას, ჩემს თვალების  
 დაბნელებას, ღმერთმან ასე უბედურათ შემქმნა“<sup>99</sup>.

თავზარდამცემი ამბის გაგებისთანავე ეფემია განჯას გაე-  
 მგზავრა. ოფიციალური საბუთი გვაუწყებს: „ელიზავეტო-  
 პოლში ჩასულმა ეფემიამ ჩაიბარა შვილის დარჩენილი ქო-  
 ნება“<sup>100</sup>.

ჩაბარებული ქონება სახმარად ყოვლად უვარგისი ყოფილა  
 და ეფემიას არც წამოუღია.

ოჯახის მარჩენალის დაკარგვის შემდეგ, სრულიად გაღატა-  
 კებამდე მისულ ბარათაშვილებს, დღიური სარჩოც კი აღარ  
 გააჩნდათ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან ორი წლის

შემდეგ, მიიცვალა ეფემიას ძმა — ზაქარია ორბელიანი, რომელიც შექლებისდაგვარად ეხმარებოდა პოეტის ოჯახს.

ამ „ორი დიდი დანაკლისით“ შეწუხებული ეფემია შესჩიოდა გრიგოლ ორბელიანს: „ჩემისთანა ცეცხლი ნურავის მოაქვნიოს ორის საშინელის უბედურებისაგან, სულ უბედურათ განმატარებინა ჩემი სიცოცხლე. ამ მწუხარებაში მყოფს აღარც მერჩის თვალი და აღარც ყურთ მესმის, ხელის ცახცახიც მაქვს“<sup>101</sup>.

1848 წლის დასასრულს ეფემია ავად გახდა და აღარც ამდგარა ლოგინიდან.

საქართველოს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების სამმართველოს არქივში დაცული, ჩვენს მიერ მიკვლეული საეკლესიო ჩანაწერი გვაუწყებს:

„1849 წელი. თვე და დღე გარდაცვალებისა? თებერვლის 4. თვე და დღე დაკრძალვისა? თებერვლის 6. წოდება, სახელი და გვარი გარდაცვალებულთა? თავადის მაიორის მელიტონ ბარათოვის მეუღლე კნეინა ეფემია, თავადის ზურაბ ორბელიანოვის ასული. წელნი გარდაცვალებულთანი? 43 (სის). რაისგან მოკვდა? დიდის ხნის სნეულებით. ვინ ათქმევინა აღსარება და აზიარა? დეკანოზმა ალექსიევ-მესხმა. ვინ აღუგო ანდერძი და სად არიან დასაფლავებულნი? მანვე დეკანოზმა ქაშუეთის ეკლესიის გალავნისა შინა“.

იმვე წლის 14 მარტს გრიგოლ ორბელიანი თემირხანშურიდან ქეთევან ორბელიანისადმი მიმართულ ბარათში გაოცებული კითხულობდა: „აქ ეფემიას სიკვდილს ამბობენ, სწორედ კი ვერავისაგან გამიგია“<sup>102</sup>.

გრიგოლ ორბელიანი მალე დარწმუნდა, რომ გავრცელებული ცნობა მართალი იყო.

ეფემიამ სამუდამოდ „დაუვიწყარყო თავისი სახელი იმით, რომ შეიქმნა დედა ჩვენი სასიქაღულო პოეტის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა“<sup>103</sup>.

ქაშუეთის ეკლესიის გალავანში ეფემიას საფლავს წარწერიანი ლოდი ეფარა. ამჟამად საფლავი აღარ ჩანს.

### ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების თარიღისათვის

ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების თარიღი ჯერ ისევ დაუდგენელია.

კონსტანტინე მამაცაშვილი 1881 წლის გაზ. „დროებაში“ ნ. ბარათაშვილის დაბადების დროის შესახებ წერდა: „ნიკოლოზ ბარათაშვილი დაიბადა ტფილისში, 1816 წელსა, 22 ნოემბერს“<sup>104</sup>.

ამ თარიღის უარსაყოფად ვლ. მიქელაძე იმავე წლის „დროებაში“ შენიშნავდა: „მთავარ სამმართველოს არქივში მე ვიპოვე ერთი „საქმე“. (1830 წლის № 1154), რომელშიაც ნაჩვენებია, რომ ათას რვაას ოცდაათს ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი იყო თორმეტი წლისა, ესე იგი დაიბადა 1818 წელს“<sup>105</sup>.

ვინ იცის, იქნებ ვლ. მიქელაძის მიერ შესწორებული თარიღი გავრცელებულიყო, რომ კ. მამაცაშვილს არ დაეცვა თავისი შეხედულება ბარათაშვილის 1816 წელს დაბადების შესახებ. ვლ. მიქელაძის საპასუხოდ კ. მამაცაშვილი წერდა:

„ჩემის აზრით, ბევრად უფრო სანდობელია წარწერილი საფლავის ქვაზედ დაბადება ბარათაშვილია, ვიდრემც არქივის ქაღალდი, ამისათვის, რომ საქართველოში 1819-ს წლამდისინ და უფრო გვიანაც მეტრიკის ქაღალდები არ იყო დაწე-



რილი. მაშინ, როგორც დედ-მამას სურდათ, ისე გამოართმე-  
დნენ ხოლმე თავის შვილის დაბადების მოწმობას ღვეღვებს.  
ექვი არ არის, იმისმა დებმა იცოდნენ თავის ძმის დაბადება და  
საფლავის ქვაზე დააწერინეს, რომ 1845 წელს გარდაცვალე-  
ბული ნიკ. ბარათაშვილი იყო ოცდამეცხრე წელიწადში, —  
მაშასადამე, 1816 წელშია დაბადებული“<sup>106</sup>.

ზაქარია ჭიჭინაძე 1885 წელს გამოცემულ წიგნში „ნიკო-  
ლოზ ბარათაშვილი“ პოეტის დაბადების თარიღის გამო შენი-  
შნავდა: „ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების დროთ, მის  
ერთ ნათესავეთაგანმა მოიგონა და დამიწერა 1816 წ. შემდეგ  
კი სთქვა, რომ ეს წელი საექვოდ მიმაჩნია და იმის დაბადების  
დრო უფრო 1817 წ. უნდა ეკუთვნოდეს, რადგანაც მე მქონდა  
ერთი წიგნი, რომლის კლაზედაც თვით ბარათაშვილის დედის  
ეფემიასაგან წარწერილი, იყო თუ როდის დაიბადა ბარათა-  
შვილი! შემპირდა — ამ წიგნს ვიპოვნი და გადმოგცემო; მეორე  
მისვლაზე აღიარა: „რომ ის წიგნი ველარ ვიპოვნე, ასე ვფიქ-  
რობ, რომ უეჭველად 1816 წ. უნდა იყოს დაბადებული“<sup>107</sup>.

ამის შემდეგ, 1928 წლამდე არავის შეუტანიია ექვი კ. შამა-  
ცაშვილის მიერ წარმოდგენილ თარიღში.

1928 წელს მკვლევარმა პ. ინგოროყვამ წერილში, „გრი-  
გოლ ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ნაწერები“, კატეგორი-  
ულად განაცხადა: „ბარათაშვილი 1819 წელს დაიბადა და არა  
1816 წელს, როგორც ამას დღემდე ფიქრობენ“<sup>108</sup>.

ქურნალ „მნათობში“ 1838 წელს გამოქვეყნებულ ბიოგრა-  
ფიულ ნარკვევში ნ. ბარათაშვილის შესახებ პ. ინგოროყვამ  
უარყო ათი წლის წინათ წამოწყებული თარიღი მგოსნის 1819  
წელს დაბადებისა და განაცხადა: რომ „თარიღი პოეტის დაბა-  
დებისა არის 1818 წელი“<sup>109</sup>.

1936 წლის გაზეთ „კომუნისტში“ აღწერილია საქართველოს ცენტრალურ საარქივო სამმართველოში დაცული „საქმე“ № 4953 (ფონდი 138), რომელშიაც ნ. ბარათაშვილის დაბადების თარიღად ნაჩვენებია 1817 წლის 15 დეკემბერი.

ეს „საქმე“ 1940 წლის ჟურნალ „ჩვენი თაობის“ მეოთხე ნომერში გამოაქვეყნა ნინო ხოშტარიამ, რომელმაც, თავის მხრივ, მხარი დაუჭირა პოეტის 1817 წლის 15 დეკემბერში დაბადებას.

იგივე „საქმე“ შესულია პროფ. შალვა ჩხეტიას ნაშრომში „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. ამ წიგნში პატივცემული პროფესორი იზიარებს ნ. ბარათაშვილის 1817 წლის 15 დეკემბერში დაბადების თარიღს.

ზემომოყვანილ თარიღებიდან რომელია სწორი?

1935 წელს კრებულ „ლიტერატურული მემკვიდრეობის“ დავალებით საქართველოს მმართველ ცენტრალურ სამმართველოს არქივში მომიხდა მუშაობა.

ნ. ბარათაშვილის დის, ბარბარე ვეზირიშვილის, გადმონაცემით, ცნობილი იყო, რომ „მელიტონს 14 შვილი ჰყავდა 8 ქალი და 6 ვაჟი, მაგრამ გარდა ნიკოსა და ოთხის ქალისა სუყველანი პატარები დაიხოცნენ სამ წლამდის“<sup>110</sup>.

საქართველოს მმართველ ცენტრალურ არქივში მუშაობის შედეგად გამოიჩქვა, რომ პოეტის მშობლებს თოთხმეტი კი არა, თხუთმეტი შვილი ჰყოლიათ: 9 ქალი და 6 ვაჟი.

ეს ყოველმხრივ საინტერესო მეტრიკული ჩანაწერები მაშინვე კალკაზე გადავადებინე საგანგებოდ მოწვეულ პირს (ამჟამად ინახება საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში).

საკირთა აღინიშნოს, რომ საქართველოში და საერთოდ,

ამიერკავკასიაში დაბადებულთა, ქორწინებით შეუღლებულთა და გარდაცვალებულთა საეკლესიო წიგნებში ჩაწერა დაიწყო 1818 წლის პირველ იანვრიდან. 1829 წლის 18 სექტემბერს საქართველოს ეგზარხოსი პ. ზავილევსკის ატყობინებდა: „საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის დასკვნით, მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ მეტრიკული წიგნები შემოღებულია საქართველოში 1818 წლის დასაწყისში“<sup>111</sup>.

საქართველოს მმართველ ცენტრალურ სამმართველოს არქივში ინახება თბილისისა და მთელი საქართველოს ქალაქებისა და დაბა-სოფლების საეკლესიო ჩანაწერები (1818 წლის პირველ იანვრიდან), რომლებშიც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მოვიპოვე ნიკოლოზ ბარათაშვილის თოთხმეტი და-ძმის დაბადება გარდაცვალებისა და თვით ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების საეკლესიო ჩანაწერი.

ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების საეკლესიო ჩანაწერი დაგებულად 1935 წელს „ლიტერატურული მემკვიდრეობის“ პირველ წიგნში. კრებულის მეორე ნომერში უნდა გამოქვეყნებულყო პოეტის ძმებისა და დების დაბადება-გარდაცვალების მეტრიკული ჩანაწერები, მაგრამ კრებულის მეორე წიგნის გამოუქვეყნებლობის გამო, ეს მასალა რედაქციის პორთფელში დარჩა\*.

ნიკოლოზ ბარათაშვილის და-ძმათა დაბადების საეკლესიო ჩანაწერების მიხედვით ირკვევა, რომ პოეტი, მელიტონ ბარათაშვილის უფროსი შვილი, დაბადებულა 1818 წლამდე. 1818 წლის 21 სექტემბერს დაბადებულა ნიკოლოზ ბარათაშვილის მომდევნო ძმა დაეითი.

\* ჩვენს მერე ამ მასალებზე იმუშავა მკვლევარმა არკადი ხუნდაძემ (იხ. ვაზ. „კომუნისტი“, 1937 წ., № 59).

რომ მკითხველს წარმოდგენა ჰქონდეს პოეტის დაძმობა დაბადების თარიღთა შესახებ, მომყავს ეს მასალა ქრონოლოგიური წესით: 1. დავითი დაიბადა 1818 წლის 21 სექტემბერს, 2. ალექსანდრე — 1820 წლის 5 აპრილს, 3. ეკატერინე 1821 წ. 21 სექტემბერს, 4. დარია — 1823 წ. 3 ივნისს, 5. გიორგი — 1824 წ. 30 ივნისს, 6. ბარბარე — 1825 წ. აპრილს, 7. მეორე ბარბარე — 1826 წ. 28 აპრილს, 8. ნინო — 1829 წ. 18 ივნისს, 9. ელენე — 1831 წ. 14 თებერვალს, 10. სოფიო — 1832 წ. 3 სექტემბერს, 11. მეორე დავითი — 1834 წ. 7 ივნისს, 12. მეორე ელენე — 1836 წ. 11 მარტს, 13. გრიგოლ — 1840 წ. 6 დეკემბერს, 14. მეორე სოფიო — 1841 წ. 13 დეკემბერს.

ამ მასალების მიხედვით, თავისთავად იხსნება მოსაზრება ნიკოლოზ ბარათაშვილის 1819-სა და 1818 წელს დაბადების შესახებ. პასუხგასაცემი რჩება საკითხი პოეტის 1817 წლის 15 დეკემბერში დაბადებისა.

რადგან ნ. ბარათაშვილის მომდევნო ძმა, დავითი, როგორც ზემოთ ვნახეთ, დაიბადა 1818 წლის 21 სექტემბერს, ხოლო პოეტის დაბადების თარიღად საქართველოს ცენტრალური არქივის 138 ფონდის „საქმე“ № 4953-ში 1817 წ. 15 დეკემბერია აღნიშნული, გამოდის, რომ დავითის დაბადების დღეს, მასზე უფროსი ნიკოლოზი ცხრა თვისა და ექვსი დღისა უფილა\*.

\* ამავე მოტივით შეიტანეს ეკვი ნ. ბარათაშვილის 1817 წლის 15 დეკემბერს დაბადების შესახებ მკვლევარმა არკადი ზუნდაძემ (ვაზ. „კომუნისტის“, 1937 წ. № 59) და მკვლევარმა სოლომონ ცაიშვილმა (ი. მეუნარგია „ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა“ ს. ცაიშვილის რედაქციით წინასიტყვეთ და შენიშვნებით, 1945 წ. გვ. 61), რომლებიც პოეტის დაბადების თარიღად 1816 წ. 22 ნოემბერს თვლიან.

ყოვლად შეუძლებელია, რომ პირველ შვილზე ექვსი დღის მოლოცინებული დედა მეორე შვილზე შექმნილიყო ფეხმძიმედ. დავითი, როგორც მისი დაბადების მეტრიკული ჩანაწერიდან ვნახავთ, „დღენაკლული“ არ დაბადებულა (მაშინ წესად იყო დადებული აღნიშვნა ამ განსაკუთრებული შემთხვევისა). პოეტის მომღვენო ძმა, დავითი, გარდაიცვალა „ქუნთრუშით“.

ეფემია ბარათაშვილის თხუთმეტი შვილისაგან „დღენაკლულად“ დაიბადა მხოლოდ გრიგოლი (1840 წლის 6 დეკემბერს), რომელმაც მხოლოდ 8 დღე იცოცხლა და გარდაიცვალა, როგორც „მეტრიკული წიგნი“ აღნიშნავს „დღენაკლულობით“.

ვახტანგ ბატონიშვილი თავის „ისტორიებრივ აღწერაში“ ასე აგვიწერს „ძეობის“ წესს:

„ძეობის წესი იყო ესრეთ. ოდესცა აღივსნის დღენი ქალის მუცლად ღებულობისანი, დროსა მტკივნეულობისაჲსა მოუწოდიან გარდა ნათესავთაცა თვისთა სხვათაცა ქალთა მრავალთა. რაჟამს განთავისუფლდის და იშვის ყრმა, წარვიდის მახარობელი მათთა ნათესავთა და მეგობართა თანა და სამშობლოსა ქალისაჲსა.

დღეს მესამესა ჟამსა ბინდისაჲსა შეაწვენდნენ ქალს ტახტსა ზედა დიდად ტურფითა საგებელითა და გარდააგდებენ ზედ ბადებრ მშვენნიერად მოქსოვილსა ბალდახინად. შემდგომად მივიდნიან ქალნი და მიულოციან გარდაგდებითა ვერცხლისა ქურკელთაჲსა და შემდგომად მათსა კაცნი.

ვახშმისთვის დასხდიან კაცნი სხვათა სახლთა და ქალნი მუნ და იყვიან ლხინი და განცხრომა მუსიკითა და სიმღერითა, გარდებმოდინან ერთმანეთს მკლავით და ეგრეთ როკვით იმღერდიან, რომელსაცა უწოდებენ ფერხისას და ესრედ შევი-

დიან სახლსა მშობიერისასა და დასხდიან ქალთა პირისპირ  
ქმარნი ანუ ნათესაენი მათნი და გაღმა გამოღმით დაიწყიან  
ქალთა და კაცთა სიმღერა.

შემდგომად ამისასა მოუწოდიან მენესტვეთა და მათის  
თანყოლით დააბიან სამაია, ესე იგი სამთა გვამთაგან ერთმა-  
ნეთის ხელკიდებით და როკვით სიმღერა და იყვის თხუთმეტ  
დღემდის ნიადაგ ღამე და ესრეთ განცხრომა, ლხინი და ღა-  
მისთევა ნათესავთა, მეგობართა და ძცნობათაგან. მშობიარე  
იქნებოდის მცხედარსა ზედა ნიადაგ მწოლიარე და დღესა მეთ-  
თხუთმეტესა წარმოხვიან იგი და დახურიან სხვა გვარი რამ  
სახურავი, რომელსა უწოდებენ ქაელსარადუჯათ ნიშნად ამის-  
სა, რომელ არღარა იქმნების სძლებრივის მღუმარეობისა ანუ  
მეტისა კრძალულებისა თანამდებ, არამედ სხვათა პატიოსანთა  
დღდაკაცთა შორის აღრაცხილ. ქალი იგი ვერცხლთა მათ რაი  
მილოცვილიყო, განაყოფდის და წარუგზავნიდის ქალთა მათ,  
რომელთაცა ეამთა მათ უთვლიან ღამე. შესრულებამდე ორმო-  
ცისა ქალი იგი იყვის ნიადაგ სახლსა თვისსა და ვერსად  
წარვიდის“ 112.

ვახტანგ ბატონიშვილის მოყვანილი ცნობა, ზუსტად ემთხ-  
ვევა მებანობაში ურყევად მიჩნეულ კანონს, რომლის მიხედვით  
მშობიარობის შემდეგ საჭიროა თურმე არანაკლებ 5—8 კვირა,  
რომ ორგანიზმი კვლავ დაუბრუნდეს ადრინდელ მდგომარე-  
ობას.

1817 წლის 15 დეკემბერი, პოეტის მშობელთა და მოწმეთა  
ჩვენების მიხედვით, „გაფორმებული თარიღია“ მელიტონ ბა-  
რათაშვილის იმ „თხოვნის“ საფუძველზე, რომელიც მან 1835  
წლის 30 ოქტომბერს შეიტანა, საქართველო-იმერეთის სინო-  
დალური კანტორის სახელზე. მეტრიკული მოწმობა მას ესა-

ჭიროებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის სამსახურში მოსაწყობად, აი, ეს „თხოვნა“:

საქართველოს  
ხელისუფლება

### თ ხ ო ვ ნ ა

მსურს ჩემი ვაჟი ნიკოლოზ ბარათოვი შევიყვანო მათი იმპერატორობითი უდიდებულესობის სამსახურში, ამისათვის საჭიროა მას ჰქონდეს მეტრიკული მოწმობა მისი კანონიერი დაბადებისა და მონათელისა. რისთვისაც ვანუშობა, რომ იგი, ნიკოლოზი, დაბადებულია ჩემი, მელიტონის, კანონიერი ქორწინებით, შეუღლებულის კნენა ეფემია დიმიტრი ორბელიანის ასულისაგან, 1817 წელსა, დეკემბრის 15 რიცხვსა და მონათლულია ტფილისის ანჩისხატის მაცხოვარ — ხელთუქმნელი ხატის საკრებულო ტაძარში, მასვე წელსა და მასვე თვესა 20 რიცხვსა, მისი დეკანოზის დიმიტრი ალექსეევ-მესხევის მიერ.

მიმქმელი წმინდა ემბაზისა იყო აწ უკვე განსვენებული ნადეორნი სოვეტნიკი და კავალერიის თავადი ნიკოლოზ არღუთინსკი — დოღერკოვი, ხოლო მოწმენი, ტფილისში მცხოვრებნი: კოლეჯკი სოვეტნიკი, თავადი ლუარსაბ სუმბათოვი, ტიტულიარნი სოვეტნიკი, თავადი მელიტონადე ბებუთოვი და გუბერნიის მდივანი, დავით ბარათოვი.

უმორჩილესად ვთხოვ საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას, მომცეს თავად ნიკოლოზ ბარათოვის კანონიერი დაბადებისა და მონათელის მეტრიკული მოწმობა. ამასთანავე დაუერთავ, რომ ახსარებასა და წმინდა ზიარებას, როგორც მე, ისე ჩემი ოჯახი ზემოხსენებულ შეილთან, ნიკოლოზთან ერთად ვღებულობდით, შტატგარეშე მყოფ დეკანოზთან, გაბრიელ მესხიევთან.

მაიორი, თავადი მ. ბარათოვი, ოქტომბერსა, 30 რიცხვსა, 1835 წელსა 113.

მელიტონ ბარათაშვილის ამ „თხოვნის“ საფუძველზე შედგენილ იქმნა, „კითხვითი პუნქტები“ რის შემდეგ 1835 წლის 24 დეკემბერს, მას მიეცა მისი შეილის, ნიკოლოზის, დაბადების შემდეგი სახის „მოწმობა“.



მათი იმპერატორობით უდიდებულესობის სრულიად რუსეთის თვითმპყრობელის ბრძანებულობით წმინდა მართლმადიდებელთა სინოდის კანტორიდან მაიორ თავად მელიტონ ბარათოვს მასში, რომ მისი ვაჟი, ნიკოლოზი, როგორც შეკრებულ ცნობებიდან სჩანს, დაბადებულია მისი კანონიერი ცოლის ეფექიასაგან ათას რვაას ჩვიდმეტსა წელსა, დეკემბერსა ხუთმეტსა რიცხვსა, მონათლულია იმავე თვესა ოცსა რიცხვსა ტფილისის ანჩისხატის საკრებულო ტაძარში დეკანოზ დიმიტრი ალექსევის მიერ. მომქმედად იყო ნადვორნი სოვეტნიკი თავადი ნიკოლოზ არგუთინსკი — დოღგორუკოვი, რის სარწმუნოდაც მიეცა ესე მოწმობა თავად მელიტონ ბარათოვსა სათანადო ხელწერილითა და სახაზინო ბეჭდის დასმითა, ზემოაღნიშნული მისი ვაჟის ნიკოლოზ ბარათოვის მოყვანებად მათი იმპერატორობით უდიდებულესობის სამსახურში.

ტფილისი, დეკემბერი 24, 1835 წელი“ 144.

ბუნებრივად ისმის კითხვა, 1835 წლამდე, ე. ი. იმ დრომდე, ვიდრე მელიტონ ბარათაშვილი თავისი ვაჟის, ნიკოლოზის მეტრიკას არ მიიღებდა, ერთგვარად უჩვენებდა თუ არა პოეტის დაბადების დატას?

არსებული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ არა. მელიტონი 1835 წლის 24 დეკემბრამდე (ე. ი. ნიკოლოზის მეტრიკული მოწმობის მიღებამდე) სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად მიუთ. აუბდა პოეტის დაბადების თარიღს.

ასე მაგალითად: საქართველოს ცენტრალურ არქივში ინახება „საანკეტო ცნობები“, „შედგენილი მელიტონ ბარათაშვილის კითხვითი პასუხების მიხედვით, რომელშიც ვკითხულობთ: „ჰყავს ვაჟები: ნიკოლოზ, 3 წლისა, ალექსანდრე, 9 თვისა“ 115. პროფ. შ. ჩხეტია ამ აღვილის გამო შენიშნავს: „საბუთს თარიღი არ უზის. დაწერილი უნდა იყოს არა უადრეს 1818 წლის და არა უგვიანეს 1822 წლისა“ 116.



პატივცემული პროფესორი საბუთს ათარილებს 1820 წლის და სრულიად სწორადაც. როგორც ზემომოყვანილ „დაბადების ტაბულიდან“ ჩანს, ალექსანდრე დაიბადა 1820 წლის 5 აპრილს (მიუხედავად იქვესი თვე), გამოდის, რომ საბუთი 1820 წლის ოქტომბერშია შედგენილი. ნიკოლოზ ბარათაშვილი, საბუთის მიხედვით, „საპი წლი'აა“ (1820 — 3), მაშასადამე, ამ დოკუმენტის მიხედვით გამოდის, რომ პოეტი 1817 წელს არის დაბადებული.

მაგრამ მელიტონ ბარათაშვილის თხოვნის საფუძველზე 1830 წლის 22 მაისს შედგენილ სხვა დოკუმენტში, თბილისის გიმნაზიის მეორე კლასში მყოფი პოეტი, თორმეტწლიანად არის დასახელებული (1830 — 12). გამოდის, რომ ამ საბუთით ნ. ბარათაშვილი 1818 წელსაა დაბადებული“ 117.

ამ ორი მაგალითიდან ჩანს, რომ მელიტონი 1835 წლის 24 დეკემბრამდე, — სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად უჩვენებდა პოეტის დაბადების თარიღს.

ყოველივე ეს კიდევ ერთი არგუმენტია 1835 წელს ხელოვნურად შედგენილ, „მეტრიკული მოწმობის“ წინააღმდეგ, რომელიც პოეტის დაბადების თარიღად 1817 წლის 15 დეკემბერს თვლის.

1835 წლის 24 დეკემბერს გაცემული მეტრიკული მოწმობა, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებას 1817 წლის 15 დეკემბერს აკუთვნებს, რეალურ საფუძველს მოკლებულია. მოწმეთა დაკითხვისა და „საანკეტო ცნობების“ შედგენის მთელი ეს პროცედურა, რომელიც 1835 წლის 30 ოქტომბერს დაიწყო (მელიტონ ბარათაშვილის განცხადების შეტანის დღიდან) და 1835 წლის 24 დეკემბრამდე (მეტრიკის გაცემის

დღემდე) სწარმოებდა, ფიქციური თარიღის „გაფორმება“ და მეტი არაფერი.

ჩანს, მელიტონ ბარათაშვილს ზუსტად არ ახსოვდა თავისი ვაჟის დაბადების თარიღი, როცა 1835 წელს, თხოვნა შეიტანა ნიკოლოზისათვის მეტრიკის გაცემის შესახებ და მერე უნებურად იძულებული გახდა „დაეკანონებინა“ ეს არა სწორი თარიღი.

ბარათაშვილის დაბადების თარიღის დასადგენად არ გამოდგება თვითონ პოეტის ერთი ცნობა, მოთავსებული მაიკო ორბელიანისადმი მიმართულ ბარათში, იმ კუთხით, როგორც იგი სურს გამოიყენოს მ, კლევარმა პავლე ინგოროყვამ.

„ნ. ბარათაშვილის, — წერს პ. ინგოროყვა, — დაბადების წლის ზედმიწევნით გამოსარკვევად ჩვენ გვაქვს ერთი ცნობა და პირდაპირ უცნაურია, რომ ბარათაშვილის არც ერთ ბიოგრაფს არ მოუვიდა ფიქრად ამ ცნობის გამოყენება. ეს ცნობა ეკუთვნის თვით ნიკო ბარათაშვილს. თავისი წლოვანება ნ. ბარათაშვილს მოხსენებული აქვს ერთ წერილში მაიკო ორბელიანისადმი. დასახელებული წერილი მიწერილია მაიკო ორბელიანთან 1845 წლის 9 თებერვალს (ძვ. სტილით) ნახჭევანიდან, სადაც პოეტი სამსახურში იყო გადაყვანილი. ამ წერილში ნ. ბარათაშვილი, სხვათა შორის შემდეგსა წერს მაიკო ორბელიანს:

„... დიახ, ნურავის მოვაგონდები! იმისი არ იყოს, როგორც ერთ ქალს უბრძანებია, რომ აქ მოგეწყინდნენ და გავყარეთო! ეგეც აგრე იყოს. მაგრამ მე ეს ვიცი, რომ ჩვენ წელს ოცდაექვსისა შევსრულდით, და წინადაც ჯერ ბევრი ნუგეში და სიამოვნება გვიძევეს! ვაი იმის ბრალი, ვინც ოცდარვა წლისაა და აღარც ამ სოფლის კმაყოფილებას მოელის“.

ამრიგად, რაკი ნ. ბარათაშვილი 1845 წლის 22 თებერვლისათვის (ახალი სტილით) 26 წლისა ყოფილა, იგი, ჩანს, დაბადებულია 1818 წლის 22 თებერვალსა და 1819 წლის 22 თებერვალს შუა. ჩვენ ვჩერდებით 1818 წელზე“ 118.

პ. ინგოროყვა ბარათაშვილის ზოგიერთ მკვლევარ-რედაქტორებთან ერთად უნებლიე შეცდომას უშვებს. წერილს, რომელსაც პ. ინგოროყვა ემყარება, დასტამბიდანვე ერთი კურიოზი დაჰყვა და ეს კურიოზი დღემდე გრძელდება.

ნ. ბარათაშვილის წერილი მაიკო ორბელიანისადმი, რომელსაც პ. ინგოროყვა ემყარება იმავე ადრესატისადმი მიწერილ სამ ბარათთან ერთად პირველად გამოქვეყნდა 1873 წლის ჟურ. „კრებულის“ პირველ წიგნში. ეს წერილები „კრებულის“ რედაქციისათვის გაუგზავნია ი. ჭავჭავაძეს.

1872 წლის 9 დეკემბერს ილია თბილისში წერდა კ. ლორთქიფანიძეს: „ძმავ კირილე! გიგზავნი ბარათაშვილის წიგნებს. შენ იცი და შენმა რიგიანობამ როგორ კარგად, შეუშლელად და შეუმცდარად დაჰბეჭდავ. მართლწერა და ნიშნების ხმარება სრულიად და შეუმცდარად დედნისა არის და აგრეთვე უნდა დაიბეჭდოს. გთხოვთ მაგ წიგნებს ამისთანა შენიშვნა გაუკეთო: „ეს ოთხი წიგნი ნიკოლოზ ბარათაშვილისაგან ერთ და იგივე პირთან (მაიკო ორბელიანთან — ი. ბ.) მიწერილი, გადმოგვცა ჩვენ ერთმა პატივცემულმა პირმა, ქართულის ენისა და მწერლობის მოყვარემა“ 119.

მოყვანილი ამონაწერიდან ჩანს, რომ „კრებულის“ რედაქციას ბარათაშვილის „ოთხი წერილის“ პუბლიკაციის დროს დედნები ხელთ არ ჰქონია. ეს წერილები მას ილიას მიერ გამოგზავნილი გადმონაწერებიდან გადმოუბეჭდია. ჟურნ. „კრებულში“ გამოქვეყნებულ მაიკო ორბელიანისადმი მიმართულ

ბარათს, რომელშიც პოეტი თავის ასაკზე ლაპარაკობს, მიწერილი აქვს 1845 წლის 9 დეკემბერი.

6. ბარათაშვილის ნაწერების მეშვიდე გამოცემის შენიშვნების ავტორს, დავით კარიჭაშვილს, ამ ბარათების ავტოგრაფები ხელთ ჰქონია. „კრებულში“ 1845 წლის 9 დეკემბრით დათარიღებული წერილის შესახებ, დ. კარიჭაშვილი წერდა: „დედანში ამ წერილს არ უზის წელიწადისა და თვის რიცხვი, და არც ადგილის სახელი. როგორც შინაარსიდან ჩანს, იგი მიწერილი უნდა იყვეს ნახჭევანიდან, 1845 წლის 9 თებერვლის შემდეგ“<sup>120</sup>.

დ. კარიჭაშვილმა, როგორც ჩანს, ბარათის დაწერის თარიღი „კრებულის“ მიერ 1845 წლის 9 დეკემბრით დათარიღებული, შესცვალა 1845 წლის 9 თებერვლით. რისთვის ჩაიდინა ეს კარიჭაშვილმა? იმისათვის, რომ ამ დროს უკვე გამოქვეყნებული იყო განჯის საფლავის ქვის წარწერა, რომელიც ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების თარიღად 1845 წლის 9 ოქტომბერს უჩვენებდა. მკვდარი პოეტი ხომ ვერ დაწერდა ბარათსო, იფიქრა ალბად დ. კარიჭაშვილმა და „9 დეკემბერი“, „9 თებერვლით“ შეცვალა.

1910 წლიდან დღემდე აკადემიურ და სხვა სახის გამოცემებში ამ წერილს 1845 წლის 9 თებერვალს დაწერილად სთვლიან. მართალია ეს თუ არა?

აღნიშნული წერილის ავტოგრაფი ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება (S № 2484), ძნელი არ არის მისი ნახვა. გასაკვირია, რომ ბარათაშვილის არც ერთი რედაქტორი და მკვლევარი არ დაინტერესდა დაეხედა, მართლა უწერია თუ არა, ამ ბარათს თარიღი დაწერის ადგილი. დასახელებულ წერილს მაიკო ორბელიან-

თან, სადაც ბარათაშვილი თავის ასაკზე ლაპარაკობს, არ უწერია არც წელი, არც თვე და არც რიცხვი.

რადგან აღნიშნული წერილის დაწერის დრო ცნობილი არ არის, მისი ასე ხელწამოკრულად გამოყენება პოეტის დაბადების თარიღის დასადგენად არ გამოდგება, ჯერ თვით ბარათის დაწერის თარიღი უნდა დადგინდეს.

მაგრამ მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი პოეტის ეს ბარათი, მეტად საგულისხმო დოკუმენტია სულ სხვა მხრივ. იგაგვამცნობს, რომ წერილის ავტორი — ნ ბარათაშვილი და მისი ამხანაგი, ლევან მელიქიშვილი, თანამოსაკენი ყოფილან.

ნახტევანში ლევან მელიქიშვილის თანაშემწედ მომუშავე ბარათაშვილი თბილისში წერდა ლევან მელიქიშვილის დანიშნულს — მაიკო ორბელიანს: „დიახ, ნურავის მოვაგონდები, იმისი არ იყოს, როგორც ერთს ქალს უბრძანებია, რომ აქ მოგვწყინდნენ და გავყარეთო. ეგეც ეგრე იყოს. მაგრამ მე ეს ვიცი, რომ ჩვენ წელს ოცდაექვსისა შევესრულდით, და წინაც ჯერ ბევრი ნუგეში და სიამოვნება გვიძევს (ხაზი ჩემია ი. ბ.) ვაი იმის ბრალი, ვინც ოცდარვა წლისაა და აღარც არას ამ სოფლის კმაყოფილებას მოელის!.... არ ვიცი რა მიზეზია, რომ მანანა მოკითხვითაც არა მკითხულობს? მაგრამ ერთის მხრივ, არც კი უნდა დავემდურო, ახლა ჩვენ ვიღას მოვაგონდებით, ვიღაც ორი ტლუ ბიჭი გდია ნახტევანში (ხაზი ჩემია — ი. ბ.) ახლა ცა ახალია, ქვეყანა ახალია და მოდაში ოთხმოცი წლის კაცები არიან“<sup>121</sup>.

ხსენებულ ბარათს მეორე და მესამე გვერდის აშიებზე ახლავს ლევან მელიქიშვილის მინაწერი მაიკო ორბელიანისადმი. მოტანილი ნაწყვეტიდან გარკვევით ჩანს, რომ ბარათში

ხმარებული გამოთქმა „ჩვენ“ და „ორი ტლუ ბიჭი“ — გულის-  
ხმობს ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ლევან მელიქიშვილს.

თუ პოეტის ბარათიდან ამ ამონაწერს, ჩამოვაცილებთ მე-  
გობარ ქალის გამოსაჯერებლად წლოვანების დაკლების  
ფაქტს, დაგვრჩება ძვირფასი ცნობა იმის შესახებ, რომ ნიკო-  
ლოზ ბარათაშვილი და ლევან მელიქიშვილი თურმე, თანამოა-  
საკენი ყოფილან.

რადგან ვიცით, რომ ლევან მელიქიშვილის დაბადების  
თარიღი 1816 წელია, გამოდის, რომ მისი ტოლი — ნიკოლოზ  
ბარათაშვილიც 1816 წელში ყოფილა დაბადებული.

ეს ვარაუდი სრულიად რეალურ საფუძველს ღებულობს  
საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცულ „ამიერკავკასიის  
დირექტორის მიერ ტფილისის გიმნაზიასთან არსებულ პანსი-  
ონში სახელმწიფო ხარჯზე ჩასარიცხავად წარდგენილ ღარიბ  
და წარჩინებულ მოწაფეთა სიის“ გაცნობით. ამ საბუთში თბი-  
ლისის გიმნაზიის მეორეკლასელები — ნიკოლოზ ბარათაშვილი  
და ლევან მელიქიშვილი, თანატოლებად — თორმეტ წლიანე-  
ბად არიან დასახელებულნი<sup>122</sup>.

თუ ნ. ბარათაშვილი და ლ. მელიქიშვილი თანატოლები  
იყვნენ, პოეტი ერთი წლით უმცროსი ყოფილა კონსტანტინე  
მამაცაშვილზე.

თავისი დაბადების თარიღის შესახებ კ. მამაცაშვილი აღ-  
ნიშნავდა „ჩემი ფორმულიარი რომ ნახოს ვლ. მიქელაძემ, იქ  
წაიკითხავს, რომ მე ვარ დაბადებული 1818 წელს. ეს სრულე-  
ბით მართალი არ არის. მე ვარ ნამდვილად დაბადებული 1815  
წელს. ფორმალური არის ოფიციალურად ქეშმარიტი დოკუ-  
მენტი და ამ დოკუმენტში შეცდომაა. თუ ინებებს მიქელაძე,  
იმასაც ვაჩვენებ მამიჩემისაგან დაწერილს, რომ მე ვარ დაბა-

დებული 1815 წელსა. ოფიციალურს ქალაღზედ თუ შევადგენთ ხსოვნას ანუ ფაქტების აღწერას, ჩვენ ხშირად შევეცდებით. ბევრი საქმეები, ოფიციალურად აღწერილი, წამიკითხავს სრულებით გადაბრუნებული, ისეთი ნამდვილნი საქმეები, რომელშიაც თვითონ მე მქონია მონაწილეობა და მინახავს“<sup>123</sup>.

რადგან კ. მამაცაშვილი დაბეჯითებით აღნიშნავს, რომ „ნ. ბარათაშვილი ჩემზე ერთი წლით უმცროსი იყო“<sup>124</sup>. ხოლო კ. მამაცაშვილის დაბადების თარიღი 1815 წელია, ჩანს მასზე „ერთი წლით უმცროსი“ ნ. ბარათაშვილი, 1816 წელს არის დაბადებული.

ზემომოყვანილი არგუმენტების საფუძველზე იხსნება მოსაზრება ნ. ბარათაშვილის 1819, 1818 და 1817 წლის 15 დეკემბერში დაბადების შესახებ, ცხადი ხდება, რომ პოეტი დაბადებულა 1817 წლის 15 დეკემბერზე ადრე.

ჩვენ უნებურად ვუახლოვდებით 1816 წელს ე. ი. პოეტის დაბადების იმ თარიღს, რომელიც 1881 წლის გაზეთ „დროების“ № 206-ში გამოიტანა პოეტის უახლოესმა მეგობარმა კ. მამაცაშვილმა.

ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ კ. მამაცაშვილი დაბეჯითებით აღნიშნავს: „თვითონ ნ. ბარათაშვილისაგან გამიგონია ბევრჯერ, რომ 1816 წელს დაიბადა“<sup>125</sup>.

ნ. ბარათაშვილის საფლავის ქვის წარწერა, რომელიც დამზადებული უნდა იყოს 1846 წლის დასაწყისში, ზუსტად ემთხვევა კ. მამაცაშვილის მიერ წამოყენებულ თარიღს პოეტის დაბადების შესახებ.

ამ თარიღსავე მხარს უჭერს ნ. ბარათაშვილის უახლოესი მეგობრისა და სკოლის ამხანაგის, პოეტ მიხეილ თუმანიშვი-

ლის ერთი ჩანაწერიც. 1851 წელს, მ. თუმანიშვილს უბის წიგნში ჩაუწერია: „ელისავეტპოლის ციხეში, მართლმადიდებელთა ეკლესიის გვერდით დასაფლავებულია ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათოვი, გარდაცვალებული 1845 წელს, დაბადებიდან 29 [ოცდამეცხრე] წელს“<sup>126</sup>.

ამას წინათ აღმოჩნდა კიდევ ერთი საბუთი, რომელიც ნ. ბარათაშვილის დაბადებას 1816 წელს აკუთვნებს. მკვლევარი ს. ცაიშვილი ამის გამო შენიშნავს: „არსებობს... ერთი, დღემდე ყურადღებამიუქცეველი, წყარო. ეს არის აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის პალეოგრაფიულ განყოფილებაში დაცული, სხვადასხვა ავტორთა (ვახტანგ VI, თეიმურაზ I, თეიმურაზ II და სხვ.) მიერ შეთხზული ანბანთქების კრებული A ფონდი, № 1208, როგორც მინაწერებიდან ჩანს იგი შედგენილია 1827 წელს... ამ ხელნაწერი კრებულის დაზიანებულ ბოლოფურცლებზე ბარათაშვილს ოჯახის წევრებზე აღნუსხულ სხვადასხვა ცნობებს შორის პოეტზე მოიპოვება ასეთი მინაწერიც: 1827 წ. ნიკოლოზ 11 წლისაა. პოეტის სიცოცხლეში 1827 წელს გაკეთებული ეს მინაწერი (უნდა ვიგულისხმოთ მშობლების ან მახლობელ პირისაგან) უეჭვოდ სარწმუნოა. თუ პოეტი 1827 წელს 11 წლისა იყო, ცხადია, იგი 1816 წელს ყოფილა დაბადებული“<sup>127</sup>.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მოამბის“ 1961 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილ მკვლევარ ნ. კილანავას წერილში მოყვანილი დოკუმენტებიც იქითკენ მიუთითებენ, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი ნამდვილად 1816 წელსაა დაბადებული<sup>128</sup>.

რადგან „ყველა გზას“ 1816 წლისავე მივყავართ, ნიკო-





ლოზ ბარათაშვილის დაბადების თარიღად კ. მამაცაშვილის მიერ წამოყენებული — 1816 წლის 22 ნოემბერი (ძვ. სტილით) უნდა მივიღოთ.

## დ ა ძ მ ა ნ ი

### 1. დავით ბარათაშვილი

მელიტონის შვილებში ნიკოლოზის შემდეგ ყველაზე უფროსის დავითის დაბადების წელს გვატყობინებს ანჩისხატის ეკლესიის მეტრიკული წიგნი:

„ნაწილი პირველი დაბადებულთათვის, ჩყიე (1818) წელსა მამათა სქესი? 8. რიცხვი დაბადების დღისა? 21. ვინ ვის დაე-ბადა, ვინ განათლა სახლი და მონათლა, რა სახელი დაერქვა ახლადშობილსა?

დაებადა ტფილისში მცხოვრებს თავადს მელიტონს ბარათოვს ვაჟი, სახლი განათლულ იქმნა მღვდლის ეფრემის მიერ, სახელი ეწოდა დავით და მონათლუასა ზედა მისსა იმღვდელმოქმედა დეკანოზმა დიმიტრი ალექსიევმა. რიცხვი მონათვლის დღისა? სექტემ [ბრის] 30. ვინ იყვნენ მიმქმელად ანუ ნათლიად? მიმქმნელად იყო ვანელი გეურქ არწურნი“.

დავითს არ დასცალდა მოსწრებოდა სტუმართმოყვარე მამის სახლში წლისთავის გამო დაბადების დღის დღესასწაულს, რვა თვის ბავშვი ქუნთარუშამ იმსხვერპლა. 1819 წლის საეკლესიო ჩანაწერების წიგნი გვაუწყებს:

„მამათა სქესი? 3. რიცხვი სიკვდილისა? 4. ვინ მოკვდა სახელდობრივ და ვისგან დაიპარხა? თვესა ივნისსა ტფილისში მცხოვრებს თავადს მელიტონს ბარათოვს მოუყვდა ვაჟი შვი-

ლი დავით და დაიმარხა დეკანოზის დიმიტრის მიერ ალექსანდრესა. რიცხვი დამარხვისა? 8. რომლითა სწეულებითა გარდაცვლილ არს? ქუთურუმის მიხეზით“.

## 2. ალექსანდრე ბარათაშვილი

1820 წელს ბარათაანთ დაებადათ ალექსანდრე. საეკლესიო ჩანაწერების წიგნში ვკითხულობთ:

„მამათა სქესი? 2. რიცხვი დაბადების დღისა? 5 აპრილსა. ვინ ვის დაებადა, ვინ განათლა სახლი და მონათლა, რა სახელი დაერქვა ახლად შობილსა?

დაებადა თავადს მელიტონ ბარათოვს ვაჟი. სახლი გაუნათლა მღვდელმა ეფრემ, სახელი ეწოდა ალექსანდრე და მონათვლასა ზედა მისსა იმმღვდელმოქმედა დეკანოზმა დიმიტრი ალექსიევმა. რიცხვი მონათვლის დღისა? ივნისის 21. ვინ იყვნენ მიმქმელად ანუ ნათლიად? მიმქმნელად იყო თავადი ნიკოლოზ არღუთოვი“.

ალექსანდრე გარდაიცვალა „ცხელებით“ 1821 წლის 10 ნოემბერს. აღნიშნული წლის მეტრიკული წიგნი გვამცნობს:

„მამათა სქესი? 4. რიცხვი სიკვდილის დღისა? 10. ვინ მოკვდა სახელდობრ და ვისგან დაიმარხა? თვესა ნოემბერსა თავადს მელიტონ ბარათოვს მოუკვდა ვაჟი ალექსანდრე და დაიმარხა დეკანოზის დიმიტრის მიერ ალექსიევისა. რამდენის წლისა იყო შობითაგან? 1. რიცხვი დამარხვისა? 11. რომლითა სწეულებითა გარდაცვლილ არს? ცხელებით“.

## 8. ეკატერინე ბარათაშვილი-ერისთავისა



1821 წლის 21 სექტემბერს ბარათაანთ პირველი ქალი შვიდნათ. ანჩისბატის ეკლესიის ჩანაწერების წიგნში ვკითხულობთ:

„ღედათა სქენი? 10. რიცხვი დაბადების დღისა? 21. ვინ ვის დაებადა, ვინ განათლა სახლი და მონათლა, რა სახელი დაერქვა ახლად შობილსა? თვესა სექტემბერსა დაებადა თავადს მელიტონ ბარათოვს ქალი. სახლი გაუნათლა მღვდელმა ეფრემ ფანოვმა, სახელი ეწოდა ეკატერინე და განათლულსა ზედა მისსა იმღვდელმოქმედა დეკანოზმა დიმიტრი ალექსიეევმა. რიცხვი მონათვლის დღისა? ნოემბრის 1. ვინ იყვნენ მიმქმნელად ანუ ნათლად? მიმქმელად იყო ლუბერნატორის სვიმონიჩის მეუღლე ბარბარე“.

1844 წლის 6 აპრილს ეკატერინე დაინიშნა გორელ მემაღულეზე, პრაპორშჩიკ რევაზ ლუარსაბის ძე ქსნისერისთავზე (1816 — 1881). სათანადო მზითვის უქონლობის გამო ქორწილი დროებით გადაიდო. მზითვის გასაწყობად ბარათაშვილებმა დახმარება სთხოვეს ზაქარია ორბელიანს.

მელიტონ ბარათაშვილი 1844 წლის 15 აპრილს კერძო ბარათში წერდა ზაქარია ორბელიანს:

„კატუა გავათხოვეთ და ჯვარსაც საამაღლებლოდ ვწერთ, რევაზს, ლევანის ძმას ერისთავს მივეციით. აბა ხომ ჰპირდებოდი, დროც ეს არის თუ მოგვაშველებ რასმეს. ხომ იცი ჩემი მდგომარეობა როგორც არის, შენმა გაზღამ დიდად გაჭირვებაში ვარ... თუ დროზედ მომეშველები კატუას მზითვისთვის შენ იცი, თუ არა და გაჭირდება საქმე და მარტო ჩემთვის არ იქნება — თქვენთვისაც სირცხვილია რომ ასე ღაფრჩე“ 129.

იმავე თარიღით ზაქარიასადმი გაგზავნილ ბარათში ეფემია წერდა:

„ჩემი ქალი კატო გავათხოვე, შენი დისწული მივეცი რევანზ ერისთავისშვილს, აპრილის ექვსს დაგწინდე როგორც რიგი არის, თუმცა ქორწილიც უნდოდათ, მაგრამ მე მზად არ ვიყავ და ამისათვის დარჩა, რომელიც უნდა მივეცე ასი თუმანი ფულად და ასი თუმნის მზითევი. საამაღლებოთ მაშურებენ ჯვარის წერას.

ხომ იცი, ძმაო, ჩვენი მდგომარეობა და ახლა შენც იფიქრე ჩემთვის... ჩემი დაბრკოლება მოუშაღებლობა არის, რასა იდროს მზათ ვიქნები ჯვარს დაიწერს. ახლა შენ იცი, ძმაო, რაღა ჩემი მოწერა გინდა, უნდა შემეწიო. ეგების გრიგოლს მანდუდამ შენ შეატყობინო ეს ამბავი“<sup>130</sup>.

ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილი, აი, რას წერდა ამის გამო გრიგოლ ორბელიანს: „ვიცი გიამება, კატო დაგნიშნეთ რ. ერისთავზედ. რუსულად არის ნათქვამი (იქნება ქართულადაც იყოს და მე კი არ ვიცი) сужденного конем не объедешь ქორწილი საპეტრეპავლობოდ გვექნება. იქნება არც კი იცოდე, როდის არის ეს დღე. ექვს კვირას უკან, то-есть: 29 июня“<sup>131</sup>.

ასი თუმანი თამასუქით ისესხეს. ორასი მანეთი ზაქარია ორბელიანმა გამოუგზავნა თავისი დისწულს მზითვისათვის.

1844 წლის 29 ივნისს შესდგა ჯვრისწერა. „ქორწინებით შეუღლებულთა წიგნში“ ვკითხულობთ:

„1844 წელი. ივნისის 29-სა. პრაპორშჩიკმა თავად რევანზ ლუარსაბის ძე ერისთავმა ქართველთ სარწმუნოებისა და მაიორის თავადის მელიტონ ბარათოვის ასულ ეკატერინემ ქართველ სარწმუნოებისა, იქორწინეს პირველთა ქორწინებითა.



იყვნენ თავდებნი; სასიძოს მხრით თავადი გივი ბარამის ძე ამი-  
ლახვარი, თავადი ალექსანდრე ჩოლოყოვი და სასიძოს მხრით  
თავადი ლუარსაბ ბიძინას ძე ქსნის ერისთავი, თავადი დავით  
ერისთავი“.

ზაქარია ორბელიანისადმი მიმართულ ბარათში ნიკოლოზ  
ბარათაშვილი ასე აღწერს ეკატერინეს ქორწილს:

„კარგი ქორწილი გარდვიხადეთ. მეორეს დღესვე წაიყვა-  
ნეს კატო. ერთი ღამე და მეორე დღეს სადილათ ქაიხოსრო  
მუხრანსკისას ვიყავით. კარგათ დაგვიხვდა. იქიდგან ახალგორს  
წავედით. — ოძისს რომ მივახლოვდით, სადაც ბიძინა ერის-  
თავი დგას, ლევან ერისთავი თავადებით, აზნაურებით, და  
იმერეთის მგალობლებით მოგვეგება; ჩვენთან იყვნენ მანანა  
თავის ქალით, მაიკო, ყაფლან, მიხაკო, ალექსანდრე სუმბა-  
თოვი-მეჭვარე.

რა დაბინდდა — შევედით ახალგორს. — სასახლე ქრაქებით  
იყო გაჩახჩახებული, მეიდანის მაშხალებით; ამ დროს ახალი  
არქიერი, წულუკიძე, კატოს დედამთილის ძმა, აქ იყო და  
მგალობლები იმისნი იყვნენ. დეკანოზი შემოსილი და ჭვარით  
მოგვეგება გალავნის კარებში; დაჰკრეს ზურნას, სათარას სიმ-  
ღერა (თანა გვყანდა), თოფის სროლა და ხალხის ჭდევა და  
ყვირილი საუცხოვო სანახავს წარმოადგენდა. — სასახლეში  
რომ შევედით და ყაფლანმა ქუდი მოიხადა და შეხედა ზალას,  
ერთი გულით წამოიძახა: *Фу ...это дворец!* ბევრი გვიცი-  
ნია.

რასაკვირველია, მეორეს დღეს პატარძლის ჩვეულებისა-  
მებრ, კატო ქვეშაგებში იწვა. — მესამე დღეს ადგა, მზითვენი  
გაშინჯეს, მაგრამ, ზაქარიავ, მრთელს ქართლში გაითქვა... მე-  
ოთხე დღეს ნიშნები მოართვეს დედამთილმა, მახლებმა და

რძალმა, კარგი ნიშნებიც იყო. — არქიერი ეზოში იდგა კარავ-  
ში ჭანდრებს ქვეშ. — იმ დღეს ამობრძანდა კატოს სანახავად,  
დალოცა და ერთი ოქროთ მოჭედილი ღვთის მშობლის ხატი  
აჩუქა, — ხუთი დღე და ღამე სულ შექცევაში ვიყავით. —  
მამუკაც აქ იყო და ძალიან გამხიარულდა“ 132.

შვილის ბედნიერებით გახარებული ეფემია წერდა ზაქარია  
ორბელიანს:

„დიდი ამბები გადამხდა ჩემის ქალის გათხოვებაზედ,  
ღვთის მოწყალებით კარგი მზითევი მივეცი, რაც ჩემისთანას  
თავადის შვილს შეეფერებოდა, ასი თუმნის თამასუქი გამო-  
ვართვი ერთი წლის ვადით, მაგრამ, ძმაო, თუ ეს თამასუქი არ  
ყოფილიყო, საქმე ავით მიდიოდა.

ძმაო ჩემო სიცოცხლე, ასეთ დროს მომივიდა შენგან  
ფული, შენმა სიცოცხლემ, ის ოცი თუმანი ასი თუმნის აღა-  
გას მოვიხმარე. იმდენი სიცოცხლე მქონდეს, ზაქარიავ, რამ-  
დენი კატოს წაყვანაზე შენა გნატრობდა, მალ-მალ მეტყუოდა  
ჩემი კატო — ნეტავის ერთი ზაქარიას ნახვა მღირსებო-  
და“ 133.

ეკატერინეს ჰყავდა ერთადერთი შვილი ნიკოლოზ (კოლა)  
ერისთავი ან, „როგორც მისმა მეგობრებმა ხუმრობით შეარ-  
ქვეს, „ცუნცულაძე“. იგი არ იყო მწერალი, მაგრამ თავისე-  
ბურ საზოგადო მოღვაწედ ითვლებოდა... 1909 წელს კარგი  
ნაწარმოებისათვის პრემიაც დანიშნა“ 134.

კოლა ერისთავი მეტად დაახლოებული იყო დავით ერის-  
თავთან, ილია ჭავჭავაძესთან. კოლა ერისთავმა წამოიწყო ნი-  
კოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა პირველი აკადემიური  
გამოცემა, რომელიც მისი სიკვდილის მერე, ექვსი წლის  
ბეჭდვის შემდეგ, მხოლოდ 1922 წელს გამოვიდა.

ეკატერინე გარდაიცვალა გორის მაზრის სოფელ ოძისში,  
1853 წლის 20 მარტს. დაასაფლავებულია ოძისის ეკლესიაში.

#### 4. დარია ბარათაშვილი

1823 წელს ბარათაშვილებს ეყოლათ მეორე ქალი დარია.  
მეტრიკული წიგნი გვაუწყებს:

„დედათა სქესი? 5. რიცხვი დაბადების დღისა? 2. ვინ ვის  
დაეზადა, ვინ განათლა სახლი და მონათლა, რა სახელი და-  
ერქვა ახლად შობილსა? თვესა ივნისსა დაეზადა თავადს მელი-  
ტონ ბარათოვს ქალი, სახლი გაუნათლა დეკანოზმა დიმიტრი  
ალექსიევემა, სახელი ეწოდა დარია და მონათლუასა ზედა მის-  
სა იმღვდელმოქმედა ამავე დეკანოზმა. რიცხვი მონათელის  
დღისა? ივნისის 15. ვინ იყვნენ მიმქმელად ანუ ნათლიათ?  
მიმქმელად იყო ისაკ სულგუნოვი“.

დარიამ იცოცხლა სამი წელი და ერთი დღე. ოფიციალურ  
ჩანაწერში ვკითხულობთ:

„დედათა სქესი? 5. რიცხვი სიკვდილის დღისა 4. ვინ მოკ-  
ვდა სახელდობრ და ვისგან დაიმარხა? თვესა ივნისსა თავადს  
მელიტონ ბარათოვს ქალი დარია მოუკვდა და დაიმარხა ბლა-  
ლოჩინის გაბრიელ მესხიევისაგან. რიცხვი დაიმარხვის დღისა?  
6. რომლითა სნეულებითა გარდაცვლილი არს? წითელითა.  
ვინ ათქმევინა აღსარება და აზიარა წმინდათა საიდუმლოთა?  
აზიარა ბლალოჩინმა მესხიევემა“.

#### 5. გიორგი ბარათაშვილი

1824 წელს პოეტის დედას ვაჟი შეეძინა. მეტრიკულ წიგ-  
ნში ჩაწერილია:

„მამათა სქესი? 4. რიცხვი დაბადების დღისა? 30. ვინ ვის დაებადა, ვინ განათლა სახლი და მონათლა, რა სახელი დაერქვა ახლად შობილსა? თვესა ივნისსა დაებადა თავადს მელიტონ ბარათოვს ვაჟი. სახლი გაუნათლა გაბრიელ ბლალოჩინმა მესხიევმა, სახელი ეწოდა გიორგი და მოხათვლუასა ზედა მისსა იმღვდელმოქმედა დეკანოზმა დიმიტრი ალექსიევმა. რიცხვი მონათვლის დღისა? აგვისტო 9. ვინ იყვნენ მიმქმნელად ანუ ნათლიად? კნენა მარიამ თუმანოვისა“.

გიორგიმ ორიოდე თვე იცოცხლა.

## 6. ბარბარე ბარათაშვილი

1825 წელს დაიბადა ბარბარე. აი, როგორაა მისი დაბადება ჩაწერილი ანჩისხატის ეკლესიის წიგნში:

„დედათა სქესი? რიცხვი დაბადების დღისა? 28. ვინ ვის დაებადა, ვინ განათლა სახლი და მონათლა, რა სახელი დაერქვა ახლად შობილსა? თვესა აპრილსა თავადს მელიტონ ბარათოვს დაებადა ქალი, სახლი გაუნათლა მღვდელმა ეფრემ ფანიევმა და განათლულსა მისსა ზედა იმღვდელმოქმედა დეკანოზმა დიმიტრი ალექსიევმა და სახელი ეწოდა ბარბარე. რიცხვი მონათვლის დღისა? მაისის პირველი. ვინ იყვნენ მიმქმნელად ანუ ნათლიად? მიმქმელი იყო შამირაბეგ ალარბეგოვი“.

ბარბარემ მხოლოდ რამდენიმე თვე იცოცხლა. მეტრიკული წიგნი გვაუწყებს:

„დედათა სქესი? 12. რიცხვი სიკვდილის დღისა? ოქტომბერსა თექვსმეტსა. ვინ მოკვდა სახელდობრ და ვისგან დაიმაჩნა? ტფილისის მცხოვრების, თავადის მელიტონ ბარათოვის



კაპიტანის ქალი ბარბარე კანონიერის ცოლის ეფემია ზურაბის ქალთან დაბადებული მოკვდა და დაიმარხა მღვდლის დავით მესხიევისაგან. რამდენის წლისა იყო შობილგან? 16. თავისა, რომლითა სნეულებითა გარდაცვლილ არს? ყვავილითა. ვინ ათქმევინა აღსაოება და აზიარა? აზიარა მღვდელმა სვიმონ გურგენიძემ“.

## 7. ნინო ბარათაშვილი

1829 წელს დაიბადა ნინო. საეკლესიო ჩანაწერი გვატყობინებს:

„ღედათა სქესი? 4. რიცხვი დაბადების დღისა? 18. ვინ ვის დაებადა, ვინ განათლა სახლი და მონათლა, რა სახელი დაერქვა ახლად შობილსა? იენისსა ტფილისში მცხოვრებს თავადს კაპიტანს მელიტონ ბარათოვს დაებადა ქალი, სახლი განათლა და მონათლა დეკანოზმა გაბრიელ მესხიევმა და სახელი ეწოდა ნინა. რიცხვი მონათვლის დღისა? 20. ვინ იყვნენ მიმქმელად ანუ ნათლიად? არხიმანდრიტი ეპიფანე“.

ნინო მელიტონის ასული იმეტად ჰგვანებია თავის ძმას პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილს. 1865 წლის 5 აპრილს დიმიტრი ყიფიანი თბილისიდან წერდა თავის ვაჟს ნიკოლოზს: „არ ვიცი, გინახავს, თუ არა როდისმე კნიაჟნა ბარათოვა, იგი ღვიძლი დაა ტატოსი და ისინი გარეგნობით ძალიან ჰგვანდნენ ერთმანეთს“<sup>135</sup>.

ნინო 1854 წლის ივლისში ჭავჭავაძის სახლობასთან ერთად ტყვედ წაიყვანეს შამილის ნაიბებმა. დიმიტრი ყიფიანი გადმოგვცემს: „ბარათოვა, რომელიც დავით ჭავჭავაძის ოჯახთან ერთად ტყვედ ჰყავდა შამილს, დაა ტატოსი“<sup>136</sup>.

ნინო ცოლად ჰყავდა მწერალს ლეონიდ ბარათაშვილს, რომელსაც თარგმნილი აქვს: 1. დუბროვინის „უკანასკნელი მეფე საქართველოსი გიორგი და შეერთება საქართველოს რუსეთთან“, („ცისკარი“, 1867 — 1869 წ. წ.); 2. „სია საქართველოს მეფეა სახლეულობისა“ („ცისკარი“, 1868 წ., № 7); მასვე დარჩა ხელნაწერად თარგმანი „ათასერთი ღამისა“ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერით ინსტიტუტის S ფონდის ხელნაწერი № 3227).

ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთადერთი დაგეროტიკი სწორედ ამ ნინო მელიტონის ასულთან ინახებოდა.

ნინოს ჰყავდა ერთი შვილი ნატალია. ნინო ბარათაშვილი გარდაცვლილა 1906 წელს.

## 8. ბარბარე ბარათაშვილი-ვეჯირიშვილისა

მეორე ბარბარე დაიბადა 1826 წელს. ობლად დარჩენილ ბარბარეს უპატრონა გრიგოლ ორბელიანმა და მანვე იზრუნა მის გათხოვებაზე.

1849 წლის 3 ივნისს გრიგოლ ორბელიანი ავალეზდა ქეთევან ორბელიანს:

„ძალუაჯან! გეთაყვანე, ერთი იფიქრე კარგად და უშოვნე წესაფერისი ქმარი ჩემს დისწულს ბაბაღეს, ესე იგი ეფემიას ქალს. ჩემის მხრივ შემოძლიან მივსცე ასი თუმანი თეთრი სიქა მანათი მზითვად. — ამაზე დაელაპარაკე იმის დას კატოსაც“ 137.

რამდენიმე ხნის შემდეგ გრიგოლი მოაგონებდა თავის რძალს: „ამას წინად გთხოვე, ძალუა, რომ ეგებ ერთი კარგი

სასიძო გვიშოვნო სადმე ბაბალესათვის, რომელისთვისაც გადამიდვია ასი თუმანი მზითვად“<sup>138</sup>.

1852 წელს ბარბარე ცოლად გაჰყვა პოლკოვნიკს დიმიტრი ვეზირიშვილს. მას ჰყავდა შვილები: ნინო, ელისაბედ, გიორგი და მიხეილი. მიხეილმა თავის ბიძაზე წერილი დაბეჭდა „ივერიაში“. („ნ. ბარათაშვილი და მისი პოეზია“, „ივერია“, 1889 წ. № 247 — 251).

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ბარბარე რამდენიმე ხანს ბათუმში ცხოვრობდა. ბელეტრისტი დავით კლდიაშვილი წერს თავის „მემუარებში“:

„ჩემი ნაწილის უფროსისასაც იყრიდა დროგამოშვებით თავს ქართველობა, მაგრამ არა ისე ხშირად, როგორც ქურღლისას და გურიელისას. ჩემი ნაწილის უფროსი იყო პოლკოვნიკი ვეზირიშვილი; ცოლად ჰყავდა პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის და. თვით ვეზირიშვილი ახირებული ადამიანი იყო. თავის ნაწილს ისე უყურებდა, თითქო ეს მისი ყმები იყვნენ. სამსახურის შესახებ არა იცოდა რა. უყვარდა პარადობა და რადგან ბათუმში არაფერი გასართობი იყო, ყმაწვილი ქალები ჩააცვივდებოდნენ ხოლმე ვეზირიშვილს გამოეყვანა ბათალიონი სავარჯიშოთ — საპარადოდ და უსრულებდა თხოვნას, — გამოჰყავდა როტები და ამათ წინაშე ცერემონიალით აროინებდა წინ და უკან“<sup>139</sup>.

1915 წლის 6 დეკემბერს ბარათაშვილის აკადემიური გამოცემის ინიციატორები ესაუბრნენ პოეტის დას ბარბარეს. მისი პატარა, მაგრამ მეტად საყურადღებო მოგონება ძმაზე, მოთავესებულია პოეტის თხზულებათა 1922 წლის გამოცემის დამატებაში.

ბარბარე გარდაიცვალა ღრმად მოხუცი, 1919 წელს. საე-  
კლესიო ჩანაწერი გვამცნობს:

„აღრიცხვა გარდაცვალებულთა მღვდრისა? 17. თვე და  
რიცხვი გარდაცვალებულისა? აგვისტოს 1. თვე და რიცხვი  
დასაფლავებისა? აგვისტოს 3. წოდება სახელი, მამის სახელი  
და გვარი გარდაცვალებულთა? ქვრივი ბარბარე მელიტონის  
ასული ვეზირიშვილისა. რაისაგან გარდაიცვალა? მოხუცებუ-  
ლებისაგან. ვინ აღუგო ანდერძი და სად არიან დასაფლავებუ-  
ლი? დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ კრებულთურთ; ვერის  
იოვანე ღვთის მეტყველის ეკლესიის გალაქიანში“.

საფლავი ბარბარესი ამჟამად აღარა ჩანს.

### 9. ელენე ბარათაშვილი

მომღვენო შვილი იყო ელენე. 1831 წლის მეტრიკულ წიგ-  
ნში ვკითხულობთ:

„ღედათა სქესი? 4. რიცხვი დაბადების დღისა? 14. ვინ ვის  
დაებადა, ვინ განათლა სახლი და მონათლა, რა სახელი დაერ-  
ქვა ახლად შობილსა? თებერვალსა გარეთუბანს მცხოვრებს  
კაპიტანს თავადს მელიტონ ბარათოვს დაებადა ქალი, სახლი  
განათლა და მონათლა დეკანოზმა დიმიტრი ალექსიევი და  
სახელი ეწოდა ელენა. რიცხვი მონათელის დღისა? 22. ვინ  
იყვნენ. მიმქმელად ანუ ნათლიად? ღუშეთის უეზდის, პორუ-  
ჩიკის მიხაილ გაბრიელის ძის ყაზიბეგოვის მეუღლე ქეთევან  
დიმიტრი ასული, სტეფანწმინდას მცხოვრები“.

ელენე გარდაიცვალა იმავე წლის 16 ოქტომბერს, ყვავი-  
ლისაგან.

## 10. სოფიო ბარათაშვილი



1832 წელს ბარათაანთ ეყოლათ სოფიო. საეკლესიო ჩანაწერების წიგნი გვამცნობს:

„მდედ[რობითი] სქესი? 8. ვინ ვის დაებადა? სექტემბერსა სამსა თავადს მელიტონ ბარათოვს მაიორს დაებადა ქალი, კანონიერს ცოლს ეფემია ზურაბის ქალთან, სახლი განათლა და მონათლა დეკანოზმა დიმიტრიმ ალექსიევმა და სახელი ეწოდა სოფია. რიცხვი მონათელის დღისა? 28. ვინ იყვნენ მიმქმეულად? ტფილისის მცხოვრები გადამდგარი შტაბ-კაპიტანი პაულე თუმანოვი იოსების ძე“.

სოფიომ ორ წელს იცოცხლა. აი მისი გარდაცვალების საეკლესიო ჩანაწერი:

„მდედ[რობითი] სქესი? 4. ოდეს და ვინ სახელდობრ გარდაიცვალა? ივხისსა ჩვიდმეტსა, თავადის მელიტონ ბარათოვის ქალი სოფია მოკვდა და დაიმარხა დეკანოზის დიმიტრი ალექსიევისაგან. რაისაგან შეემთხვათ სიკვდილი? ქლექობისაგან. ვისაგან არიან აღსარება ნათქმევინებულ და ზიარებულ? დეკანოზ დიმიტრი ალექსიევისაგან. სადა და ვისგან არიან დაძარხული? მთაწმინდის მონასტერში“.

## 11. დავით ბარათაშვილი

1834 წელს დაიბადა მეორე დავითი. მეტრიკულ წიგნში წერია:

„მამრობითი სქესი? 14. ვინ ვის დაებადა? ივნისის შვიდსა ტფილისის მცხოვრებს თავადს მაიორს მელიტონ ბარათოვს ნიკოლოზის ძეს და კანონიერსა ცოლსა ამისსა ეფემია ზურა-



ბის ქალს დაებადა ვაჟი. სახლი განათლა და მონათლა დეკანოზმა დიმიტრი ალექსიევმა და სახელი ეწოდა დავითი. რიცხვი მონათვლის დღისა? 10. ვინ იყვნენ მიმკმელად? სიღნაღის უეზდის კარდანახს მცხოვრები, თავადი შტაბკაპიტანი დავით აფხაზი, და მოწმედ კოლეჟსკის ასესორი იერონიმე ალექსიევი“.

მელიტონი მეტად გახარებული ყოფილა ვაჟის შეძენით. 1835 წლის 9 დეკემბერს ზაქარია ორბელიანი თბილისიდან წერდა თავის ძმას გრიგოლს: „ჩვენი ეფემია, მელიტონ მშვიდობით არიან შვილებით. ასეთი ვაჟი ჰყავთ, რომ რაღა გითხრა, მელიტონს იმაში ამოზღის სული“<sup>140</sup>.

დავითმა წელიწადნახევარზე მეტი იცოცხლა. 1836 წლის საექლესიო ჩანაწერების წიგნში ვკითხულობთ:

„მამრობითი სქესი? 3. ოდეს და ვინ სახელდობრ გარდაიცვალნენ? ოქტომბერსა ექვსა. თავადის მელიტონ ბარათოვის შვილი დავით მოკვდა და დაიმარხა მღვდლის დავით მესხიევისაგან. რაისაგან შეემთხვათ სიკვდილი? ქლეკობისაგან. ვისგან არიან აღსარება ნათქმევინებულ და ზიარებულ? მღვდლის დავით მესხიევისაგან. სადა და ვისგან არიან დამარხულ? ჩუღურეთის ეკლესიაში“.

მელიტონი მეტად შეაწუხა ვაჟიშვილის სიკვდილმა. 1836 წლის 15 ოქტომბერს ზაქარია ორბელიანი თბილისიდან წერდა გრიგოლ ორბელიანს: „ეფემიას პატარა ვაჟი მოუკვდა, მელიტონ დიდათ შეწუხებული არის“<sup>141</sup>.

იმავე წლის ნოემბრის 28-ს გრიგოლ ორბელიანი დინაბურგიდან წერდა თავის უმცროს ძმას ილიას: „ეფემიას პატარა ვაჟი მოუკვდა“<sup>142</sup>.

მელიტონმა კარგა ხანს იგლოვა პატარა დავითი.

## 12. ელენე ბარათაშვილი



1836 წელს ბარათაანთ სახლში დაიბადა მეორე ელენე. საეკლესიო ჩანაწერში აღნიშნულია:

„მედღრობითი სქესი? 1. ვინ ვის დაებადა? თვესა მარტსა თერთმეტსა, გარეთუბანს მცხოვრებს, თავადს მაიორს მელიტონ ბარათოვს და კანონიერსა ცოლსა მისსა ეფემია ზურაბის ქ-ლს დაებადა ქალი. სახლი განათლა და მონათლა დეკანოზმა დიმიტრი ალექსიევემა და სახელი ეწოდა ელენა. რიცხვი მონათვლის დღისა? აპრილის 15. ვინ იყვნენ მიმქმელად? სტეფანწმინდას მცხოვრების პორუჩიკის მიხეილ ყაზიბეგოვის ცოლი ქეთევან; მოწმედ: დეკანოზი ეგნატე იოსელიანი, თავადი პორუჩიკი ზაქარია ორბელიანოვი და კაპიტანი ვიორგი საგინოვი“.

1836 წლის 15 ივლისს ზაქარია ორბელიანი თბილისიდან ატყობინებდა გრიგოლ ორბელიანს: „Сестрица опять родила дочь Елену“<sup>143</sup>.

ამ ელენემ რამდენიმე თვე იცოცხლა მხოლოდ.

## 13. გრიგოლ ბარათაშვილი

1840 წელს დაიბადა გრიგოლი. აი, მისი დაბადების საეკლესიო ჩანაწერი:

„მამრობითი სქესი? 9. ვინ ვის დაებადა? დეკემბრის ექვსსა, ტფილისში მცხოვრებს თავადს მაიორ მელიტონ ნიკოლოზის-ძე ბარათოვს და სჯულიერ მეუღლეს ეფემია ზურაბის ასულს ორივე ბერძენთ-ქართველ სარწმუნოებისა დაებადათ

ვაჟი გრიგოლ. ვინ იყვნენ მიმქმელად? მიმქმელი იყვნენ: ტფილისში მცხოვრებნი: ელისაბედ პეტრეს ქალი, იოანე ელიაშვილი, კვრივი და მარიამ ივანეს ქალი ნაზუქაძისა“.

გრიგოლმა მ დღე იცოცხლა. გარდაიცვალა 1840 წლის 14 დეკემბერს, დღენაკლულობით.

#### 14. სოფიო ბარათაშვილი-სუმბათაშვილისა

1841 წელს დაიბადა მეორე სოფიო. საეკლესიო ჩანაწერების წიგნი გვაუწყებს:

„მღედრობითი სქესი? 20. რიცხვი დაბადების დღისა? დეკემბრის ცამეტი. ვინ ვის დაებადა? ტფილისში მცხოვრებს თავადს მაიორს მელიტონ ნიკოლოზის ძე ბარათოვს და სჯულაერ მეუღლეს ეფემიას თავადის ზურაბ ორბელიანოვის ასულს, ორნივე ბერძენთ-ქართველთ სარწმუნოებისა, დაებადა ქალი სოფია. ვინ იყვნენ მიმქმელად? მიმქმელი იყო სალომე დიმიტრი თარხანოვისა“.

ბარათაშვილი უკანასკნელი შვილი სოფიო უსაყვარლესი დაი იყო პოეტისა; ბარათაშვილი მას „აპლიპუტილას“ ეძახდა (აპლიპუტილა „ლილიპუტას“ გადაძახინჯება უნდა იყოს). ანასტასია მაყაშვილი ირწმუნება:

„ძალიან ჰყვარებია ბარათაშვილს თავისი უნცროსი და სოფიო. ყოველ წერილში, რომელსაც კი სახლში ჰგზავნიდა, უსათუოდ ჰკითხულობდა, «როგორ არის ჩემი «ლილიპუტაო»“<sup>144</sup>.

თუ ნინო საკმაოდ ჰგავდა პოეტს, სწორედ ეს მეორე სოფიო პირდაპირ განსახიერება ყოფილა ბარათაშვილისა.



სოფიო ცოლად ჰყავდა ვასილ სუმბათაშვილს. 1878 წლის 27 თებერვალს გრიგოლ ორბელიანი თბილისიდან, ნატყობი-  
ნებდა ტასო აგლობეიოს:

„სოფო გავათხოვეთ; იყო ჩუმი ქორწილი, კარგი ყმაწვი-  
ლი კაცია, — დათიკოს სუმბათოვის ძმა, — და უფრო ეს მომ-  
წონს, რომ არა აქვს ვალი. ამ დროში ეს დიდი ქება არის სა-  
ქართველოში“ 145.

სოფიოს ჰყავდა ორი შვილი: ეკატერინე და გიორგი. სოფიო ბარათაშვილი-სუმბათაშვილისა გარდაიცვალა 1916 წელს.

### პოეტის ბავშვობის პირველი წლები

ნიკოლოზ ბარათაშვილის დის — ბარბარე ვეზირიშვილის ცნობით: „მელიტონი 18 წლისა იყო და ეფემია 15-ისა, ჯვარი რომ დაიწერეს“ 146.

1816 წლის 22 ნოემბერს (ძველი სტილით) ბარათაშვილებს შესძენიათ პირველი შვილი, რომელსაც მელიტონის მამის სახელი — ნიკოლოზი დაარქვეს, ხოლო შინაურობაში „ტა-ტოს“ — ეძახდნენ.

პოეტის დედის და ძიძის, მაია ნონიას ასულ ზავრიშვილის \* დაუცხრომელ ზრუნვასა და აღერსში იზრდებოდა პატარა

\* 1836 წლის 29 იანვარს ბარათაშვილთა ძიძას-მაიას დაეზადა ქალი, რომელიც მონათლულ იქმნა მელიტონის ოჯახთან დაახლოებულ „სამატიო სტუმართა“ მიერ. აღნიშნული წლის „საეკლესიო ჩანაწერების წიგნში“ ვკითხულობთ:

„1836 წელი. იანვრისა 18-სა თავადის მაიორის მელიტონ ბარათოვის



ტატო, რომელიც მეტად ფზიზელი, ცნობისმოყვარე და აღმქმელი ყოფილა ყოველივე კეთილისა<sup>147</sup>.

შვიდი წლის ტატოს დედამ წერა-კითხვა დააწყებინა, ასწავლიდა ლოცვებს, სიმღერებს, ლექსებსა და ზღაპრებს.

სულ მალე ტატოს მშვენივრად შეუსწავლია ქართული ანბანი და წერა-კითხვა. პოეტის სკოლის მეგობარი კ. მამაცაშვილი გადმოგვცემს: „თვითონ ნ. ბარათაშვილისაგან გამიგონია, რომ ქართული წერა-კითხვა პატარამ, რვა წლისამ იცოდა“<sup>148</sup>.

ზ. ჭიჭინაძის მიერ შეკრებილი ცნობებით, პატარა ნიკოლოზი თავდაპირველად კალოუბნის სკოლაში მიუბარებიან.

მკვლევარი პ. ინგოროყვა ეჭვით უყურებს ამ ცნობას და შენიშნავს:

„ზაქარია ჭიჭინაძე (ზ. მთაწმინდელი) თავის წიგნში „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ გადმოგვცემს, რომ ნ. ბარათაშვილი, ვიდრე მას კეთილშობილთა სასწავლებელში მიაბარებდნენ, უფრო ადრე სწავლობდაო კალოუბნის სამრევლო სკოლაში; ზ. ჭიჭინაძე ფერადოვნად აგვიწერს ამ ძველებური სკოლის პატრიარქალურს მამაპაპურს წესებს. მაგრამ რამდენად შეეფერება სინამდვილეს ზ. ჭიჭინაძის ეს ცნობა კალოუბნის სკოლის შესახებ ძნელია თქმა“<sup>149</sup>.

ვიდრე შევეხებოდეთ საკითხს, მართლა სწავლობდა, თუ

შინამოსამსახურეს ზაერისშვილის ნონიას ქალს შიას დაებადა ქალი, სახლი განათლა და მონათლა 18 იანუარსა დეკანოზმა პეტრე არღაზიანმა და სახელი უწოდა მარიამ. მიმქმელი იყო აზნაური პრაპორშჩიკი დავით იოანეს ძე სულხანოვი და კვამდ ლუბერსკის სეკრეტრის ვასილი მათიევიჩის ცოლი ბარბარე არტემის ასული“.



არა ნიკოლოზ ბარათაშვილი კალოუზნის სასწავლებელში, საჭიროა გარკვეულ იქნეს, არსებობდა თუ არა საერთოდ თბილისში კალოუზნის სამრევლო სკოლა?

სარწმუნო წყაროებით ირკვევა, რომ თბილისში ძველთაგანვე არსებულა კალოუზნის სასწავლებელი. სხვათა შორის, ამ სასწავლებელში პირველდაწყებითი სწავლა მიუღია ცნობილ მოღვაწეს იოანე ქართველიშვილს.

1784 წლის ნოემბერში 12 წლის იოანე დედას თბილისში ჩამოუყვანია და მიუბარებია კალოუზნის სამრევლო სკოლაში. თვითონ იოანე ქართველიშვილი ამის შესახებ წერს:

„წელიწადსა 1784... თვესა ნოემბერსა, ვიქმე რა წლისა ათორმეტისა, წარმიყვანა დედამან ჩემმან ქალაქსა ტფილისს. აქა უკვე მოვიგე მოძღვრად მასწავლებლად ჩემდა, წმინდის დიდის მოწმის გიორგის კალუზნად წოდებულის ეკლესიის მღუდელი, იოანე, რომლისაგანცა ვისწავლე წიგნნი საეკლესიონი; უმჯობეს მოვიდა ჩემდა დროსა მას ცნობა ქვეყნისა და სხვათა საზოგადოთა საქმეთა, პასაკისა ძლით“<sup>150</sup>.

ისტორიკოსს პ. იოსელიანს თავის წიგნში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ მოჰყავს მოხუცთა გადმონაცემი საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგის დროს არსებული კალოუზნის სკოლის შესახებ:

„თელავიდამ მოსულსა დავითს, რექტორსა, თელავის სემინარიისა შემდგომად გაიოსისა მოძღვრისა, უბრძანა მეფემან დახედოს ქალაქსა ტფილისს სასწავლებელთა, რომელნიც იყვნენ დროსა მას: ნათლისმცემლის ეკლესიისა, კალოუზნისა, სიონისა, ქაშვეთისა, მეტეხისა და ანჩისხატისა.

ასწავებდნენ აქა წერასა, კითხვასა, გალობასა, ღრამატიკასა,

კატეხიზმოს ანტონი კათალიკოსისა სისტემითა, ძველთა სამეფოთა ისტორიასა და სხვ. მოსრულთა ჰასაკსა შინა კერძოდ და არა ყოველგან ასწავებდენ ძველსა და ახალსა ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებასა ანტონისგანვე შედგენილსა. მოწაფენი ღროთა ამათ იყვნენ ოთხასამდინ, ვითარცა იტყოდნენ თვალთ მხილველნი მოხუცნი.

მაისის თვესა მეფე მიბრძანდა კალოუბანსა და იხილა მოწაფენი ეფრემ ღვდლისა კალოუბნელისა. თვით თვითეულსა უბრძანა წაიკითხოს დაეითნი, პარაკლიტონი, ჟამნი ხუცურად, ავალობნა იგინი და თვითცა გალობდა წირვისა და მწუხრისა საგალობელთა. დიდად გამხიარულდა მეფე იხილა რა ყრმანი მადლიანად მკითხველნი. უბოძა თვითო აბაზი<sup>151</sup>.

გიორგი მეცამეტის (1746 — 1800) სიკვდილის შემდეგ უყურადღებობის შედეგად კალოუბნის სკოლაში მოწაფეთა რიცხვმა თანდათან იკლო და 1820 წელს იგი დახურულა კიდევ<sup>152</sup>.

ორიოდე წლის შემდეგ, დავით კალოუბნელის თაოსნობით, კალოუბნის ეკლესიასთან გახსნილა კერძო სასწავლებელი<sup>153</sup>.

რადგან ზემოთმოტანილი მასალები ადასტურებენ კალოუბნის სკოლის არსებობას თბილისში და მის ყოფნას მეცხრამეტე საუკუნის ოციან წლებშიაც, სრულიად არ არის გასაკვირი, რომ მასში პირველდაწყებითი განათლება მიეღო ნიკოლოზ ბარათაშვილს.

ზაქარია ჭიჭინაძე, რომელიც ნ. ბარათაშვილის ნათესავ-მეგობრებში ჰკრებდა პოეტის ბიოგრაფიის მასალებს, წერდა ამის გამო:

„ბარათაშვილი ექვსი-შვიდი წლის გამხდარა, თუ არა მაშინვე მისთვის შინაურულად დაუწყებინებიათ სწავლა. სწავ-

ლა, რასაკვირველია, წერა-კითხვა, ლოცვები, ქართული ძველი ზღაპრები და სიმღერები. შემდგომ ამისა იგი მიუციათ მაშინდელს კალოუბნიანთ სკოლაში...

შაგირდები თურმე ეზოში შეგროვდებოდნენ, ზაფხულში კარში სწავლობდნენ და ზამთარში დარბაზში. ამ სკოლის მასწავლებელნი თავის დღეში არც პურსა და არც წყალს არ ყიდულობდნენ. შაგირდები რომ პურს მოიტანდნენ, ოსტატი გამოართმევდა იმ პურს, გადასტეხდა შუაზე, ნახევარს თითონ დაიტოვებდა და ნახევარს შაგირდს მისცემდა.

ახლა შუადღისას დაუძახებდა შაგირდებს: სათითაოდ ზოგს კოკას მისცემდა, ზოგს ლიტრას, დაირეკამდა ყმაწვილებსა წყალზე წასასვლელათ და თვითონ მასწავლებელიც თან მიჰყვებოდა. ასე რომ ხშირად ნიკოლოზ ბარათაშვილიც ყოფილა ხოლმე ამ ყმაწვილებში" 154.

ცნობილი ბიოგრაფი იონა მეუნარგია, რომელიც პირადად მოესწრო და ესაუბრა ბარათაშვილის ბავშვობის რამდენიმე ამხანაგს, სავსებით იზიარებს ცნობას პოეტის კალოუბნის სკოლაში სწავლის შესახებ:

„არსებობდა ტფილისში სამრევლო სასწავლებლები საცა თითო-ოროლა ანა-ბანას სწავლობდნენ ყველა ჩვენი შესანიშნავი კაცნი წარსულის დროებისა. შეიდი წელი რომ შეუსრულდა ტატოს, დედამ ასწავლა იმას წერა-კითხვა და მიიბარა კალოუბნის სასწავლებელში, საცა 10 — 12 წლის წინათ სწავლობდა გრ. ორბელიანი.

აქ დაუდვა იმან პირველი საფუძველი იმ კარგს ენას და წერის კილოს, რომლითაც მდიდარია ყველაფერი, რაც რამ დაუწერია მის მარჯვენას. ლოცვანი, დავითნი ეპანი, სამოციქულო, სახარება, ე. ი. ათასი წლის ქართული ენა, რომლითაც

გულმხურვალედ ულოცნია ქართველ კაცს, უქია და უდიდებია შემოქმედი, გამოუხატნია უაღრესი და უდიდესი თვისობის მოძრაობა, შეიქმნენ ქვაკუთხედად მისი მომავლის მსახურებისა ქართულ მწერლობისადმი.

ნუ დავეძებთ იმას, თუ როგორ ან რას ასწავლიდნენ ამ სკოლაში, რადგანაც მხოლოდ პირველ დაწყებითი სწავლა მიიღო პოეტმა აქ. ასწავლიდნენ აქ სამღვთო წიგნებს, სიტყვიერებას, ასწავლიდნენ მამაპაპურად, პატრიარქალურად... რაც უნდა იყოს, მადლი იმ სასწავლებელს, რომელმაც ქართული ენის სიყვარული ჩაუნერგა გულში ორ ისეთ მწერალს, როგორიც არიან გრ. ორბელიანი და ნ. ბარათაშვილი“ 155.

ნიკოლოზ ბარათაშვილს თავიდანვე წარმატება გამოუჩენია სწავლაში. მომავალ პოეტს მალე ყურადღება მიუქცევია მეტყველი კითხვით. პოეტის და ბარბარე ვეზირიშვილისა იგონებს: „სახლში წიგნები ბევრი ჰქონიათ: ნიკო საუცხოვოდ ჰკითხულობდა საღვთო წერილს“ 156.

ბავშვობის პირველ წლებს ეკუთვნის ტატოს გატაცება მუსიკით. ბარბარე ვეზირიშვილი გვიამბობს: „ბარათაანთ სახლში ჰქონდათ სხვადასხვა საკრავები: დაირა, დიპლიპიტო, ქიანური, თარი, სანთური, ნიკომ არ იცოდა დაკვრა, მაგრამ სიმღერა და მუსიკა ძლიერ უყვარდა“ 157.

ტატო სპორტის თითქმის ყველა სახეობას პატარობიდანვე დაუფლებია. „ცხენზე ჯდომაში და სხვა ამისთანებში, — წერს ზ. ქიქინაძე, — ნიკოლოზი მარდი ყოფილა და გაწვრთნილი, სირბილში და ბურთაობაშიც მეტის მეტი ჩქარი“ 158.

განსაკუთრებით კრივი ხიბლავდა თურმე ნიკოლოზს და ტოლებში ცნობილი მეკრივეს სახელი ჰქონია დარჩეული.

კალოუბნის სამრევლო სკოლაში ტატო ერთ წლამდე დარჩენილა.

„კეთილშობილთა სასწავლებელში“



1825 წლის 26 ივლისს ნიკოლოზ ბარათაშვილი „ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში“ ჩაუბრუნდა.

აღნიშნული დროისათვის სასწავლებელი ექვესკლასიანი იყო. მოწაფეთა უმრავლესობა სტიპენდიას, ან როგორც მაშინ ეძახდნენ, „ჯამაგირს“ იღებდა. მოსწავლის სტიპენდია თვეში ხუთიდან ათ მანეთამდე იყო.

შენახულია „ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლის“ 1825 წლის საგნების კვირეული განრიგი. მისი მეშვეობით ვიგებთ თუ რა საგნებს სწავლობდა 1825 წელს, პირველ კლასში მყოფი ნიკოლოზ ბარათაშვილი:

„1 კლასი კატეხიზისი . . . . .	4 მღვ. ეფ. ალექსეევი
ქართული ენა . . . . .	10 „
რუსული ენა . . . . .	10 შიპულინი
არითმეტიკა . . . . .	6 სროიტინსკი
თარგმნა . . . . .	8 საგინოვი
ცეკვა . . . . .	2 ტანნაგელი

46. „159

ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი, რომელიც „ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში“ მიაბარეს 1825 წელს, თავის „მემუარებში“, ასე აღწერს სკოლის რეჟიმსა და სწავლის მიმდინარეობას:

„მეოცე წლების დასაწყისში ბავშვის სასწავლებელში მისაბარებლად ტფილისში, მის მშობლებს იმ დროს იქ არსებულ მხოლოდ ორ სასწავლებელ შუა შეეძლოთ არჩევანი. აქ, რასა-

კვირველია, იმაზე არ არის ლაპარაკი, თუ სად როგორ ასწავ-  
ლიდნენ. ამაზე ძალიან ცოტას თქმა დაგვეჭირდება: როგორც  
სასულიერო სემინარიაში, აგრეთვე კეთილშობილთა სასწავ-  
ლებელშიაც ერთს აღგენენ: ანიდან ბანამდე უაზროთ გაზეპი-  
რებას და რაიმე დანაშაულისათვის კი ხელის გულზე სახაზა-  
ვით ცემას. ეს იყო და ეს მაშინდელი პედაგოგიური  
სიბრძნე“ 160.

1826 წელს „ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლის“  
დირექტორად დანიშნულმა, ელპიდოფორ პეტრეს ძე მანასეინ-  
მა, ძირეულად გარდაქმნა სკოლის მუშაობა. მოსპო რეპრე-  
სიები, აამალა სასწავლებლის დონე. მანასეინის ყოფილი მოწაფე  
დ. ყიფიანი გვიამბობს:

„ტრადიციულ წესს ჩვენს მასწავლებელთ შორის... არ  
ემორჩილებოდა ელპიდოფორ პეტრეს ძე მანასეინი, რომელიც  
სასწავლებლის დირექტორად და უმცროს კლასებში რუსული  
ენისა და უფროს კლასებში რუსული სიტყვიერების მასწავ-  
ლებლად დაგვინიშნეს. ყველა ამ მოვალეობის პირნათლად შეს-  
რულება ერთი კაცისათვის ფიზიკურად შეუძლებელი იყო და  
ამიტომ მანასეინმა მხოლოდ ერთი სასწავლო წელიწადი დაჰყო  
ჩვენთან.

მე დაუხვდი მას მეოთხე კლასში. მოწაფეებმა მხოლოდ  
მისგან დაიწყეს გადმონაცემების შეგნებით შეთვისება, მხო-  
ლოდ მის დროს გადაიქცა დიდ სასჯელათ მოწაფის ნახევარ  
საათით კუთხეში დაყენება, ან ნახევარ საათით კლასში დატო-  
ვება, როდესაც დანარჩენნი უკვე წასულნი იყვნენ. გულამოს-  
კვნით სტიროდნენ ხოლმე, ვისაც კი ეს სასჯელი შეხვდებოდა.

ყურებისა ან თმების მოწევა, სახაზავით ცემა, დაჩოქება,  
ან სხეულის სხვაგვარი სასჯელი მანასეინის ყოფნის დროს



გულში გასაღლებადაც კი შეუძლებელი იყო. სამაგიეროდ ბავშვებიც არას დროს არ ყოფილან ისეთი კეთილშობილნი და არასოდეს ისე კარგად არ შეუტყნიათ გადმონაცემი, როგორც მის დროს“<sup>161</sup>.

უნებურად იბადება კითხვა, თუ საიდან მომდინარეობდა მანასეინის ეს პედაგოგიური რადიკალიზმი?

რ. საყვარელიძე წერს, რომ: „მანასეინის ეს რეფორმატორული მისწრაფებანი და ლიბერალიზმი დეკაბრისტული იდეების შედეგი უნდა იყოს. მანასეინის პოლიტიკური სიმპათიები დეკაბრიზმისაკენ იზრებოდა და გამოვლინდა იმ ღონისძიებით, რომელიც მან გაატარა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში“<sup>162</sup>.

რ. საყვარელიძის მიერ აპრიორულად გამოთქმულ მოსაზრებას რამდენიმედ ამაგრებს ვ. ბაზანოვის წიგნში „Вольное общество любителей российской словесности“ მოთავსებული ცნობა.

ამ ცნობიდან ჩანს, რომ ელპიდიფორ პეტრეს ძე მანასეინი, 1821 წლის 28 მარტიდან, წევრი-კორესპონდენტი ყოფილა დეკაბრისტული ორგანიზაციის ერთ-ერთი ადრეული დაჭგუფებისა<sup>163</sup>.

1827 წელს ელპიდიფორ მანასეინი „ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლიდან“ გადაიყვანეს.

„კეთილშობილთა სასწავლებლის“ მუშაობაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა იმხანად თბილისში, „ორბელიანთა უბანში“ მცხოვრები, გამოჩენილი რუსი მწერალი, ალექსანდრე სერგის ძე გრიბოედოვი. 1827 წლის 19 მაისს შედგენილ მოხსენებით ბარათში იგი წერდა:

„К числу чрезвычайных издержек в нынешнем году

должно отнести во первых значительное приращение училищной библиотеки, которая по недавнему ее укреплению, весьма недостаточна и непременно должна быть увеличена особенно по части словесности, законовещения, географии и математики. Сверх того нужно приобрести для рисовального и чертежного классов, несколько рейсфедоров, разного рода бумаги и карандашей; хорошие стенные часы для классов и построить вновь некоторые мебели<sup>161</sup>.

ამ კანონიერი მოთხოვნებიდან „ტიფლისის კეთილშობილთა სასწავლებელს“, ძალიან ცოტა რამ გაუკეთდა.

აეთი იყო ვითარება იმ სასწავლებლისა, რომელშიაც განათლების მისაღებად ნიკოლოზ ბარათაშვილი მიიბარეს.

ქართულ ენას, კატეხიზმოს და საღვთო რწმუნს მომავალ პოეტს ასწავლიდა ეფრემ ალექსი-მესხიშვილი. რუსულ ენასა და რუსულ სიტყვიერებას — მანასენის შემდეგ სასწავლებელში დანიშნული, ხარკოვის უნივერსიტეტის კანდიდატი ნიკოლოზ დემენტიევი.

1827 წლის 26 მაისს სასწავლებლის უფროს კლასებში ივ. ზაქ. არღუთინელ-დოღგორუკოვის ადგილზე მიღებულ იქნა სოლომონ დოდაშვილი.

განეთ „ტიფლისკაია ვედემოსტი“-ს ცნობით, 1829 წელს „კეთილშობილთა სასწავლებელში“ ირიცხებოდა 292 მოსწავლე.

დაწყებით სამ კლასში გადიოდნენ: საღვთო სწულს, საღვთო ისტორიას, რუსულ, ქართულ და თათრულ ენათა გრამატიკის საფუძვლებს. სამ უფროს კლასში: რიტორიკას რუსულ და ქართულ ენაზე, თათრულიდან თარგმნასა და ბირუკუ.

ართომეტრიკას, ალგებრას, გეომეტრიას, ტრიგონომეტრიას, ფორტიფიკაციას, გეოდეზიას, სამოქალაქო არქიტექტურას, მსოფლიო და რუსეთის ისტორიას და გეოგრაფიას.<sup>165</sup>

1829 წლის 6 ივნისს „ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში“, „საჯარო გამოცდებზე“ განსაკუთრებით თავი გამოუჩენიათ და პირველი ჯილდოები მიუღიათ შემდეგ მოწაფეებს:

„უფროს კლასებიდან: მე-VI-ში 1) თავად ლუარსაბ არღუთინელს, 2) თავად ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელს და 3) იაკობ ვაშლევჩის; მე-V-ში 1) თ. დავით მაჩაბელს და 2) სოლომონ ანდრონიკაშვილს; მე-IV-ში 1) თ. დიმიტრი აბხაზს და 2) თ. რევაზ მაცაშვილს.

დაწყებით კლასებიდან: მე-III-ში 1) თ. ბეგლარ მაცაშვილს, 2) თ. ალექსანდრე ბაგრატიონ-მუხრანელს, 3) ლავრენტი რეშეტიჩის და 4) ლუკა ისარლიშვილს; მე-II-ში — 1) თ. ირაკლი ციციშვილს, 2) აბელ ყორღანაშვილს 3) იოსებ ისარლიშვილს, 4) ფადეი ელიოზოვს, 5) ამირ-ხან ავა ელისუისკის, 6) ასლან აგალაროვს, 7) ბეჟან ბეჟანიშვილს, 8) გიორგი კოატენკოს 9) დავით სულხანიშვილს, 10). თ. მიხეილ მაჩაბელს, 11) ალექსანდრე შაგუბატოვს და 12). თ. მიხეილ ბებუთაშვილს“<sup>166</sup>.

მართალია, სასწავლებელში განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული რუსული ენის შესწავლის საქმეს, მაგრამ, ამასთან ერთად, ქართული ენის სწავლებაც არ იყო დავიწყებული, რომელზეც რამდენიმე საგანი ისწავლებოდა.

შეუძლებელია იმის დავიწყება, რომ ამ სასწავლებელში ერთ დროს სწავლობდნენ, შემდეგში ჩვენი ცნობილი მწერლები და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები: გრ. ორბელიანი,

გიორგი ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი,  
ნიკოლოზ ბარათაშვილი და სხვები.



## ეფრემ ალექსი-მესხიშვილი

გიორგი მეცამეტის სახელობის მოძღვრის — იოსების შვილი, ეფრემ ალექსი-მესხიშვილი, დაბადებულა 1793 წელს, რადგან 1833 წლის თებერვლის ექვსს, იგი აღნიშნავს „მე 40-ის წლისა ვარ შობიდანაო“<sup>167</sup>.

მცირე ხანს ეფრემი მოწაფედ ყოფილა „ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში“ და მერე თვითგანვითარებით გაუკვლევია გზა.

1810, თუ 1811 წელს ეფრემს მონაწილეობა მიუღია ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ გამოგზავნილი აგენტების შეპყრობაში.

„მე — წერს ეფრემი, — დავესწარ ერთხელ ყმაწვილ კაცობაში 1810-სა ანუ 1811-სა წელსა ალექსანდრე მეფის ძისაგან გამოგზავნილის კაცების დაქერაზედ, რომელნიც მიდიოდნენ მეფის შვილის შვილს ლევანთან, რომ იყო იმ ეჰმად დიდს ლიახვზედ ოსებში. რომლისა საბუთად მსახურებს ჩემდა მოწერილი წერილი მთავარმმართველად ყოფილის ღენერალ ოტინფანტერის ტორმასოვისა, რომლითაც მპირდება წარმოდგენას“<sup>168</sup>.

1816 წლიდან 1830 წლამდე ეფრემი „ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში“ მასწავლებლობდა.

ქართული ენის სახელმძღვანელოდ ეფრემ ალექსი-მესხიშვილი ხმარობდა (და მამასადაამე, ნიკოლოზ ბარათაშვილსაც



ასწავლიდა) ტარასი ალექსიშვილის წიგნს, „ქართული ანბანი სასწავლებლად ყრმათა ხუცურისა და მხედდრულისა წერილია“. მოსკოვი, 1825 წ.

ხოლო ქართულ გრამატიკას კი „ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლის“ ყოფილი მასწავლებლის — იოანე ქართველიშვილის წიგნით: „ქართული გრამატიკა“, მეორედ დაბეჭდილი, მოსკოვი, 1825 წ.

ქართული კატეხიზმოს სახელმძღვანელოდ ეფრემი იყენებდა ტარასი ალექსიშვილის მიერ რუსულიდან თარგმნილ წიგნს: „ვრცელი კატეხიზმო სასწავლებლად ყრმათა მართლ-მადიდებლობითისა, ჰსჯულისა ქრისტიანებრივისა. რუსულიდან ქართულად გადმოღებული და დაბეჭდილი ტარასის მიერ მღვდელ მონაზონისა, სოლომონის ძის ალექსიშვილისა“. მოსკოვი, 1827 წ.

ეს შრომა ეფრემს მთარგმნელისაგან მიუღია, ვოწაფეთა შორის ვასაერცელებლად. „ტარასის, — წერს ეფრემი, — კატეხიზის წიგნები დაებეჭდა და მოეწერა ჩემთან ეგების სასწავლებელში რამდენიმე აყიდვინოვო. სასწავლებელში დიდათ საჭიროც იყო ის წიგნები და რამდენიმე იყიდეს მოწაფეთა“ 169.

1830 წელს, როცა თბილისში სოლომონ დოდაშვილის „შემოკლებული ქართული ღრამატიკა“ დაიბეჭდა, ეფრემ ალექსი-მესხიშვილი ობიექტური კრიტიკით გამოხმაურებია მას. თვითონ ეფრემი წერს ამის გამო: „დოდაევის შეთხზულს ღრამატიკას ქართულსა კრიტიკა დაუწერე“ 170.

როდესაც დოდაშვილმა ქართული წიგნების ბეჭდვა და ქართული ჟურნალის გამოცემა განიზრახა, ეფრემ ალექსი-მესხიშვილი პირველთაგანი იყო, რომელიც საქმითა და ფუ-

ლით დაეხმარა ამ სამამულიშვილო წამოწყებას. „უფალმა დოდაევი, — გადმოგვცემს ეფრემი — 1831-სა წელსა შინა დომა ქართული ლიტერატურისა და გაზეთების ბეჭდვა, მე კიდევ მოვაწერე და ფულიც მაშინვე მივე და სხვაც უშოვე ხელის მომწერი“ 171.

როცა საქართველოში 1832 წლის „ფართული საზოგადოება“ ჩამოყალიბდა, ეფრემ ალექსი-მესხიშვილიც განდობილ იქნა აჯანყების მზადების საქმეში.

ქართულისა და რუსულმეტყველების „ზედმიწეენით მცოდნე“ ეფრემი არა ნაკლები ავტორიტეტი იყო საქართველოს ეთნოგრაფიის, ისტორიის და ვერსიფიკაციის საკითხებშიაც. არა ერთჯერის მოსულა მასთან საკონსულტაციოდ და მასალებისათვის ცნობილი სოლომონ დოდაშვილი. თვითონ ეფრემი ამის გამო წერს:

„1832 წლის ვკგონებ სექტემბერში მოსულიყო უფალი დოდაევი ჩემთან, მაშინ, როდესაც მე არ ვიყავ შინ და დაეგლო ქართული პრობისები და ეთქვა ტფილისის ღიმნაზიის მოწაფეთა დავით მაჩაბელოვისა და ჩემის შვილის ალექსისათვის: „უთხარით მოძღვარსა, დირექტორმა სთხოვა, ეს დედნები გადასწეროს კარგს ხელზედ, უნდა დავაბეჭდინოთ ღიმნაზიის მოწაფეთათვის“. მე მოველ რა შინ, მითხრეს ხსენებულთა მოწაფეთა ეს ამბავი.

მეორედ მოვიდა უფალი დოდაევი ჩემთან და შემდგომ მოკითხვისა დაესხედით რა, უთხარ: „სოლომონ ივანიჩ ვკგონებ ქართული ხელისათვის საწერად უფრო ლამაზი და უფრო მსგავსი რუსული ხელის იყოს საეკლესიო წერა, თუ არ დაიშლით დაწერ, მაგრამ ჩემზე უკეთესს ხელით დასწერს ტარასი და თუ გნებავს იმას დააწერინეთ“.



შემდეგ ამ ლაპარაკისა ამოიღო ერთი ქაღალდი, რომელზედაც იყო ეს კითხვები დაწერილი: წმინდის დავითის დღეობას, ესე იგი მთაწმინდობას როდის დღესასწაულობენ, ანუ რამდენჯერ წელიწადში. მართლად დედაკაცები თავს დაიმუნჯებენ იქ ასვლის დროს?

ამაჲსთანავე სხვადასხვა პუნქტებად კითხვები დაწერილი: მეფე ირაკლი როგორ ცხოვრობდა, სპარსეთის შახმა როგორ წაახდინა, ქალაქი, რომელს დღეს შემოვიდა, მეფეს მაშინ რამდენი ჯარი ჰყვანდა?

ამგვარები რამდენიმე პუნქტი იყო და ეს ქაღალდი მაჩვენა რა, მითხრა: „დირექტორსა სურს ამისი შეტყობა და გთხოვთ ამაების პასუხები მოაწეროთო“. მაშინ რადგან დრო არა მქონდა, უპასუხე: „აღვასრულებ მაგ თხოვნას როცა დრო მექნება“. მითხრა მან: „მაშ ჩემთან მობრძანდით როცა დრო იყოს, თქვენ მითხარით და მე დავსწერ რუსულად“. მეც აღუთქვი მას აღსრულება ამისი...

მიველ უფალს დოდაევთან, მაშინ ამოიღო ის ხსენებული კითხვები მე ვეუბნებოდი რაც ვიცოდი და იგი სწერდა...

მიველ ერთს საღამოზედ დოდაევთან... მოიტანეს ჩიი და ფუნჯი, ამასობაში შემოიტანა ლაპარაკი ქართულს პოეზიაზედ და მკითხა: „ქართულ პოეზიას ვაკეთებ და სტიხების გვარი რამდენია ანუ როგორიაო?“ მე უთხარი: „ქილილა და დამანა“ ხომ გაქვს მოიტანე იქ გიჩვენებ, იმაში იპოების თითქმის ყველა გვარი და გარდა ამისა სხვა გვარი თუ არის რამე „წყობილ-სიტყვაობაში“ ნახე და იქილამ სცნობ: მოიტანა „ქილილა და დამანა“ წავიკითხეთ რამდენიმე ფურცელი და სხვადასხვა გვარი სტიხები.

ამასობაში მე უთხარი: „თქვენ გაქვსთ ვკგონებ იერომანა-

ბის იონასაგან გაკეთებული ლექსიკონი, გთხოვთ მაჩვენოთ%.  
მაშინ დოდაევის ცოლმა სთქვა: „იმას ვერ იპოვავს შორის არი-  
სო“. იმის ძებნაში სხვა წიგნები მოიტანა უფალმა დოდაევემა  
და მაჩვენა რომელთა შიგა იყო ფარგლით მოხაზული რალაცა  
ნაკვეთები და შიგ ასოები სხდა, ზოგი შავი, მეორე კიდე  
ლომეტრიულს ნაკვეთებს გვანდა, და მესამე იმ გვარივე ძვე-  
ლებური რალაც სამისნო იყო და სახის მეტყველება, ანუ ფი-  
ზიონომია, კიდეც უთხარ: „უწინ ამისთანებით ატყუებდნენ  
უგუნურს ხალხსა“...

ამასთანავე ჩემი ტეტრადები ჰქონდა მეფის ირაკლის  
ისტორიისა და ისიც მომიტანა რომელსა ერთი ტეტრადი აქ-  
ლია“ 172.

სოლომონ დოდაშვილის დაპატიმრების შემდეგ თბილისის  
გიმნაზიაში ქართული ენის მაწავლებლის თანამდებობაზე  
ეფრემ ალექსი-მესხიშვილის კანდიდატურა იყო წარდგენილი.  
„1832 წელში, — წერს იფრიმი. — დირიქტორმა გრობორმა  
მითხრა: „შენ კიდეც საჭირო ხარ უჩილიშჩეშიო“. და წინაზედ  
კიდეც დავით ბარათოვთან ვიყავ სადილათ და იქ შემოვიდა  
ინცპექტორის თანამდებობის აღმასრულებელი, რომელსა  
ვერც კი ვიცნობდი და ლაპარაკთა შორის გამოვიცნო, რომ იქ  
სასწავლებელში ნამყოფი ვიყავ, მითხრა: „დოდაევი ზომ და-  
ქერილია და თუ არ განთავისუფლდება, ისევ შენ უნდა შრომა  
გასწიო და უჩიტლად შემოხვიდეო“. მე იმასაც უარი უთხარ  
და არც მინდა“ 173.

1832 წლის შეთქმულების გამოძიების პერიოდში ეფრემ  
ალექსი-მესხიშვილი პატიმრად არ აუყვანიათ, როცა გამოძიე-  
ბა გათავდა, იგი დატოვებულ იქნა თბილისში „საიდუმლო  
მეთვალყურეობის ქვეშ“. მაშინ ის მეტეხის მღვდლად იყო.



ეფრემი ლექსებსაც წერდა.

3. იოსელიანს თავის წიგნში: „ცხოვრება გიორგი მეცამეტესისა“—ში მოპყავს ეფრემ ალექსი-მესხიშვილის ორი ზმურის ლექსი: „ბახუსა რანიც“ და „ეს ნექტარი წყარო“...

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ერთ-ერთ ხელნაწერ კრებულს (H № 1132-ა) შემოუნახავს ეფრემ ალექსი-მესხიშვილის, როგორც პ. იოსელიანის მიერ დაბეჭდილი შემოდასახელებული ლექსები, ისე ეფრემის სხვა ჯერ გამოუქვეყნებელი პოეტური ნიმუშებიც.

1852 წლის დასაწყისში, ხელისუფლებამ ეფრემი გიორგი ერისთავისეული ჟურნალ „ცისკრის“ ცენზორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა. ამ თანამდებობაზე იყო იგი ჟურნალის არსებობის ორი წლის განმავლობაში.

არსებობს მოსაზრება, რომ 1853 წლის ჟურნალ „ცისკრის“ მეთერთმეტე და მეთორმეტე ნომრებში გიორგი ერისთავის სახელით გამოქვეყნებული პიესა „ყვარყვარე ათაბაგი“ ეფრემ ალექსი-მესხიშვილს ეკუთვნის.

ეფრემ ალექსი-მესხიშვილი ივანე კერესელიძის მიერ განახლებული „ცისკრის“ ცენზორის მოვალეობის შემსრულებელიც იყო.

ეფრემი ერთი პირველთაგანი გამოეხმაურა 1860 წლის ჟურნალ „ცისკრის“ იანვრის ნომერში აკაკი წერეთლის ლექსს, „საიდუმლო ბარათს“.

ამ ლექსის გამო აკაკი შენიშნავდა: „ეს ლექსია, რომელიც პირველად დაიბეჭდა ჩემი სახელით და გვარით. მანამდე კი უსახელოდ ვბეჭდავდი. ვერც ამ ლექსზე ვბედავდი ჩემი ვინაობის გამოცხადებას, მაგრამ ჩემდა შეუტყობლად მოხდა. დაე-

ბეჭდა „ცისკარის“ რედაქტორს და თავისთავად მოეწერა ჩემი სახელი და გვარი“ 174.

ეფრემ ალექსი-მესხიშვილი, პეტერბურგში აკაკისადმი ვაგ-  
ხავნილ ბარათში, ულოცავდა რა ახალგაზრდა პოეტს წარმა-  
ტებას, ცდილობდა დაერწმუნებია იგი, რომ წერის „მდაბიო  
ენა“ „დარბაისლურით“ შეეცვალა.

„გილოცავ, — წერდა ეფრემი აკაკის, — მეშაირობას და  
თანვე გთხოვთ, მამაშვილობას, ამისთანა ლექსებს მდაბიო  
ენით ნუ სწერ! დარბაისლური ენა ევირეება და შენ კი რაღაც  
სოფლური ენითა ხწერ. და ეს მით უფრო საშაშია, რომ შენი  
ლექსი ყველას გულში ხვდება, გამოსვლისთანავე სასიმღერო  
ლექსად გადაიქცა. განსაკუთრებით ქალები იმღერიან და ვაი  
თუ მაგ შენს ენას მიეჩვიენ და გადიგდონ გულიდან ძველი  
დარბაისლური ქართული“ 175.

ქართული ლიტერატურის საბედნიეროდ, აკაკი წერეთელმა,  
ყური არ ათხოვა არქაისტ ეფრემ ალექსი-მესხიშვილის ყოვე-  
ლად მცდარ დარიგებას.

1861 წლის გაზაფხულიდან ეფრემმა ავადმყოფობა დაი-  
წყო. ჟურნალ „ცისკარს“, როგორც ცენზორის მოვალეობის  
შემსრულებელმა, უკანასკნელად მაისში — მერვე ნომერს  
მოაწერა ხელი და რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიც-  
ვალა.

ჟურნალი ამის გამო იუწყებოდა: „ცისკარი“ ამ ორ თვეში  
შემცირებით გამოდის, ამის მიზეზნი ჩვენ გახლავართ. ამ ახ-  
ლოს დროში გარდაიცვალა ღრმად დახელოვნებული ქართულს  
ენაში, ქართულის ენის ცენზორი, მოღველი ეფრემ ალექსიევი,  
რომლის სიკვდილის გამო რამდენათმე სტატიათა მიეცათ და-  
ბეჭდვის დაბრკოლება“ 176.

ეფრემ ალექსი-მესხიშვილის გარდაცვალების თვე, რიცხვი  
და ადგილი დასაფლავებისა, ცნობილი არ არის.



ა

ასეთია მთავარ ხაზებში ცხოვრება და პედაგოგიურ-ლიტერატურული მოღვაწეობა ეფრემ ალექსი-მესხიშვილის, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში ნიკოლოზ ბარათაშვილის მასწავლებელი იყო.

ახლა, როცა მკითხველმა იცის ეფრემის ცხოვრების მთავარი მომენტები, მისი განსწავლულობა ქართული მწერლობის, გრამატიკის, ვერსიფიკაციის, ენთოგრაფიისა და ისტორიის საკითხებში, ცხადი ხდება, რომ მომავალ პოეტზე, უწინარეს ყოვლისა, ეფრემ ალექსი-მესხიშვილს მოუხდენია ერთგვარი გავლენა.

### „კეთილშობილთა სასწავლებლიდან“ გიმნაზიაში

1829 წლის 2 აგვისტოს, დამტკიცებულ იქნა დებულება „ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლის“ გიმნაზიად გადაკეთების შესახებ.

1830 წლის პირველ მარტს „ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელი“ საბოლოოდ გიმნაზიად გადაკეთდა.

თბილისის გიმნაზიის დირექტორად დაამტკიცეს ევერესტ გრუბერი, რომელიც 1828 წლის 29 სექტემბრიდან „ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელს“ ხელმძღვანელობდა.

„გიმნაზია შვიდკლასიანი სასწავლებელი იყო, რომლის პირველი კლასი მოსამზადებლად იყო მიჩნეული, II და III

კლასს სამაზრო კლასები ეწოდებოდა, ხოლო საკუთრივ გიმნაზიურს IV, V, VI და VII კლასები შეადგენდნენ.

გიმნაზიის პირველი ანუ მოსამზადებელი კლასისათვის, სადაც მხოლოდ რუსული წერა-კითხვა და არითმეტიკის ოთხი მოქმედება ისწავლებოდა, ვადა განსაზღვრული არ იყო, ხოლო მომდევნო კლასები თითო წლისთვის იყო ნაგარაუდები.

თბილისის გიმნაზიაში, გარდა ჩვეულებრივ ზოგადსაგანმანათლებლო საგნებისა, ისწავლებოდა ქართული და თათრული ენები, რუსეთის სამართლისმცოდნეობა და სამართლის წარმოება, რაც განსაზღვრულ მიზანდასახულობას აძლევდა გიმნაზიას, მოემზადებინა ახალგაზრდობა სახელმწიფო სამსახურისათვის<sup>177</sup>.

აღნიშნული დებულების საფუძველზე — გიმნაზიები შვიდი კლასისაგან დგებოდა. გრუბერის წინადადების გამო, რომ კეთილშობილთა სასწავლებლის მე-5 და მე-6 კლასის მოწაფენი თავისი ცოდნით მხოლოდ გიმნაზიის მე-5-ე კლასის პროგრამის დაძლევას შესძლებდნენ, თბილისის გიმნაზიაში, დასაწყისში, მხოლოდ ხუთი კლასი გახსნეს.

ახლადგახსნილ გიმნაზიაში ყველა მოწაფე გამოცდებით იქნა მიღებული, ასაკგადაცილებულნი კი მექანიკურად გარიცხეს. სასწავლო წელი იწყებოდა 1 სექტემბერს და თავდებოდა პირველ ივლისს. ვაკაციების დროდ დაწესებული იყო ორი თვე: ივლისი და აგვისტო.

მეცადინეობა სწარმოებდა ყოველდღე — კვირა-უქმის გარდა, დილითა და ნააღილევეს, ერთსა და იმავე დროს, შაბათსა და სხვა უქმე დღეების წინ ნასაღილევეს მეცადინეობა არ ტარდებოდა.

გაკვეთილი გრძელდებოდა ერთ საათსა და 30 წუთს. მასწავლებელთ სულ ოთხი გაკვეთილი ჰქონდათ დღეში. ორადილით, ორიც სადილის შემდეგ.

სასწავლო წლის განმავლობაში ტარდებოდა „დახურული გამოცდები“, რომელსაც სკოლის მასწავლებლები ატარებდნენ აღმინისტრაციასთან ერთად, გარეშე პირთა დაუსწრებლად და „საჯარო გამოცდები“, რომელსაც უფრო სასწავლებლის დამთავრების შემთხვევაში აწყობდნენ. მათ სადღესასწაულო ხასიათი ჰქონდათ. ასეთ გამოცდებზე ისწრებდნენ გარეშეებსაც.

„სასწავლო წელი მთავრდებოდა სათანადო აქტით (საზეიმო სხდომით). „აქტებზე“ ისმენდნენ სასწავლებლის უფროსის ანგარიშს გავლილი წლის მუშაობის შესახებ, მასწავლებელთა მოხსენება — რეფერატებს, მოწაფეთა დახასიათებებს და მათი თვითშემოქმედების ნიმუშებს. ცხადდებოდა შემდეგ კლასში გადასულ (ან კურსდამთავრებულ) მოწაფეთა სია, აჯილდოვებდნენ საუკეთესო მოწაფეებს და კურსდამთავრებულთ ურიგებდნენ ატესტატებს“<sup>178</sup>.

ატესტატი სამგვარი იყო: 1. ბრწყინვალე წარმატებისა (ქმლყოდა იმას, ვისაც გამოსაშვები გამოცდების ყველა საგანში ჰქონდა ნიშანი 5); 2. მოწონებული წარმატებისა (ვისაც გამოცდებში მიღებული ჰქონდა არანაკლები 4-ისა); და 3. საკმაო წარმატებისა (ანუ ჩვეულებრივი, ვისაც მიღებული ჰქონდა არანაკლებ 3-სა).

„ბრწყინვალე წარმატების ატესტატით“ კურსდამთავრებული მაღალი და საშუალო წოდების პირნი სამსახურში შესვლისთანავე, ღებულობდნენ მე-14 კლასის სახელმწიფო მოხელეთა ხარისხს. ხოლო მოწონებული ატესტაციით კურსდამ-

თავრებულნი, ასეთ ხარისხს ღებულობდნენ ერთი წლის  
„გულმოდგინე სამსახურის“ შემდეგ<sup>179</sup>.

გიმნაზიის გახსნის დღიდან, — 1832 წლის დეკემბრის  
საწყისამდე, ნიკოლოზ ბარათაშვილს ქართულ ენასა და სი-  
ტყვიერებას სოლომონ დოდაშვილი ასწავლიდა. რუსულ ენასა  
და ლიტერატურას კი ნიკოლოზ დემენტიევი.

ჰუმანიტარულ საგნებთან ერთად ნიკოლოზი მათემატიკურ  
დისციპლინებსაც იოლად ითვისებდა და საკმაო წარმატებასაც  
იჩენდა. ზუსტ მეცნიერებათაგან ყველაზე უფრო ფიზიკა  
ჰყვარებია. ბარათაშვილი დამოუკიდებლად აკეთებდა სხვადა-  
სხვა სახის ფიზიკურ ცდებს, თან მეტეოროლოგიურ დაკვირ-  
ვებასაც ახდენდა.

„ფიზიკის მასწავლებელმა შესტაკოვმა, — წერს იონა მეუ-  
ნარგია, — რომელიც დროებით სადღაც წავიდა, მიანდო ნ. ბა-  
რათაშვილს და ლევან მელიქიშვილს, განეგრძოთ მეტეორო-  
ლოგიური დაკვირვება, მისგან დაწყებული. ბარათაშვილი კარ-  
გად ასრულებდა მინდობილობას, სანამ ერთ უბედურ დღეს  
თერმომეტრი არ გაუტყდა. იმას უნდოდა სხვა თერმომეტრი  
ეყიდა, მაგრამ ფული საიდან უნდა ეშოვნა და პირშავად დარ-  
ჩა თავის მასწავლებელთან“<sup>180</sup>.

1830 წლის 28 დეკემბერს თბილისის გიმნაზიასთან დაარს-  
და „კეთილშობილთა პანსიონი“. ბარათაშვილის გიმნაზიის  
ამხანაგი ლუკა ისარლიშვილი, საყურადღებო ცნობებს გად-  
მოგვცემს ამ პანსიონზე:

„ტფილისის გიმნაზიასთან არსებობდა კეთილშობილთა პან-  
სიონი სახელმწიფო ხარჯზე მყოფ ორმოც მოსწავლისათვის,  
რომლისგანაც ოცდაათი ადგილი განკუთვნილი იყო უმთავრე-

სად ღარიბ ქართველ თავად-აზნაურთა შვილებისათვის, ხოლო  
ათი — საქართველოსა და კავკასიის მხარეში მომსახურე რუს  
მობელეთა შვილებისათვის.

პანსიონში ღებულობდნენ აგრეთვე სხვა თავადაზნაურთა  
და მობელეთა ბავშვებსაც, მაგრამ საკუთარ ხარჯზე, რო-  
მელნიც ვალდებულნი იყვნენ ეხადათ წლიური გადასა-  
ხადი.

პანსიონერები სწავლობდნენ გიმნაზიაში სხვა მოწაფეებ-  
თან ერთად, კლასგარეთ კი იმყოფებოდნენ პანსიონის ხელმ-  
ძღვანელთა მეთვალყურეობის ქვეშ, ამისთვის პანსიონს აყვან-  
ილი ჰყავდა ოთახის ზედამხედველები, განთქმული თავიანთი  
სიმკაცრით, ამათ იცოდნენ ერთი იმ ევროპულენათაგანი, რო-  
მელსაც გადიოდნენ გიმნაზიაში. პანსიონის მთავარი მეთვალ-  
ყურეობა დაკისრებული ჰქონდა საპატიო მზრუნველს, უშუა-  
ლო ხელმძღვანელობა და სამნეო ნაწილი, დირექტორის  
მეთვალყურეობით, ინსპექტორს ებარა“ 181.

მელიტონ ბარათაშვილმა, მიიღო რა საქართველოს თავად-  
აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოდან მისი შვილის, ნიკო-  
ლოზის თავადობის დამამტკიცებელი მოწმობა, ითხოვა ნ. ბა-  
რათაშვილი აეყვანათ გიმნაზიასთან არსებულ პანსიონში,  
სახელმწიფო ხარჯზე.

სათანადო მიმოწერის შემდეგ ა/კავკასიის სასწავლებლების  
დირექტორმა გრუბერმა 1830 წლის 22 მაისს, საქართველოს  
მთავარმართებელ პასკევიჩს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი  
და სია გიმნაზიასთან არსებულ პანსიონში 12 წარჩინებული და  
ღარიბი მოწაფის, მათ შორის ნიკოლოზ ბარათაშვილის, სა-  
ხელმწიფო ხარჯზე ჩარიცხვის შესახებ:

Список учеников Тифлисской гимназии из числа своекоштных  
удостаиваются принятия на казенное иждивение в учреждаемый  
благородный пансион:



№№	Имена и фамилии учеников	Лета	В котор классе наход	Знание родителей
1.	Иван	13	в 1-м	Дворянин Вежан
2.	Константин Бучкиевы	12	классе	
3.	К. Лебан	12	во 2-м кл	умерший прапорщик
4.	К. Захарий Меликовы	10	во 1-м кл	князь Иван
5.	К. Николай Баратов	12	в 2-м кл	Капитан князь Мелитон
6.	Николай Тулзеа	15	в 5-м кл	умерший дворн. Иван
7.	Георгий Херхеулидзе	10	в 1-м кл	умерший князь Луарсаб
8.	Фона Давыдов	13	в 4-м кл	из двор. свящ. Христофор
9.	Михаил Шаншнев	9	в 1-м кл	дворянин Моисей
10.	Гарсван Варламов	12	в 3-м кл	умер. дворянин Степан
11.	Кайхосро Алексидзе	7	в 1-м кл	из двор. губ. секрет. Андрей
12.	Иван Нацвалов	тоже	—	умер. дворн. Кайхосро

Директор закавказских училищ коллежский  
советник — Грубер. 182



პანსიონში სახელმწიფო ხარჯზე ჩარიცხულ ბარათაშვილს მუნიციპალიტეტის ჩაუტყვემს და აუტყვემს პანსიონში ირიცხებოდა და მის მათხვე სახელში ათვედა.

გარეთ თავს სუფალ ცხოვრებას შეჩვეული ახალგაზრდობისათვის მეტად ძნელი იყო პანსიონის რეჟიმთან შეგუება.

გიორგი ანდრონიკაშვილი წერს: „პანსიონში შესვლის პირველ დღეებში, როგორც გარეთ თავისუფლებდა და ჩემს მახლობელს ნათესავებში ნებეზრობას ჩვეულსა, სამინდლად მადარდიანებდა იმგვარი შეკეტილი მღვთმარეობა და რაღაც საპატიმროდ მიმაჩიდა ეს შემწყვედეული ცხოვრება“<sup>183</sup>.

მიუხედავად ამასა, მოწაფენი მაინც ახერხებდნენ თავგართობას და იმხანად მეტად გავრცელებულ კრიეს სასწავლებლისა და პანსიონის კედლებშიაც აწყობდნენ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის გიმნაზიის ამხანაგის მირიან ჭყონიას შვილი — ილია ჭყონია თავის მოგონებებში გადმოგვცემს:

„ახალი მიზარებული ყოფილა მამა პანსიონში, რომ ერთ დღეს სასწავლებლის დიდ მუშაბანდიანს დერეფანში კრივი გაუმართავთ. გურულ ბავშვს, კრივის უნაბავს, კრივი ჩსუბათ მოჩვენებია და თვალით ტატოს (ნიკოლოზ ბარათაშვილის) ძებნა დაუწყია, რომ მიშველებოდა.

უცებ შეუხედავ, რომ ტატო და ერთიე ძაბვა ამხანაგი ერთმანეთს მუშტს ცემდნენ, მარა არც ერთი, არც ტაროდა, არც ივინებოდა, არამედ ორივეს მოცინარი სახე ჰქონდა და რამდენაეც ერთი მეორეს მუშტს ჩასცხებდა, იმდენს შიამახებდა „ეაეც შენა“. მამა მისულა და ტატოს გვერდში ამოსდგომია გასაშველებლად. ამ დროს მამისთვის თვალი მოუკრავს ტატოსთან მოკრივე ამხანაგს, გამდგარა თა ძაბოსთვის უთქვამს:

— აბა, ტატო, ეხლა ამ გურულს ეკრივე! — ტატოც მობრუნებულა, და უცებ ისე ღონივრად ჩაუცხია მამისთვის მუცტი ფერდძი, რომ მას ბლავილი დაუწყია. ტატოს ერთი კრივი კიდევ გაუკრავს. გულაოსულ მამას სილა მოუქნევია. სილის გასართყმელად გაშლილ ტორს მოხვედრია ახლათმოქნეული მუცტი ტატოსი და მამისთვის ჩაუხლეჩია ნეკი ერთ გოჯამდი.

მამა წაქცეულა და შედგომია სისხლიც ღვარი. მოწაფეებს კრ: ვი მიეტოვებინათ და მამას შემოხვეოდხენ მოსაფერებლად. ექვსი კვირა სამკურნალოში წოლილა მამა და სულ კი ექვსი თვე შეხვეული უტარებია ხელი მამას. სამკურნალოში წოლის დროს მამასთან მოსულა ტატო და უთქვამს:

— პაპატივე, ამხახავო, არ ვიცოდი, თუ თქვენს ქვეყანაში კრივი არ იცოდნენ, თორემ ისე უცებ კრივობას არ დაგიწყებდი.

— არც მე ვიცოდი, თუ თქვენში ცემას სწავლობდნენ, თვარა აქ არ ჩამოვიდოდი, — მიუგია მამაჩემს.

— კრივი რა ცემაა? ეს ხომ ხუმრობაა! — უთქვამს ტატოს.

— კრივი თუ ხუმრობაა თქვენში, აბა თამაში კაცის კვლა იქნება, მიუგია მამას<sup>184</sup>.

თბილისის გიმნაზიის მოწაფენი მონაწილეობდნენ კვირაობით ქალაქში მოწყობილ საერთო კრივში და ჭიდაობაშიც. ზ. ჭიჭინაძე გადმოგვცემს: „მამინდელი მოწაფენი კვირაობით მონაწილეობას იღებდნენ კრივში, ჭიდაობაში“<sup>185</sup>.

გიმნაზიაში უფროსის პირველ ხანებზევე ეკუთვნის შემდეგი ეპიზოდი პოეტის კხოვრებიდან. ნიკოლოზი „ერთხელ ყაბახზე ცხენს აქენებდა თურმე, ამ დროს ცხენს ერთობ მარცხად გადმოუგდია, მაგრამ ვნებით კი არ უვნია“<sup>186</sup>.

გავიდა დრო, ეს შექცევები დავიწყებას მიეცნენ და თბილისის გიმნაზიის მოსწავლეთა უმრავლესობა ცეკვამ, გონივრულმა გასართობებმა და ლიტერატურამ გაიტაცა. ი. შეუნარგია წერდა:

„სხვაზე უფრო დაწინაურებული იყო ბარათაშვილი ცეკვითაც. სასწავლებელს ჰყავდა „ტანცების“ მასწავლებელი და ჰქონდა საკუთარი ტანც-კლასი. ყოველ შაბათობით მოდიოდა სასწავლებელში ოსტატი აღდადანოვი, რომელიც სხვათა შორის ლექურსაც ასწავლიდა. ბარათაშვილი პირველი მოცეკვავე იყო და უპირველესი მოლექურე“ 187.

ნიკოლოზ ბარათაშვილს განსაკუთრებული წარმატება გამოუჩენია ენების, პირველ რიგში, რუსული ენის შესწავლაში.

რუსულ წერა-კითხვაში ბარათაშვილი მალე ისე გაიწაფა, რომ მან, 1831 წლის 3 სექტემბერს, თავის ბიძას — პოეტს გრიგოლ ორბელიანს პეტერბურგში გაუგზავნა რუსულად შედგენილი შემდეგი ხასიათის ბარათი:

#### Дражайший Дядя!

Я получил ваше письмо с которым я очень обрадовался и желаю вам всякаго благополучия чтоб вас видит здоровым. Но что о своих успехах писать, когда вы сами знаете, а инструменты ежели пришлѣте ечень благодарен буду чтож дальше писать, дрожайший дядя, только что желать вас благополочным счастливым и проч.

Имею честь прибыть любящий вас племянник.

Н. Баратов. 188

მართალია, ეს ბარათი დაზღვეული არ არის გრამატიკული და ორთოგრაფიული შეცდომებისაგან, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არის ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ რუსულად წერილის შედგენის პირველი შემთხვევა.

სწორედ ამ გარემოებას ჰგულისხმობდა პოეტის მამა მელიტონი, როცა 1831 წლის 3 სექტემბრის თარიღითვე წერდა თავის ცოლის ძმას — გრიგოლ ორბელიანს: „ვისთანაც მოკითხვა მოგვწერა, ყველამ მადლობა და მოკითხვა მოგახსენეს. ჩემმა ტატომ კი, წიგნი მოგვწერა. მერწმუნე თვითონ დაწერა, არავის უსწავლებია“<sup>189</sup>.

ნ. ბარათაშვილის ზემო მოყვანილი ბარათი აღმოაჩინა მკვლევარმა აკაკი გაწერელიამ და გამოაქვეყნა 1935 წელს „ლიტერატურული მემკვიდრეობის“ პირველ წიგნში.

ხსენებულ ბარათისადმი წამძღვარებულ შენიშვნებში მკვლევარი აღნიშნავდა: „თუ რომელ ინსტრუმენტს სთხოვს ნ. ბარათაშვილი გრ. ორბელიანს, ძნელი გამოსარკვევია“.<sup>190</sup>

ნ. ბარათაშვილის ბიძისა და თანაჯლასელის ილია ორბელიანის ბარათი გრიგოლ ორბელიანისადმი სრულიად მარტივად ხსნის ამ საკითხს. 1831 წლის 5 ნოემბერს, ილია წერდა თავის უფროს ძმას გრიგოლ ორბელიანს: „...Мне очень нужно математические инструменты и краски, ежели пришлете то я весьма доволен буду“.<sup>191</sup>

მაშასადამე, როცა ბარათაშვილი წერდა გრ. ორბელიანს: „...а инструменты ежели пришлете; очень благодарен буду“. ითხოვდა „მათემატიკურ ხელსაწყოების“ გამოგზავნას.

იმ დროს „წესად ყოფილა მიღებული გიმნაზიის კურსის დასრულების დროს, სამშობლო ენაზე, ეგზამენებზე მოსწავლეს უნდა წარედგინა საეგზამენო კომისიისათვის, თარგმანი ერთი რამ დასრულებული თხზულებისა რუსულიდან, სათარგმნი თვით მოწაფეს უნდა აერჩია“<sup>192</sup>.

ამის გამო, მოსწავლენი წინასწარ ემზადებოდნენ და იწვრთნებოდნენ თარგმნაში.

ყველაზე მეტი მთარგმნელები ჰყავდა პუშკინს, რომელიც ორიოდ წლის წინათ იყო თბილისში და საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა.

ვინ არ თარგმნიდა პუშკინს? თარგმნა იგი მოსწავლე გარსევან ვარლამაშვილმაც. „ევგენი ონეგინის“ ვარლამაშვილისეული, სრულიად უხეირო თარგმანი, ბარათაშვილმა საჯაროდ გაპყიცხა. იონა მეუნარგია გადმოგვეცემს:

„როდესაც ქართული მწერლობის სიყვარულით გატაცებულნი, გიმნაზიის მოწაფენი თარგმნიდნენ ქართულ ენაზე რუსულ ლექსებსა, ერთ შევირდს გვარად ვარლამოვს, გადაეთარგმნა პუშკინის „ევგენი ონეგინიდან“ რამდენიმე კარი. მოგესხენებათ, ეს პოემა დიდი პოეტისა იწყება ასე:

Мой дядя самых честных правил;  
когда не в шутку занемог...

ვარლამოვს თარგმანი არავისთვის ეჩვენებინა ჯერ, თუმცა არ მალავდა, რომ სთარგმნიდა პოემას, და თავის რვეული ცხრაკლიტულში ჰქონდა შენახული. ბარათაშვილს იმდენი უცდიდა, რომ მოუპარავს ეს რვეული და ერთ დღეს, როდესაც მასწავლებელი ჯერ კლასში არ შემოსულიყო, წამოდგა და დააჩუმა ამხანაგები:

— სუთ, ყური დამიგდეთ, „ევგენი ონეგინი“ ვთარგმნე და მინდა წაგიკითხოთ.

ვარლამოვმა ყურები სკჳვიტა და ბარათაშვილმა დაიწყო ხმამალლა:

ბიძა ჩემი დიდთა პატროსანთა კანონთა:  
როდესაც ხუმრობა გაშობით ავად გახლა...

ტქმა არ გაეთაყვებია, რომ ვარლამოვი მივარდა მკითხველს. მასწავლებელი რომ არ შემოსულიყო ამ დროს კლასში და სიჩუმე არ ჩამოეგდო იმ ხარხარში, რომელიც ატყდა ამის კითხვის დროს, ვარლამოვი ცემას უპირებდა პოეტს“ 193.

ამ ხანებში ნიკოლოზ ბარათაშვილმა წარმატებით ჩააბარა მეოთხე კლასში გადასასვლელი გამოცდები. 1831 წლის 5 ნოემბერს, პოეტის თანაკლასელი და ბიძა, ილია ორბელიანი, წერდა თავის უფროს ძმას, გრიგოლს: „მე გამომცადეს და, მაღლობა ღმერთს, კარგად ვპასუხობდი. მე და ტატიკო გადაგვიყვანეს მეოთხე კლასში. ეხლა მე იმედი მაქვს მეხუთე კლასში გადასვლისა“ 194.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ადრე და წარმატებით დაუფლებია ევროპულ ენებსაც. 1832 წლის თებერვალში ილია ორბელიანი წერდა გრიგოლ ორბელიანს:

„ღირექტორმა გვითხრა, რომ ვისაც სურს, თათრული ენა ისწავლოს, და ვისაც სურს, გერმანულიო, ხოლო ფრანგული ენა კი ყველამ უნდა შეისწავლოს. მე გერმანულს ვსწავლობ. გერმანულს ჩვენ სკოლაში მხოლოდ ოთხნი ვსწავლობთ: მე, ტატიკო, ბაგრატიონ-დავითაშვილი და მელიქიშვილი. ეხლა ჩვენ გერმანულად ვკითხულობთ და ვწერთ ისევე, როგორც რუსულად, და ჩქარა დავიწყობთ გრამატიკას. ფრანგულადაც აგრეთვე კარგად ვკითხულობთ და ამას წინათ გრამატიკაც დავიწყეთ“ 195.

ამგვარად, პოეტმა რუსული ენა სკოლაშივე ბრწყინვალედ შეისწავლა. არა ნაკლებ წარმატებული იყო იგი უცხო ენების დაუფლებაშიც.

ნიკოლოზ ბარათაშვილის გიმნაზიიდან გარიცხვისა  
და დაპატიმრების შესახებ



ჯერ კიდევ ბევრი რამ დაუდგენელია ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიაში და მათ შორის, საკითხი პოეტის გიმნაზიიდან გარიცხვისა და ორი კვირით დაპატიმრების შესახებ.

ბარათაშვილის თანამედროვეთა მოგონებებისა და მგოსნის პირველ ბიოგრაფთა ჩანაწერების გულმოდგინე შესწავლის საფუძველზე მკვლევარი მ. კეკელიძე აღნიშნული საკითხის გამო, ასეთ სწორ დასკვნამდე მიდის:

„1. ნ. ბარათაშვილს მოწაფეობის დროს ბევრი ლექსი ჰქონია დაწერილი, რომლებიც თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ყოფილა მიმართული.

2. იგი წერდა სატირულ ლექსებსაც, რომლებშიაც აბუჩად იგდებდა ხელისუფლების წარმომადგენლებს და ამ ლექსებს თავისი ამხანაგების დახმარებით (ფოსტით) უგზავნიდა სასააცილოდ აღებულ პირებს. ასეთ შემთხვევებს სინტემატური ხასიათი ჰქონდა.

3. ლექსების გაგზავნასთან დაკავშირებით ნ. ბარათაშვილი რამდენჯერმე დაუსჯიათ. აქედან ჩვენთვის ორი შემთხვევაა ცნობილი. ნ. ბარათაშვილისა და პეტრე ბაგრატიონის ფიზიკური დასჯა 1831 წელს. ნ. ბარათაშვილს 25 წიკვლა დაჰკრეს, ხოლო პ. ბაგრატიონი ამ სასჯელს სასწავლებლის დატოვებით გადაურჩა და რუსეთში წაიყვანა მამამ. ნ. ბარათაშვილი მეორეჯერ დასაჯეს 1833 წლის პირველ თვეებში, 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებით: დაპატიმრებული იყო ორი კვირით“<sup>196</sup>.

ისმის კითხვა, ხომ არ შეიძლება ნ. ბარათაშვილის გიმნა-

ზიიდან გარიცხვისა და დაპატიმრების ზეპირად გადმონაცნობების შემავრება, იმ დროის, ფაქტიური, თუ ეპისტოლარული მასალით?

ჩვენ ხელთ არსებული საბუთები საშუალებას გვაძლევენ დადებითად ვუპასუხოთ ამ კითხვას.

ჯერ ორიოდ სიტყვა ვთქვათ ნიკოლოზ ბარათაშვილის სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებათა გენეზისზე.

პოეტის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ქართველ განმანათლებელთა იდეურმა ზეგავლენამ, რუსი დეკაბრისტების, პოლონელი თავისუფალ მოაზროვნეების გადმოსახლებამ საქართველოში და სოლომონ დოდაშვილმა, თავისი დემოკრატიული შეხედულებებით, რომელიც ყრმა ბარათაშვილის მასწავლებელი იყო რამდენიმე წლის განმავლობაში.

მართალია, 1832 წლის შეთქმულება თავის მთავარ და უმთავრეს ნაწილში თავადაზნაურული ხასიათისა იყო, მაგრამ ამ შეთქმულებაში აშკარად შეინიშნება მცირე დემოკრატიული ნაკადი, რომელსაც უწინარეს ყოვლისა სოლომონ დოდაშვილი ეკუთვნოდა.

სრულიად სამართლიანად შენიშნავს მკვლევარი ს. ხუციშვილი, რომ „...აჯანყებისათვის მზადებაში ს. დოდაშვილი თავისი ლიტერატურული მუშაობით ზრდიდა ორჯანიზაციის წევრთა შიგნებას, ეწეოდა შეთქმულთა შორის განმათავისუფლებელი მოძრაობის პროპაგანდას“ 197.

1832 წლისათვის 16 წლის ნ. ბარათაშვილი გონიბრევად სრულიად მომწითებული იყო და ავტორი მთელი წყება პოეტური შიღვერებისა.

ს. დოდაშვილს, ფ. კიკნაძეს და სხვა რადიკალურად გან-



წყობილ ქართველ ინტელიგენტებს, მეტად კარგი, პირადი ურთიერთობა ჰქონდათ ახალგაზრდა პოეტთან.

რადგან ზემოდასახელებულ პირებს ცარიზმი ალმაცვრად უყურებდა, ამიტომ მელიტონ ბარათაშვილი უკრძალავდა თურმე თავის ვაეს ს. დოდაშვილთან და ფ. კიკნაძესთან ურთიერთობას.

შემდეგ ნ. ბარათაშვილთან ერთად მოსამსახურე დ. გრიგორევის (გრიგორაშვილის) ცნობით, „ნ. ბარათაშვილს თავის მამა ხშირად ეტყოდა, რომ სოლ. დოდაშვილს და კიკნაძე ბერს თავი გაანებე, თორემ შენ გაითოკებო“ 198.

ზ. ჭიჭინაძის მიერ ბარათაშვილის თანამედროვეებში შეკრებილი ცნობებიდან ჩანს, რომ ყრმა პოეტი „ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში“ ყოფნის დროიდანვე წვერი ყოფილა სოლომონ დოდაშვილის ლიტერატურულ-პოლიტიკური წრისა.

„სოლომონ დოდაშვილმა, — წერს ზ. ჭიჭინაძე, — შეადგინა ტფილისში „ამხანაგობა“ ანუ გუნდი, იმ დროის ტფილისის სასწავლებლის მოწაფეების.

ამ რიკებში შედიან იმ დროის „კეთილშობილთა სკოლის“ მოწაფენი. სასულიერო სემინარიის მოწაფენი და ასევე სხვანოც „ამხანაგური წრე“ არსებობდა ქართველების გასაფხიზლებლად, ქართველ ერში კარგი წესების შესატანად, ქართული მწერლობის ასაღორძინებლად და მწერლობაში კარგი იდეის შესატანად“ 199.

წრე სისტემატურად ატარებდა მხატვრულ ნაწარმოებთა საჯარო კითხვა-განხილვებს. მანვე განიზრახა ბიბლიოთეკისა და სტამბის შექმნა. კურსდამთავრებულ მოწაფეთა უმაღლეს სასწავლებლებში გაგზავნა და სხვა. ს. დოდაშვილი უჩვენებს:

„ვახშამი ჩემს ბინაზე გაიშართა. ჩვენ აქ წავიკითხეთ მოწოდებული მარტინის თხოვნები და ვმსჯელობდით გამოგვედგინა ფული, ამ თანხით შეგვეძინა ბიბლიოთეკა და სტამბა, ვამბობდით აგრეთვე ნიჭიერი მოწოდებები გაგვეგზავნა უნივერსიტეტში და დაგვენიშნა მათთვის სტიპენდია“ 200.

აღნიშნული წრის ახალგაზრდა წევრთა ერთი ჯგუფი, რომელშიაც შედიოდნენ: ნ. ბარათაშვილი, პეტრე ბაგრატიონი, ლევან მელიქიშვილი, ილია ორბელიანი და სხვები, — მამხილებელ ლექსების წერისა და გავრცელებისათვის, რომ მართლაც დაუსჯიათ და გიმნაზიიდანაც გაურიცხიათ, ეს ნათლად ჩანს უყურადღებოდ დატოვებული და უცნობი მასალების მიხედვითაც.

პეტრე ბაგრატიონის მონათხრობში ამის გამო ვკითხულობთ:

„მე. ლევან მელიქიშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი ერთად ვსწავლობდით მაშინდელს გიმნაზიაში და სამივე ერთდღეს სასწავლებლიდან გამოგვრიცხეს...“

ნ. ბარათაშვილი ლექსებს წერდა, ლ. მელიქიშვილი გადაწერი იყო და მე კი კონვერტებს ვამზადებდი. ამნაირად შემზადებულ ლექსებს ვგზავნიდით მთავარმართებლის, დიდკაცობის და ზოგიერთს ვაქრების სახელზედ...“

შესდგა ამაზედ დიდი საქმე და ჩვენ სამნივე მეთაურები: მე, ლ. მელიქიშვილი და ნ. ბარათაშვილი, გამოგვრიცხეს და რომ მთავარმართებელს ბარონ როზენს აკ, ვეპატივებო, გაროზგვასაც მიპირებდნენ. შემდეგ ამისა მე პეტერბურგში გვარდიის პოდპრაპორიციების სასწავლობოლში გამგზავნეს და ისინი კი თავიანთ სახლში წაიყვანეს“ 201.

„მეთაურების“ გარდა გიმნაზიიდან გაურიცხიათ ამ ჯგუფის

რიგითი წევრი, ნ. ბარათაშვილის ბიძა, თანამოასაკე და თანაკლასელი, ილია ორბელიანი (1816 — 1853).

1831 წლის შუახანებში ზაქარია ორბელიანი ქ. ნოვივოდოპოლიდან წერდა თავის ძმას, გრიგოლ ორბელიანს: „ერთი მითხარ, გრიგოლ, რას უშვები ჩვენს ძმას ილიას, ხომ რჩება უსწავლელი. რა ვქნა, გრიგოლ, მწუხარებით აღარ ვარ მაგისტვის. ამ ერთ ორის კვირის შემდგომ წავალ ხარკოვს და შევიტყობ კარგად. აქ ბევრი არის სასწავლებლები, ეგების აქ როგორმე მივცეთ“<sup>202</sup>.

ეს ღონისძიება საქირო აღარ შეიქნა. ნ. ბარათაშვილი, ლ. მელაქიშვილი და ი. ორბელიანი მცირე ხნის შემდეგ აღუდგენიათ გიმნაზიაში.

ზემოთ ნახსენები გიმნაზიელები რეპრესიას ვერ შეუშინებია, ისინი კვლავინდებურად განაგრძობდნენ „თავიანთ საქმიანობას“. ამის შემდეგ ხელისუფლებაც უფრო რადიკალურ, ზომებზე გადასულა.

საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცული, ერთი გამოუქვეყნებელი პირადი ბარათი, რომელიც გაგზავნილია თბილისიდან 1832 წლის 25 თებერვალს, უდავოდ გვანიშნებს, რომ აღნიშნული ჯგუფის რიგითი წევრი, ილია ორბელიანი, ბედად გადარჩენილა დაპატიმრებას.

1832 წლის 25 თებერვალს, დავით ყორღანაშვილი, თბილისიდან წერდა პოეტ გრიგოლ ორბელიანს: „ილიკოს ერთი დარიგების წიგნი მოსწერე... იმ დღეს ცოტა დარჩა ნეობალტში დავაჭერიწე“<sup>203</sup>.

პოეტი დაპატიმრებას ვერ ასცდა. დ. გრიგორიევი (გრიგოლაშვილი) გვიამბობს:

„ნ. ბარათაშვილი ნიჭიერი კაცი იყო, ხშირად დაიარებოდა

სოლომონ დოდაშვილთან და პოლონელ პროფესორებთან ...  
... 1832\*. ბარათაშვილი გაჩხრიკეს, ვერაფერი უპოვნეს. მისთვის  
ამბავი წინეთ შეეტყო და თავის ლექსების ფიქრიც აქვნდა,  
რუსის მთავრობის, სულ დაეწო. ნ. ბარათაშვილი ცოტა ხანს  
იჯდა, ორი კვირა, მერე გაანთავისუფლეს“ 204.

ნ. ბარათაშვილის თანაკლასელი გრ. გურიელი უფრო დაწვრილებით გადმოგვცემს ამ ამბავს:

„ნიკოლოზ ბარათაშვილი და მე ერთ სკოლის სკამზედ ვიჯექით. ნ. ბარათაშვილმა წინეთ შეიტყო, რომ შენ გაგჩხრიკენო. მას ბევრი ლექსები აქვნდა რუსის მთავრობის წინააღმდეგ ნაწერი, იგი მალე წავიდა სახლში, მეც თან წაიყვანა, ყველა ეს ნაწერები ბუხარში შეყარა და ცეცხლს მისცა.

ის იყო, ეს დაიწო და გამჩხრიკავნიც მოვიდნენ. სასტიკად გაჩხრიკეს ყველაფერი, მერე ნ. ბარათაშვილს სხვადასხვა ლექსებს უჩვენებდნენ და ჰკითხავდნენ, რომ ეს ლექსი შენი დაწერილიაო? ნ. ბარათაშვილი ყველაფერზე უარს ეუბნებოდა.

ჩხრიკა გათავდა და ნ. ბარათაშვილს უთხრეს, რომ შენ დაპატიმრებული ხარ, როგორც სოლომონ დოდაშვილის მეგობარი. ნ. ბარათაშვილმა მიუგო, მე სოლომონ დოდაშვილის მეგობარი კი არა ვარ, არამედ მე ვიყავ მისი მოწაფე და იგი მაკითხებდა რუსულ სახელმძღვანელო წიგნებსაო, ამას სხვებიც დაასაბუთებენო.

მალე წავიდნენ და ნ. ბარათაშვილიც თან წაიყვანეს, ამის

\* მ. კ. ელიძის სამართლიანი შენიშვნით „ამას აღვიღო ჰქონია 1833 წლის პირველ თვეებში“ (ეურ. „კომუნისტური აღზრდისათვის“ 1954 წ. № 9) ი ბ.



შესახებ სკოლაშიაც იყო გამოკითხვა. ორი კვირის შემდეგ ნ. ბარათაშვილი გაანთავისუფლეს“ 205.

მკვლევარმა მ. კეკელიძემ ყურადღება მიაქცია ბარათაშვილის პირად ბარათში დაქარაგმებულ ერთ ცნობას, რომელიც მეტად საგულისხმოა აღნიშნული საკითხისათვის. მ. კეკელიძე წერს:

„ჩვენ გვაქვს თვით ნ. ბარათაშვილის ერთი ცნობა, რომელიც ყოველ ექვს გარეშე ადასტურებს 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებით მისი დაპატიმრების ფაქტს.

1837 წელს ნ. ბარათაშვილმა გადასახლებაში მყოფ პოეტ-ბიძას გრ. ორბელიანს გაუგზავნა ლექსი:

ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი,  
წაგართო ავის ენისა გესლმან;  
სატრფონი მისნი შემოგარენი  
გარდახვეწილსა დაგინზო ეტლმან!  
მაგრამ გაჩნს კიდეც გულში მის არე;  
გიყვარს ყაბახის კარგიც და ავიც,  
თუმც უცხო-უცხო თემად იარე,  
პრავალი კარგი ნახე ამბაეი. —  
მაგრამ რას ხედავს აწ კრული ჩრდილოს?  
აჰა, ის ღამე, ოდეს სატრფონი  
ალამაზებდნენ შენს ყაბახს ამოს,  
შენის სიყრმისა თან-ზრდილნი ჰსწორანი!

ამ ლექსთან დაკავშირებით ახალგაზრდა მგოსანი გრ. ორბელიანს წერდა: „ეს ლექსები (იგულისხმება „ძიავ . . . ს“ და „ღამე ყაბახზედ“. მ. კ.) დიდი ხანია დაწერილი მქონდა, მაგრამ ფორტას ვერ ვანდე კიდეც, რა ვიცი როგორ მომხვდარიყო, იქნება დაკარგულიყო და მერმე: პ. „არავინ იცის, რა გამოვა რისგან“.

6. ბარათაშვილის ამ წერილის აზრი მოკლედ ასეთია. იგი შემომოყვანილ ლექსს თვლის თავისი პოლიტიკური მრწამსის გამომხატველად, თანაგრძნობას უცხადებს მეფის მთავრობის მიერ დასჯილ გრ. ორბელიანს, შეთქმულთა გამცემს უწოდებს გესლიანსა და ბოროტ ადამიანს.

ამიტომ ლექსის გაგზავნისას პოეტს სიფრთხილე გამოუჩენია. პოეტი ამბობს, რომ ფოსტას „ვერ ვანდე კიდევ“ (ცხადად ჩანს, რომ ფოსტასთან დაკავშირებით მას რაღაც დიდი უსიამოვნება შეხვედრია წინათ. ეს უსიამოვნება 1832 წლის შეთქმულების გამო შეხვდა პოეტს (...„იქნება დაკარგულიყო და მერმე: პ.“ — სხვა არაფერია, თუ არა შეფარვით თქმული: იქნება ფოსტაში ვინმეს გაეხსნა წერილი და ლექსი წაეკითხა, რასაც მოჰყვებოდა ავტორის (ნ. ბარათაშვილის) ხელახლა პ[ატიმრობა]).

აი, სწორედ ამის გამო დავაგვიანე ლექსებისა და წერილის გამოგზავნაო, აცნობებს გრ. ორბელიანს ნ. ბარათაშვილი“<sup>206</sup>.

ნიკოლოზ ბარათაშვილი 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებით დაპატიმრებულთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელნიც 1833 წლის პირველ თვეებში, ქაების დასაწყისისთანვე გაუნთავისუფლებიათ ცახიდან.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საგამომძიებლო კომისია „საქმეს“ მხოლოდ იმ პირებს უდგენდა, რომელთანაც საპატიმროში ყოფნისას, ან საკუთარი აღიარებით, ან ნივთიერი მტკიცებით, ანდა დაპირისპირებით დაუმტკიცებოდათ შეთქმულებაში მონაწილეობა.

როგორც ვნახეთ, ნ. ბარათაშვილს აღრევე მოუხპია ყოველგვარი ნივთიერი საბუთები, პირისპირ არავინ წასდგომია, თვითონაც არაფერი უთქვამს და ამის გამო აღრე დაუღწევია

სატუსალოდან თავი. ამიტომაც, რომ მის სახელზე საქმე შედგენილი არ არის.

ეს არის მიზეზი, რომ 1832 წლის შეთქმულების მრავალრიცხოვან ფოლიანტებში ბევრ სხვა „შეთქმულთან“ ერთად ნიკოლოზ ბარათაშვილი არ იხსენიება.

სწორედ ასეთ „მონაწილეებს“ გულისხმობდა ალექსანდრე ორბელიანი, როცა წერდა: „ბევრნი ერივნენ ამ ჩვენს საქმეში, მაგრამ დიახ ფრთხილად და არც თავიანთი თავი გამოაჩინეს კომისიაში“ 207.

პატიმრობიდან განთავისუფლებულ ნიკოლოზ ბარათაშვილს ფარ-ხმალი როდი დაუყრია, პირიქით, იგი ამის შემდეგ უფრო გააქტივებულა. მისი უშუალო მონაწილეობით 1833 წელსვე გამოცემულა ხელნაწერი ალმანახი, რომელშიაც შეტანილ იქნა პატიმრობაში მყოფი, სასჯელის მომლოდინე, კანონგარეშე გამოცხადებული, უფროსი თაობის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი იდეების მატარებელი თბუღლებანი.

ბარათაშვილი არც ამით დაკმაყოფილდა, მან გესლიანი სატირა დაწერა 1832 წლის შეთქმულების გამოძიების მოთავე, მთავარპარტებელ ბარონ როზენზე, შეთქმულების გამცემლებზე და მათ შორის, გუბერნატორ ნიკოლოზ ფალავანდიშვილზე.

ამ სატირას კვლავ შეუშფოთებია ხელისუფლება.

### ხელნაწერი ალმანახი

გიმნაზიაში აღდგენილი ბარათაშვილი ანახლებს მოწაფეთა ლიტერატურული წრის მუშაობას.

ამ წრეში ნ. ბარათაშვილის გარდა შედიოდნენ: მიხეილ

თუმანიშვილი, ლუკა ისარლიშვილი, იასე ანდრონიკაშვილი,  
დავით მაჩაბელი, მიხეილ ბებუთაშვილი და სხვანი.

წრის წევრები კითხულობდნენ და სწავლობდნენ ველ, რუს და ევროპელ კლასიკოსთა ნაწერებს, აწყობდნენ ლიტერატურულ საღამოებს და სხვ. ლიტერატურული წრის ამ საქმიანობას გულისხმობდა ლუკა ისარლიშვილი როცა წერდა: „ჩვენ ვკითხულობდით „ვეფხისტყაოსანს“\* და მთელი ადგილები ზეპირად ვიცოდით. ვკითხულობდით აგრეთვე „ვისრამიანს“, ჩახრუხაძეს, ალ. ჰავციანიძეს“<sup>208</sup>.

წრე მალე ხელნაწერი ქართული აღმანახის გამოცემას შეუდგა. თბილისის გიმნაზიის ლიტერატურული წრის წევრთა თბულებების გარდა ამ კრებულში შეტანილ იქნა უფროსი თაობის მწერალთა ნაწარმოებნიც.

ეს საყურადღებო აღმანახი ამჟამად ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (H № 2684).

სამწუხაროდ, აღმანახს გარეკანი არ ახლავს, ამიტომ არ ვიცით, რა ერქვა თბილისის გიმნაზიის ერთდროულ ორგანოს.

აღმანახი ჩვეულებრივი ზომის რვეულის სახეს ატარებს. ტექსტი დაწერილია მოთეთრო სქელ ქაღალდზე კრებულის რედაქტორ-გამომცემლის მიხეილ თუმანიშვილის ხელით.

---

\* „ვეფხისტყაოსნით“ გატაცებულ ნ. ბარათაშვილს პოემა გადაუწერია, მხატვრულად გაუფორმებია და ქეთევან შალვას ასულ ერისთავისთვის ჭვრისწერის დროს უჩუქებია (იხ. ლეილა ნანიტაშვილი. — „ნ. ბარათაშვილის გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“, ვაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966 წ., № 6) ი. ბ.



კრებულის ფურცლებს უზის პაგინაცია (არაბული ციფრებით) საიდანაც ვგებულობთ რომ თავდაპირველად ქვეყნულში 22 ფურცელი ყოფილა, მაგრამ ახლა აღმანახს შუაში 11 და 12 ფურცელი აკლია.

კრებული ოთხი განყოფილებიდან შედგება, რომელთაგან, ფურცლების (11 და 12) დაკარგვის მიზეზით, მესამე განყოფილება უსათაუროდ და თავნაკლულადაა წარმოდგენილი.

მომყავს აღმანახის განყოფილებათა სათაურები, მასში მოთავსებულ ნაწარმოებთა და ავტორთა სია იმ სახით, როგორც ჩაწერილია იგი კრებულში:

### პირველი განყოფილება

#### პოეზია აპოლოგიური. ზღაპარი

1. ვირი და ბულბული., რუს., თ. გრიგოლ ორბელიანოვი,
2. ვარდი და ია. თ. ნიკოლოზ ბარათოვი, 3. ფოთოლნი და ფესუინი. რუს. თ. მიხაილ თუმანოვი, 4. კრიჟინა და ჭიანჭველა. რუს. თ. გრიგოლ ორბელიანოვი\*, 5. ნარგიზი და ყაყაჩო. თ. ნიკოლოზ ბარათოვი, 6. სირი და ჭვინტა. რუს. თ. მიხეილ თუმანოვი, 7. ნადირთა ჭირი თ. გრიგოლ ორბელიანოვი, 8. ვარდი და ბულბული. თ. ნიკოლოზ ბარათოვი, 9. სოფლელნი და მდინარე. თ. გრიგოლ ორბელიანოვი, 10. ბაყაყნი მთხოველნი შეფისა. თ. მიხაილ თუმანოვი.

\* აღმანახში შეცდომაა „კრიჟინა და ჭიანჭველა“ ნათარგმნია ილიქსანდრე ჭავჭავაძის მიერ. (იხ. ა. ჭავჭავაძე „თხზულებანი“ 1940 წ. გვ. 322) ი. ბ.

## გეორგი ბანუოფილია

პოეზია ბუკოლიური. იდილმა.



1. მირტილი. თ. მიხეილ თუმანოვი, 2. დაუდგრომელი მწყემსი და კეთილი მწყემსა ანუ კომბლე და ხლოე, თ. გ. ორბელიანოვი, 3. მთოვარე, თ. ალექსანდრე ორბელიანოვი. ამ ლექსის შემდეგ რვეულში ამოვარდნილია, როგორც აღვნიშნე, ორი ფურცელი, ამის გამო საფიქრებელია, რომ ამ განყოფილებას რამდენიმე ლექსი უნდა აკლდეს.

## მესამე განყოფილება

1. ამავე მიზეზის გამო, მესამე განყოფილების წარწერა, სათაური და დასაწყისი, დაკარგულია და ამჟამად პირველი ადგილი უკავია თავნაკლულ ეპიზოდს „ვეფხისტყაოსნიდან“, სახელდობრ, როსტევან მეფის მიერ ნადირობის დროს უცხო ყმის (ტარაელის) ნახვის ამბავს, რომელიც იწყება სიტყვებით, „გაბედითდა სიხარული ჩაღანადა ჩანგი ტკბილი“, შ. რუსთაველი, 2. კავკასიური მოთხრობა, თ. ნიკოლოზ ბარათოვი. 3. ოსური მოთხრობა (პოემა), თ. გიორგი დ. ქსნის ერისთავი, 4. პოემიდგან კავკასიის ტყვე, რუსულით, მ. თუმანოვი.

## მეოთხე განყოფილება

პოეზია დიდაქტიკური. აღსაწერი

1. შემოღამება მთაწმინდაზედ. თქ. თ. ნიკოლოზ ბარათოვისა, 2. კახეთი. თ. მიხეილ თუმანოვი, 3. თოვლი თ. დავით მაჩაბლოვი. 4. რომანსი („ავდარში ღამით შემოდგომისა“) რუს. დ. კორღანოვი, 5. იარალისადმი (ავტორი აღნიშნულია 9. ი. ბალახაშვილი

არ არის, მაგრამ ესაა გრ. ორბელიანის ცნობილი ლექსი, რომელიც 30-იან წლებში ხელთნაწერის სახით ხელმოწერულად ვრცელდებოდა), 6. როს ნაპოლეონ შვიდმეფით. (ლექსი) ავტორი ნაჩვენები არ არის, 7. დასასრულს მოთავსებულია ერთი ხანა „ვეფხისტყაოსნიდან“, რომელიც იწყება სიტყვებით: „ილოცვის, იტყვის“...

როგორც ვნახეთ, აღძვანაში ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებიდან მოთავსებულია „ვარდი და ია“, „ნარგიზი და ყაყაჩო“, „კავკასიური მოთხრობა“ და პირველი ვარიანტები ლექსებისა: „ვარდი და ბულბული“ და „შემოდამება მთაწმინდაზე“.

ამ ლექსებში, რომლებიც ბარათაშვილის პირველ ლიტერატურულ ცდებს ეკუთვნიან, უკვე ჩანს მომავალი დიდი პოეტი.

### ნიკოლოზ ბარათაშვილის თარგმანი ტაყიტიდან

დასავლეთ ევროპის განმანათლებლების, აგრეთვე რადიშევის, დეკაბრისტების კონსტიტუციური იდეები და სიმპათიები რესპუბლიკური მმართველობისადმი, რადიკალურად განწყობილ პედაგოგთა მეშვეობით იმდროინდელ სასწავლებლებშიც იჭრებოდა. მაგალითად, დეკაბრისტი პოეტი, ფილოსოფოსი და პედაგოგი ვლადიმერ რაევსკი (1795 — 1872) გაავეთილებზე გატაცებით ჰყვებოდა კონსტიტუციურ და რესპუბლიკურ მმართველობაზე. აქებდა რომისა და ნოვგოროდის რესპუბლიკას. მართლწერის გაკვეთილებზე მოწა-

ფეებს უკარნახებდა საგანგებოდ შერჩეულ სიტყვებს: „თვით-  
მმართველობა“, „თავისუფლება“, „კონსტიტუცია“<sup>209</sup> „თავი-  
სწორობა“.<sup>209</sup>

ხელისუფლება და სკოლის ადმინისტრაცია გააფთრებით  
იბრძოდა ასეთი პედაგოგების წინააღმდეგ. იგივე მდგომარეო-  
ბა იყო თბილისის გიმნაზიაშიც.

„1830 წელს, ტფილისის გიმნაზიის გაბსნის დღეს, ამავე  
სასწავლებლის დირექტორს საჭიროდ დაუნახავს თავის სიტყ-  
ვაში ერთიმეორისადმი დაეპირისპირებინა თვითმპყრობელური  
და რესპუბლიკური მმართველობა. დირექტორი თვითმპყრობე-  
ლურ მმართველობას აქებდა და იცავდა, მაგრამ ეს საქმის  
ერთი მხარეა. თავისთავად უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ  
სკოლის დარექტორს საჭიროდ დაუნახავს თავის სიტყვაში  
რესპუბლიკის შესახებ საჭაროდ ესაუბრა. ჩანს, იგი „ვილაცე-  
ებს“ ებრძვის, იმ „ვილაციებს“, რომელთაც რესპუბლიკური  
მმართველობა მოსწონდათ“<sup>210</sup>.

პროგრესული მასწავლებლები, სოლომონ დოდაშვილი და  
ნიკოლოზ დემენტიევი, სწორედ რესპუბლიკურ იდეებს უქადა-  
გებდნენ თავიანთ მოსწავლეებს, რომელთა ერთი ჯგუფი ხალი-  
სით ითვისებდა დასახელებულ პედაგოგთა მოწინავე შეხედუ-  
ლებებს. ამას მოწმობს, მაგალითად, საქართველოს მეცნიერე-  
ბათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდის №  
2745-ით აღნუსხული კონსპექტის ნაწყვეტი, რომელსაც პირო-  
ბითად, „რესპუბლიკურ ფრაგმენტს“ ვუწოდებთ.

„ფრაგმენტი“ უთარიღოა, მაგრამ „კონსპექტს“ მიწერილი  
აქვს რუსული ტექსტი, რომელშიაც ბარონ როზენს აცნობებენ  
გოგია დავითაშვილის სახლის გამო ატეხილი დავისა და გამო-  
ძიების შედეგებს. რაკი ვიცით, რომ როზენი საქართველოს

მთავარმართებლად იყო 1831 — 1837 წლებში, აღნიშნული „ფრაგმენტიც“ ამ პერიოდში შედგენილად უნდა ვივარაუდოთ.

„კონსპექტზე“ გაკეთებული ლექსიკოლოგიური და სხვა სახის მინაწერები ცხადყოფს, რომ მისი მთარგმნელ-შემადგენელი მოსწავლეა.

ვინაიდან „ფოლიანტი“, რომელშიც ჩვენთვის საყურადღებო „ფრაგმენტიც“ მოთავსებული — მე-18 საუკუნის ცნობილი გადამწესხველის, ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის ჩამომავალთა საგვარეულო ხელნაწერს წარმოადგენს, არ შევეცდებით, თუ „რესპუბლიკური ფრაგმენტის“ ავტორ-შემდგენლად თბილისის გიმნაზიის ერთ-ერთ მოსწავლეს — ჩაჩიკაშვილს მივიჩნევთ.

ჩვენ გვგონია, რომ ეს უნდა იყოს პეტრე ჩაჩიკაშვილი, რომელიც, როგორც ერთი ხელნაწერი ნუსხის ბოლო ფურცლებზე ბარათაანთ და ჩაჩიკაშვილთა შესახებ აღნუსხული საოჯახო მინაწერებიდან ირკვევა, ერთი წლით უმცროსი ყოფილა ნიკოლოზ ბარათაშვილზე.

ხსენებული ხელნაწერის შენიშვნაში პოეტის მამა, მელიტონ ბარათაშვილი, 1827 წელს 36 წლისად მოიხსენიება, დედა ეფემია — 25 წლისად, ნიკოლოზ ბარათაშვილი კი — 11 წლისად. იქვე მოხსენებულია ჩაჩიკაშვილის მამა — 31 წლისად, შვილები: პეტრე — 10, ნიკოლოზ 6 და გიორგი 4 წლისად<sup>211</sup>.

ამ ჩანაწერის საფუძველზე შეიძლება ვილაპარაკოთ ბარათაშვილებისა და ჩაჩიკაშვილების ოჯახთა ახლო ურთიერთობის შესახებ.

„ფრაგმენტში“ განმარტებულია: „რესპუბლიკური მართებლობა“, „ოლიგარხია“ და „შეშლილთა მართებლობა“.

ჩვენს მიერ აქ წარმოდგენილი ტექსტი სავსებით ნათელს ხდის, რომ თბილისის გიმნაზიაში პროგრესულად მოაზროვნე

პედაგოგები მართლაც ეწეოდნენ რესპუბლიკური ხასიათის აგიტაციას. რომელსაც, როგორც ჩანს, მოწინავე მოსწავლეები სათანადოდ ეხმაურებოდნენ.

აი, თვით ამ „ფრაგმენტის“ ტექსტიც:

I. რესპუბლიკის მართებლობათა ეწოდების ოდესაცა უზენაესი სახელმწიფო განყოფილია მრავალთა შორის პირთა. ისი მართებლობა იყოფების არისტოკრატიული და დემოკრატიული. არისტოკრატიულსა ეწოდების იგი, ოდესცა უზენაესი სახელმწიფო იმყოფების ხელთა ქვეშე რაოდენსამე უმაღლესისასა პირისა. ოდესცა უზენაესი სახელმწიფო იმყოფების ხელთა ქვეშე ხალხთა, მაშინ ესრეთსა მართებლობას ეწოდების დემოკრატიულად.

II. ოლიღარხია არის ცოდვის მოხმარება არისტოკრატიისა, ოდესცა რამდენიმე მოქალაქენი წინააღმდეგობასა სჯულთასა, ანუ მდგომარეობათა შეათვისებენ თვისად ყოველთა ზენარეთა სახელმწიფოთა.

III. შეშლილთა მართებლობათა ეწოდების, ოდესცა უზენაესი სახელმწიფო განყოფილია მონარხთა შორის და მირთმეულთათა მისისასა.

უნებურად იბადება კითხვა, თუ რა წყაროთი უსარგებლია ახალგაზრდა ავტორს?

კვლევა-ძიებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მოყვანილი „ფრაგმენტის“ პირველწყაროა სახელოვანი ფრანგი განმანათლებლის შარლ ლუი მონტესკიეს (1689 — 1755) თხზულება „კანონთა არსი“, რომელშიც განმარტებულია პოლიტიკური მმართველობის სისტემები: რესპუბლიკანიზმი, მონარქიზმი და დესპოტიზმი. ჩვენი „ფრაგმენტი“ კი უშუალოდ მომდინარეობს დეკაბრისტი პოეტის, ვლადიმერ რაევსკის მიერ მონტესკიეს „კანონთა არსის“ „მიხედვით შედგენილი კონსპექტური სტატიიდან“. „О правлении, о конституции и проч.“. და მისი სამი პატარა პასაჟის სიტყვასიტყვით ქართულ თარგმანს წარმოადგენს. <sup>212</sup>

ვ. რაევსკისვე ეკუთვნის მონტესკიეს „კანონთა არსის“ გამო დაწერილი მეორე სტატიაც — „მონტესკიეს კანონთა არსის შესახებ“.

დეკაბრისტ რაევსკის დასახელებული წერილი, საიდანაც, ვფიქრობთ, „ფრაგმენტი“ მომდინარეობს, იმხანად დასტამბული არ იყო. უნდა ვივარაუდოთ, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის თანაგომნაზიელს, ხელნაწერად გავრცელებული ერთ-ერთი ასლიდან უთარგმნია.

ასევე საყურადღებოა მეორე ფრაგმენტიც, რომელიც ყრმა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელს უკავშირდება.

ეს ფრაგმენტი..... თუმცა, სჯობს, ყველაფერი თავიდან გაიმბოთ:

რამდენიმე ხნის წინათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში ჩვენი ყურადღება მიიპყრო H ფონდის № 3157 ხელნაწერმა.

ხელნაწერი ერთი ფურცელია, მხედრული; იწყება სიტყვებით, „შესხმა აგრიკოლასი...“ ზემო აშიაზე მიწერილია ცნობილი მწიგნობრის, ზაქარია ჭიჭინაძის, ხელით: „ნ. ბარათაშვილის ნაწერი დამრჩა ლ. ისარლოვისაგან მოწაფეობის დროს დაუწერია ეს წერილი და სხვა ამგვარნი მრავლად“.

ლუკა ისარლიშვილი (1814 — 1893) ნ. ბარათაშვილის სკოლის ამხანაგი იყო.

ლუკა ისარლიშვილთან ზაქარია ჭიჭინაძეს მკიდრო პირადი და ლიტერატურული ურთიერთობა ჰქონდა. ისარლიშვილის გარდაცვალების შემდეგ ზ. ჭიჭინაძემ, სათანადო კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევის დართვით 1895 წელს თბილისში გამოსცა „ლექსინი თქმულნი ლუკა ისარლოვისა“.

ცხადია, როცა ლ. ისარლიშვილმა ზ. ჭიჭინაძეს ბარათაშვილის ზემო დასახელებული ფრაგმენტი გადასცა, თან უთხრა, რომ იგი გენიალური ლირიკოსის მოწაფეობის დროინდელი ავტოგრაფია. აღნიშნული ტექსტის ბარათაშვილის ხელნაწერებთან შეჯერება ექვემოთხატანლად ნათელს ხდის, რომ „შესხმა აგრიკოლასი“ ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფია.

მცირე დრო როდი მოუნდა იმის დადგენას, ორიგინალურია თუ თარგმნილია ეს ფრაგმენტი. თუ თარგმნილია, ვინ არის ავტორი და რა თხზულებასთან გვაქვს საქმე?

გამოიჩქვა, რომ აღნიშნული ხელნაწერი რომაელი ისტორიკოსის, კორნელი ტაციტის (ცხოვრობდა ჩვენი წელთაღრიცხვის დაახლოებით 55-120 წლებში), შრომის — „ცხოვრება და ხასიათები იული აგრიკოლასი“-ს ოცდამეცამეტე და ოცდამეთოთხმეტე თავების ოდნავ შემოკლებულ თარგმანს წარმოადგენს.

იული აგრიკოლა (40 — 93 წწ. ჩვენი წელთაღრიცხვით) ცნობილი რომაელი სახელმწიფო მოღვაწე და სახელგანთქმული მხედართმთავარი იყო, პატრიოტი და თავდადებული მებრძოლი რომის დამოუკიდებლობისათვის.

ბარათაშვილის დასახელებული თარგმანი სტილის მხრივ მეტად ახლოა პოეტის ყრმობის დროინდელ ნაწერებთან, ამის გამო ჩვენ სრულიად დამაჯერებლად მიგვაჩნია ზ. ჭიჭინაძის რწმუნება, რომ „შესხმა აგრიკოლასი“ მგოსნის მოწაფეობის დროინდელი ნამუშევარია.

თავისთავად ისმება კითხვა: რამ წაახალისა ნიკოლოზ ბარათაშვილი ეთარგმნა ეს „შესხმა“?

ცნობილია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს გიმნაზიაში ქართულ ენას გამოჩენილი ქართველი მწერალი, ფილოსოფოსი,



პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე სოლომონ დოდაშვილი (1805 — 1836) ასწავლიდა.

ს. დოდაშვილი ნიკოლოზ ბარათაშვილს ქართულ ენას ასწავლიდა 1830 წელს თბილისში გამოცემული თავისი „შემოკლებული ქართული ღრამატიკით“. სამართლიანად შენიშნავს მკვლევარი ა. გაწერელია, რომ „მომავალი დიდი ლირიკოსის სტილსა და ორთოგრაფიას მკაფიოდ აღუბეჭდავს მასწავლებლის გრამატიკულ ნორმათა ზეგავლენის კვალი“<sup>213</sup>.

„ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში“ მასწავლებლობის დროს ს. დოდაშვილი სხვა საგნებთან ერთად მჭევრმეტყველებასაც (რიტორიკა) ასწავლიდა. იონა ხელაშვილისადმი გაგზავნილ ბარათში იგი წერდა: „სასწავლებელსა შინა, ორშაბათს განთიად ორს ეამს მეხუთეს კლასში გარდავსცემ რიტორიკასა ქართულსა და რუსულსა ენებზედ, მეოთხეში ორს ეამს ქართულს ღრამატიკასა, ლექსთხზულობასა და მართლ წერასა. სამშაბათს დილით ორი ეამი მაქვს მესამეში და ოთხი მეხუთეში ლეოდრაფიისა და რიტორიკისათვის, ოთხშაბათს მესამეში დილით ორი ეამი დანიშნულს საგნისათვის და ორი ეამი მეხუთეში საღამოზედ რიტორიკისათვის, ხუთშაბათს ორ-ორი ეამი 3, 4, 5, და 6 კლასებში ლეოდრაფიისათვის. პარასკევს ეგრეთვე ორ-ორი ეამი 3, 4, 5 და 6 კლასებში რიტორიკისა და ლოდიკისათვის“<sup>214</sup>.

ჯერ კიდევ 1828 წელს ს. დოდაშვილს ქართულ ენაზე შეუდგენია „რიტორიკის“ თეორიული კურსი და შემდეგ უთარგმნია იგი რუსულადაც. 1828 წლის 21 სექტემბერს იგი ამის გამო წერდა იონა ხელაშვილს: „.....ქართული რიტორიკა სრულ ვკჳავ ქართულსა ენასა ზედა და ვთარგმნი რუსულად“<sup>215</sup>.

ს. დოდაშვილის „რიტორიკის“ ნაწილი, აღმოჩენილი თ. კუ-

კავასა და დ. ქუმსიშვილის მიერ, გამოქვეყნებულია უფრო ადრე  
„მნათობის“ 1955 წლის პირველ ნომერში.

„რიტორიკის“ ჩვენამდე მოღწეული ნაწყვეტის ერთ-ერთი  
თავში — „მოკლე ისტორია რიტორიკისა“ — სოლომონ დო-  
დაშვილი ჩამოთვლის ცნობილ რიტორებს: „ძველთაგან უკე-  
თესნი რიტორნი ბერძენთაგან არიან არისტოტელი, ლონგინი,  
რომაელთაგანნი: ციცერონი, კვინტილიონი. ახალთა მწერალ-  
თაგანნი კანონთა მკვერსიტყვაობისათა საკუთრად შესანიშნე-  
ლ არიან ფრანცუსთაგანნი: როლენნ. ბიტე, ლადარპ, ანგლის-  
თაგანნი: ბილერი. ნემეცთაგანნი: ეშენბურდი, მოასი, ლენსიუ-  
სი. რუსთაგანნი: ლომონოსოვი, რიჟსკი, ნიკოლსკი, ტოლმაჩე-  
ვი, ღრეჩი. ქართველთაგანნი: ანტონი, იონა, რუსთაველი და  
სხვანი“<sup>216</sup>.

„რიტორიკის“ თეორიულ სახელმძღვანელოს გარდა ს. დო-  
დაშვილს მკვერსიტყველების ერთგვარი პრაქტიკული სამუ-  
შაო ალბომი თუ ქრესტომათიაც შეუდგენია. 1829 წლის 28  
დეკემბერს იგი ამის შესახებ იონა ხელაშვილს წერდა: „შევა-  
დგინე სხუადასხვანი ზნეობრივი ნაწყვეტობანი (ოტრიჟკი) შე-  
სხმანი, ავთრათნი და სხვანი“<sup>217</sup>.

ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ ქართულად თარგმნილი ტა-  
ციტის დასახელებული თხზულების ფრაგმენტი, ცნობილი  
რომაელი მხედართმთავრისა და რიტორის იული აგრიკოლას  
მკვერსიტყველობის ნიმუშია, აგრესიის დასაძლევად ამდგარ  
რომაელ ჯარისკაცთა გასამზნეველად წარმოთქმული. ამიტო-  
მაც ჰქვია მას „შესხმა აგრიკოლასი სპასპეტისა რომაელითსა  
მხედართადმი თვისთა უწინ არეს ბრიტანთა თანა“.

ნ. ბარათაშვილი 1827 წლიდან 1832 წლის დეკემბრის დამ-  
დეგამდე ს. დოდაშვილის მოწაფე იყო; გვგონია, რომ ინტერე-



სი ტაციტის მოხსენებული ნაწყვეტის თარგმნისა ჩვენ მიერ მითითებული წყაროდან მომდინარეობს.

იმდროინდელ პროგრესულ ახალგაზრდობას ძლიერ აინტერესებდა საბერძნეთისა და რომის გმირული ისტორია; პლუტარხი, ციცერონი, ტაციტი და სხვანი შეადგენენ მათ უსაყვარლეს სახელებს.

საბერძნეთისა და რომის თემა, უწინარეს ყოვლისა, დეკაბრისტული თემა იყო. ცნობილი დეკაბრისტი პ. გ. კახოვსკი ერთ-ერთ თავის ჩვენებაში ამბობდა: „აზრები ყალიბდობა დროთა განმავლობაში. დანამდვილებით ვერ გეტყვით როდის განვითარდა ჩემი შეხედულებანი. ბავშვობიდანვე ვსწავლობდი ბერძნებისა და რომაელების ისტორიას, ალტაცებული ვიყავი ძველი დროის გმირებით“ 218.

მეორე ცნობილი დეკაბრისტი, ი. დ. იაკუშკინი, წერს: „იმ დროს ჩვენ ძალიან გვიყვარდა ანტიკური მწერლები. პლუტარხი, ტიტლივი, ციცერონი, ტაციტი და სხვანი თითქმის ყველა ჩვენგანის სამაგიდო წიგნები იყვნენ“ 219.

დეკაბრისტები განსაკუთრებული სიყვარულითა და ხალისით თარგმნიდნენ ტაციტს. ერთი მათგანი იყო, დეკაბრისტი ისტორიკოსი, ალექსანდრე იოსების ძე კორნილოვიჩი (1800—1834), რომელიც ტაციტის თხზულებათა თარგმანს განაგრძობდა საქართველოში გადმოსახლების შემდეგაც. მკვლევარი მ. აზადოვსკი წერს: „1832 წელს კორნილოვიჩი რიგონად გადმოიყვანეს კავკასიაში, მიყრუებულ, მოუწყობელ დედოფლის წყაროში, მძიმე პირობებში და ნესტიან ყაზარმაში იგი კვლავინდებურად განაგრძობდა მუშაობას, თარგმნიდა ტიტლივის და ტაციტს“ 220.

კორნილოვიჩი ლიტერატურული მუშაობის გასაფართოებ-

ლად კახეთიდან (დედოფლის წყაროდან) თბილისში გადმოსვლას ცდილობდა, რისთვისაც ბეკენდორფს უგზავნიდა თხოვნებს. ერთ-ერთი თხოვნის პასუხად ბეკენდორფი აუწყებდა საქართველოს მთავარმართველ ბარონ როზენს, რომ ალექსანდრე კონილოვიჩი თხოულობს ტფილისში გადმოსვლას, რათა უფრო გააძლიეროს თავისი ლიტერატურული საქმიანობა და თქვენი აზრი მაცნობეთ ამაზეო<sup>221</sup>.

როზენი შემდეგი პასუხით გამოეხმაურა მოწერილობას: „მე ვერ გავბედავ ვიშუამდგომლო მისი გადმოყვანის შესახებ მესანგრეთა კავკასიის ბატალიონში, რომელიც დაბანაკებულია ტფილისში... დიდ ქალაქში მისი გადმოყვანა გახდება საბაბი სხვებისადმი ასეთივე მოწყალე დამოკიდებულებისა... მათი ყოფნა კი ამიერკავკასიის მთავარ ქალაქში მძიმე ტვირთად დააწევბოდა უფროსებს. აგრეთვე საიდუმლო სამხედრო პოლიციას.... რადგან, ყველა დარგში მომუშავე ახალგაზრდა ადამიანებს და აგრეთვე ნაცებს (როზენი გულისხმობს ადგილობრივ მცხოვრებლებს ი. ბ.) შეუძლიათ მართო ცნობისმოყვარეობის გამოც კი ეძიონ მათთან ნაცნობობა და კავშირის დამყარების გზები“<sup>222</sup>.

კორნილოვიჩი სხვა დეკაბრისტებთან ერთად მაინც ჩამოდიოდა თბილისში და უახლოვდებოდა ადგილობრივ საზოგადოებას. ტორნაუ გვიამბობს: „ტფილისის საზოგადოება საერთოდ ძალიან გამდიდრდა ადამიანებით, რომლებთანაც ცხოვრება სასიამოვნო იყო... იმ პირთა რიცხვს, რომლებიც ამრავალფეროვნებდნენ ჩვენი წრის ინტერესს, უდავოდ მიეკუთვნებოდა მრავალი შეწყნარებული დეკაბრისტი, ვინც სამშობლოსაგან თავისი ჩამოშორების უკანასკნელ წლებს კავკასიაში ატარებდა. გეკითხებით, განა შეიძლებოდა გაგეცნო

და არ შეგყვარებოდა წყნარი და დინჯი კორნილოვიჩი, ნარი-  
შკინი, კონოვიცინი, გონებაშეზღუდული ოდოევსკი და უაღრესად  
გულკეთილი ვალერიან გოლიცინი“ 223.

განმანათლებელი იდეების მატარებელი სოლომონ დოდა-  
შვილი, როგორც მისი „რიტორიკის“ ჩვენამდე მოღწეული  
ნაწყვეტიდან ჩანს, ანტიკურ მოწინავე მწერალთა და მკვერ-  
მეტყველთა დიდი პატივისმცემელი ყოფილა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ სათარგმნელად ტაციტის  
არჩევა ამჯერად მიუთითებს ყრმა პოეტის სიმპათიებზე განმა-  
ნათლებელი, რესპუბლიკური და დეკაბრისტული იდეებისადმი.

აი, თვის ტექსტიც:

შესხმა აგრიკოლასი სპასპეტისა რომელითსა-მხედართდამი თვისთა  
უწინა[რ]ეს ომისა ბრიტანთა თანა

მეგობარ-ამხანაგნო!

რვა უკუე არს წელი, რომელ იპყრობთ თქვენ ბრიტანიასა ყოელის  
შემძლებლის პრომისათვის და საქმენნი თქვენი სათნოეყვან მორწმუნეთა  
ძეთა მისთა. არა თუ მხოლოდ ჭერ იყო თქვენდა ძლევად მტერთა შრა-  
ვალთა; არამედ თვით ბუნებისაცა. ში! ღვაწლნო აღერიცხუენო, ში!  
სასწაულებრო მოთმინებაო. კმაყოფილ არიან სპასპეტი და მხედრობაი  
მისი ურთიერთარს.

არა ყოფილან აქა არც ჩემნი და არცა თქვენნი წინაპარნი. არა სიტყვი-  
თა სმენისათა მხოლოდ ვეშთავრეთ ჩვენ სრულსა ბრიტანიასა, გარნა  
ნამდვილად ვსდევით მახვილითა ხელთა შინა? ჩუენთა უკანასკნელთა  
ზღუდეთა ზედა მისთა პოენილ არს და ძლეულ არს ქუეყანაი ახალი, მა-  
რად, როს განაღდიოთ, კლდეთა მალალთა და მდინარეთა ღრმათა.

მხნენი თქვენგანნი ევითხოდენ ურთიერთარს როს ვიომებთ? სადა არნ  
მტერნი? აქა იჯისი!... გამოვიდნენ საიდუმლოთა სახლთაგან თვისთა და  
ემზადვიან, რათა ემსხუერპლონ გმირობასა თქვენსა! კვალაცა ერთი ძლევა  
და მერმედ შესრულდების ყოველი!

ჭი! საქებელ არს ესე. რომელ ჩუენ ვუწყოდით სვლა ბნელთა ტყეთა შორის და სამიშართა კაობთა შორის; გარნა უკეთუ ვივლოდით ჩვენ, მაშინ წარგვეწყმედს ჩუენ თეით იგი, რაითაცა აწ ვაქებთ თავთა ჩუენთა.

ბრიტანთა უკეთეს ჩუენსა იციან ადგილნი თვისნი, აქუსთ უმეტეს ქამალი; გარნა ჩუენ გვაქვს ხელი და მახელი, მაშასადამე ჩუენ ამას ყოველ ღტოლევასა შინა არა არს ხსნაი;

აჰა ჩემ წესი! რომაელსათვის პატივი მარადის უსიყვალურ არს სიციხელისა; გარნა აწ ივინი განუყრელ არიან — ხოლო უკეთუ სათანადო არს ჩუენდა სიყუდილი, მაშა უსაქებელეს ყოვლისა არს მოუყდომა მუნ, სადაც არს დასასრული ბუნებისა.

თქვენ გქონდათ საქმე ერთა თანა უცნაურთა და მტერთა თანა ახალთა, მაშინ ვითხრობდით მე მაგალითად სხუათა მხედართა რომაელთათა; გარნა აწ საკირო არს მოვიხსენოთ მხოლოდ საყუთარნა საქმენი თქუენნი.

ვის პხედავთ წინაშე თქუენსა? მათ. რომელთაცა ამას წინა წელსა დროსა ოდენ ღამისასა ენებათ იღუმალ გამორეზებად ერთისა ჩუეთანგანისა ლეგიონისა და მეყსეულად ვანიბნიენენ უკვე, რა ესმით ხმანი გმირთა პრომისათანი. მსწრაფლმან ღტოლვამან იხსნა იგი სიყუდილისაგან.

ძლიერნი მხეცინი ეომვიან მონადირეთა, ხოლო მხეცინი მბდალნი ილტვიან მათგან, შეესმით რა ტყეში ხმაი მათი.

ესრეთ მხნენნი ძენი ბრიტანიისანი აღრე უკუედაეცნენ ცემათა ქუეშე თქუენთა; ხოლო აწ დაშთენილ არიან მოშიშნი და სულმოკლენი. ივინი არა გელოდენ თქვენ მუნ, არამედ თქვენ მსძებნეთ ივინი, განცვიფრებულნი დიდითა შიშითა მზანი მოწყვეტად ხელთაგან თქუენთა და წარწყმედითა თვისითა მოაქციონ ყურადღებაი სოფლის პრომაელთა გმირთა ზედა.

მეგობარ-ამხანაგნო! კვალადცა ერთი დღეი დიდებისა და იყვის დასასრული ომისა რვა წლოვანისა და რესპუბლიკაი კმაყოფილ იქნების თქვენ მიერ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის თარგმანი ტაციტიდან, ამიერიდან პოეტის თხზულებათა კრებულში უნდა შევიდეს.



1835 წლის მაისში, როცა ნიკოლოზ ბარათაშვილი თბილისის გიმნაზიის მეექვსე კლასში იყო, მისი აქტიური თანამშრომლობით გამოვიდა მოსწავლეთა ხელნაწერი რუსული ჟურნალის „Цветок Тифлисской Гимназии“-ის პირველი ნომერი.\*

პირველი ნომრიდან ჩვენამდე მოადრწია 18 გვერდმა და ისიც უპირავი შესწორებით. გადარჩენილ ნაწილში მოთავსებულია აღმოსავლური ზღაპარი „ბედნიერება“ და მიხეილ თუმანოვის პროზა „ქართლში — ჩასვლა“ („საღამო გორის გზაზე“).

მეორე ნომერი შენახულია მთლიანად (63 გვ.). მასში მოთავსებულია: — ლექსები ე. ვილემსისა „მეგობრებს“, „თავ. მ. თუმანოვს“ და მ. თუმანოვის „კავკასია“, აგრეთვე მ. თუმანოვის პროზა „თელეთობა“, იასე ანდრონიკოვისა — „წერილებიდან კახეთზე“, ა. მონატირსკის „ბრძოლა მთიელებთან“ (რუსი ოფიცრის ნაამბობი), ე. ვილემსისა — „გერმანული ანეგდოტები“ და „გამოუცდებლობა“ (არაკი), მ. ბებუთოვისა — „რომელთა ზნე-ჩვეულებებზე“. აქვე მოთავსებულია „ვისრამიანიდან“ თარგმნილი ნაწყვეტი „შაპროს მოთქმა ვისზე“.

მესამე ნომერში (74 გვ.) არის ლექსები მ. თუმანოვისა — „პოეტი და აღმაფრენა“, „ელეგია“, „განმარტოება“, „ტოტი და ობოლი“. ე. ვილემსისა „ველიზარი ნარგიზის კართან“, მ. ბებუთოვის პროზა „ერმაკის სიკვდილი“, ი. ტიტკოვისა—

\* ეს ხელნაწერი ჟურნალები ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში, მიხეილ თუმანიშვილის პირად საარქივო ფონდში № 572.

„წერილები სოფლიდან“, ი. ანდრონიკოვისა — „მოხუცის ნაამბობი“, ხოლო ისტორიულ განყოფილებაში სტატიები: მ. თუმანოვისა „ერეკლე II-ის მეფობა (თარგმანი ს. დოდაშვილიდან) და „შეხედულება ძველი მსოფლიოს ამბებზე“.

მეოთხე ნომერში მოთავსებული ყოფილა: ლექსები გ. ვარლამოვისა — „ელეგია“, „სალამო ტბის მიდამოებში“ მ. თუმანოვისა — „კახეთი“, „ტყის სიზმარი“, ე. ვილემსისა — „თავ. მ. ბებუთოვს“. პროზა გ. ვარლამოვისა — „ფურცელი კახეთზე“, ნ. ბარათაშვილისა — „წერილი სოფლიდან“, „პაპის ხელისუფლების შესახებ“ (1. პაპიზმის აღორძინების შესახებ. 2. მისი დაცემის შესახებ) და „ვისრამიანის“ ნაწყვეტის თარგმანი, ლ. მელიქოვისა — „წერილები საქართველოდან“, გ. გასპაროვისა „ქოხი“, ა. მონასტირსკისა „სასაფლაო“, ი. ტიტკოვისა — „რა ხშირად გვიგზავნის განგება მეგობარსა და თანაშემწეს უბედურებაში“, მ. თუმანოვისა — „კობის ციხე“, ი. ანდრონიკოვის — „ფრანგული ანეგდოტები“, მ. ჭყონიასი — „მამის მკვლელობა“, ე. ვილემსისა „ნატურის პატარა ნაწარმოებნი ახალციხის ფაშალიკში“.

„ყვავილის“ მეოთხე წიგნი ნაპოვნი არ არის, მასში შესულ მასალათა შესახებ ჩვენ ვგებულობთ მეხუთე ნომერში მოთავსებული საერთო სარჩევადან.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ მიხ. თუმანიშვილის ნაწერებში ინახება რვეულის ნახევი, რომელშიც მოთავსებულია მიხ. თუმანიშვილის ლექსის ნაწილი (უსათაუროდ) ვარლამოვის ლექსი „ძილი“, პროზა „სასაფლაო“ და „სალამო მეგობრებთან“ ალექსანდრე მონასტირსკისა, უკანასკნელ გვერდზეა „ციხე-კოშკი კობი“ (ისტორიული მოთხრობა), დასასრული.



უნდა ვივარაუდოთ, რომ რვეულის ეს ნახევი „ყვავილის“ მეთხე ნომრის შავს წარმოადგენს.

მეხუთე ნომერში (82 გვ). არის ლექსები თ. თუმანოვისა — „მფარველ გენიას“ და „მეგობარს“, ე. ვილემსისა — „მსოფლიოს ამოება“, პროზა ე. ვილემსისა — „მეფე ერეკლე II და თათარი ალავერდა“, მ. ბებუთოვისა „მოგზაურობა სომხეთში“, ს. დოდაშვილისა — „ქართული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა“ (თარგმანი მ. თუმანოვის) და მ. თუმანოვისა — „საერთო ცნობა საშუალო საუკუნეთა მდგომარეობის შესახებ“.

ქურნალის მეხუთე, ბოლო ნომერი, გამოვიდა 1836 წლის თებერვალში, როცა მისი თანამშრომლები, მეშვიდე დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები იყვნენ.

„ყვავილის“ პირველ ნომერს თავფურცელზე ეწერა, რომ იგი შედგენილია გიმნაზიის მოწაფეთა საკლასო ნამუშევრიდან, მაგრამ სხვა ნომრებს ეს აღარ აწერია, რაც უკვე იმას ნიშნავდა, რომ მოწაფეებს თავდაპირველად განზრახვაზე ხელი აღუდიათ. მართლაც, ქურნალის მომდევნო ნომერში ისეთი მასალა იყო მოთავსებული, რომლებიც საკლასო ნამუშევარი არაერთარ შემთხვევაში არ შეიძლება ყოფილიყო. მოწაფეებმა ქურნალის მეორე ნომრიდან საკუთარი გზა აირჩიეს.

„ყვავილი“, — წერს მკლევარი მ. გოცაძე, — დგებოდა მოწაფეების მიერ და ცხადია, იგი ვერ აცდებოდა იმდროინდელი სკოლის საერთო აღზრდის იდეოლოგიურ მიმართულებასა და გავლენას. მაგრამ ქურნალში იყო აგრეთვე მრავალი მასალა, რომლებიც მაშინდელი სკოლის ოფიციალურ პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა“<sup>224</sup>.

ჩვენი აზრით, ქურნალში შეინიშნება დეკაბრისტთა იდეუ-

რი ზეგავლენა. „ყვავილის“ თემატიკა თავისი შინაარსით ზოგ შემთხვევაში განძანათლებლური, რესპუბლიკური და დეკაბრისტული ხასიათისაა. ეს გარემოება უწყურადღებოდ იყო დატოვებული \*.

ცნობილია, რომ 1825 წლის 14 დეკემბრის ამბოხების შემდეგ, საქართველოში გადმოსახლებულ იქნა არა ერთი დეკაბრისტი, რომელთა შორის იყვნენ პოეტები, ბელეტრისტები, ისტორიკოსები და სხვა დარგის წარმომადგენლები. ურნალის თანამშრომლები, რომ პირადად იცნობდნენ თბილისში გადმოსახლებულ დეკაბრისტებს, მათ მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურას, ეს სრულიად აშკარად ჩანს.

„ყვავილის“ გამომცემელი და თანამშრომელი მ. თუმანიშვილი (1818 — 1875) ჟურნალის მეორე ნომერში მოთავსებული ლექსის „Кавказ“-ის შენიშვნაში ასახელებს სახელოვან დეკაბრისტ მწერალს, ალექსანდრე ბესტუჟეე-მარლინსკის (1791 — 1837), რომელიც 1829 წელს გადმოიყვანეს კავკასიის მოქმედ არმიაში, თბილისში ხშირად ჩამოდიოდა და სამშობლოში დაბრუნება აღარ ელირსა. იგი დაიღუპა სიმაგრის აღების დროს აღლერის კონცხზე.

აი, ეს შენიშვნა, რომელშიაც ა. ბესტუჟეე-მარლინსკია მოხსენებული: „Я понимаю здесь старый и новый; старый — это до потопа: новый — после потопа. Некоторые ученые полагают, что выси Кавказа не были затоплены во время всемирного потопа. См. у Клапрота, Марлин-

\* „ტფილისის გიმნაზიის ყვავილის“ დეკაბრისტული იდეების შესახებ წერილი გამოვაჭვეყნეთ ჟურ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1956 წ., №-6.

ского — и что всего вероятнее, — прислушайтесь к преданиям горских народов, людей столько же верующих в старину, сколько и ненавистников настоящего“.

შერისხული მწერლის, ა. ბესტუჟეე-მარლინსკის ასეთი პატივისცემით მოხსენება, იმ დროს დიდ გამბედაობად უნდა ჩაეთვალოს ეურნალს.

თუ „ყვავილში“ ბესტუჟეე-მარლინსკი მხოლოდ მოხსენებულისა, ეურნალში მოთავსებულია გამოჩენილი დეკაბრისტი მწერლის, კონდრატი რილევის (1795 — 1826) ბალაღის „Смерть Эрмака“-ს გავრცელებული პერიფრაზი, რომელიც შემდეგ კრილოვის არაკების ქართულად მთარგმნელს — მიხეილ ბებუთაშვილს (1818 — 1882) ეკუთვნის.

კ. რილევი თავის ბალაღებში ზოგჯერ ხელოვნურად ახვიადებდა ისტორიულ პიროვნებათა დეაწლს. ცხადია, ამას სჩადიოდა სრულიად შეგნებულად, სააგიტაციო მიზნით, რათა მკითხველში სამშობლოსათვის თავდადების შეგნება განემტკიცებინა.

ერმაკის პიროვნების რილევისებური ინტერპრეტაცია თავიდან ბოლომდე წითელ ზოლად მიჰყვება „ყვავილში“ მოთავსებულ მ. ბებუთაშვილის ნარკვევს „Смерть Эрмака“-ს, მაგრამ იგი ფაქტიური მასალის მხრივ გაშლილი და გავრცელებულია.

დეკაბრისტები არანაკლებ ყურადღებას აქცევდნენ სხვა ხალხთა ისტორიას და მათი მმართველობის სისტემას. ისინი დაინტერესებული იყვნენ რომისა და საბერძნეთის წარსულით. ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის ისტორიით და თანამედროვე მდგომარეობით. თვალყურს ადევნებდნენ საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციას, ოპოზიციურ მო-

ძრობას გერმანიაში, ესპანეთის, იტალიისა და საბერძნეთის აჯანყებებს და სხვ.

დეკაბრისტთა, როგორც მხატვრულ, ისე სამეცნიერო და პუბლიცისტურ ლიტერატურაში ვხვდებით საგანგებო ნაწერებსა და ცალკეულ გამონათქვამებს რომის წარსულის, განსაკუთრებით, მისი რესპუბლიკური პერიოდის შესახებ. ამიტომ იყო, რომ დეკაბრისტები განსაკუთრებული სიყვარულითა და ხალისით ეწაფებოდნენ პროგრესული ისტორიკოსთა შრომებს რომის წარსულზე. ცნობილი ისტორიკოსები: ტიტ-ლივი, პომპეი ტროგი, კორნელი ტაციტი, მონტესკიე, გიბონი და სხვანი დეკაბრისტთა საყვარელი ადამიანები იყვნენ.

ამ შემთხვევაში ჩვენ ცალკე გამოვყოფთ დეკაბრისტთა დაინტერესებას ცნობილი ინგლისელი სწავლულის გიბონის შრომით „რომის იმპერიის დაქვეითებისა და დაშლის ისტორია“.

ჯერ რამდენიმე სიტყვა თვითონ გიბონზე. ედუარდ გიბონი (1737 — 1794) ახალგაზრდობის წლებიდანვე გაიტაცა განმანათლებელმა იდეებმა. ლოზანაში იგი პირადად ხვდებოდა სახელგანთქმულ ვოლტერს. ლოზანაში ყოფნის დროს ვოლტერმა ჩამოაყალიბა სცენისამოყვარეთა წრე, რომელშიც თვითონაც მონაწილეობდა, როგორც აქტიორი და დეკლამატორი. გიბონი ამ წრის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო. ვოლტერთან ურთიერთობამ დიდი გავლენა მოახდინა გიბონის მსოფლმხედველობაზე და აღუძრა სურვილი უფრო ახლო გაეცნო მოწინავე მოაზროვნეთა ნაწერები, პირადად დაახლოებოდა მათ.

1762 წელს გიბონი პარიზში ჩავიდა, შეხვდა და გაეცნო საფრანგეთის ბევრ განმანათლებელს, მათ შორის დიდროს,

დალაშქრს, პოლბახს. პარიზში ყოფნამ საბოლოოდ ჩამთავრა-  
ლიბა გიბონის მსოფლმხედველობა როგორც დენისტის და  
რადიკალისა.

თავის პირველი ბეჭდური შრომა — „ცდა ლიტერატურის  
შესწავლის შესახებ“ გიბონმა მონტესკიეს მიხედვით დაწერა.  
მონტესკიეს წიგნმა — „მსჯელობა რომაელთა განდიდებისა  
და დაცემის მიზეზების შესახებ“ ბიძგი მისცა გიბონს დაეწყო  
მუშაობა თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაზე „რომის იმპე-  
რიის დაქვეითებისა და დაშლის ისტორია“, რომლის პირველი  
ტომი გამოვიდა 1776 წელს, ხოლო ბოლო მეექვსე — 1787  
წელს. წიგნმა საყოველთაო აღიარება გამოიწვია პროგრესულ  
საზოგადოებაში, სამაგიეროდ, აღაშფოთა ეკლესია და ხელი-  
სუფლება.

დეკაბრისტები გატაცებით სწავლობდნენ გიბონს. ცნობი-  
ლი დეკაბრისტი ალექსანდრე პეტრეს ძე ბელიაევი წერს, რომ  
მისი და მისი ძმის შეხედულებათა გამომუშავებაში გიბონის  
დასახელებულმა შრომამ გადამწყვეტი როლი ითამაშა<sup>225</sup>.

ამიტომ იყო, რომ დეკაბრისტები ასეთი მონდომებით  
თარგმნიდნენ გიბონს, აწარმოებდნენ მისი შრომის ციტაციას,  
მის პოპულარიზაციას.

ჩიტაში გადასახლებულმა დეკაბრისტებმა კოლექტიურად  
თარგმნეს გიბონის დასახელებული შრომა. გიბონს თარგმ-  
ნიდნენ დეკაბრისტები — ძმები ალექსანდრე და პეტრე ბე-  
ლიაევი, რომლებიც 1840 წელს აღმოსავლეთიდან საქართვე-  
ლოში გადმოასახლეს.

გიბონის შრომას — „რომის იმპერიის დაქვეითებისა და  
დაშლის ისტორიას“ დაუინტერესებია „ტფილისის გიმნაზიის  
ყვავილის“ თანამშრომლებიც. ყვავილის მეორე ნომერში

მოთავსებულია მ. ბებუთაშვილის ნარკვევი. „О нравах римлян“, რომელიც გიბონის ზემო დასახელებული შრომის, ერთი ნაწილის გადმოცემას შეიცავს და რომელშიაც დამოწმებულია თვითონ გიბონის სახელი. აი, ეს ადგილი: „Вероятно, что смысл Гибона — все пороки стекались с Востока, была истина и Римлян, славившиеся прежде своею храбростью, превратились в народ буйный, расточительный и готовый на все злодеяния“.

თუ ბებუთაშვილმა „ყვავილისათვის“ გიბონის მიხედვით დაამუშავა თემა „რომაელთა ზნე-ჩვეულებებზე“, ეურნალის მეოთხე ნომერში, ნიკოლოზ ბარათაშვილს მოუთავსებია ნარკვევი „О папской власти 1. О возвышении Папизма 2. О падении его“.

„ყვავილის“ მეოთხე წიგნი. როგორც აღვნიშნეთ. ჯერ აღმოჩენილი არ არის, ამიტომ გადაწყვეტით რაიმეს თქმა ამ მასალის შესახებ არ შეიძლება. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ნ. ბარათაშვილის წერილი დეკაბრისტი მწერლის, კონდრატი რილევის სტატიის „Причина падения власти пап“-ის იდეური ზეგავლენით უნდა შექმნილიყო.<sup>226</sup> შემთხვევითი არ არის რილევისა და ბარათაშვილის შეხვედრა წერილების სათაურებში.

მართალია, კ. რილევის ზემოდასახელებული სტატია მაშინ გამოქვეყნებული არ იყო, მაგრამ სახელოვანი დეკაბრისტის არათუ პოეტური და პუბლიცისტური ნაწერები, არამედ პირადი წერილებიც კი, ხელნაწერებიდან ასლების სახით გამრავლებული, ხელიდან ხელში გადადიოდა. ცნობილია, რომ რილევის მიერ სიკვდილით დასჯის წინ, საპატიმროდან ცოლისადმი გაგზავნილი პირადი ბარათი, სახელოვანმა ქარ-

თველმა ფილოსოფოსმა სოლომონ დოდაშვილმა, რომელიც როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს, ერთ დროს ნ. ბარათაშვილს და „ყვავილის“ სხვა მონაწილეებს ასწავლიდა, 1826 წელს პეტერბურგში გადაიწერა სტუდენტ, იაკობ კრუპსკისაგან და ჩამოიტანა საქართველოში.

თბილისში იმხანად უამრავი დეკაბრისტი ჩამოდიოდა, და გამორიცხული არ არის, რომ რილეევის წერილს „Причина падения власти пап“-ს ყრმა ნიკოლოზ ბარათაშვილი ხელნაწერში გასცნობოდა.

ცნობილია დეკაბრისტთა გატაცება გამოჩენილი ფრანგი განმანათლებლის ეან-ფრანსუა მარმონტელის „ველიზარიანით“. „ყვავილის“ მესამე ნომერში, მოსწავლე ე. ვილემსის მიერ, გალექსილია ერთი ადგილი მარმონტელის „ველიზარიანიდან“. „Песнь Велисария у порога Нарцеса“.

თბილისის გიმნაზიის ხელნაწერ ჟურნალში სხვა საინტერესო მასალაცაა მოთავსებული, რომელიც ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის მეტად საყურადღებო ცნობებს შეიცავს.

## ნიკოლოზ დემენტიევი

მკითხველმა უკვე იცის, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი, გიმნაზიაში ყოფნის დროსვე გაეცნო რუსი და ევროპული ლიტერატურის შედევრებს და თანამშრომლობდა მოწაფეთა რუსულ ხელნაწერ ჟურნალში.

ბუნებრივად ისმება კითხვა, ვინ იყო ის კაცი, რომელიც ხელს უწყობდა ბარათაშვილს. ზიარებოდა რუსული და ევ-

როპული კლასიკური მწერლობის ძეგლებს და ამასთანავე ხელმძღვანელობდა მოწაფეთა ხელნაწერ ჟურნალ „ცხვ-ტოკს“.

ჩვენი აზრით, ეს იყო თბილისის გიმნაზიის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნიკოლოზ ტიმოთეს ძე დემენტიევი.

დემენტიევის ყოფილი მოწაფე დ. ყიფიანი აღფრთოვანებით წერს თავის მასწავლებელზე: „კეთილგონიერი და ყოვლად მოსაწონი მოწაფეთათვის, რუსული ენისა და რუსული სიტყვიერების მასწავლებელი იყო, კანდიდატი ხარკოვის უნივერსიტეტისა, ნიკოლოზ ტიმოთეს ძე დემენტიევი“<sup>227</sup>.

ბარათაშვილის სკოლის ამხანაგი ლუკა ისარლიშვილი, აგრეთვე მოწაფე დემენტიევისა, გადმოგვცემს: „რასაც გვასწავლიდა, ისე კარგად გვასწავლიდა, თითქოს პირში ლუკმას გვიდებდა“<sup>228</sup>.

დემენტიევი არ კმაყოფილდებოდა „პროგრამით“ გათვალისწინებული მასალითა და „კაზიონური“ სახელმძღვანელოთი, სწავლების პროცესში ის იყენებდა „არაოფიციალურ ლიტერატურას“, ჟურნალ-გაზეთებს, ავარჯიშებდა შეგირდებს მკვერპეტყველებაში და სხვ.

ეფრემ ალექსი-მესხიშვილის ცნობით: „ერთგზის 1831-ს წელში ტფილისის ლიმნაზიის რუსის უჩიტელს, დემენტიევს, ადრინდელის გაზეთებიდგან თუ ჟურნალიდგან გადმოიწერივნებინა შეგირდებისთვის. ერთის დიდაკაციის არზა. რომელიც მიუცია ალექსანდრე იმპერატორისადმი, რადგან არზა იგი იყო კარგი თხზულება და სახმარი რიტორებრივი ამის გამო“<sup>229</sup>.

ბარათაშვილის მკვლევართა და კრიტიკოსთაგან ასე ხშირად მოხსენებული მიცვევიჩის „ფარისი“, რომლის შესახებაც



ლუკა ისარლიშვილი ამბობს, რომ „ჩვენს დროში ეს ლექსი ძალიან მოდაში იყო, დაბეჭდილი იყო კიდეც“. <sup>230</sup> თბილისის გიმნაზიის მოწაფეებმა და მათ შორის ნიკოლოზ ბარათაშვილმა პირველად დემენტიევისაგან გაიგონა.

„დემენტიევმა, — წერს იონა მეუნარგია, — კარგად იცოდა თავისი ხელობა და მისმა შეგირდებმა — მათ შორის ბარათაშვილმა — ჩინებულად ისწავლეს რუსული ენა. მეტადრე რუსულ კითხვას უჭებდნენ ამ მასწავლებელს. მეტადრე კარგად კითხულობდა თურმე ეს მასწავლებელი მიცკევიჩის „ფარისის“, რუსულად ნათარგმნს“ <sup>231</sup>.

„ფარისის“ რუსული თარგმანის რომელ ვარიანტს შეიძლებოდა გასცნობოდა დემენტიევისაგან ნიკოლოზ ბარათაშვილი?

სახელოვანი პოლონელი პოეტის ადამ მიცკევიჩის (1798 — 1855) მიერ 1828 წელს დაწერილი „ფარისის“ ორი პირველი რუსული თარგმანი ერთდროულად დაიბეჭდა 1829 წელს ვ. ნ. შჩასტინის აღმანახ „პოდსნეჟნიკში“ და პ. პ. მანასეინისა ეურნალ „სინ ოტჩესტვოში“.

პ. პ. მანასეინი — იყო ძმა „ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლის“ დირექტორის — ელპიდიფორ პეტრეს ძე მანასეინისა, რომლის შესახებაც ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი.

საჭიროდ მიმაჩნია აქვე შევნიშნო, რომ პოეტი-მთარგმნელი პეტრე მანასეინი 1828 — 1830 წლებში ქალაქ დინაბურლში იმყოფებოდა და მასთან ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დინაბურლის ციხის პატიმარს, დეკაბრისტ პოეტს, ვ. კ. კიუხელბეკერს. კიუხელბეკერი, რომელსაც იმხანად მიმოწერის უფლება არ ჰქონდა, ბარათებს სწორედ ამ მანასეინის სახელზე იღებდა <sup>232</sup>.

„ფარისის“ დასახელებული ორი პირველი რუსული თარგმანის ვარიანტიდან საზოგადოების მოწონება პეტრე მანასეინის თარგმანს დაუმსახურებია. ფ. ე. სკრეადევსკი 1830 წლის აგვისტოში დინაბურლის საპატიმროში წერდა ვ. კიუხელბეკერს „П. П. Манасенна перевод фариса ближе всех“. 233

აი, „ფარისის“ ეს ორი რუსული თარგმანი იყო მაშინ ცნობილი და მხოლოდ ეს თარგმანები შეეძლო გაეცნო ბარათაშვილისა და მისი თანაგვიმნაზიელებისათვის მასწავლებელ დემენტიევს.

პოეტმა სოლომონ რაზმაძემ (1797 --- 1862) უმაღლეს ქართულად თარგმნა „ფარისი“. 1832 წლის 9 იანვარს, ს. რაზმაძეს პოეტ გრიგოლ ორბელიანისთვის გადასათვალთვრებლად გადაუგზავნია თარგმანი — შემდეგი ბარათის დართვით: „ბრწყინვალე კნიაზო გრიგოლ!.. ეს რეეული ჩემგან გადმოჩმახვილი ფარისი არის. წაკითხვის ღირსი კი არ არის, მაგრამ რადგან ასე მწყალობთ, რომ თავს იმდაბლებ ჩემს ნათარგმნის წასაკითხავად, ამად მოგართვი“ 234.

შედარებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ რაზმაძის თარგმანი სწორედ პეტრე მანასეინის „ფარისის“ რუსული თარგმანიდანაა გაკეთებული.

ნიკოლოზ ბარათაშვილი დიდად პატივს აცემდა და აფასებდა დემენტიევს. სიყვარული რუსული ენის ჩინებულ ოსტატსადმი გვიმნაზიის შემდეგაც გაპყოლია პოეტს. პროფ. ა. ხახანაშვილი ბარათაშვილის თანამედროვეთაგან შეარებილი ცნობების საფუძველზე წერდა: „ნიკოლოზ ბარათაშვილი ყოველთვის მაღლობით იხსენიებდა რუსული ენის მასწავ-

ლებელ დემენტიევს, მიცკევიჩის ლექსის საუცხოვო მკითხველს“ 235.

ნიკოლოზ დემენტიევმა თბილისში ყოფნისას საფუძვლიანად ისწავლა თათრული ენა და 1839 წელს შეადგინა და დაბეჭდა თათრული „ანბანი“.

დემენტიევი ასწავლიდა სახელოვან ქართველ მწერალს, ილია ჭავჭავაძესაც. გიმნაზიაში სწავლის პერიოდში ილია გატაცებული ყოფილა დემენტიევის ქალიშვილით. კონტა აბხაზი წერს: „ილიას პირველი სატრფო გახლდათ ვინმე ტერ-ასატუროვისა. ილია იქნებოდა ესე 13 — 14 წლისა. მისი სატრფოს მშობლები სცხოვრობდნენ თამაშშევის ქარვასლის მეორე სართულში. ხშირად მიუახლოვდებოდით ხოლმე მე და ილია მიაღვთაების სარკმელს და იქიდანაც ღიმილით გადმოგვხედამდა ხოლმე პატარა ქალი. ტერ-ასატუროვისას მოჰყვა ჩვენი გიმნაზიის დირექტორის დემენტიევის ქალიშვილი“ 236.

სამოციან წლებში დემენტიევმა დიდი დახმარება აღმოუჩინა „განახლებული ქართული თეატრის მესვეურთ“, რომლებიც წარმოდგენებს აწყობდნენ თბილისის გიმნაზიის სააქტო დარბაზში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის დ. ყიფიანის საარქივო ფონდში დაცულია ნ. დემენტიევის ორი ბარათი დ. ყიფიანისადმი (საბუთთა კონა № 371) და დ. ყიფიანის ერთი ბარათი ნ. დემენტიევისადმი (საბუთი № 429).

დემენტიევმა სამოციან წლებში თავი დაანება პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი ისევ ცოცხალი იყო, როცა 1876 წელს, მისი გენიოსი ნამოწაფრის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ნაწერების პირველი კრებული დაისტამბა.



„ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში“ ყოფნისას, ცხენიდან გადმოვარდნილი, ერთხელ დამტვრევას გადაარჩენილი ნიკოლოზ ბარათაშვილი, დაშავებას მაინც ვერ ასცდა.

ამ უბედური შემთხვევის ისტორია და თარიღი დასაზუსტებელია.

ზ. ჭიჭინაძის ცნობით: „1832 წელს ბარათაშვილი კიბიდან გადმოვარდნილა და ფეხები დაუმტვრევია, ბოლოს დიდის წამლობით მოუტრჩენიათ, მაგრამ შემდეგ ისე მარღათ ვეღარ დადიოდა“<sup>237</sup>.

ეს თარიღი აქეთ უნდა გამოიწიოს, რადგან, 1835 წლის 25 ივლისს, გრიგოლ ორბელიანი, რიგიდან ეკითხებოდა თავის ძმას, ზაქარიას: „რასა იქს ტატიკო, კიდევ კოჭლობს, თუ აღარა? და ან რას ჰსწავლობს?“<sup>238</sup>. ცხადი ხდება, რომ პოეტის დაშავება ბარათის გაგზავნის წინა ხანებში მომხდარა, მაგრამ, სახელდობრ, რომელ წელს?

მკვლევარი სოლომონ ცაიშვილი ვარაუდობდა, რომ ეს ამბავი 1835 წლის ზამთრის ბოლოს ან გაზაფხულის დამდეგს უნდა მომხდარიყო<sup>239</sup>.

ეს ვარაუდი დავას არ უნდა იწვევდეს.

აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ თითქმის იმავე ხანებში ფეხი დაუშავებია ბარათაშვილის ბიძასა და თანაკლასელს, ილია ორბელიანსაც. 1834 წლის 16 მაისს გრიგოლ ორბელიანი ქალაქ ვალცყიდან თბილისში წერდა თავის უმცროს ძმას ილიას: „შემატყობინე, როგორა გაქვს ფეხი, მოგირჩა თუ არა, და ან ხომ არ კოჭლობს?.. ტატიკოს ჩემაგიერ აკოცე, უთხარ, რომ წერილი მოიწეროს და თავისი ანბავი შემატყობინოს“<sup>240</sup>.

ილია ორბელიანს ფეხი მორჩენია, დაშავებას სიკოქლე არ დაუტოვებია, ბარათაშვილი კი დაკოქლებულა.

ზ. ჭიჭინაძე ბარათაშვილის შესახებ ცნობებს ავტოგრაფულ პოეტის ნათესავ-მეგობრებში და მის ზემომოყვანილ ცნობას, რომ „ბედი ქართლისას“ ავტორი, კიბიდან გადმოვარდნისას დაშავებულა, უნდა ვენდოთ, მაგრამ ისე, რომ თარიღი უბედური შემთხვევისა ორი წლით აქეთ გადმოვიტანოთ.

კიბიდან ჩამოვარდნა საბედისწერო შეიქმნა ბარათაშვილისთვის. იგი ერთი ფეხით ოდნავ დაკოქლებულა. სიკოქლე მაინცდამაინც ხელს არ უშლიდა თურმე პოეტს. 1837 წლის თებერვალში ბარათაშვილი თბილისიდან თავის ბიძას გრ. ორბელიანს წერდა: „აგერ წელიწად ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე... ჩემი სურვილი იყო ქარის-კაცობა... ჩემთა შშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოქლი ხარო და, თუ არ ინვალიდის კომანდაში სხვაგან არ მიგიღებენო. მაშინ, როდესაც ფეხი უკედ მქონდა და კარგადაც მაქვს ასე, რომ ჩემებურად კიდეც — ესტი და კიდეც ვტანცაობ“<sup>241</sup>.

არ იყო ცნობილი, რომელი ფეხი ჰქონდა დაშავებული პოეტს, მაგრამ 1938 წლის 15 ოქტომბერს, ბარათაშვილის ნეშტის დიდუბიდან მთაწმინდაზე გადასვენებისას, ეს საკითხი საბოლოოდ გაიჩვენა. ნეშტის მეცნიერულ ექსპერტიზის დასკვნაში ნათქვამია: „მარცხენა ქვედა კიდურის წვივ-კოქის მიდამოში ძვლებს ეტყობა ოდნავი დაკოქოება“<sup>242</sup>.

მამასაღამე, პოეტს ოდნავ დაშავებული დარჩენია მარცხენა წვივ-კოქი, რის მიზეზითაც მცირედ კოქლობდა.

ფეხის მკურნალობის საკმაოდ დიდი ვადის მიუხედავად, ნიკოლოზ ბარათაშვილი მაინც არ ჩამორჩენილა კლასის ამხანაგებს და მათთან ერთად დაუსრულებია გიმნაზია.

კურსდასრულებულთ დაურიგდათ გამოცდებზე გამოჩენილი წარმატების შესაფერისი ატესტატები. ნიკოლოზ ბარათაშვილი მიუღია „ქებითი ატესტატი“.

საწიფხაროდ, ნ. ბარათაშვილის გიმნაზიის დამთავრების ატესტატს: „Аттестат о науках из совета тифлисской гимназии“, ჩვენამდე არ მოუღწევია.

საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია პოეტთან ერთად კურსდასრულებულ, ლევან მელიქიშვილის „ატესტატი“ გაცემული 1835 წლის 25 ოქტომბერს. ამ „ატესტატის“ მეშვეობით ვგებულობთ, თუ როდის დაუმთავრებიათ მათ გიმნაზია და რა საგნები გაუვლიათ.

მამასადამე, ნიკოლოზ ბარათაშვილსაც გიმნაზიის დამთავრების ატესტატი მიუღია 1835 წლის 25 ოქტომბერს და შეუსწავლია შემდეგი საგნები: საღვთო სჯული და საღმრთო ისტორია, რუსული გრამატიკა და სიტყვიერება. რიტორიკა, ლოდიკა, ზოგადი ისტორია და გეოგრაფია, მათემატიკა კონუსურ კვეთამდე, ფიზიკა, ხატვა და ხაზვა, ფრანგული, გერმანული, ქართული და თათრული ენები.

ბარათაშვილის ბიძის — პოეტ გრიგოლ ორბელიანის წადილი იყო დისწულს დორპატის უნივერსიტეტში განეგრძოს სწავლა. 1835 წლის 25 ივლისს გრ. ორბელიანი რიგიდან თბილისში თავის ძმას ზაქარიას წერდა: „ჩემს საყვარელ დას, ეფემიას, თავის შვილებით დავჰკოცნი. რასა იქს ტატიკო... ურჩიე მელეტონს, რომ ეცადოს На казенном иждивении იმის გაგზავნა რომელსამე უნივერსიტეტში. — Жаль, очень жаль будет если его умственные способности останутся без развития, — ნეტავი გამოგზავნოს დერპტსკის უნივერსიტეტში, რომელიც არის უპირველესი რუსეთში. ძალიან

ადვილია ამის ასრულება თუ კი მელიტონი ჰსთხოვს ბარონს (როზენს — ი. ბ.)“. 243

მელიტონი ამ დროს მძიმე ავადმყოფი იყო და ოჯახის უსახსრობის გამო ნიკოლოზ ბარათაშვილმა უნივერსიტეტში შესვლის მაგიერ სამოქალაქო სამსახური დაიწყო.

### სამსახურში გამწესება

1835 წლის 25 ოქტომბერს, თბილისის გიმნაზიის დასრულების ატესტატის მიღების შემდეგ, პოეტი, რომელსაც უსახსრობის გამო, არც სამხედრო სამსახურში და არც უნივერსიტეტში შესვლის საშუალება არ მიეცა, გამწესდა სამოქალაქო სამსახურში.

მაშინ არსებული წესის თანახმად, სამსახურის დამწყებს უნდა გაეველო ე. წ. „საგამოცდო ვადა“, რის შემდეგაც ზღებოდა მისი „ფორმალური ჩარიცხვა“ და გაფორმება თანამდებობაზე.

პროფ. შ. ჩხეტიას მიერ გამოქვეყნებული ერთი საბუთიდან ჩანს, რომ ბარათაშვილი „საქართველოს უმაღლეს მთავრობის სასამართლო ექსპედიციაში“ მიუღიათ „გამოსაცდელად“ 1835 წლის ექვს ნოემბერს<sup>244</sup>.

„საქართველოს უმაღლესი მთავრობის სასამართლო ექსპედიცია“ 1840 წლამდე მოთავსებული იყო გიორგი მეცამეტის ყოფილ სასახლეში, სალაყბოსთან (ამჟამად, ერეკლეს სახელობის მოედანი).

„ექსპედიციას“ განაგებდა ვასილ ივანეს ძე ილინსკი (1789 — 1845), რომელსაც ცოლად ჰყავდა მარიამ ივანეს ასუ-

ლი ელიოზიშვილი. მათ ორი ქალი ჰყავდათ, ნინო და ეკატერინე. ეკატერინე, რომელიც მეტად ლამაზი ქალი იყო, 1844 წელს, ითხოვა ბარათაშვილის ნათესავემა, პოეტმა ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანმა. „ექსპედიციის“ უფროსის თანამდებობა ილინსკის 1823 — 1844 წლებში ეკავა.

1836 წლის 18 იანვარს ბარათაშვილს ებოძა „კანცელარისტის“ თანამდებობა და დაიწყო პოეტის „ოფიციალური გაფორმება“ სამსახურში.

იმავე წლის 4 ივლისს ბარათაშვილმა „ექსპედიციას“ მისცა სახელმწიფო სამსახურში გასაფორმებლად საჭირო, კანონით დაწესებული, ხელწერილი:

„1836 წლის ივლისის 4-სა დღესა მე, ქვემოთე ამისა ხელისმომწერელი, საქართველოს უმაღლესი მთავრობის სასამართლო ექსპედიციას მივეცი ესე ხელწერილი მააზედ, რომ როგორც აქამდე არ ვკუთნებდევარ, ისე ამიერიდან არ ვეკუთნებები საიდუმლო საზოგადოებათ.

კანცელარისტი ნიკოლოზ ბარათოვი“<sup>245</sup>.

სამხედრო სასწავლებელზე და უნივერსიტეტზე მეოცნებე პოეტი კანცელარისტი გახდა. ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ ბარათაშვილის სულიერი ტრაგედია, რაც ბედუქულმართი ცხოვრების ჩარხის ტრიალმა არგუნა.

პოეტის დაუცხრომელი სულის ეს მღელვარება, საუცხოოდ არის გამოხატული გრიგოლ ორბელიანისადმი მიმართულ ბარათში. 1837 წლის თებერვალში იგი წერდა თავის ბიძას, გრ. ორბელიანს:

„აგერ წელიწად-ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე და ვიმყოფები სუდა ი რასპრავაში. წარდგენილი ვარ ჩინზედ და ჩქარაჲ მოველი. მაგრამ უნდა აღვიარო, რომ





არც პანციონში ყოფნის დროს, Когда будущность моя представлялась мне в радужных мечтаниях და არც მეტრე, ვიდრე სამსახურში შევიდოდე, სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური.

ჩემი სურვილი იყო ჯარის-კაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდე და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხოლმე გულში...

მაგრამ რადგანაც შევიტყვე უარი მათი და მით უამოვნობა, ვსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა, რომ თუ შტატსკი ვიყო, ვიყო... არც ეს შემისრულეს. უბედურებისა გამო, მამაც ამ დროს ავად შეიქმნა და ავადმყოფი, ჩემს თხოვნაზე, ასე მეტყოდა: „შვილო, ხომ ჰხედავ, შენის სახლის გარემოებასო, იქნება მე ველარც კი გავაწიო ამ სნეულებასო, შენს სახლს არ უპატრონებო?“

ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემის თხოვნით. დავრჩი ისევ ჩემს მამულში; განვწესდი სამსახურში და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუმც ხანდისხან ჯავრით დავაპირებ ხვალმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება.

რადგანაც ასე მოხდა, მაშ აქ ექსპედიციასზე კარგს აღგიღს ვერ ვიპოვნიდი. უნდა მართალი ითქვას, რომ ეს აღგილი ყმაწვილის კაცისათვის, ვისაც კი სამოქალაქო სამსახური უნდა, პირველი შკოლაა; ეს არის, რომ круг чиновников не выгоден для образования нравственности, მაგრამ, ეს თავიზედ არის დამოკიდებული.

ამისთვის გაცნობებთ ჩემს ვითარებას, რომ ჩემი აქ დარჩომა სიზარმაცეში არ ჩამომართოთ. ღმერთმა დამიფაროს! ეგ თვისება სხვისაც მეჯავრება. ჭეშმარიტად არა, ზარმაცი არა

ვარ, მაგრამ რა ვქნა, რა გაეწყობა სოფლის ბრუნვას... მახ-  
ლას!“ 246.

გიმნაზიის კედლებში შესწავლილი რუსული, უადვილებ-  
და პოეტს გარკვეულიყო ბიუროკრატიული საქმის წარმო-  
ბის რა-ულ და ძნელად დასაძლევ მექანიზმში.

პროფ. შ. ჩხეტია, რომელმაც საქართველოს ცენტრალურ  
არქივში გამოაეღინა ბარათაშვილის მიერ რუსულ ენაზე  
შედგენილი რამდენიმე ასეული საბუთი, წერს:

„შესწავლა ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფებისა საფუძველს  
იძლევა დავასკვნათ:

1) რომ ნ. ბარათაშვილმა ბრწყინვალედ იცოდა რუსული  
ენა, ხშირად უფრო კარგად, ვიდრე სხვა მისმა თანამოსამსა-  
ხურე მოხელეებმა, მათ შორის, რუსმა მოხელეებმაც: ყველა  
საბუთი, ნ. ბარათაშვილის მიერ შედგენილი, შესრულებულია  
მაშინდელი რუსული გრამატიკული ნორმებისა და კანონების  
ზუსტი ცოდნით, გამართული სტილით, კარგი რუსული ენით,  
მწყობრი ლოგიკური თანმიმდევრობით და ყოველგვარი ორ-  
თოგრაფიული შეცდომების გარეშე, რაც, როგორც წესი, არ  
ახასიათებს სხვა მოხელეების მიერ შედგენილ საბუთებს;

2) რომ ნ. ბარათაშვილმა ასევე ბრწყინვალედ იცოდა  
მაშინდელი კანცელარული საქმიანობის საკმაოდ რთული და  
ბიუროკრატიულ ფორმალიზმზე დამყარებული წესები: ყვე-  
ლა საბუთი — ოფიციალური მიმართვები, საქმეების აღწერე-  
ბი, თანამდებობის გადაბარება-ჩაბარების აქტები და სხვ.  
ნ. ბარათაშვილის მიერ შედგენილი, შესრულებულია ამ წესე-  
ბის ზუსტად და ბოლომდე დაცვით. მაშინდელი საქმისწარმო-  
ების თვალსაზრისით ეს საბუთები შეიძლება ჩაითვალოს  
სანიმუშოდ;

3) რომ ნ. ბარათაშვილი საფუძვლიანად ერკვეოდა იმ დროის ფრიად რთულ, და მრავალ შემთხვევაში, წინააღმდეგობების შემცველ რუსულ სამოქალაქო და სისხლის სასამართლის კანონმდებლობაში; ნ. ბარათაშვილი უზადოდ აღგენდა არა მარტო სასამართლო დაწესებულებებსა და მაღალ ინსტანციებში წარაადგენ სააპელაციო თუ საკასაციო საჩივრებსა და თხოვნებს, არამედ ამ სასამართლო დაწესებულებათა გადაწყვეტილებისა და განაჩენის საფუძველზე დასკვნით ბარათებსაც;

4) რომ ნ. ბარათაშვილი თავის მოვალეობას, საერთოდ და საქსახურებრივ მოვალეობას, კერძოდ, მიუხედავად ამ მოვალეობის მნიშვნელობისა, ე. ი. მიუხედავად იმისა, დიდი იყო ეს მოვალეობა თუ მცირე, ასრულებდა იშვიათი კეთილსინდისიერებითა და პასუხისმგებლობით: ყველა საბუთი ნ. ბარათაშვილის მიერ შესრულებულ-შედგენილი, შესწორებული თუ შემოწმებული, გასაოცარი პუნქტუალობისა და მუყაითობის ბეჭედს ატარებს.

ა) რომ ნ. ბარათაშვილი მეფის დაწესებულებათა კანცელარიებში, ბედის უკუღმართობით, მთელი წლების განმავლობაში სისტემატურად ეწეოდა კოლოსალური მოცულობის ისეთ მუშაობას, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა მის მოწოდებასა და გენიასთან: აღმოჩენილი ავტოგრაფების ხასიათი და რაოდენობა, რომელიც, უეჭველია, სრული არ არის, თავისთავად მოწმობს იმას, თუ რაოდენ დიდ ენერჯიას ხარჯავდა გენიოსი პოეტი და მოაზროვნე ნ. ბარათაშვილი უაზრო და თავისთავადაც უსარგებლო საქმეზე — უმნიშვნელო, გაუთავებელ და გამომათყვანებელ საკანცელარიო მიმოწერაზე“ 247.

პოეტისათვის უცხო იყო იმ დროისათვის დამახასიათებელი ბიუროკრატიზმი, საქმის ძალად გაქიანურება, უსამართლობა და სხვ.

ზ. ჭიჭინაძე ბარათაშვილის მცნობთა შორის შეკრებილი ცნობების საფუძველზე გადმოგვცემს:

„სამმართველოში ნიკოლოზ ბარათაშვილი ერთობ სამართლიერად განაგებდა. ქალაქების გადაწერა ერთობ მალე იცოდა, არა საქმეს არ გააჩერებდა დიდხანს. ამ დროს კი ერთობ მოდებული იყო საქართველოში მექრთამობა, ხალხი ახალ სამართალს და სამართველოს წესებს არ იცნობდა და იმ დროს მოხელენი რასაც მოისურვებდნენ იმას ჩადიოდნენ. განსაკუთრებით ქრთამების აღება და გლეხთა შევიწროება.

ბარათაშვილი კი ამაებისაგან ერთობ შორს მდგარა და როგორც ვამიგია, ამან არც ქრთამის აღება იცოდა და არც სხვა ამისთანაო. ბარათაშვილი კაი ხასიათის იყო, ამას სიტყვით ცხარე შეხელულება კი ჰქონდა. მოსამსახურეებს თავს არ უყადრებდა, ლაპარაკში ან სხვა რამეში, თუმცა ხშირად არც მათ შეაწუხებდა ხოლმე. მოსამსახურეებთან თავის გაყადრება და ლაღობა კი არ სცოდნია, მაგრამ მის ნაცვლად სხვებზე არ იყო მედიდური, სხვა თავადიშვილებივით ამას არ უყვარდა კნიაზ! კნიაზის! ძახილი და მათებზე თავის გამოჩენა“ 248.

დისწულის სწორედ ეს კარგი თვისებები ჰქონდა მხედველობაში ზაქარია ორბელიანს, როცა იგი 1836 წლის 16 ივლისს თბილისიდან წერდა თავის ძმას გრიგოლს: „Мелитону все не здоровиться... Сын его Николай хороший малый... Не знаю, что дальше“ 249

ამავე ხანებში ნიკოლოზ ბარათაშვილს რაღაც უსიამოვნება შეხვედრია. 1836 წლის ივლისის ბოლო რიცხვებში ზაქარია ორბელიანი თბილისიდან კონენოში წერდა გრიგოლ ორბელიანს: „ტატო აქ იყო. ჩუმაღ იჩივლა ხელმწიფესთან არზითა თავის საქმეზედ“<sup>250</sup>.

არაფერი ვიცით, რამ აიძულა პოეტი ადგილობრივი ხელისუფლებისაგან დაფარულად საჩივრით მიემართნა იმპერატორისათვის. კვლევა-ძიებამ ჭერჭერობით არავითარი შედეგი არ მოიტანა.

„სასამართლო ექსპედიციაში“ მომსახურე ნიკოლოზ ბარათაშვილს ევროპულად სცმია. შავი გრძელი სერთუჯი, დიდი და სქელი პალტო, შავი მაუდის ქუდი. ხანდისხან ჩაღის ქუდსაც იხურავდა თურმე.

## ფსევდონიმი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება ლექსთა რამდენიმე კრებული, რომელიც შექს ფენს ნიკოლოზ ბარათაშვილის ფსევდონიმს\*.

აღწეროთ ეს კრებულები.

ხელნაწერი H ფონდის № 2398 მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი პოეტების ნაწარმოებთა კრებულს წარმოადგენს.

კრებული იხსნება გიორგი ერისთავის პოემა „შეშლი-

\* ნ. ბარათაშვილის ფსევდონიმის შესახებ პირველი ცნობა მოვითავსეთ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“, 1936 წ., № 15.

ლით“, რომლის შემდეგ მოთავსებულია ალ. ჭავჭავაძის ლექსები: „მეფე რომ ვიყო“ და „მარხული“. ამათ მოსდევს ლექსი „მწუხრის ზარი“, რომელსაც ინიციალებად მიწერილი აქვს „დ.....უ...“, შემდეგ „ღრაფინია ო.... ის ალბომში“ და „ჩემ დას ე.....ას“, ხელმოწერით „თ-ს გრიგოლ ორბელიანის მიერ“.

კრებულის მთელი დანარჩენი ადგილი, ბოლოში მოთავსებული ერთი ლექსის გარდა, ნიკოლოზ ბარათაშვილს აქვს დათმობილი.

კრებულში მოთავსებული ნ. ბარათაშვილის მერვე ლექსი „ხმა იღუმალი“ ფურცლის პირველი გვერდის ბოლოში წყდება სტრიქონით „და მით კაეშანს ვერღა ვიშორებ“.

როგორც მოსალოდნელი იყო, ფურცლის მეორე გვერდზე მოთავსებული უნდა ყოფილიყო ლექსის დარჩენილი ათი სტრიქონი და ავტორის ვინაობაც, მაგრამ ფურცლის მეორე გვერდი ცარიელია. კრებულის შემდგენელს, თუ გადამწერს, როგორც ჩანს, წერა აქ შეუწყვეტია.

კრებულის მომდევნო ფურცელი მოჭრილია, მაგრამ ისე, რომ ფურცლის მარცხენა მხარეს პატარა ზონარია დარჩენილი. მომდევნო ფურცლის პირველსავე გვერდზე იმავე ხელით ჩაწერილია ლექსი „ოცნება“ ინიციალებით „ლ...ი...“.

კრებულის შემდგენელს, ჩანს, მიზნად ჰქონია ყველაზე სრულად მკითხველთა წინაშე ნ. ბარათაშვილი წარედგინა და ერთგვარი შეფარდების დასაცავად მოუშველებია მისთვის ცნობილი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ფსევდონიმი — „მირიან ივერი“ და ამით მეტად საინტერესო ცნობა შემოუნახავს შთამომავლობისათვის.

აღნიშნულ კრებულში ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგ

ლექსებს აქვთ მოწერილი პოეტის ფსევდონიმი  
„ივერი“:

„ივერი“  
საქართველოს  
საბჭოთაო სოციალისტური  
რესპუბლიკის

ნ ა პ ო ლ ე ო ნ  
მირიან ივერის მიერ  
ჩ ე მ ს ს ა ტ რ ფ ო ს  
მირიან ივერის მიერ  
შ ე მ ო ლ ა მ ე ბ ა მ თ ა წ მ ი ნ დ ა ზ ე დ  
მირიან ივერის მიერ  
ს ა ყ უ რ ე  
მირიან ივერის მიერ

ხელნაწერ H № 2389 მოთავსებულ ცნობას ნ. ბარათაშვილის ფსევდონიმის შესახებ, ადასტურებს იმავე ინსტიტუტში დაცული ხელნაწერი S № 1512, რომელიც „მრავალფერ ყვავილოვანის“ სახელით არის ცნობილი და გადაწერილია განთქმული კალიგრაფის დავით რეჰტორის მიერ 1821—1823 წლებში.

ამ ხელნაწერის 1295 გვერდიდან იწყება ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები, კრებულში შემდეგ ჩაწერილი უცნობი ხელით.

კრებულში მოთავსებული ნიკოლოზ ბარათაშვილის 24 ლექსიდან სამს აქვს მოწერილი „მირიან ივერი“.

მომყავს ამ ლექსების სათაურები და ხელმოწერა:

შ ე მ ო ლ ა მ ე ბ ა მ თ ა წ მ ი ნ დ ა ზ ე  
მირიან ივერისა მიერ  
ნ ა პ ო ლ ე ო ნ  
მირიან ივერის მიერ  
ს ა ყ უ რ ე  
მირიან ივერისა მიერ

ზემოთ დასახელებულ კრებულებს H 2398 და S 51512, მხარს უჭერს იმავე ინსტიტუტის ხელნაწერი H 772, კუთაისის მუზეუმში დაცული კრებული № 266, რომელიც ნ. ბარათაშვილის სიცოცხლეში, 1844 წელსაა შედგენილი, პოეტის ფსევდონიმად „მირიან ივერიელს“ უჩვენებს.

კრებულის მეათე გვერდზე მოთავსებული ნ. ბარათაშვილის ლექსი „ნაპალეონ“ ხელმოწერილია ამგვარად: „მირიან ივერიელი“.

ამ ლექსთა კრებულების საფუძველზე მტკიცდება, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლიტერატურულ ცხოვრებაში, ნამდვილი სახელ-გვარის გარდა, ფსევდონიმად „მირიან ივერს“ და „მირიან ივერიელს“ ატარებდა.

### „ღამე ყაბახზედ“

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირველი სიყვარული, რომელსაც ეძღვნება პოეტის რამდენიმე ლექსი, ყოფილა ვინმე ნინო.

1846 წლის 19 იანვარს ლევან მელიქიშვილი ნ. ბარათაშვილის შესახებ თბილისიდან წერდა გრიგოლ ორბელიანს: „არ ვიცი, იცი თუ არა, პირველი სიყვარული საწყლისა იყო ნინო; არც ის ვიცი, იცი თუ არა, რომელი ნინო იყო?“<sup>251</sup>

მკვლევარ პავლე ინგოროყვას დადგენილი აქვს, რომ „ნ. ბარათაშვილის ამ პირველ სიყვარულს ეხება ლექსი „ღამე ყაბახზედ“ (1836 წ.) და აგრეთვე წერილი გრ. ორბელიანთან 1837 წლის თებერვლის თარიღით“<sup>252</sup>.

იონა მუუნარჯიას ცნობით, ნინოს ეძღვნება ბარათაშვილის ლექსი „მიყვარს თვალები“<sup>253</sup>. ნინოსადმი მიძღვნილი ბარათაშვილის კიდევ რამდენიმე ლექსი.



ამ წინოს ვინაობა, ვინც „პირველ დაასო გულს კაეშანი“  
პოეტს და შთააგონა მთელი წყება ლექსებისა, გამოჩვეული  
და დადგენილი არ არის.

„პირველ სიყვარულთან“ შეხვედრის გამო, ბარათაშვილი  
1837 წლის თებერვალში შემდეგსა წერდა გრიგოლ ორბე-  
ლიანს:

„ამ წარსულს ზაფხულში (იგულისხმება 1836 წლის ზაფ-  
ხული, — ი. ბ.). ერთ მშვენიერს, მთვარიანს ღამეში, ყაბახ-  
ზედ დავიარებოდი, სადაც მისმან შევნებამ, სატრფოთ მარა-  
ქამ, მათმან უწინდელეზრ კიდევ დარდიმანდობამ სრულიად  
განატკბეს სახედველი, აღმიტაცეს ფიქრნი, წარმიღეს გონე-  
ბა! კოჯრის ნიავის ქროლაზე, ძიავ, მერწმუნენით, თქვენ მო-  
მაგონდით, მაშინ მომაგონდა: „განცეცხლებულთა ღვინისგან  
შუბლთა კოჯრის ნიავე განგვიგრილებდეს“ და მაშინვე გან-  
ვიზრახე რომ ამ ღამეს უთუოდ აღვწერ და გაუგზავნი ძა  
გრიგორის მეთქი, და კიდეც აღვასრულე: მით უფრო  
ჩქარად, რომ ერთმა საგანმა პირველ და-  
სასო გულს კაეშანი (ხაზი ჩემია — ი. ბ.)“<sup>251</sup>.

ბარათთან დართულ ლექსში „ღამე ყაბახზედ“ ბარათაშვი-  
ლი გვამცნობს, რომ ვინც „პირველ დაასო გულს კაეშანი“  
ოღესლაც „ქალთა კრებაში“ უნახავს, მერე კი, მაისის ღამეს  
ყაბახზედ კვლავ შეხვედრია. მეორე შეხვედრა ამ ქალთან, ბე-  
დითი გამხდარა პოეტისათვის. ბარათაშვილში აღძრულა პირ-  
ველი სიყვარული. მოვიგონოთ სათანადო სტრიქონები ამ  
ლექსიდან:

მიყვარს, ყაბახო, მყუდროება ღამისა შენის,  
თაღხად ბნელისა მაისის დროს წყნარის და ტფილის,

ბევრჯერ მინახავს სახე შენი მშვენიერებით-  
ძველის ახალთან, ახლის ძველთან შენობაებით;



ამგვარი იყო ეს ღამეცა, ოდესცა გარე  
ფიქრით მოცულმან ჩვეულებრივ ყაბახს ვიარე,  
სადაცა მწყობრად დარაზმულნი აქა-იქ ქალნი,  
პირად-პირადად სეირნობდნენ კეკლუც მოსილნი,  
და მათ გარემო შეჭფრფინილენ ყმაწვილნი კაცნი,  
ზოგნი დამძილნი, ზოგი ტრფილ და ზოგნი ანცნი.  
უეცრად მარჯნიე დაენახე თეთრ-კაბიანი,  
მათ შორის მდგომი, ვინ მიმსახდა მსწრაფლად ცნობანი,  
არ ვიცი ამ დროს რად აღვიგზენ უფროს ცეცხლისა;  
სად არს გაბედვი, სად არს ძალი გრილის გულისა?  
ვნახე საღდაცა ქალთ კრებაში როდისღაც ერთი,  
მას აქეთ თვალი ველარ მოვკარ, და ახლა ერთი  
სდგას აქა წყაზრად, ვით ქურციკი ვეფხვთა შორისა;  
ყელი ყელყელობს, დამფანტველი მსწრაფლ გონებისა!  
თვალი შემასწრო მან ამ დროს მე და შემომძინა,  
ამან გამამხნო — და გულს ძვერით წარგვსდევნი წინა  
და ასე ეუთხარ: „ნეტარ რომ მე მეღიოსა კვალად  
სანატრი ჩემთვის ნა'ვა თქვენი აწ მზიარულად!“  
„გმადლობთ, — მითხრა მან, — რომ თქვენ მაინც გახსოვართ

კიდევ;

ახლა მოდაა; ვინც ვის იცნობს ივიწყებს ისევ!“  
„ღარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მოდები  
ვერ მაშიშლიან თქვენსა ხსოვნას და ვერც დროები.“  
ამას სიტუვაზედ ვარდი ღაწვთზედ მყის აეფურცლა,  
ამ დროს ნიავმანც თეთრი კაბა მიმოქროლა  
და — ბუდეშური მის ფეფები ღამაზად მოჩნდა,  
რომელთ სიამით ცნობა ჩემი მიმხადეს თვისდა;  
ამ დროს მთოვარემც შექს მის ხალი აღუგზნობინა,  
რომელმან ჩემს გულს სანდომობით შეება მოკფინა,  
მავრამ სხვა მუნით მიიხმობდა სატრფოსა ქალსა,  
რომელი მვისვე მიეფარა, ნათელი თვალსა!

რადგან პოეტი ყაბახზე ნანახი ქალის შესახებ ამბობს  
„პირველ დამასო გულს კაეშანი“, ხოლო მელიქიშვილის ცნობის მიხედვით, პოეტის „პირველი სიყვარული იყო ნინო“, სრული საფუძველი ეძლევა მათ ინდენტიფიკაციას. მაშასადამე, ყაბახზე შეხვედრილი ქალი ყოფილა ნინო და რომანი ნინოსთან 1836 წლის ზაფხულიდან უნდა ვივარაუდოთ.

ი. მეუნარგიას ზემომოყვანილი ცნობით, ნინოსადმი ყოფილა მიძღვნილი ბარათაშვილის ლექსი „მიყვარს თვალები“. ლექსი კი დაწერილია 1842 წელს. ამ ლექსში პოეტი ცალმხრივ სიყვარულზე ლაპარაკობს. გადავიკითხოთ ეს ლექსი და დავრწმუნდებით, რომ ასეა:

• • •

მიყვარს თვალები მიბნედილები,  
ეშისა ცეცხლით დაქანცულები;  
მაგრამ რის ვუჭერეტ, ზამბახ-ვარდ ველად  
განწოგნიან მათი ისრები.  
მიხედი, თვალებო, ჩემო მკვლელებო, მაგ თქვენსა ქცევას  
მაგრამ ვით ელით თქვენგან კოდლის თქვენგან გაქცევას?  
ვიცი, რომ მტრობენ ვულსა მგრძნობელსა,  
უწყალოდ სტანჯვენ უენო მსხვერპლსა,  
მაგრამ რა ისართ ზეცად აღმართვენ,  
მათშივე კპოვეზს საკურნებელსა!  
თვალნო ლამაზნო, ვინ უძლოს თქვენსა ძლიერს ბასრობას,  
თუ არა სჭერეტდეს თქვენგან, სიკვდილში თვით უკვდავებას?  
1842.

იმავე 1842 წლის 31 ოქტომბერს თბილისიდან მაიკო ორბელიანისადმი გაგზავნილ ბარათში, გაცხუნებული სიყვარულის გამო „უსაგნოდ“ დარჩენილი პოეტი ასე შესჩიოდა ნათესავ ქალს:

„ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმის სიამოვნება რა არის ამ საძაგელ ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ, (ხაზი ჩემია — ი. ბ.) არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მამძულებია ავდენის მარტობით... მოიგონე ცოტას ხანს დრონი წარსულნი და მაშინ შემობრალე. ყმაწვილობითვე შეჩეული რაზედმე სული, ძნელადღა გარდაიცვლის ჩვეულებას და ვიდრემდის სრულიად გარდაეჩვევა, მწარეა ტანჯვა და ბრძოლა მისი.

ძნელი არის მარტობა სელისა:  
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,  
მარად ახსოვს მას დაკარგვა ჰსწორისა,  
ოხვრა არის შვება უბედურისა!“ 255

რადგან ბარათაშვილის „ყმაწვილობის“ სიყვარული, ანუ „საგანი“, როგორც ხმარობს პოეტი, იყო ნინო, გამოდის, რომ ნინოს შესახებაა საუბარი ციტირებულ ლექსში და ბარათში, რომელიც 1842 წლითაა დათარიღებული. მაშასადამე, 1836 წელს დაწყებული ტრფიალი ნინოსადმი 1842 წელსაც არა აქვს დავიწყებული პოეტს, იგი „მწარედ იტანჯება“ და სწუხს ამის გამო.

ნინოსადმი ტრფიალი ვერ გაუნელა ბარათაშვილს დელფინა ლაბიელით და ეკატერინე ჭავჭავაძით გატაცებამ. პოეტი ბოლომდე ერთგული დარჩა ამ რომანისა.

უსაგნობას უჩივის და ცალმხრივ სიყვარულზე ლაპარაკობს ბარათაშვილი ნინოსადმი მიძღვნილ შემდეგ ლექსებში: „ჩონგურს“, „სული ობოლი“, „სატრფოვ, მახსოვს“, „ჩემი ლოცვა“, „აღმობდა მნათი“, „ჩემთ მეგობართ“, „არ უკიეინო სატრფოო“, „ვპოვე ტაძარი“, „შენი დალალნი“, „რად ჰყვედრი კაცსა“.

ას წელიწადზე მეტია, ვერ გაირკვა ვინაობა ამ ნინოსი. თუ ნინოსადმი მიძღვნილ ბარათაშვილის ლექსებს ერთმანეთის მიყოლებით გადავიკითხავთ, მივიღებთ ერთგვარ პოეტურ დღიურს, რომელშიაც მოთხრობილია სასიყვარულო თავგადასავალი უიღბლო რომანისა, ყმაწვილობიდანვე რომ დაიწყო და ბოლომდე გაჰყვა მგოსანს.

ნინოსადმი მიძღვნილი ბარათაშვილის ლექსების მეშვეობით საშუალება გვეძლევა აღვადგინოთ გარეგნობა ამ ნინოსი: ლამაზი, მიბნედილი თვალები, ვარდისფერი ლაწკები, ხალი, ყელყელა ყელი, სპეტაკს მკერდზე დაყრილი დალალები, თეთრი კაბა.

ასეთი შეხედულებისა ყოფილა ნინო, რომელმაც „პირველ დაასო კაეშანი“ პოეტს, ერთ ხანს თანაუგრძნო, მაგრამ შემდეგ რატომღაც შორს დაიჭირა თავი.

ი. მეუნარგია ერთგან ამ ნინოს ორბელიანად მოიხსენიებს<sup>256</sup>.

პოეტის პირველი ტრფიალის ვინაობის საკითხი, ჭერჭერობით მაინც, ღიად უნდა დარჩეს.

## „შემოღამება მთაწმინდაზედ“ ერთი ადგილის გაგაგისათვის

აუხსნელია ერთი ადგილი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსისა: „შემოღამება მთაწმინდაზედ“. პოეტი კონსტანტინე ტიციანაძე ამ რამდენიმე წლის წინათ წერდა:

„პოეზიაში არსებობს მრავალი ტრაფარეტული შედარება. ბარათაშვილი ერთდება მათ და ცდილობს მსგავსება აღმოა-

ჩინოს იმგვარ საგნებსა თუ მოვლენებს შუა, რომლებიც მანამდე ერთმანეთისათვის არავის შეუღარებია და, ამგვარად, ახალი კუთხიდან გააშუქოს შედარების ობიექტი. აი, ბარათაშვილის ერთი ცნობილი შედარება:

გინახავთ სული, ჭერეთ უმანკო, მხურვალე ლოცვით მიქანცებული?  
მას ჰგავდა მთვარე, ნაზად მოარე, დისკო გადახრით შექმნილიდელი.

ეს უჩვეულო შედარება მთვარისა, ლოცვით დაქანცულ უმანკო სულთან, შეფარდებულია იმ ამაღლებულ, სამლოცველო სულიერ განწყობილებასთან, რომელსაც შეუპყრია პოეტი მთაწმინდაზე შემოღამების დროს. აღსანიშნავია ამ შედარებაში დეტალი „დისკო გადახრით“, რომელიც თითქოს მთვარის მდგომარეობას გვიხატავს, ნამდვილად კი წარმოგვიდგენს ლოცვით დაქანცულ ახალგაზრდა ქალის გადახრილ სახეს“ 257.

კ. ჭიჭინაძის მიერ ციტირებული შედარება, აღებულია ნ. ბარათაშვილის ლექსის საბოლოო ვარიანტის ტექსტიდან (1836 წ.), მაგრამ ლექსის ე. წ. ყრმობის დროინდელ ვარიანტში (არა უგვიანეს 1833 წ.) ეს ადგილი ასეა:

ვარსკვლავი მარტო მოციმციმარე — მისი ლიბრი არს მინაზებული,  
მაგრამ მით უფრო უსატრფოე არს, ვით დამაშვრალი ლოცვით ქალწული.

ბუნებრივად ისმება კითხვა, რეალურ პიროვნებას ხომ არ იგულისხმებს ბარათაშვილი, „უსატრფოეს ლოცვით დამაშვრალ ქალწულში“ (ყრმობის დროინდელი ვარიანტი) და „მხურვალე ლოცვით მიქანცებულ ჭერეთ უმანკო“ არსებაში (საბოლოო რედაქცია).

ჩვენ წავაწყდით ერთ ძველ ცნობას, რომელიც შუქს ფენს

ამ საკითხს. ანონიმი ავტორი მოგონებებისა გასული საუკუნის  
ოცდაათიანი წლების თბილისზე, მთაწმინდის ეკლესიის აღწე-  
რისას, სხვათა შორის შენიშნავს:

„ნახევარ მთაზე, ჩიტის ბუღესავით ჰკივია მამადავითის  
მონასტერი. მასში ამჟამად, თვისი ნებასურვილით აღკვეცილია  
უმშვენიერესი სოფიო. ქალი იძღენად ლამაზია, რომ უღვაშ-  
წარმოზრდილი ქაბუკები — საერთო სახელით — სოფისტებად  
წოდებულნი, არბიან იქ, რომ დაუბრუნონ იგი ამქვეყნიურ  
ცხოვრებას“ 258.

აი, საიდან ჰქონია აღებული ბარათაშვილს შედარება  
„ლოცვით დამაშვრალ“ და „მხურვალე ლოცვით მიქანცებულ  
დისკო გადახრით შუქმიზინდებულ“ ქალწულის შესახებ.

როგორც ვნახეთ, პოეტი ამ ქალის შესახებ ლექსის ყრმო-  
ბისეულ ვარიანტში აწყყო დროით ლაპარაკობს, ხოლო საბო-  
ლოო რედაქციაში წარსული დროით. ეს გარემოება გვაფიქრე-  
ბინებს, რომ 1836 წელს, ლექსის უკანასკნელ გადამუშავებისას  
„ჭერეც უმანკო სული“, „უმშვენიერესი სოფიო“ მთაწმინდის  
მონასტერში აღარ უნდა ყოფილიყო.

ვინ იყო ეს ქალი, მის შესახებ სახელის გარდა არაფერი  
ვიციოთ.

## ფადეი ზაგლოცკი

1911 წლის გაზეთ „ზაკავკაზიში“ გამოქვეყნებულ ფადეი  
ზაგლოცკის ბარათებით ცნობილი გახდა საქართველოში გად-  
მოსახლებული, პოლონელი პოეტის, პირადი ნაცნობობისა და  
მეგობრობის ფაქტი ნიკოლოზ ბარათაშვილთან.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე გამოტანილი არ არის ფადეი ზაბლოცკის ბიოგრაფიის თარიღები, საქართველოში მისი გადმოსახლების ნამდვილი მიზეზი და კავკასიაში ცხოვრების სხვადასხვა მომენტები, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ დავადგინოთ ინტერესთა სფერო, რომელმაც დააახლოვა და დაამეგობრა პოლოხეთისა და საქართველოს მცოხნები.

ფადეი (თათეუშ-ლადა) ზაბლოცკი დაიბადა 1813 წელს გაღარიბებულ პოლოხელ აზნაურის ოჯახში.

ვიტებსკის გიმნაზიის დასრულების შემდეგ იგი გაემგზავრა მოსკოვს, — უნივერსიტეტში შესასვლელად.

პეტერბურგში დეკაბრისტთა დამარცხების შემდეგ რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ცენტრად მოსკოვი გახდა, სადაც მწვავე რეაქციის მიუხედავად, არალეგალური ხელნაწერი ლიტერატურა, ხელიდან ხელში გადადიოდა და არადებოდა სხვადასხვა საიდუმლო წრეები. ასე, მაგალითად: ძმები კრიცკების, სურგუნოველთა და სხვა დაჯგუფებანი.

ამ არალეგალური, პოლიტიკური წრეების წევრთა საკმარისი ნაწილი მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტები იყვნენ.

რუსეთის საზოგადოებრივი აზრისა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აგრეთვე მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში, მოსკოვის უნივერსიტეტში არსებულმა წრეებმა.

პირველ რიგში დასახელებულ უნდა იქნას ის წრე, რომელსაც სათავეში ედგა შემდეგში გამოჩენილი რუსი კრიტიკოსი, ბესარიონ ბელინსკი.



ბელინსკის წრე თავს იყრიდა სახელმწიფო კმაყოფილებაზე მყოფ სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის № 11-თანში, სადაც ბელინსკი რამდენიმე აპხანაგთან ერთად იდგა და ამიტომ აღნიშნულ დაჯგუფებას „თერთმეტი ნომრის ლიტერატურულ საზოგადოებას“ ეძახდნენ.

ბ. ბელინსკის გარდა ამ წრის უფრო აქტიური წევრები იყვნენ: მ. ჩისტიაკოვი, ნ. გრიგორიევი, ი. სავინიჩი, პ. პეტროვი, პ. პროზოროვი, ნ. არგილანდერი, პ. ნეჩაი, ნ. მატუშენკო და სხვები.

1830 წლის შემოდგომაზე, მოსკოვის უნივერსიტეტში მიღებულ იქნა პოეტი მიხეილ ლერმონტოვი, რომელმაც სულ მალე თავისი წრე ჩამოაყალიბა. წრეში შედიოდნენ: ანდრეი ზაკრევესკი, ვლადიმერ და ხიკოლოზ შენშინები, ნიკოლოზ პოლივანოვი, ალექსი ლოპუხინი და სხვები.

1831 წლის 20 ოქტომბერს, მოსკოვის უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში დასახლდა ახალგაზრდა ფადეი ზაბლოცი, რომელიც ექვსი დღის შემდეგ ჩარიცხეს სიტყვიერების დარგის პირველ კურსზე, სახელმწიფო ხარჯზე.

უნივერსიტეტში ჩარიცხვისთანავე ფადეი ზაბლოციმ, პოეტური ნიჭით, გონიერებითა და რადიკალიზმით უმაღლეს მნიშვნელობა მოსკოვის უნივერსიტეტის მოწინავე სტუდენტთა და მთ შორის, ბესარიონ ბელინსკის ყურადღება. ბელინსკიმ მაშინვე ჩარიცხა იგი თავის წრეში.

ბელინსკისა და მისი წრის წევრთა მეშვეობით გაეცნო ზაბლოცი მოსკოვის უნივერსიტეტში არსებულ წრეებსა და საერთოდ, მოსკოვის მოწინავე საზოგადოებრიობასაც.

ბელინსკისვე გაუცვინია ზაბლოცისათვის მოსკოვში, — ბაღის ქუჩაზე მცხოვრები, პოლონელი მეანი ქალი, ფრანცისკა

ივანეს ასული ბოდეგლიო, რომლის ბინა ქალაქში, პოლონელ რევოლუციონერ სტუდენტთა და ოფიცერთა შესაკრებ პუნქტს წარმოადგენდა.

1832 წლის ბოლოს, თუ 1833 წლის დასაწყისში, ფადეი ზაბლოცკიმ, ივანე სავინიჩთან ერთად დააარსა მოსკოვის უნივერსიტეტში მოსწავლე პოლონელ სტუდენტთა არაოფიციალური წრე, რომელსაც „მშობლიურ სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოება“ ერქვა. წრეს ჰქონდა სავინიჩის მიერ შედგენილი წესდება. მისი პროგრამა ნაციონალურ-განმანთავისუფლებლური და რევოლუციური იყო.

1833 წლის ივნისში, ქალაქ ვიტებსკში, დაიწყო ძიება პოლიტიკურ საქმეზე, — ჩაუსოვსკოეს გოროდნიჩის, სილინის ბინაზე ნაპოვნ მთავრობის საწინააღმდეგო ლექსის გამო.

ძიებით დადგინდა, რომ ლექსი ცნობილია ვიტებსკის გიმნაზიადასრულებულ გირშ ბრამისა, მასწავლებელ შეპელევიჩისა და თავად მიხაილოვსკისათვის. მიხაილოვსკიმ დაკითხვისას განაცხადა, რომ ლექსის ასლი მან მიიღო „მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტ ფ. ზაბლოცკისაგან“<sup>259</sup>.

ბრალდება მეტად მძიმე იყო. ზაბლოცკის ამხელდნენ ცარიზმის საწინააღმდეგო ლექსის გავრცელებაში, რომელიც ასე მთავრდებოდა:

Адам для нас является царский трон,  
На нем нынче восседает черт,  
Едва ли не заслуживающий виселицы.  
Мечь, братья, либо смерти!

1833 წლის 4 ივლისს, ფადეი ზაბლოცკი მოსკოვში დააპატიმრეს და ათი დღის შემდეგ ქანდარმთა ოფიცრის თანხლებ-

ბით გაგზავნეს ვიტებსკს, სადაც გაგრძელდა კვლევა-ძიება აღნიშნულ საქმეზე.

გამოირკვა, რომ ზაბლოცკი დაახლოებული იყო მოსკოველ სტუდენტ — მედიკ გასპარ შანიავსკისთან, რომელიც სურგუნოველთა რევოლუციურ ჯგუფში შედიოდა.

ძიება ზაბლოცკის საქმეზე ამის შემდეგ, რამდენიმე მიმართულებით წავიდა. შეიკრიბა ცნობები პოლონელი პოეტის, — სურგუნოვისა და ბელინსკის ჯგუფთან დამოკიდებულების შესახებ. შეიკრიბა აგრეთვე მასალები ბებია ქალ ფრანცისკო ბორდელიოსთან მოსიარულებზე და იმ წრეზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა თვითონ ფადეი ზაბლოცკი.

სასამართლო შედგა ქალაქ ვიტებსში. 1835 წლის 22 ივნისს საქმე სენატში მივიდა. 1837 წლის 28 მაისს კი სახელმწიფო საბჭომ მიიღო სათანალო გადაწყვეტილება, რომელიც შემდეგ ნიკოლოზ პირველმა ასე განსაზღვრა:

„I (Дворян: Фадея Заблосцкого (24 л.), Зенова Михаловского (26л.) и Егора Смолича (20л). изоблаченных в оскорблении его императорского величества... и в хранении у себя возмутительных стихотворений, лишив всех прав состояний... отдать в рядовые в Кавказский корпус, в разные батальоны“.<sup>260</sup>

აი, რა ყოფილა ნამდვილი მიზეზი ფადეი ზაბლოცკის 1837 წელს საქართველოში გადმოსახლებისა.

ამიერიდან უარყოფილ უნდა იქნას ისტორიკოს ე. ვაიდენბაუმის ვარაუდი, რომ ზაბლოცკი კავკასიაში გადმოსახლებულ იქნა 1831 წელს, სურგუნოველ იაკობ კოსტანცეკისთან და პლატონ ანტონოვიჩთან ერთად<sup>261</sup>.

უარყოფილ უნდა იქნეს აგრეთვე თბილისში მცხოვრები

პოლონელი ექიმის, ივ. მინკევიჩის ცნობაც, თითქოს „ლადა ზაბლოცკი... 1834 წელს ბევრ სხვა სტუდენტთან ერთად, დაპატიმრებულ და გადასახლებულ იქნა კავკასიაში ერთ სადილში მონაწილეობისათვის, სადაც წარმოითქვა მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვები“<sup>262</sup>.

ამ ცნობებში ზაბლოცკის საქართველოში გადმოსახლების მიზეზის მცდარობასთან ერთად, არასწორადაა ნაჩვენები პოლონელი პოეტის საქართველოში გადმოსახლების თარიღიც.

■

ფადეი ზაბლოცკის შეხედულებათა შემუშავებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა მისმა ყოფნამ მოსკოვის უნივერსიტეტში და განსაკუთრებით, ბესარიონ ბელინსკისთან დაახლოებაში.

პოლონელმა პოეტმა რუსული რევოლუციური რომანტიზმის კეთილსამყოფელი გავლენა სწორედ ბელინსკისა და „11 ნომრის ლიტერატურული საზოგადოებისაგან“ განიცადა.

ვიტებსკის ციხეში ყოფნისას ზაბლოცკის მიერ დაწერილი ათეისტური ლექსი „ღმერთისადმი“, უნებურად გვაგონებს ბელინსკის „დიმიტრი კალინინის“ მსჯელობას. პატიმრობით განაწამები პოლონელი პოეტი ასე მიმართავდა მეუფეს:

О я, что ежеминутно возраждаюсь и погибаю,  
Я жаждал тебя увидеть земными очами,  
И поняв пустых софизмов сферы,  
В бешенстве я восклицал: нет тебя, боже!<sup>263</sup>

ამგვარად, ფადეი ზაბლოცკი, უნდა ვივარაუდოთ, ერთ-ერთ პირველ პირთაგანად, რომელსაც შეეძლო ქართველ საზოგა-

დოებისათვის გაეცნო ბელინსკის სოციალ-პოლიტიკური და  
ლიტერატურული შეხედულებანი.

საქართველოში გადმოსახლებული ზაბლოცკი ერთ ზანს  
თბილისში ცხოვრობდა, მაგრამ შემდეგ მას აქ ცხოვრების ნება  
არ მისცეს და გაამწესეს სამხედრო სამსახურში, — დედოფლის  
წყაროში.

1838 წელს, როცა პოლონელი პოეტი დედოფლის წყარო-  
ში იმყოფებოდა, რამდენიმე ხნით იქ ყოფნა მოუხდა ნიკოლოზ  
ბარათაშვილის მეგობარს, პოეტსა და პუბლიცისტს მიხეილ  
თუმანიშვილს.

დედოფლის წყაროში კიდევ უფრო განმტკიცდა ურთიერ-  
თობა ზაბლოცკისა და მიხეილ თუმანიშვილს შორის. ზაბლოც-  
კი დაახლოებით იცნობდა სახელოვან პოეტს ნიკოლოზ ბარა-  
თაშვილს და სხვა ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღ-  
ვაწეებს.

1838 წლის 6 ნოემბერს ზაბლოცკი თბილისში წერდა  
მიხეილ თუმანიშვილს: „მომიკითხეთ ურთიერთობით თავადი  
ბარათაშვილი“<sup>264</sup>. ხოლო შემდეგი წლის 29 ივლისს ზაბლოც-  
კი ციხე კუბადან სთხოვდა იმავე ადრესატს: „გადაეციეთ ბარა-  
თაშვილს გულითადი მადლობა ჩემი ხსოვნისათვის და ღრმა  
პატივისცემა“<sup>265</sup>.

საქართველოში ზაბლოცკი გაიტაცა ქართულმა მწერლობამ  
და გადასწყვიტა დაეწერა ნარკვევი ქართული ლიტერატურის  
ისტორიიდან.

სათანადო მასალების მომწოდებლად ზაბლოცკიმ ნ. ბარა-  
თაშვილის სკოლის ამხანაგი, მიხეილ თუმანიშვილი აირჩია.

1838 წლის 1 ოქტომბერს იგი წერდა მ. თუმანიშვილს: „არ  
შეგიტყობინებიათ ჩემთვის, რა ენაზე გაქვთ ის მასალა, რომ-

ლის მიხედვითაც შეიძლება ქართული ლიტერატურის მოკლე ნარკვევის შედგენა. თუ რუსულად არის, განთავისუფლებთ შრომისაგან და, შემთხვევისთადაც, თვით მე შევუდგები გარჩევას. ხოლო, თუ ქართულადაა, გთხოვთ გამიყეთოთ მოკლე ამონაკრეფი. თანაც გთხოვთ, თუ შესაძლებელია, ყოველივე ეს დედოფლის — წყაროში მომაწოდოთ“<sup>266</sup>.

მიხეილ თუმანიშვილმა სიამოვნებით მიიღო ეს დავალება. რამდენიმე ხნის შემდეგ, ზაბლოცკიმ გადაწყვიტა შეესწავლა ქართული ენა და თითონ გაეცნობოდა ტექსტების ორგინალებსა და მათზე არსებულ ლიტერატურას ქართულ ენაზე. 1838 წლის ექვს ნოემბერს ზაბლოცკი წერდა მიხეილ თუმანიშვილს.

„გადასდეთ ზრუნვა ჩემთვის მასალის გამოგზავნისა საქართველოს განათლებისა და ლიტერატურულ ძეგლთა ისტორიის შესადგენად. ახლო ხანს, იმედი მაქვს ჩამოვიდე ტფილისში, რათა მანდ სამუდამოდ დავრჩე. მაშინ თუ ჯანმრთელობა შემადლებინებს, ხელს მოვიკიდებ ქართულ ენას და გადავშინჯავ თქვენს მიერ შეგროვილ მასალას, საჭიროა უსათუოდ ენის ცოდნა და ყველაფრის თვითვე გადასინჯვა და წაკითხვა. უამისოდ შეუძლებელია წესიერი რამ გაკეთდეს“<sup>267</sup>.

ზაბლოცკი ენერგიულ მუშაობას ეწეოდა ქართული ლიტერატურული ნიმუშების პოლონურ ენაზე სათარგმნელად. ჩვენამდე მოღწეულია ცნობა მის მიერ პოლონურად ნათარგმნ მის. თუმანიშვილის ლექსს „ფიალი“-ს შესახებ. დასახელებული ლექსის ავტორს ზაბლოცკი ატყობინებდა: — „თქვენი ლექსის „ფიალის“ თარგმანს, თქვენივე სურვილისამებრ, ახლა გიგზავნით. მაპატიეთ, ზოგ რამეში გვერდის ახვევა დედნისათვის, — და ნუ მემადლიერებით თარგმნისათვის. ლექსი იმდე-

ნად კარგია და ორიგინალური, რომ გადავთარგმნე იგი იმედით, გაუუზიარო ჩემს თანამემამულეებს ჩემი აღტაცება“ 268.

საქართველოში მყოფი ზაბლოცკი, პოლონურ ენაზე მთარგმნელობასთან ერთად, ფრანგულად სთარგმნიდა უკრაინულ სიმღერებს. ცნობილი უკრაინოფილი პ. ა. კულეში ატყობინებდა ო. ი. ბოდინსკის: „ტფილისში პოლონელი პოეტი ლადა ზაბლოცკი სთარგმნის უკრაინულ სიმღერებს ფრანგულად. თუ შესაძლებელია გაუგზავნეთ მას უწყებელი ვადით: 1) თქვენი წიგნაკი სლავურ პოეზიაზე; 2) „არაბესკების“ ტომი, რომელშიაც არის სტატია მალოროსიულ სიმღერებზე; 3) მალოროსიული და ჩერკონო—რუსული ხალხური სიმღერები და „ფიქრები“ (ლუკაშევიჩისა); 4) მაქსიმოვიჩის სიმღერების პირველი გამოცემა და 5) ვაცლავ ოლესკა. იგი პირიანი კაცია და თავს ვღებ, რომ წესიერად დაგიბრუნებთ. მისი გამოცემა პარიზში გამოვა და ჩვენს პოეზიას და ისტორიას (შესავალი ვრცელი იქნება) მთელს ევროპას გააცნობს, რაც აუცილებლად საქაროა“ 269.

1839 წელს ფადეი ზაბლოცკი მონაწილეობდა ლექების წინააღმდეგ ლაშქრობაში და პოლკთან ერთად იყო შემახაში, კუბაში, ხაბერში.

1842 წელს იგი ნეიშალსკის ინვალიდთა კამანდაში გადაირიცხა და იმყოფებოდა ხან თბილისში, ხან ვლადიკავკაეში, ხან კაიშაურში.

ფადეი ზაბლოცკი ლექსებს ბეჭდავდა კრაშევსკის „ათენეუმში“, პოდბერეცკის „ლიტერატურულ ქრონიკაში“ და სხვა პოლონურ ჟურნალებში.

1845 წელს პოდბერეცკიმ, პეტერბურგში, პოლონურ ენაზე გამოსცა ზაბლოცკის ლექსთა კრებული. მასში მოთავსებულია

74 ორიგინალური და 21 თარგმნილი ლექსი ინგლისურიდან, გერმანულიდან, ქართულიდან და სხვა ენებიდან.

1846 წელს სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებული ფადეი ზაბლოცკი დაინიშნა კულპის მარილების სარეწვის ზედამხედველად.

როცა ზაბლოცკიმ გაიგო, რომ თბილისში საჯარო ბიბლიოთეკა უნდა დაარსდესო, თავისი წიგნსაცავი მაშინვე შესწირა ამ წამოწყებას. 1847 წლის ოთხი იანვრის გაზეთი „კავკაზი“ იუწყებოდა: „Канцелярия наместника Кавказского изъявляет искреннюю свою благодарность г. Заблоцкому, за пожертвования им разных книг в учреждаемую, с разрешения князя наместника, при канцелярии публичную библиотеку“. 270

ფადეი ზაბლოცკის გარდაცვალების აღგილს სხვადასხვანაირად უჩვენებდნენ. იგი გარდაიცვალა ხოლერისაგან კულპში, 1847 წლის აგვისტოს დასაწყისში. აღნიშნული წლის 16 აგვისტოს გაზეთი „კავკაზი“ წერდა: „На днях умерли от холеры... В Кульпах управляющий Кульпинскими соляными промыслами Ф. Лада-Заблоцкий, обладавший замечательным поэтическим талантом“. 271

გავიდა რამდენიმე წელი. ივ. მინკევიჩის ცნობით: „თურქებთან ომის დროს, 1853 წელს, თურქებმა თურმე გადათხარეს ლადა-ზაბლოცკის საფლავი კულპში და განცვიფრებულნი იყვნენ გვამის სიახლით, ისე შენახულიყო იგი მარილიან მიწაში. განსვენებული თავისი დიდი ყურებით, როგორც ცოცხალი, ისე იღვა საფლავში“ 272.

ფადეი ზაბლოცკის ლიტერატურული არქივის შესახებ, არავითარი ცნობა არ არსებობს. იქნებ გადაარჩენილია ზაბ-



ლოცვის მიერ საქართველოდან პოლონეთში გაგზავნილი პირადი ბარათები, ან სხვა ხელნაწერები.

მეტად დიდ საქმეს გააქეთებენ პოლონელი მკვლევარები, თუ ამ არქივის გამოვლინების საკითხით დაინტერესდებიან.

### „ყველგან შინაური კაცი“

ნიკოლოზ ბარათაშვილი უსაყვარლესი სტუმარი იყო იმ დროის თბილისის ოჯახებისა.

პოეტის ახლო მცნობის, დიმიტრი ყიფიანის სიტყვით: „ბარათაშვილი ყველგან დაიარებოდა და ყველგან მას ისე იღებდნენ, როგორც ღვიძლ ნათესავს“<sup>273</sup>.

იონა მეუნარგია პოეტის თანამედროვეებში შეკრებილი ცნობების მიხედვით წერდა:

„არც ერთი ქორწილი, ღამისთევა, ყრილობა არ იყო ტფილისის ქართველთ საზოგადოებაში, საცა ის არ ყოფილიყო თავ-მომლხენად და შემაქცევრად. ყმაწვილი კაცი, უპირველესი ოჯახის შვილი, მარჯვე მოსწრებული მოლაპარაკე, მოლექსე, მოლექურე, ყოველგან მომსწრები, ყოველგან შინაური კაცი, ის შეიქმნა საზოგადოების საყვარელ კაცად.

საღამო ისე როგორ გაივლიდა, სამ-ოთხ ოჯახს არ სწევოდა ის. მისთვის ყველგან ფართოდ გაღებული იყო კარები. ორბელიანების ოჯახში, მეტადრე მანანა ორბელიანთან. ალექსანდრე ქავჭავაძის ოჯახში, ბარათაშვილთან, ფალავანდიშვილებში, ერისთავიანთში, ციციშვილებში, ბარათაშვილი მუდამ სტუმარი იყო, შემტანი მოძრავი გონებისა და მზიარულებისა. აქ თამაშობდა ის, აქ ლბინობდა, ოხუნჯობდა“<sup>274</sup>.

ბარათაშვილის გაცნობას, დამოყვრებას ძალიან ბევრნი ცდილობდნენ. ხშირად შორეულნიც, სრულიად სხვა წრისა და საზოგადოების წევრნი აბამდნენ პოეტთან მეგობრობასა და ნათესაურ დამოკიდებულებას.

ერთი მაგალითი მრავალთაგან. საქართველოს მმაჩის ცენტრალურ სამმართველოს არქივში დაცული ჩანაწერი გვაუწყებს:

„1839 წელი იანვრის 9-სა ტფილისში მცხოვრები. აზნაურმა როსტომ კაციას ძე გამყრელიძემ ბერძენთ-ქართველთ სარწმუნოების აღსრულებისა იქორწინა პირველის ქორწინებითა ტფილისის მცხოვრებ ივანე ნაზუქაძის ბერძენთ-ქართველ სარწმუნოებისა ქალთან მარიამთან. საიდუმლო აღასრულა ტფილისის ანჩისხატის სობოროს მღვდელმა დავით მესხიევმა მისივე სობოროს დიაკონის იოსებ და დიაჩოქის ნიკოლოზ ნაშორაძესთან. თავდებნი იყვნენ: ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათოვი (ხაზი ჩემია — ი. ბ.), გიორგი დიმიტრის ძე თარხანოვი და აზნაური ვასილ დიმიტრის ძე საგინოვი“.

ერთი წლის შემდეგ, როცა ბარათაანთ სახლში მგონის ძმა — გრიგოლი დაიბადა „მიმქმელად“ იყო ზემონახსენები, მარიამ ივანეს ასული ნაზუქაძისა.

ამ სახლებში მუდამ ისმოდა ბარათაშვილის ომახიანი და ფრთიანი სიტყვა, კალამბური, მოსწრებულად ნახუმრი.

გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პოეტის მარილიანსა და შნოიან ოხუნჯობას ხშირად სიკეთე მოჰქონდა აღრესატიხათვის.

ი. მეუნარგია, ლუკა ისარლიშვილისაგან განავონ ერთ ასეთ შემთხვევას, შემდეგი სიტყვებით გადმოგვცემს:

ერთ ქართველ თავადიშვილს\*, რომელსაც ცეცხლი ეკიდებოდა ივ-ის ცოლის\*\* სიყვარულისაგან, პოეტი ეუბნება ერთ სალამოს:

— ზაქარია, ზაქარია! კატოს თვალი უჭირავს შენზე, კაბა გაისწორე და მარჯვედ დაჯექი.

საბრალო ტრფიალი რომ დაიმშვენებს თავს, ის მიუბრუნდება ივ-ის ცოლს:

— კატო, კატო! ზაქარიას შენზე თვალი უჭირავს.

— თვალეზი იმას დასდგომია! რა უნდა ჩემგან, რას გადამკიდებია, უთხარი, თავი დამანებოსო<sup>275</sup>.

ცნობილია ნ. ბარათაშვილის ხუმრობა ისტორიკოს პლატონ იოსელიანზეც.

ერთ-ერთ სალამოზე, — გვიამბობს დიმიტრი ყიფიანი, — იმ ჩემ მარტოხელურ სალამოთა შორის, რომელშიაც ხანდახან მონაწილეობას ჩვენი წინამორბედი თაობის ადამიანებიც იღებდნენ, როგორც მაგალითად: განსვენებული ანდრია ხერხეულიძე და თითქმის განსვენებულთა სწორი სახელოვანი ისფლათუნ, — ანდრია ხერხეულიძემ შემდეგი კითხვა მისცა მომხიარულე კომპანიას:

— ამბობენ, ბერძნებში ყველას თავ-თავისი ღმერთი ჰყავდაო და ერთი მითხარით, ვირების ღმერთი ვილა იყოო!

ტატოს სიცილი წასკდა იმ მწვავე მახვილი სიტყვის გამო, რომელმაც თავში გაუელვა, მაგრამ უმაღვე სერიოზული სახე

\* ივლისხმება პოეტის მეგობარი, ლიტერატორი ზაქარია ფალავანდიშვილი ი. ბ.

\*\* საუბარია გენერალ-ლეიტენანტის ნიკოლოზ ალაპის ძე ივანოვის (1810—1837) მეუღლე — ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიანზე (1823—1875) ი. ბ.

მიიღო და, მიუთითა რა პლატონზე, სთქვა, რომ ამაზე მას უნდა ვკითხოთ: „ჩვენში ხომ ეგ არის ბოგოსლოვი (ბოგოსლოვ)!“

ახლა კი მთელმა კომპანიამ იგრიალა ჰომერული სიცილით. პლატონი გაჯავრდა ხუმრობა გაშვებით და ყველას მან „ღურაკები“ გვიწოდა.

— ეგ კიდევ მაღლობა ღმერთს, — უპასუხა სიცილით ტატომ, — რაც უნდა იყოს, ის ხომ არ ითქმის, რომ ჩვენ შენი გავლენის ქვეშ ვიყვნეთ!“

მას იქით ამ ვაებატონს კარგა ხანს სხვა სახელი არა ჰქონდა, თუ არა „ბოგოსლოვ“<sup>276</sup>.

ამ „ხუმრობიდან“ ჩანს, რომ ბარათაშვილი და მისი წრე გამიჯნული იყო პლატონ იოსელიანის სქოლასტური და ფანატიკური შეხედულებებისგან.

## საქართველოს ისტორიის შემდგენი წრე

ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც აღვნიშნეთ, ოჯახური უსახსრობის გამო აღრე გამოვიდა სამსახურებრივ ასპარეზზე.

„ის ჯერ ერთობ ყმაწვილი იყო, «პროტოკოლების» და აქტების მაგივრად ამას ერჩია ჯერ ისევ სიტყვიერების თეორია სკეროდა ხელში, მაგრამ იმის თქმისა არ იყოს, ბედმა ეს მოუტანა. იმას სწყუროდა სამხედრო დიდება, უნდოდა ცხოვრება სავსე ყიყინითა და ძლევის ხმით, და ნაცვლად ამისა ხვედრმა შეაბა კანცელარიის ყოველდღიურ მუშაობას, რომლისთვისაც იმას თვეში ხუთი მანეთი ჰქონდა გაჩენილი ჯამაგირად.

ამაზე უარეს პირობებში არ ჩავარდნილა არასოდეს არავითარი ახალგაზრდა პოეტური ტალანტი. კაცს ჭერ თერგი არ დაუღუვია, როგორც ამბობდნენ ჩვენი მამები, ქუთაისამდის გზა არ გაუვლია, ზღვა არ ენახა და ბედმა კი ამ ნიჭიერ ბავშვს ცხვირი კანცელარიაში შეაყოფინა, ტალანტი ხაფანგში მოუმიწყვდედვია.

ბარათაშვილსაც თავის სულიერი საუნჯისაგან უნდა ესაზრდოებიან თავისი ნიჭი და სარწმუნო ყოფილიყო იმ მკირვლით, რასაც აძლევდა ამას ტფილისის საზოგადოებრივი ცხოვრება.

მაგრამ რა იყო ამ დროს ტფილისის საზოგადოებრივი ცხოვრება? რის მიცემა შეეძლო იმას ჭაბუკ პოეტის მწყურვალე გულისათვის? საუკეთესო კაცები საქართველოსი, ის კაცები, რომელთა საზოგადოებას მართლა შეეძლო მიეცა რამე ბარათაშვილისათვის, რუსეთში იყვნენ გადაგზავნილები. გრ. ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ალ. ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, სოლომონ დოდაშვილი, ალ. ორბელიანი, ელ. ერისთავი. წარმოადგენდნენ ჩვენს საზოგადოებაში სამწერლო ელემენტს და ამ ელემენტის უმყოფლობა საგრძნობელი იყო ჩვენი ერისათვის“ 277.

1837 წლის ოქტომბერს საქართველოში დაბრუნებული, ბარათაშვილის ერთი ახლო ამხანაგთაგანი, კონსტანტინე შამაცაშვილი, ასე აგვიწერს იმდროინდელი თბილისის საზოგადოებრივ ცხოვრებას:

„მე წავედი რუსეთში 1831 წელს, პეტერბურღში. კურსი შევასრულე და არტილერიის აფიცრათ მოვედი 1837 წელსა ტფილისში. ნიკოლოზ ბარათაშვილი დამხვდა ახალს გიმნაზიაში კურს შესრულებული და მსახურობდა სტოლნაჩალნიკად

პალატაში. ძველი ჩვენი ამხანაგური მეგობრობა განუახლეთ დიდის სიამოვნებით. ნიკოლოზს სიკვდილამდისინ ჰქონდა შეუცვლელი მეგობრული კავშირი თავის ამხანაგებთან, იმათ შორის ჩემთანაც.

იმ დროს ტფილისში არაფერი გასართობელი ადგილი არა გვქონდა; არც კონცერტები, არც კლუბები.

ჩვენ დროს გატარება იყო ან ერთად სადილი, ან ერთად საღამოზე ყრილობა. ხშირად მოვიყრებოდით ხოლმე ახალგაზრდა ამხანაგები ხან ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ხან თ. ლევან ივანეს ძე მელიქოვთან, ხან სადილათ გარეთუბნის ბაღებში. ჩვენი დროს გატარება იყო: ლაპარაკი მაშინდელ ლიტერატურაზედ, სწავლაზედ, სხვადასხვა ჩვენს გარემოებაზედ.

ქართული დარბაისლური მეტყველი ხუმრობა, შექცევა, სიმღერა, ვისაც სურდა, ქაღალდს თამაშობდა, ნარდს, ჭადრაკს. მერმე მეგობრული ვახშამი და ვახშმის შემდეგ სეირნობა მთვარიან ღამეს ქუჩებში და ზოგჯერ ბაღშიაც<sup>278</sup>.

ასე დაედო საფუძველი ახალგაზრდობის ლიტერატურულ წრეს, რომელსაც ნიკოლოზ ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა.

კონსტანტინე მამაცაშვილის უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილი მემუარები, რომლებიც იწყებიან 1837 წლის 26 ოქტომბრიდან (კ. მამაცაშვილის საქართველოში ჩამოსვლის დღიდან), შეიცავენ მეტად საყურადღებო ცნობებს იმდროინდელი ახალგაზრდობის გატაცების შესახებ ბელინსკით, აგვიწერენ მკაცრ ცენზურულ-ქანდაკმულ რეჟიმს. და მეორე მხრივ სასტიკად ამათრახებენ რეაქციონერ ფადეი ბულგარინის ორგანოს.

აი, რას წერს ყველა ამის გამო კ. მამაცაშვილი:

„В особенности огромное влияние имело на пере-  
ворот интеллигенции прежде появление журнала „Теле-  
граф“ Полевого, после же журнала, „Отечественные  
записки“ под редакцией, бывшего моего учителя, Кра-  
евского.

В этом последнем журнале помещались статьи Бе-  
линского и его критика. Этот журнал, в то время един-  
ственный, своими статьями сделал переворот во взгля-  
де на вещи. — и заставил с жадностью читать... все моло-  
дое поколение.

Прочие журналы, существовавшие прежде, как-то  
„Библиотека для чтения“ и тому подобные с отврати-  
тельно подлою газетою Булгарина „Пчелы“, скорее  
приступляли и извращали ум, чем развивали.

Неудивительно, что в тридцатых годах до появления  
журнала „Отечественные записки“ в публике мало чи-  
тали: все было подавлено строгими цензурными поста-  
новлениями и тяжелым контролем полиции и жандар-  
мов. Позволялось цензурой печатать романы бессодер-  
жательные или с грязным содержанием; но малейшее  
свободно высказанное мнение уничтожалось вместе с  
автором“. 279

არანაკლებ საინტერესოა „მემუარების“ ის ნაწილი. სადაც  
აღწერილია იმდროინდელი ახალგაზრდობის დაუნდობელი  
კრიტიკა როზენის მთავარმართველობისა.

თუ გავიხსენებთ ნ. ბარათაშვილის გესლიან ეპიგრამას კავ-  
კასიის მთავარმართებელ როზენზე ნათელი გახდება განსა-  
კუთრებული მნიშვნელობა ამ მოგონებებისა.

არ შეეცდებით, თუ ახალგაზრდობის იმ ჯგუფის მეთაურად, რომლებიც ამჟღავნებდნენ და მიწასთან ასწორებდნენ როზენის ჩინოვნიკ-ქანდარპულ მმართველობას, — ნ. ბარათაშვილს მივიჩნევთ.

ბარათაშვილის წრეს პოეზიის გარდა სხვა ინტერესებიც ჰქონია. სწორედ ამ წრეს დაუსვამს თავდაპირველად „საქართველოს რიგიანი ისტორიის“ შედგენის საკითხი.

კონსტანტინე მამაცაშვილი გადმოგვცემს: „ბშირად გვექონდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზე: ერთ საღამოს ბარათაშვილის სახლში გადავწყვიტეთ, რომ რადგან არა გვაქვს ქართული რიგიანი ისტორია, გავიყოთ V-ის საუკუნიდგან დაწყებული, თითომ თითო საუკუნე აიღოს და შეადგინოს ისტორია იმ საუკუნისა; პლატონ იოსელიანს მიანდევს დაწერა ძველის საუკუნეობის ისტორიისა ქრისტეს წინათ და შემდეგ 5-ს საუკუნემდისინ. მაშინ ძნელი იყო ამისთანა საქმის აღსრულება, რადგანაც მშრომელნიც ცოტანი ვიყავით და საქართველოს ისტორიის მატრიანები დაფანტული იყო, არც ძველი საეკლესიო გუჯრები, არც ბევრი საინტერესო გრამატიკები, მარტო მატრიანეთ იყო „ქართლის ცხოვრება“<sup>280</sup>.

ეს მონათხრობი სრულიად დასტურდება პლატონ იოსელიანის ერთი კერძო ბარათით. 1838 წლის 14 აპრილს პ. იოსელიანი, თბილისიდან წერდა პეტერბურგში აკად. მარი ბროსეს: „აწ ყოველსავე ქართველსა აქვს მოვალეობა, რათა ძალისაებრ თვისისაა შეეწეოდეს საზოგადოსა ზრუნვასა აღდგენისათვის დაცემულისა სიტყვიერებისა და მწერლობისა ჩვენისა, ესრეთითა განზრახვითა აღძრულმან, ხელჰკავ მეცა აღწერად: «ისტორიებრი და ლეოღრაფიული აღწერა საქართველოსისა» შედგენილი ცნობათა ზედა საკუთართა ჩვენთა მწერალთა და გარეშეთა ბერძენთა და რომაელთასა“<sup>281</sup>.



იმავე წლის 16 ივნისს პლატონ იოსელიანს შრომა დაუსრულებია.

საქართველოს ისტორიის კურსის შედგენის პერიოდს ეკუთვნის ნ. ბარათაშვილის მიერ პოემა „ივერიელნი“-ს დაწერა. პოეტის სკოლის მეგობარი და აღნიშნული წრის წევრი კ. მამაცაშვილი გადმოგვცემს: „მე მახსოვს ბარათაშვილის დიდი პოემა, რომელიც ჩემთან წაუკითხავს — «ივერიელნი». ამ პოემაში იყო აღნიშნული ჩვენი აპყევებული ცხოვრება 10, 11 და 12 საუკუნოებისა. ამ ლექსების გადაკეთება უნდოდა, რომელნიც ისეც მშვენიერი იყო“<sup>282</sup>.

სამწუხაროდ, აღნიშნულმა პოემამ ჩვენამდე არ მოაღწია, ანდა ჯერ მიკვლეული არ არის.

„ბ. დ. ჩ.“

1862 წლის ეურნალ „ცისკრის“ თებერვლის ნომერში დაბეჭდილია ლექსი „ბ. დ. ჩ.“ — „თ. ნ. ბ“-ს ინიციალით ხელმოწერილი:

ბ. დ. ჩ.

მთიებო, სეეტო ნათლისა,  
ვიხილე გულის უფალად,  
მშვენიერებამ მონა მქნა,  
ტრფიალებას ვგრძნობ შე ვალად.

ნეტარ რამ შეგქმნა უებრო  
ესოდენ ტურფა კმნილება,  
შენსა მიჯნურსა აბლა მრწამს  
ნათლისა ხელოვანება.

დავიდევ გულსა ბედკრულსა,  
მე შენი მშვენიერება,  
მას ჩემი გრძნობა, გონება,  
ეტრფიალება, ევლება.



მოსორებითა ტანჯული,  
სულსა აღგინებ სანთელად,  
შეგწირავ მსხვერპლად სიცოცხლეს,  
და გრძნობას მოსაგონებლად.

მთიებო, სვეტო ნათლისა,  
გიხილე გულის უფლად,  
მშვენიერებამ მონა მქნა  
ტრფიალებას ვგრძნობ მე ვალად.

თ. ნ. ბ.

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ 1936 წლის მეორე ნომერში, მე მოვათავსე მცირე შენიშვნა, რომელშიაც გამოვთქვი მოსაზრება ამ ლექსის ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის მიკუთვნების შესახებ.

ჩვენს მოსაზრებას მაშინ არაეინ გამოკამათებია და ლექსი „კ. დ. ჩ.“ შეტანილ იქნა 1937 წლის „სახელგამის“ მიერ „სასკოლო ბიბლიოთეკის“ სერიაში დაბეჭდილ ბარათაშვილის ლექსთა კრებულში. იგივე ლექსი დაიბეჭდა ნ. ბარათაშვილის ნაწერთა სრულ კრებულში, რომელიც 1939 წელს გამომცემლობა „ფედერაციამ“ გამოსცა.

ამის შემდეგაც არავითარ წინააღმდეგობას ამ ლექსის მიმართ ადგილი არ ჰქონია. 1945 წელს გამოცემულ ბარათაშვილის ნაწერთა საიუბილეო გამოცემაში კი, ეს ლექსი აღარ იქნა შეტანილი. რედაქცია დაკმაყოფილდა მშრალი განცხადებით: „ლექსი, რომელიც უკანასკნელს, 1939 წლის, გამო-

ცემაში დაიბეჭდა პირველად კ. დ. ჩ. სათაურით, ამ ვარიანტში ვერ შევიდა, რადგანაც სარედაქციო კომისიამ ვერ სცნო ის ბარათაშვილის კუთვნილებად“.

ვნახოთ, რამდენად სამართლიანია „სარედაქციო კომისიის“ ეს განცხადება.

ჯერ პატარა ექსკურსი:

ბარათაშვილს წესად ჰქონდა დადებული ახლად დაწერილი ლექსი საქაშნიკოდ ნათესავ-მეგობრებისთვის გაგზავნა.

ასე მოექცა იგი ლექსს „ასტრასაც“. 1838 წლის ივლისის დასაწყისში, თავის მეგობარს, პოეტ მიხეილ თუმანიშვილს გაუგზავნა კახეთში ბარათი და ახალი ლექსი „ასტრა“.

მიხეილ თუმანიშვილმა ბარათაშვილის წერილს და ლექსს უპასუხა წერილითა და ლექსით „ასტრაზედ“. თუმანიშვილისათვის გაუგებარი გამხდარა ვინაობა ბარათაშვილის ლექსის ადრესატისა. მომყავს თუმანიშვილის ლექსი:

#### ასტრაზედ

ასტრავ, ასტრავ, უცნაურო კაცთათვის!  
სადაურო, სად მოსულხარ, ან რისთვის?  
უსულო ხარ, სულიერი, ვინ იცის?  
ეს სახელი არ ჰსმენია არავის?

ნუთუ ხარ შენ ანგელოსი ციური,  
ან ყვავილი უსახელო, ველური?  
ანუ თვალი უქვირფასესი ზღვისა?  
მკითხველთათვის ხარ მარად უცნაური.

მოფრენილი შორეულისა ქვეყნით,  
კარგის სიტყვით, კარგის სტიხით, კარგის ხმით.  
ვერავისგან შეწყნარებას ვერ ჰპოვებ,

მოუხედრის, ასტრავ, შენის წოდებით.

გაისარჯე, წახვედ შენსა დამწერთან  
ოდესცა სცნობ შენსა სახელსა მისგან,  
მაშინ გაქედეს უეშველი იმედი,  
რომ იქნები წაქითხული ყველასგან.

წინანდალი, 15 ივლისი 1838 წ. 283.

ბარათაშვილმა, რომელსაც არ სურდა ლექსის ადრესატის ვინაობა გამკლავებულიყო, შიფრი არც გახსნა. 1838 წლით ეტვს აგვისტოს იგი თბილისიდან წერდა მ. თუმანიშვილს:

„გმადლობ, ძმობილო, წერილისა და სიამოვნებისათვის. უკანასკნელი წერილი ზაქარია ორბელიანთან ერთად წავიკითხეთ. ეს იყო კრიტიკა, ანუ უკეთ, ეპისტოლე „ასტრას“ ავტორთან, ქალიან კარგი! მხოლოდ მგონია, მიზანი მიღწეული არ იქნება, ესე იგი, შენ ვერ გაიგებ, ვინაა ეს უცნობი ასტრა. ეს ავტორის საიდუმლოებაა. იმას არც შენთვის უწერია, არც ქვეყნისათვის; მხოლოდ იმისთვის, ერთისთვის, უწერია; იმას ესმის მისი და ის ამით კმაყოფილია. მეტი რაღა უნდა მას? საჭირო არაა, შენ გაიგე თუ არა მისი. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ საგანი ლექსებს ამშვენებს. და თუ გინდა იცოდე მნიშვნელობა სიტყვისა «ასტრა», ეს სულ ადვილია: ესაა ფრანგული *astre*, რაც ჩვენებურად, ძმაო, თაყვანა, ნიშნავს «მთიებს.» ასე, ჩემო ბატონო! ერთს ახალ ამბავს გეტყვი, თუ არ გაჯავრდები. მე ამ საღამოს მივდივარ მწყნეთში. რისთვის? იმიტომ რომ ის იქ არის. დედამისმა მთხოვა, გავატარო მათთან რამდენიმე დღე. როგორი უნდა იყოს ეს დღეები? ოხ? მაშ მოკვდი, ბუ!“ 284

უნებურად ისმის კითხვა, ვინ იყო ის ქალი, რომლისთვის-

საც ბარათაშვილს დასჭირდა ფრანგული სახელის «ასტრანს»  
ხმარება. ხომ არ იყო პოეტი გატაცებული ვინმე უცხოეთ-  
მის ქალით? საქართველოს  
საზოგადოებრივი  
მეცნიერებათა  
აკადემია

ეს უცხო ეროვნების ქალი, ფრანგი დელფინა ლაბიელი  
ყოფილა, რომლისთვისაც ბარათაშვილს ლექსს „ასტრანზე“  
უფრო ადრე 1838 წელს მიუძღვნია ლექსი „ჩემს ვარსკვლავს“  
(„რად მრისხანებ, ჩემის ბედის ვარსკვლავო?“):

### ჩემს ვარსკვლავს

რად მრისხანებ, ჩემის ბედის ვარსკვლავო?  
მაინც გეტრფი, თუმცა ხშირად მკლავო:  
შეეთვისა სული შენსა მოღრუბლვას,  
შეეჩვია გული სევდითა კრთოლვას!

ნუ გგონია, ბედსა მით დამიმწარებ,  
რომ უეცრად შექით ნისლს შოიფარებ,  
შენ არ იცი, რა სიამეს მომაგებ,  
როს მიბეჭუტვით ნისლით გამომინათებ.

რა სახითაც ვინდა შენ მე მეჩვენო;  
მაინც გიცნობ, მშვენიერის ცის მთენო:  
ნათელი ხარ შენ ნათელის სულისა,  
მალხინებელ დაბინდულის გულისა!

მოციმციმდი, მოდი, გამომედარე,  
შეგზან ბნელი გული გამომიდარე;  
ეკლავ ციური ცეცხლი გარმომისარე,  
ნაბერწკალნი ეშვისა მომაყარე.

1837.

მკვლევარ სოლომონ ცაიშვილის მიერ 1940 წლის „ლიტე-  
რატურის მატრიანეს“ პირველ და მეორე წიგნში გამოქვეყნე-

ბულ ლუკა ისარლიშვილის მონათხრობში ვკითხულობთ: „ბარათაშვილს უყვარდა ფრანცუზის, ბაშმაჩნიკის ქალი დელფინი, ძალიან უყვარდა ეს ქალი. ერთხელ გაებუტა და მაშინ დასწერა: «რად მრისხანებ» (იგულისხმება ლექსი „ჩემს ვარსკვლავს“ — ი. ბ.)“ 285.

ამ პუბლიკაციის შემდეგ მე ვთხოვე სოლმონ ცაიშვილს შეემოწმებინა ლუკა ისარლიშვილის ჩანაწერი, განსაკუთრებით ყურადღება მიექცია მის მიერ „ბაშმაჩნიკად“ ამოკითხულ სიტყვისათვის.

1945 წელს ს. ცაიშვილმა ზემოთ მოყვანილი ჩანაწერი ხელმეორედ გამოაქვეყნა შემდეგი სახით: „ბარათაშვილს უყვარდა ფრანცუზის ბამბაჩნიკის ქალი დელფინი, ძალიან უყვარდა ეს ქალი. ერთხელ გაებუტა და მაშინ დასწერა: «რად მრისხანებ»“ 286.

როგორც მკითხველი შეამჩნევს, ამჯერად ს. ცაიშვილმა სიტყვა „ბაშმაჩნიკი“ „ბამბაჩნიკათ“ ამოიკითხა. გამოთქმა „ბამბაჩნიკს“. ს. ცაიშვილმა ასეთი შენიშვნა დაურთო „ამ ადგილის ამოკითხვა სხვაგვარად გორ ხერხდება. ჩვენ იგი შიკლომით დავბეჭდეთ «ლიტ. მატეიანეში» (იხ. № 1 — 2) «ბაშმაჩნიკად»“ 287.

ს. ცაიშვილის მეორე წაკითხვა მართებულია. ჩანაწერში წერია არა „ბაშმაჩნიკის“ არამედ „ბამბაჩნიკის“.

იონა მეუნარგია ლექსის „ჩემს ვარსკვლავს“ ადრესატის შესახებ წერდა: „ნ. ბარათაშვილის მეორე საყვარელი იყო მებულკე ფრანგის ლაბიელის ქალი დელფინა. ამას უძღვნა ლექსი «ჩემს ვარსკვლავს»“ 288.

როგორც ხედავთ, ი. მეუნარგია ავსიბს ლუკა ისარლიშვილის ცნობას, მაგრამ თუ ისარლიშვილისათვის დელფინა „ბამ-

ბაჩნიკის“ ქალია, მეუნარგის მოწმობით, დელფინა „მეპულკეს“ ასულია.

ჯერ დავსვათ კითხვა, რას ნიშნავს სიტყვა „ბამბაჩნიკი“? „ბამბაჩნიკი“ — ნიშნავს ბამბის მოხელეს, ძაფის წარმოების სპეციალისტს. მაგრამ იყო თუ არა დელფინას დედა „ბამბაჩნიკი“, ბამბის და საერთოდ, საფეიქრო დარგის მცოდნე?

როცა დელფინა ლაბიელის დედა თბილისში ჩამოსულა, იგი სწორედ „ბამბაჩნიკად“, ფეიქრად მუშაობდა. ჩამოუყვანია ლაბიელი პროვანსიდან თბილისის აბრეშუმსახვევ ფაბრიკაში სამუშაოდ ფრანგ მოიჯარადრე კასტელას.

გამბას მიერ საქართველოში ჩამოყვანილმა ნეგოციანტმა კასტელამ, 1823 წელს, ითხოვა თბილისში ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე მაუდის საფეიქრო ფაბრიკის, აბრეშუმის ძაფსართავი ფაბრიკის მოწყობის უფლება და საქართველოში ტიბეტური თხების მოშენების პრივილეგია.

ნავარაუდები იყო აბრეშუმის ძაფსართავ სარეწავში ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით, ქალების და ბავშვების დიდი რაოდენობით მოზიდვა, რომლებსაც უნდა ემუშავნათ ევროპელ ოსტატებთან და სპეციალისტებთან. ინსტრუმენტები და ოსტატები გამოიწერეს საფრანგეთიდან.

კასტელა და მისი მეპაიე მ. დიდლო, — თევდორე ახვერდოვის სახლში ცხოვრობდნენ სოლოლაკის ობანში. ამ სახლის ფლიგელში იმხანადვე ცხოვრობდა ალექსანდრე ჭავჭავაძე თავისი სახლობით.

საჭიროა მკითხველმა იცოდეს, რომ სწორედ ამ ხანებშივე თედორე ახვერდოვის ქვრივს — პრასკოვია ნიკოლოზის ასულ არსენიევას პატარა შინაური პანსიონი ჰქონდა გახსნილი, რომელშიაც იზრდებოდნენ: პრასკოვიას გერები — სოფიო და

ეგორი, დიასახლისის ქალიშვილი დარია, მარიამ ივანეს ასული ორბელიანი, სოფიო ივანეს ასული ორბელიანი, ბარბარე გიორგის ასული თუმანიშვილი და ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილები: ნინო, ეკატერინე და დავითი.

დარია ახვერდოვა გვიამბობს: „დაახლოვებით 1826 წელს ტფილისში ბევრი ფრანგი ჩამოვიდა, რომელთაც აბრეშუმ-საქსოვი ფაბრიკის საპაიო ამხანაგობა დაარსეს. მთავარი კამპანიონი მ. დიდლო ჩვენს სახლში იდგა, ხშირად შემოდის და ჩვენსა და ამით ხელს უწყობდა ჩვენს წარმატებას ფრანგულ ენაში. ცეკვას სრულიად უანგაროდ მშვენიერი ქალბატონი კასტელა გვასწავლიდა, ერთ-ერთი მსხვილი მეპაიეს მეუღლე“ 289.

მტკვრის მარცხენა ნაპირზე უმაღლეს გააშენეს თუთის ხეების ბაღი. გრძელ შენობებში დადგეს აბრეშუმსახვევი დაზგები. 1827 წლიდან კასტელას სარეწავმა დაიწყო მუშაობა. სარეწავის ამუშავებისთანავე კასტელამ განაცხადა, რომ საჭიროა ფაბრიკაში დამატება არა უმცირესი 200 ქალისა. 1828 წლის დასასრულს დამთავრდა „მუშათა სახლის“ მშენებლობა და მაშინვე შიდა რუსეთის გუბერნიებიდან დაიწყო თბილისში სასამართლო განაჩენით პატიმარ ქალების გზავნა.

საფრანგეთიდან ჩამოყვანილი ლაბიელის ქალი — დედა დელფინასი — იყო ერთ-ერთი ოსტატი დასახელებული წარმოებისა.

ჩანს, რომ ლაბიელს საკმაოდ გამოუჩენია თავი როგორც კარგ სპეციალისტს. ე. ანდრეევსკი წერს თავის მემუარებში რომ: „პირველ მომუშავედ აბრეშუმხვევის ხელობაში იყო მაღამ ლაბიელ, კეთილი ფრანგი ქალი პროვანსიდან“ 290.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ე. ვაინდენბაუმის კარტოტეკაში მოთავსი-



ბული ცნობით, ირკვევა, რომ მადამ ლაბიელს თან ჩამოჰყვოლია ქმარიც, ივანე ლაბიელი. კარტოტეკაში ვკითხულობთ: „Лабиел, Иван, Иностранец, 1830 (году) по контракту с казною обязался за 1200 р. с. в год привести сажённые сады в Грузии в совершенный порядок и выдѣлывать в оных вина по образцу европейских... О садах не заботился, отлучался самовольно, в Тифлисе предался пьянству и распутству. 1831 (г.) ему отказано“.

შემდეგი ბედი ივანე ლაბიელისა ჩვენ არ ვიცით.

კასტელას წამოწყებიდან არაფერი გამოვიდა. 1839 წელს ის მიიხურა კიდეც. უმუშევრად დარჩენილ მადამ ლაბიელს კი გაუხსნია პირველი გასტრონომიული მაღაზია თბილისში. ე. ანდრეევსკი სწორედ ამას გულისხმობს, როცა წერს, რომ „ლაბიელმა დააარსა ტფილისში ტრაქტირი“<sup>291</sup>.

მადამ ლაბიელს თავისი მაღაზია მოთავსებული ჰქონია დღევანდელ ლენინის სახელობის მოედნისა და შუაბაზრის კუთხეში. მაღაზია ლაბიელისა, არც მარტოდენ „საბუღე“ იყო და არც „ტრაქტირი“, თანამედროვე გაგებით.

თითონ ლაბიელი თავის წამოწყებას „საკანდიტროს“ ეძახდა. ეს იყო ერთგვარი გასტრონომიული მაღაზია, სადაც იყიდებოდა როგორც ნამცხვარი, ისე რძისა და ხორცის ნაწარმი, მაგარი და ტკბილი ევროპული სასმელები.

1846 წლის გაზ. „კავკაზი“ გვამცნობს: „გახსნილია ახალი საკანდიტრო, რომლის აბრა ამაყად ჩანს ჟერ ისევ შერჩენილ, ძველ, ყველასათვის ცნობილი აბრისა“. «საკანდიტრო ჰ-ნ ლაბიელისა». ვის არ ახსოვს ეს კეთილი მოხუცი ქალი, რომელსაც წელთა განმავლობაში გამოუღუევლად ჰქონდა, ფრანგული მოდური ნაწარმი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ არც ერთ

მხიარულ შეხვედრას, არც ერთ მეგობრულ გაცილებას, არც ერთ ქორწილს, სადღესასწაულო სადილს, არ ჩაუვლია. ლაბიელის შამპანურის გარეშე“ 292.

საინტერესო ცნობას გვაწვდის ლაბიელის შესახებ დონ-დოუკოვ-კორსაკოვიც თავის მემუარებში: „ერევნის მოედანი წარმოადგენდა ჩვენი თავშეკრების მთავარ ადგილს, ხოლო მის კუთხეში, — ერევნის მოედნიდან ერევნის ბაზრისაკენ მიმავალ ქუჩაზე, პატარა სახლში მოთავსებული იყო დუქანი ფრანგი ქვრივი ქალის მადამ ლაბიელისა, სადაც მუდამ შეგეძლოთ მიგელოთ საუცხოო შვეიცარული ყველი და ნამდვილი შამპანური. ეს კეთილი, უკვე ხანდაზმული ქალი, ჩვენი საერთო მეგობარი იყო და გვაცინებდა თავისი ორიგინალური მოქცევით. მას ჰყავდა მაშინ სრულიად ახალგაზრდა ორი ასული და როცა ჩვენი საუბარი ძალიან შორს წავიდოდა ხოლმე, თავის ქალიშვილებს დუქნიდან ითხოვდა შემდეგი სიტყვებით: «წადით გოგონებო, ამ ცულქებთან მოსალაპარაკებელი მაჩისო»“ 293.

აი, ამ „ბამბაჩნიკ“ — „მებულკე“ ლაბიელის ქალიშვილი — დელფინა ყოფილა გატაცება ნ. ბარათაშვილისა და აღრესატი ლექსებისა: „ჩემს ვარსკვლავს“ და „ასტრას“.

ლექსი „ჩემს ვარსკვლავს“ ჩვენამდე მოღწეულ ბარათაშვილის ლექსების რიცხვს ეკუთვნის, ხოლო „ასტრა“ პოეტის დაკარგულ, თუ ჯერ აღმოუჩენელ ნაწარმოებთა ჯგუფს მიეკუთვნება.

მადამ ლაბიელს ორი ქალიშვილი ჰყოლია, რომლებიც გაუთხოვებია რუს სამხედრო პირებსა და მოხელეებზე. ე. ანდრეევსკი გადმოგვცემს: „ლაბიელმა გაათხოვა ქალიშვილები რუს აფიცრებსა და მოხელეებზე და ცხოვრობს თავისთვის არხეინად“ 294.

ქალიშვილების დაბინავებით ლაბიელმა თბილისის უმაღლეს არისტოკრატიაში გაიკვლია გზა.

ლაბიელის ერთ-ერთი სიძე, მიხეილ პეტრეს ძე „შულგინი, ოფიცერი (იქნებ სწორედ დელფინას ქმარი), იყო ბორჯომის მინერალური წყლების სამმართველოს უფროსი. ბორჯომში მას თავისი მეუღლე ჰყოლია წაყვანილი, სადაც ზაფხულს ატარებდა თითონ მაღამ ლაბიელიც. ა. პ. ნიკოლაის, თავის ფრანგულ ენაზე დაწერილ ჭერ გამოუქვეყნებელ დღიურში, 1850 წლის 22 ივლისს აღნიშნული აქვს: „ნინო ალექსანდრეს ასულთან (გრიბოედოვასთან ი. ბ.) ერთად წავედი იაზონ ქავჭავაძესთან. დიდი სადილი კაკლის ძირში მარიამის დღეობის გამო. მაღამ ლაბიელ თავის ქალიშვილით, მაღამ ყიფიანი ბავშვით, ვუაგრემ იმღერა სადილის შემდეგ“<sup>296</sup>.

იმავე დღიურის 30 ივლისის ჩანაწერში აღნიშნულია ა. პ. ნიკოლაის მიერ „შულგინების სალონში“ სტუმრათ მისვლა<sup>298</sup>.

ვინ იცის, იქნებ ნ. ბარათაშვილისა და დელფინას დაშორების მიზეზი დელფინას გათხოვება იყო, ბრწყინვალე სამხედრო, თუ სამოქალაქო მოხელეზე?

ზემოთ მე მოვიყვანე ლ. ისარლიშვილის მონათხრობი, რომლის მიხედვით ჩანს, რომ ლექსი „ჩემს ვარსკვლავს“ ბარათაშვილს დელფინასთან დროებით კომფლიქტის გამო დაუწერია („ერთხელ გაებუტა და მაშინ დასწერა“, ამბობს ლ. ისარლიშვილი). ბუნებრივად ისმება კითხვა, დელფინასთან სამუდამო დაშორებას ხომ არ უძღვნა პოეტმა ლექსი?

როგორც ზემოთ აღვნიშნე, 1862 წლის ეურ. „ცისკრის“ თებერვლის თვის ნომერში მოთავსებულია ლექსი „ქ. დ. ჩ“. „თ. ნ. ბ“-ს ინიციალით ხელმოწერილი.

ვფიქრობ, რომ ინიციალი „თ. ნ. ბ.“ აღნიშნავს: „თავადი

ნიკოლოზ ბარათაშვილი“. ჩვენს პერიოდში მიმოხედავთ ბარათაშვილის თანამედროვეთა სახელ-გვარებიც ასეთივე მანერით არიან ინიციალებულნი.

ასე, მაგალითად: ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებს აწერიათ „თ. ა. კ“ რაც ნიშნავს: „თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე“. „თ. გ. ე“ ნიშნავს — „თავადი გიორგი ერისთავი“. თ. ვ. ო. — „თავადი ვახტანგი ორბელიანი“ და სხვა.

რომ ინიციალი „თ. ნ. ბ.“ ნიკოლოზ ბარათაშვილის აღმნიშვნელია, გავშალოთ გიორგი ერისთავისეული „ცისკრის“ 1852 წლის აპრილის თვის ნომერი და ვნახავთ, რომ ნ. ბარათაშვილის სახელით ცნობილი ლექსი „ბუღბუღი ვარდზედ“ „თ. ნ. ბ.“-ს ინიციალით არის ხელმოწერილი.

ამ ინიციალის ბარათაშვილისადმი კუთვნილებას პოეტის ავტოგრაფებისა და სხვა პირთა მიერ გადაწერილ კრებულების შესწავლაც ნათელყოფს.

ასე, მაგალითად: აკად. ე. თაყაიშვილის მიერ 1887 წელს დღევანდელ ლენინგრადში, ბუკინისტისაგან ნაყიდ ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფული პოემა „ბედი ქართლისას“ შესავალი „კახთა მიმართ“. ნ. ბარათაშვილის ხელით მოწერილია „თ. ნ. ბ“-ს ინიციალით. (საქ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდის ხელნაწერი № 2597). იმავე კოლექციის ხელნაწერ № 4911-ში იგივე მიმართვა „კახთა მიმართ“ „თ. ნ. ბ.“ ინიციალითვეა ხელმოწერილი.

ამ ინიციალითვე, ხელმოწერილი ნ. ბარათაშვილის ლექსი „ქეთევან“, რომელიც საქართველოს მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში H ფონდის ნომერ 2389-ით არის ჩაწერილი.

მე გადავსინჯე ბარათაშვილის წინა და შემდეგი თაობის

პოეტთა ლექსების ხელნაწერი კრებულები, პერიოდული, ნაბეჭდი ლიტერატურა, მაგრამ ლექსი „კ. დ. ჩ.“ არც ხელნაწერი და არც დაბეჭდილი სახით (1862 წლის ეურ. „ცისკრის“ თებერვლის ნომერში მოთავსებულ ტექსტის გამოკლებით) არსად არ აღმოჩნდა. ჩანს ხელნაწერი, რომლისაგანაც რედაქციას, 1862 წელს, ეს ლექსი ამოუღია, დაიკარგა ეურნალის არქივთან ერთად.

ინიციალები „თ. ნ. ბ.“, ბარათაშვილის გარდა, სხვა პოეტთა შორის არ გვხვდება, ჩვენ არ გვყოლია სხვა მგოსანი, რომელსაც ინიციალები „თ. ნ. ბ.“ შეიძლება მოერგოს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის გატაცება დელფინა ლაბიელით 1837 — 1838 წ. წ. უნდა მიეკუთვნოს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ გატაცების შედეგია ლექსები: „ჩემს ვარსკვლავს“ და „ასტრა“.

„ლექსი „ჩემს ვარსკვლავს“. — შენიშნავს მკვლევარი პ. ინგოროყვა, — იგივეა რაც «ასტრა». ასტრა, — როგორც თითონ ბარათაშვილიც განმარტავს, ნიშნავს, მთიებს, ვარსკვლავს ...ქართულ ლირიკაში ამ მშვენიერმა ფრანგის ქალმა დავეიტოვა მხოლოდ ეს თავისი სამფეროვანი პოეტური სახელი: ვარსკვლავი — ასტრა — დელფინა“<sup>297</sup>.

უნებურად ისმის კითხვა. თუ რისთვის დაშიფრა ბარათაშვილმა დელფინას სახელი მაინც და მაინც ვარსკვლავ — ასტრათი, ხომ არ არსებობს რაიმე საერთო ამ შიფრებსა და სახელ დელფინას შორის?

გამოირკვა, რომ დელფინა ბერძნული წარმოშობის სახელებს ეკუთვნის და ასტრონომიულ ენაზე ჩრდილოეთის თანავარსკვლავედს ნიშნავს<sup>298</sup>.

ჩვენს მიერ გამოტანილი ლექსი „კ. დ. ჩ.“ პოეტური და

თემატური რკალით მეტად უახლოვდება ბარათაშვილის ლექსს „ჩემს ვარსკვლავს“, პოეტის მიერ მ. თუმანიშვილისადმი გაგზავნილი წერილის შემოთ ციტირებულ ადგილს, სადაც ლექსს „ასტრაზეა“ საუბარი და მ. თუმანიშვილის საპასუხო — მუნასიბს — „ასტრაზედ“.

ლექსი „ქ. დ. ჩ“-ს ადრესატი ქალი ზომ „მთიების“ სახელით არის დაქარაგმებული, რაც ბარათაშვილის განმარტებით იგივეა, რაც „ვარსკვლავი“ და „ასტრა“.

თუ ლექსში „ჩემს ვარსკვლავს“ დელფინა „ვარსკვლავის“ სახელითაა დაშიფრული, ლექსს „ასტრაში“ „ასტრას“ სახით, ლექსში „ქ. დ. ჩ“-ში იგი „მთიების“ სახელითაა დაქარაგმებული. სამივე შიფრი, როგორც ვნახეთ, ერთი ცნების სინონიმები ყოფილან და მეტი არაფერი.

შემოთმოყვანილი საბუთების შემდეგ, სავსებით უკანონოდ მიგვაჩნია ლექსს „ქ. დ. ჩ“-ს შეუტანლობა ბარათაშვილის ნაწერთა კრებულში.

პოეტმა, როგორც ვნახეთ, დელფინა ლაბიელის სახელი დაშიფრა ვარსკვლავ — ასტრა — მთიებით. ადრესატს ესმოდა მისი და ამით კმაყოფილი პოეტი შიფრს არ ხსნიდა. არ გაუხსნა მან ეს დაშიფრვა თავის უახლოეს, სულიერ მეგობარს მიხეილ თუმანიშვილსაც კი.

გვაპატიოს ბარათაშვილის დიდებულმა ლანდმა, რომ ეს დაქარაგმება ამჟამად მთლიანად ამოხსნილია.

### „ბედი ქართლისა“

მართალია, ნიკოლოზ ბარათაშვილი ისე ჩავიდა სამარეში, რომ არც ერთი თავისი თხზულება დაბეჭდილი არ უნახავს, მაგრამ პოეტი სხვადასხვა დროს „ხალხში გასავერცელებლად“

ადგენდა თავის ნაწარმოებთა ხელნაწერ კრებულებს, რომლებიც ისევე და არანაკლებ ვრცელდებოდნენ, როგორც ნაბეჭდი თხზულებანი.

ჩვენამდე მოაღწია ბარათაშვილის მიერ შედგენილმა რამდენიმე ასეთმა ხელნაწერმა კრებულმა, რომელიც პოეტს საზოგადოებისათვის გაუმიზნია და რომლებიც ხელიდან ხელში გადადიოდნენ.

შენახულია აგრეთვე პოეტის ცალკეულ ლექსთა ავტოგრაფები, ვარიანტები და შავეულები ზოგიერთი ნაწარმოებებისა.

ყველა ამის მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია დაახლოებითი წარმოდგენა ვიქონიოთ ბარათაშვილის შემოქმედებით მეთოდზე.

ბარათაშვილის ბიოგრაფი, იონა მეუნარგია, წერდა: „უმეტესი ნაწილი ბარათაშვილის ლექსებისა, როგორც მოგვითხრობენ მისი ამხანაგები, დაწერილია სახლს გარეშე. სახლში იმას ჯოჯოხეთი ჰქონდა ჩამდგარი, რომელიც სიცოცხლეს უმწარებდა და ყოველგვარ სულის სიმშვიდეს უმღერევდა. მხოლოდ სახლს გარეშე, ნათესავეებთან, ტოლ-ამხანაგებთან და უფრო, ვერის წყლის პირას, მთაწმინდაზე, გარეთუბანში საღამო-საღამოობით სეირნობის დროს, მთვარიან ღამეებში გადაეშლებოდა პოეტს გროვა პოეტური სახეებისა და აზრებისა“<sup>299</sup>.

„საღამო-საღამოობით, მთვარიან ღამეებში, სეირნობის დროს“ პოეტს, როცა უღზავდებოდა გროვა „პოეტური სახეებისა და აზრებისა“ ეს იყო, რა თქმა უნდა, ერთგვარი მოსამზადებელი, წინა ეტაპი შემოქმედებითი პროცესისა, ხოლო „თხზვა“, „ლექსის წერა“ ხდებოდა კალმით ხელში, მაგიდასთან.

ზოგიერთი მწერალი ჯერ მთლიანად ჩამოაყალიბებს, ჩამოქპნის გონებაში თავის თხზულებას და მერე, ქაღალდზე გადატანილში, არავითარი შეცვლა-შესწორება აღარ შეაქვს, ეს არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ზეპირად თხზვა“. ბარათაშვილს ვერ მივაკუთნებთ ასეთ მწერალთა წყებას. ბარათაშვილის შემოქმედებითი პროცესი „ქაღალდზე“ სწარმოებდა, ეს „პროცესი“ ზოგჯერ რამდენიმე წელსაც გრძელდებოდა.

პოეტის ავტოგრაფების შესწავლა სრულიად ნათელჰყოფს ამას. სანიმუშოდ მოვიყვანთ ორიოდ მაგალითს.

ყრმობის პერიოდში, — 1833 წლამდე დაწერილი ლექსი „ვარდი და ბულბული“, ბარათაშვილმა 1834 წელს მთლიანად გადააკეთა და სახელიც შეუცვალა. საბოლოო რედაქციაში ლექსს დაარქვა „ბულბული ვარდზედ“.

ასევე ყრმობის წლებში, — 1833 წლამდე დაწერილი ლექსი „შემოღამება მთაწმინდაზედ“ 1836 წელს პოეტმა საგრძნობლად გადაამუშავა და შესცვალა.

ბარათაშვილის შემოქმედებითი მეთოდის ეს მხარე აქვს სახეში პოეტის თანამედროვეს დ. ყიფიანს, როცა წერს, რომ ამხანაგების „წრეში ბარათაშვილი კითხულობდა პირველად თავის ლექსებს, აქ იგი ისმენდა შენიშვნებს, რასაც თითოეული გამოთქვამდა გულწრფელად და იქვე იგი კითხულობდა ამ ლექსებს, შესწორების შემდეგ. ისიც უნდა ვთქვა, რომ ეს შენიშვნები ეხებოდა მხოლოდ იმას, რაც ხელს შეუწყობდა აზრის გარკვევას, ან უფრო რელიეფურად გამოთქმას“ 300.

თუ ლექსების „თხზვას“ პოეტი რამდენიმე წელს უნდებოდა, ძნელი არ არის გავითვალისწინოთ ის დრო, რომელსაც ზოემას „ბედი ქართლისა“ მოანდომებდა ბარათაშვილი. ამიტომ სრულიად დამაჯერებლად მიგვაჩნია ზაქარია ჭიჭინაძის



ცნობა, ბარათაშვილის თანამედროვეთაგან გადმოცემული, რომ პოეტს „ბედი ქართლისა“ სასწავლებელში ყოფნისას მოუფიქრებია და პირველი ვარიანტი სკოლაში სწავლის წლებშივე დაუწერია. „მე ბევრისაგან გამიგია, — გადმოგვცემს ზ. ჭიჭინაძე, — რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს ბევრჯერ უთქვამს, რომ „ბედი ქართლისას“ შინაარსი სკოლაში ყოფნის დროს დამებადა თავშიო, იქვე განვიძრახე ამის დაწერა, რამდენიმეჯერ დავწერე კიდევ, მაგრამ არ ვაჩენდი, ვიდრე გვარიანად არ შევამუშავებდიო“ 301.

პოეტის გიმნაზიაში ყოფნის დროს — მეფე ერეკლეს პიროვნებით გატაცებაზე საუცხოოდ მეტყველებს „ტფილისის გიმნაზიის ყვავილში“ მოთავსებული მასალა, რომლის ერთ-ერთი თანამშრომელიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ნიკოლოზ ბარათაშვილიც იყო.

პოემის სერიოზული გადამუშავება და მისი საბოლოო რედაქცია ბარათაშვილს 1838 წლის მაისიდან დაუწყია.

„ბედი ქართლისა“-ზე მუშაობის განახლების ბიძგი მისცა პოეტს „საქართველოს ისტორიის შემდგენ წრეში“ მონაწილეობამ და „გარეთუბანში“ კონსტანტინე მამაცაშვილთან ერთად გასეირნებამ.

„მახსოვს, — გვიამბობს კ. მამაცაშვილი, — ერთ ივლისის ღამეს, 1838 წელს, მე და ტატო წავედით სასეირნოთ გარეთუბანს. ტატო ძალიან მზიარულად იყო და თავისებურად მშვენივრად ხუმრობდა; მერმე ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზედ და ტრაგიკულს დასასრულზე 18-ის საუკუნისა, მეფის ირაკლის მოხუცებულობის გამო უღონობაზედ, ჩვენი ტფილისის წახდენაზედ, 1795 წლისა, 1 სექტემბერს და სხვ.

ამ ლაპარაკის დროს ნიკოლოზს, ყოველთვის მოცინარს და მხიარულს, სახე გამოეცვალა, დაიწყო ხელსახოცით ცრემლუბის წმენდა და აღელვებულმა მითხრა:

— ჩვენმა უხეირობამ დაგვღუპა! — და ოხვრით დაუმატა:

— ვაი, ჩვენი ქართლის ბედო!

დიდხანს დაედლიოდით თავჩალუნულნი და მოწყენილნი“ 302.

1839 წელს პოემა „ბედი ქართლისა“ მზად იყო. „1839 წელს, — გვიამბობს იგივე კ. მამაცაშვილი, — გამოვიდა პოემა „ბედი ქართლისა“, რომელმაც უკვდავი გახადა ნიკოლოზ ბარათაშვილი. ეს პოემა, რომელშიაც არიან გამოხატულნი მეფე ერეკლე, იმისი მრჩეველი ბრძენი სოლომონ ლეონიძე, ერი ქართლ-კახეთისა და სხვა, თავის მაღლის და ღრმა პაზრით, პატრიოტულის გრძნობით და მშვენიერის სტილით შემდეგ „ვეფხისტყაოსნისა“, შეუდარებელია და უპირველესია აქამდისინ ქართულს ლიტერატურაში“ 303.

ახლად დასრულებული პოემის პირველი ლიტერატურული ნათლობა მოხდა ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლში. ზ. ჭიჭინაძე გადმოგვცემს: „გამიგონია, რომ ბარათაშვილმა თავის პოემა „ბედი ქართლისა“ ალ. ჭავჭავაძის სახლის ბანზე წაიკითხაო“ 304.

„ბანზე შეკრებებს“ ჭავჭავაძენი შემოდგომის პირზე აწყობდნენ ხოლმე. კონსტანტინე დადიანი გვიამბობს: „შემოდგომის მზე რომ მთაწმინდის უკან დაიმალებოდა, მეოთხე მეხუთე საათზე, ბანზე იყო ყრილობა, სადაც მიირთმევედნენ ღუთმას და ალექსანდრე ჭავჭავაძის ღვინოს“ 305.

მამასადაამე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბარათაშვილმა თავისი პოემა ჭავჭავაძიანთ „ბანზე“ წაიკითხა, 1839 წლის

შემოდგომის პირად. პოემის საბოლოო რედაქტირებაც, აღნიშნულ დროს უნდა მივაკუთვნოთ.

„ბედი ქართლისა“-თი ბარათაშვილმა ორი საქმე გააკეთა. თუ, ერთი მხრით, სწორი ისტორიული ახსნა მოუხაზა საქართველოს რუსეთთან შეერთებას, მეორე მხრით, „მეფის უფლების განქიჩებით“, სამშობლოში თავისუფლად ცხოვრების სურვილის გამოთქმით და რესპუბლიკურ-კონსტიტუციური აზრების პროპაგანდით გაამათრახა ნიკოლოზ პირველის ჟანდარმული სისტემა.

სწორედ აქ, ამ პოემაში, ყველაზე მკვეთრად იჩინა თავი ბარათაშვილის გამანთავისუფლებელმა და სოციალურმა შეხედულებებმა, რომლებსაც როგორც ვნახეთ, პოეტი ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნისას ეზიარა.

„ბედი ქართლისა“ თავის მთავარ და უმთავრეს ნაწილში ისტორიულ ფონზე იშლება. მასში გამოყვანილნი არიან:

1. ერეკლე მეორე, მეფე თეიმურაზ მეორის ძე (1720 — 1798). მეფობდა კახეთში 1744 — 1762 წლებში, ხოლო 1762 წლიდან ქართლ-კახეთში.

ერეკლე მეორეს — პატარა კახს ეძახდნენ. იგი იყო სახელოვანი მეფე, მხედარი, სარდალი, რომელიც დაუნდობლად იბრძოდა ირან-ოსმალეთის აგრესიისა და დაღესტანელ მძარცველ გლუხოდარების წინააღმდეგ. მის მორჩილებაში იმყოფებოდა განჯა, ერევანი და ამიერკავკასიის სხვა სახანოები.

სამეფო ხელისუფლების გასაძლიერებლად დათრგუნა თავადური რეაქცია — გააუქმა ქსნის საერისთაო, გაანადგურა შეთქმულთა თავადური ორგანიზაციები, ყოველნაირად ზრუნავდა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებაზე და საქალაქო ცხოვრების გაუმჯობესებაზე. მისი უშუალო თაოსნობით განა-

ხლდა ალავერდის მადნების წარმოება, გახსნა თოფხანა და ზარაფხანა. მოაწყო ზარბაზნების წარმოება.

თავისი წვლილი შეიტანა მართლმსაჯულების გაუმჯობესების საქმეშიაც. ჩაატარა სასამართლო რეფორმა და ცვლილებანი შეიტანა კანონმდებლობაში.

თავად ღრმად განათლებულმა გახსნა სტამბა, დააარსა სასწავლებლები. მათგან აღსანიშნავია: თბილისისა და თელავის სემინარები. მის ინიციატივას ეკუთვნის 1774 წელს მუდმივი ჯარის ე. წ. „მორიგეს“ შექმნა.

როგორც რუსეთის მოკავშირე — მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის პირველ ომში (1768 — 1774) და ბრწყინვალედ გაიმარჯვა ასპინძაში 1770 წლის აპრილს.

1783 წელს ქალაქ გეორგიევსკში „მეგობრობის ტრაქტატი“ დადო რუსეთთან და შევიდა მის პროტექტორატში.

ამან გაარისხა მეზობელი მაჰმადიანური ქვეყნები და ქართლ-კახეთის საძეფოს ერთდროულად თავს დაესხნენ ომანხან ავარიელი და სულეიმან ფაშა. 1795 წ. საქართველოზე გამოილაშქრა ირანის ყაენმა ალა-მაჰმად-ხანმა, რომელმაც დაამარცხა ერეკლე და თბილისი ააოხრა. ამიერიდან ერეკლე მეორე თელავში ცხოვრობდა, სადაც გარდაიცვალა კიდევ დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ეკლესიაში.

2. ალა-მაჰმად-ხანი — ალა მაჰმად-ხანი-ყაჯარი, საქურისი მაჰმად ჰასან-ხანის ძე, ხელმძღვანელი ყაჯართა ტომისა. 1785 წელს ხელთ იგდო თეირანი, ერაყი, აზერბაიჯანი, სძლია ჯაფარ-ხან-ზედს და 90-იან წლებში მთელი სპარსეთის გამგებელი გახდა. 1795 წელს საქართველოს შემოესია, როგორც რუსული ორიენტაციის მხარეს და დაარბია საქართველოს დედაქალაქი. 1797 წელს მოჰკლეს ყარაბაღში.

3. სოლომონ მსაჯული — სოლომონ ანდრიას ძე ლეონიძე (1754 — 1811) ერეკლე მეორის კანცლერი, სახელგანთქმული სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი და უებრორიტორი.

მეფის მდივნად ყოფნისა და ნამსახურობისათვის ერეკლეს მიერ თავადობის წოდებაში იქნა ჩარიცხული. აღმოსავლური ენების გარდა საუცხოოდ იცოდა რუსული. ქართულად თარგმნა სავარჯიშო წიგნი „რაზღოვორი“ ანუ „საუბარი“.

მომხრე იყო რუსეთთან კავშირისა 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე. მისი თაოსნობით დაიღო 1790 წელს ქართულ სამეფოებს შორის საკავშირო ხელშეკრულება.

სოლომონ ლეონიძის გონიერება საუცხოოდ ჩანს იმ შესანიშნავ მჭევრმეტყველურ სიტყვაში, რომელიც მან თქვა ერეკლე მეორის დასაფლავების დღეს. ამ სიტყვაში ლეონიძემ ერეკლეს „ჭერკულესი“ უწოდა, რომელმაც „საიგავოდ აქო, ადიდა სიმხნე ქართველთა ცათამდე“.

რუსეთის პროგრესული როლის შესახებ შემდეგი სიტყვებით მიმართა ქართველობას: სანამ საქართველოს „დიდის როსიილამ გამოჰყავს ლაშქარი, ციმბირილამ მოჰყავს სამხედრო გუნდი, ვის შეუძლიან შენი დამდაბლებაო!“.

4. სოფიო — ქსნის ერისთავის დავითის ასული, სოლომონ ლეონიძის მეუღლე.

5. თამაზ, ენისეთ მოურავის ძე თამაზ ჯორჯაძე, ენისელის (კახეთი) მოურავი, ცნობილი გმირი.

6. იოანნე, კახთაბაშიძე — კახეთის აბაშიძეების შტოდან, სახელოვანი მეომარი.

7. დავით სარდალი — დავით რევაზის ძე ორბელიანი (1720 — 1795) ერეკლე მეორის სიძე. სახელმწიფო

სარდალი. თავი ისახელა აზატხანზე გამარჯვებაში ერევანთან  
და ასპინძის ომში ოსმალ-ლექების შემუსვრაში.

საქართველო  
საბჭოთაო

ნიკოლოზ ბარათაშვილმა „ბედი ქართლისა“-ს ქარგად აი-  
ლო ალა-მაჰმად-ხანის შემოსევა საქართველოში 1795 წელს და  
კრწანისის ბრძოლა, რომელიც, როგორც ვთქვით, ქართველთა  
დამარცხებით და თბილისის აოხრებით დამთავრდა.

პოემაში პოეტმა დაუშვა ისტორიული ანაქრონიზმი, რო-  
მელიც თავის დროზე შენიშნა ბარათაშვილის უფროსმა თანა-  
მედროვემ, მეფე ერეკლეს ასულის — თეკლეს ვაჟმა, მწერალ-  
მა და მემუარისტმა ალექსანდრე ორბელიანმა (1801 — 1869):

„თავადი ნიკოლოზ მელიტონის-ძე ბარათაშვილი საქართ-  
ველოს ბედს რომ ლექსათა სწერს, სადაც სოლომონ მსაჯული  
გამოჰყავს მეფის ირაკლის უბნობაში, ის ლექს-მგოსნობა საუ-  
ცხოვოა, მაგრამ ისტორიისათვის კი არ გამოდგება.

მინამ ალა-მაჰმად-ხანი მოვიდოდა საქართველოზედ, სამი  
წლის წინათ დაუთხოვნია თავისგნით და ძალიან გასწყრომია  
და ალა-მაჰმად-ხანის შემდგომ ისევე შეურიგებია. სოლომონ  
მსაჯულის ორი წიგნი მე მაქუს, თვითონ სოლომონ მსაჯული-  
საგან შავათ დაწერილი მეფე ირაკლისთან დიახ, დიდი მადლო-  
ბისა, რომ მეფე ერეკლემ შეირიგა...

ის სოლომონ მსაჯული იყო ყუელასაგან ამოჩემებული,  
რომელზედაც ამთენი ტყუილი ამბები უზიდიათ მეფის ირაკ-  
ლისათვის, რომ ბოლოს იძულებული ქმნილა, ძალიან გასწყ-  
რომია და თავისგნით დაუთხოვნია.

თავადს ნიკოლოზს ეს ამბავი რომ სცოდნოდა, იმის დათ-  
ხოვნაში უფრო საგანგებოს აზრებს გამოხატავდა, მინამ საქარ-

თველოს ბედში. იმ დროს სოლომონ მსაჯული სიონის ეკლესიის მახლობლათაც მდგარა ერთს სახლში მტკუარის პირზედ, სიონიდან ჩრდილოეთის მხარეს“ 308.

რა თქმა უნდა, ბარათაშვილმა მშვენიერად იცოდა ყოველივე ეს, მაგრამ პოემის დრამატიზმისთვის მან გადაადგილა ისტორიული ფაქტები.

საზოგადოებაში „გამომწვებულმა“ პოემამ უმაღლეს მიიპყრო მკითხველის ყურადღება. ზოგი წაკითხვით კმაყოფილდებოდა, ზოგი ასლს იღებდა პოემიდან.

ბარათაშვილის ავტოგრაფიდან გადმოწერილი პოემის ერთ-ერთ ასლს ა. ჩიქოვანის ხელით ასეთი მინაწერი აქვს:

ბედო ქართლისაჲ, გვიმტკიცებ:  
ტფილისს მაჰმად-ხანს — მომსვლელად;  
მუნ ციხის კართა განღებულთ —  
იუღით... ასაოხრებლად,  
მეფის ირაკლის მხნეობას,  
სიბრძნით ქართველთა მზრუნველად;  
სოლომონ მსაჯულს, და სხვა გვამთ...  
ერთგულთ მამულის მკობელად.  
მშვენიერ შემკობილობით,  
მოგვითხრობს პაზრთა-გალობით,  
გალობა შენი, — დაბღალულს  
გულს ჰბალთავს,—შენის საღმობით;  
გულთა მხილავი გულთ ჰხედავს  
გულია მსხვერპლთა თანხმობით,  
რადგანაც დედათაც აწვე...  
ჩრდილოჲსა ქარიშხლობით. —  
ვინცაა შენი მწერაჲვი,  
ჭერია ეძღვნას მადლობა;  
ნიჟთ, ღვაწლთ, მოღეჟსეთ, პაზრთათვის,  
უნს დია უცხო ზრდილობა,

თუმცა მდაბიო — ქართული, —  
ჰმატობს აქ ზოგან — თქმულობა;  
გარნა უცხოა, კარგია, —  
ამ გვარ მამულიშვილობა.

თ. ა. ჩიქოვანი

1843 წ., ქ. ტფილისი

ლექსი ესე „ბედის ქართლის“ ჯერეთ 1840 წელს მქონდა გადაწერილი და შემდგომ რა სრულიად გადაწერე მაშინ ჩემ მიერ წარწერილი ლექსი ნიკ. ბარათაშვილზე აქვე ზედ დაესწერე“ 307.

1846 წლის დასაწყისში, როცა ბარათაშვილის ნაწერთა ცალკე წიგნად გამოცემის საკითხი დაისვა, საქმის ერთ-ერთ მოთავეს. ლევან მელიქიშვილს აფიქრებდა, თუ როგორ უნდა დაბეჭდილიყო იმ დროისათვის ცენზურულად მიუღებელი პოემა „ბედი ქართლისა“. 1846 წლის 19 იანვარს ლ. მელიქიშვილი თბილისიდან გრიგოლ ორბელიანს წერდა: „არ ვიცი „ბედი ქართლისა“ როგორ უნდა დაიბეჭდოს, რადგანაც ზოგიერთი ალაგი ძალიან თავისუფალი არი; თუ გასწორდება, კარგათ იცი, ბევრს დაჰკარგავს მთელი პოემა, მაგრამ ამის ამბავსაც შეგატყობინებ, რასაც ვარჩევთ“ 308.

აღნიშნული კრებული არ გამოსულა და „ბედი ქართლისა“ გამოუქვეყნებელი დარჩა.

ხსენებული პოემა პირველად დაიბეჭდა 1857 წლის ჟურნალ „ციცკრის“ სექტემბრის თვის ნომერში.

მკვლევარი ს. ხუციშვილი, რომელმაც შეუჯერა „ბედი ქართლისა“-ს პირველნაბეჭდი პოეტის ავტოგრაფ კრებულის საფუძველზე გამოცემულ ტექსტს, აღნიშნავს:

„პოემის პირველნაბეჭდი ორმხრივად სხვა სახეს იძლევა აკადემიურ გამოცემასთან შედარებით. ერთია მცირე რედა-



ქციული ცვლილებანი, რაც პოემის ავტოგრაფების სხვიდასხვაობაზე არის დამოკიდებული, მეორე უფრო რთულია და ემყარება პირობას, რომელსაც ძველად ცენზურა უყენებდა გამომცემელსა და ავტორს. პირველი სიტყვათა ურთიერთ დაადგილების შეცვლაში მდგომარეობს, მეორეთი კი პოემას დაკლებია დაახლოებით სამოცი ტაეპი. პირველნაბეჭდის ტექსტი საკმაოდ დაუმახინჩებია ცენზურას, პოემიდან მას ამოულია ისეთი ნაწილები, რაც ნაწარმოების აზრის გაგებისათვის აუცილებელია. სიტყვა „თავისუფლების“ ხსენება, მეფის უფლებების განქიქება, სამშობლოში თავისუფლად ცხოვრების სურვილის გამოთქმა და ზერელე ადამიანთა მხილება — აუკრძალია“<sup>309</sup>.

პოემა სრული სახით დაიბეჭდა ბარათაშვილის ნაწერთა პირველ აკადემიურ გამოცემაში, — 1922 წელს.

## „ს ა მ უ რ ი“

ნიკოლოზ ბარათაშვილის მამიდაშვილმა, ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილმა, 1839 წლის დამდეგს ცოლად შეირთო სამარაგდონ ორბელიანის ასული ბარბარე.

ა. დ. საგინაშვილის სიდედრის — ელისაბედის მიერ გამართულ ერთ-ერთ ვახშამზე, ნიკოლოზ ბარათაშვილი მოუხიბლავს იქვე მყოფ ეკატერინე ალექსანდრეს ასულ ქავჭავაძის საყურის თამაშს. ამ შემთხვევამ დააწერინა პოეტს ერთი საუკეთესო ქმნილებათაგანი ქართული სატრფიალო ლირიკისა.

პოეტის ბიოგრაფი იონა მეუნარგია გადმოგვცემს: „ბარათაშვილი იყო თურმე მიწვეული საგინაშვილის სიდედრთან საღამოზე და იქიდან შემოვარდა ყაფლან ორბელიანთან, საცა

დაუხვდა იმას ლევან მელიქიშვილი. «ლევან, ლევან! გავგიჟდი  
მეტი არა ვარ! ეკატერინა იქ არის და მისმა საყურის თამაშმა  
გადამრია! ღვთის განაჩენი კაცი ვერ ნახავს ვერაფერს უკე-  
თესს»... და იმ საღამოს სახსოვრად დასწერა ლექსი „საყუ-  
რე“ 310.

### ს ა ყ უ რ ე

ვითა პეპელა  
არხევს ნელ-ნელა  
სპეტაკს შროშანის, ლამაზად აბრისს,  
ასე საყურე,  
უცხო საყურე,  
ეთამაშება თავისსა აჩრდილს.  
ნეტავი იმას,  
ვინც თავისს სუნთქვას  
შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს!  
შენის შერხევით,  
სიო-მობერვით  
გულისა სიციხეს განიგრილებდეს!  
ჰოი, საყურეო,  
გრძნებით ამრევო,  
ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიტკბარუნოს?  
მუნ უკვდავების  
შარბათი ვინ სვის?  
ვინ სული თვისი ზედ დაგაკონოს?

1839.

იმავე წვეულებისა და ლხინის მოგონებას უძღვნა ნიკო-  
ლოზ ბარათაშვილმა ლექსი „თავადის კ[ავკავა]ძის ასულს,  
ეკატერინას“:

ხმით მშვენიერით,  
ტკბილის სიმღერით,



პაეროვანო, სულს ეღზინებ;
 თვალთ არონინებ,
 გულს დააწულულებ
 და ღიმილითა ესალბუნები
 სადც ხარ, იმ არეს
 მოჰფენ სიამეს, —
 უშენოდ მოსცდეს მხიარულება!
 შენის ენითა,
 საესე ლხენითა,
 ვინ არა იგრძნოს გულყეთილობა!
 მახსოვს სიამით,
 ოდეს ტკბილის ხმით
 ვარდსა და ბულბულს\* მოელხინარე,
 პირმციინარითა,
 სინარნარითა,
 მგოსნის ყარიბს გულს ესხიმფენარე!

1839.

ეკატერინე ქვეკვაძესევე ეძღვნება ნ. ბარათაშვილის ლექსი  
 „[ეკატერა]ნა ფორტოპიანოზედ მომღერალი“.

ხმა საყრავისა,  
 ნელ ნარნარისა,  
 სულს განახარებს;  
 და მშვენიერის  
 ენა ამიშლის  
 გულისა კირებს!

\* „ვარდი და ბულბული“ ლექსია სამღერალო, რუსულიდამ ნათარკმნი  
 თ-ის ქვეკვაძისაგან-  
 (შენიშვნა ნ. ბარათაშვილისა).



გვერეტდი ლამაზსა,  
 სეედიოთა ნაზსა,  
 და შევეტრფოდი;  
 ყოველთ გრძნობათა,  
 ყოველთ გონებათა  
 მას შივაპყრობდი.  
 ლაწენი ნაცრემლნი,  
 ტრფიალთ დამწველნი,  
 უფროს შენოდენ;  
 თმანი ნაშალნი,  
 მკერდზედ დაყრილნი,  
 ემუქმეებოდენ.  
 ეუეუნა თვალნი,  
 გულთა მომკვლელნი,  
 მოციინარობენ;  
 ბაწაწა ტუჩნი,  
 ვარდებრ ნაფურცლნი,  
 ლხენას მოკბერვენ.

ბარათაშვილმა ეკატერინესთვის ქართულად გადმოიღო რუსული სასიმღერო რომანსები: „ცისა ფერს“ და „როს ბედნიერ ვარ...“

რადგან ეკატერინე ჭავჭავაძე შთამგონებელი და აღრესატია ბარათაშვილის რამდენიმე ლექსისა, შეუძლებელია. გვერდი ავუაროთ პოეტისა და ეკატერინეს სატრფიალო ისტორიას.

მკვლევარმა პავლე ინგოროყვამ ახსნა და გამოარკვია ამ ურთიერთობის არა ერთი მომენტი<sup>311</sup>. მაგრამ სწორი არ იქნებოდა ამ ურთიერთობის კვლევა მარტოოდენ ბარათაშვილის მიერ ეკატერინესადმი მიძღვნილი ლექსების განხილვით, როგორც ამას დღემდე აქვს ადგილი. საჭიროა გავითვალისწინოთ სხვა მასალები და ეკატერინე ჭავჭავაძისა და დავით დადიანის პიროვნებული ქრონიკებიც.

დავიწყოთ ბარათაშვილისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ურთიერთობის განხილვა მათი ბავშვობის წლებიდან.

პოეტის მამის — მელიტონ ბარათაშვილის ოჯახსა და ეკატერინეს მამის — პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლობას შორის თავიდანვე უახლოესი ურთიერთობა არსებულა. პოეტის და, ბარბარე ვეზირიშვილი გადმოგვცემს, რომ მელიტონის ოჯახის წევრებს „განსაკუთრებით კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახობასთან“ 312.

ბარათაშვილის უახლოესი მეგობარი კ. მამაცაშვილი, იმ პირთა წყებაში, რომელთაც მისვლა — მოსვლა და ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ბარათაშვილის ოჯახთან, თავდაპირველად მოიხსენიებს ეკატერინეს მამას — ალექსანდრე ჭავჭავაძეს 313.

მასასაღამე, ბარათაშვილი პატარობიდანვე ახლო იცნობდა ეკატერინეს, მაგრამ ეკატერინე, როგორც ვნახეთ, პოეტის პირველი ტრფიალი არ ყოფილა.

ბარათაშვილის გატაცება ეკატერინე ჭავჭავაძეთი 1839 წელს ეკუთვნის და ამ სასიყვარულო თავგადასავალს 1839 წელსვე უნდა დაესვას წერტილი.

თუ როგორ შეხვდა ამ ტრფიალს ეკატერინე, ამაში გასარკვევად, საჭიროა ეკატერინე ჭავჭავაძის ბიოგრაფიის გაცნობა.



ქართველ რომანტიკოსთა მუზა, „ხმით მშვენიერი“, „ფორტოპიანოზე მომღერალი“, სადაც კი იყო, „იმ არეს ფენდა სიამეს“, „თმანი ნაშალნი“, „უუუუნა თვალნი“, „პაწაწა ტუჩნი ვარდებრ ნაფურცლნი“, ბოლომდე დარჩა ქართული პოეზიის „ჰაეროვან მტრფიალად, მის მზრუნველად, მის მსახურად, მენახედ და მფარველად“.

ეკატერინე ჭავჭავაძე დაიბადა 1816 წლის 19 მარტს.

ეკატერინემ ბავშვობის პირველი წლები გაატარა „სოლო-  
ლაის“ წალკოტოვან უბანში, — ახვერდოვების სახლში, სადაც  
ჭავჭავაძეებს მათი ფლიგელი ეკავათ. დარია ახვერდოვა გად-  
მოგვცემს:

„თავად ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძეს, რომელიც  
დედაჩემთან (პრასკოვია ნიკოლოზის ასული არსენიევა — ახ-  
ვერდოვა — ი. ბ.) ერთად ჩემი დის სოფიოს და ძმის ეგორუშ-  
კას აპეკუნი იყო, ეჭირა არც ისე დიდი ფლიგელი ჩვენი სახ-  
ლის გვერდით.

აქ ცხოვრობდნენ თავადის დედა, მეუღლე სალომე და  
შვილები ნინო, კატინკა და დავით. ბავშვები მთელი დღეობით  
იყვნენ ხოლმე ჩვენთან ხოლო კატინკა კიდევაც ცხოვრობდა  
ჩვენსა. მე, მას და გუვერნანტ ქალს ნადეჟდა აფანასეევნას  
ერთი ოთახი გვქონდა. ზაფხულობით ხშირად ჩავდიოდით ჭავ-  
ჭავაძეებთან შესანიშნავ მამულში წინანდალში“<sup>314</sup>.

პრასკოვია ახვერდოვას პანსიონში ეკატერინეს მასწავლებ-  
ლები ყოფილან: ვინმე „აკაკი კონდრატიევიჩი“, „აექსენტი  
ტრიფონოვიჩი“, „აფანასი ივანოვიჩ გიაცინტოვი“. მუსიკას  
კაპელმეისტერი, კომპოზიტორი, სოკოლოვსკი ასწავლიდა,  
ფერწერას პრასკოვია ახვერდოვა, პორტრეტისტი და მინიატურ-  
ების ჩინებული ოსტატი. ფრანგულს მ. რავერჯი, ცეკვას მა-  
ტილდა კასტელა<sup>315</sup>.

ეკატერინე სულ მალე და ადვილად დაუფლებია რუსულს,  
ფრანგულს, ფორტოპიანოზე დაკვრას, სიმღერას, ხატვას, ცეკ-  
ვას. პოეტ გრიგოლ ორბელიახისადმი მიმართულ ბარათში  
ახალგაზრდა ეკატერინე ჭავჭავაძეს წერდა:

„Любезный братец, Григорий Дмитриевич! Скажу

ვამ, что я очень рада была, когда папилька мой получил от вас письмо и что вы теперь, слава богу, здоровы, не оставляете нас уведомлением о себе. Я, слава богу, здорова и учительница моя довольна моими успехами. Я все понимаю по русски и по французски, играю на фортепьяно и учусь танцевать. Прощайте, любезный братец, желаю вам быть здоровым и остаюсь любящая вас, сестра“.

1828 წლის 22 აგვისტოს, როცა გრიბოედოვმა ჯვარი დაიწერა ეკატერინეს უფროს დაზე — ნინოზე, ეკატერინემ საგანგებო ტანსაცმელი და ატლასის ფეხსაცმელები შეიყვრა ამ ქორწილისათვის. დარია ახვერდოვა იგონებს:

„არ შემძლია არ აღვნიშნო, რაოდენ მიყრუებული იყო იმ დროს ტფილისი, ქალის ფეხსაცმლის — ხეირიან მკერავსაც კი ვერ იპოვიდით, მას როლს დედაჩემის ლაქია ეგორ ტიტოვი ასრულებდა.

როცა რომელიმე ბალი ან ქორწილი იყო მოსალოდნელი, მას რასაკვირველია, ყველა შინაურის, მათ შორის ჭკვეპაძის ანთ და ორბელიანთ ქალების გამოწყობა უხდებოდა... დღევანდელ დღესავეთ მახსოვს წითელი ატლასის ფეხსაცმელები რომელიც ეგორმა მე და კატინკას შეგვიყვრა გრიბოედოვის ქორწილის დღისათვის“ 317.

ეკატერინე ჭკვეპაძის ფერიული სიმშვენიერით საქართველოდან პეტერბურგამდის და „პეტერბურლიდგამ ისპაანამდის გაგიჟებულნი იყვნენ ხალხნი“ 318.

პოეტი გრიგოლ ორბელიანი წერდა, რომ ეკატერინე იყო „დედუფლად დაბადებული. ვინცა შეხედავდა, მაშინვე უნდა მდაბლად თავი დაეკრა“ 319.

ყმაწვილქალობაში ეკატერინე ყოფილა მეტად მხიარული ხასიათის, კარგი მომღერალი და მოლექურე.

რაც დრო ვადიოდა, ეკატერინე სულ უფრო და უფრო მშვენიერდებოდა. მანანა ორბელიანი თბილისიდან წერდა გრიგოლ ორბელიანს: „ოჰ! გრიგოლ! ეკატერინე რომ ნახო, გაგიჟდები, ასეთი ლამაზი არის გასუქებული, თეთრი და წითელი, რომ ველარ იცნობ, რომ ნახო“ 320.

და ამ „თეთრ-წითელა“ — „ვარდის“ დასაკუთრება ვის არ უნდოდა. ერთი მათგანი ივანე კონსტანტინეს ძე მუხრან-ბატონი (1812 — 1895) იყო. 1835 წლით დათარიღებულ ბარათში მანანა ატყობინებდა გრ. ორბელიანს: „ივანე კი კვდება კატინასათვის, რომ აღარა აქვს სიცოცხლე, მუხრან-ბატონიშვილი. კატინას კი არა მოსწერო რა ივანეზედ გამოცხადებით“ 321.

ზაქარია ორბელიანი იმასვე ატყობინებდა თავის ძმას გრიგოლს: „ივანე მუხრანსკი კვდება კატინასათვის И не на шутку! ცოლად ჰსურს; მაგრამ სტარუხები აყენებენ, ნათესავი არისო, მეოთხე და მესამენი არიანო!“ 322

ეკატერინემ თანაუგრძნო თურმე ივანე მუხრან ბატონის ტრფიალს. სიყვარულმა ერთბაშად შესცვალა მისი ცელქი, ონავარი ხასიათი. გრიგოლ ორბელიანისადმი მიმართულ ბარათში ეკატერინე წერდა: „ჩემო საყვარელო ძმავო გრიგოლ! შენ მაინდამაც ხუმრობასა მწერ, გონია რომ გამაჯავრო, მაგრამ ახლა გამოცვლილი ვარ, სრულებით ვერ იცნობ ჩემს ხასიათს რო მნახო“ 323.

გრიგოლ ორბელიანი უმაღლვე მიუხვდა ეკატერინეს გულის გუმანს, მაგრამ მაინც მორიდებით ეკითხებოდა:



„ჩემო საყვარელო დაო კეკელავ! შენს ხასიათის გამოც-  
გლასა მწერ და არა მწერ მიზეზსა.

Будь откровенна со мною, ей богу, никому не скажу. Это я сам угадаю, признайся, не влюблена ли? — Какой злодей осмелился произвести такую перемену в характере, столь преложном, скажите слово и я его убью, зарю в могилу“. 324.

ივანე მუხრან-ბატონი იყო ეს „უკეთური“.

ივანემ ეკატერინეს ხელი სთხოვა. ეკატერინე დათანხმებულა და მაშინვე ნიშნობაც გადაუხდიათ. „ჩემს მაგიერ, — წერდა გრიგოლ ორბელიანი რიგიდან, თავის ძმას, — ზაქარიას, — სალომეს და ნინოს მიულოცე კატუას დანიშვნა. — რა გამოვიდა, ერთხელ ვერავის ქორწილში ვერ დავესწარა“ 325.

ჯვრისწერისთვის იმხანად პეტერბურგში მყოფ ალექსანდრე ჭავჭავაძის ნებართვა იყო საჭირო. ივანე მუხრან-ბატონი მაშინვე პეტერბურგს გაემგზავრა ნებართვის ასაღებად და ქორწილის დღის დასანიშნავად. ზაქარია ორბელიანი თბილისიდან წერდა თავის ძმას გრიგოლს: „ივანე მუხრანსკი პეტერბურგს წაეიდა ალექსანდრესთან ნების ასაღებად ჯვარის წერისა კატინაზე“ 326.

მაგრამ ალექსანდრე ჭავჭავაძე წინ აღუდგა დანიშნულთა შეუღლებას, უარი უთხრა ივანე მუხრან-ბატონს, ქორწილი ჩაშალა. ქეთევან ორბელიანი გადმოგვცემს: „ივანეს ქალი არ მისცა, თუმცა ეკატერინესაც უყვარდა“ 327.

უარმიღებულ ივანე მუხრან-ბატონს მაშინვე ნინო ლევანის ასულ დადიანის შერძვა განუზრახავს. ზაქარია ორბელიანი 1836 წლის 13 აგვისტოს თბილისიდან წერდა თავის ძმას გრიგოლს: „ბარონმა (როზენმა — ი. ბ.) თან წაიყვანა ივანე მუხ-

რანსკი, რომელსაც, ანზობენ, ჯუარს იწერსო დადიანის ქალზედ“ 328.

იმავე წლის ოქტომბრის დასაწყისისათვის ივანე მუხრან-ბატონი ნინო ლევანის ასულ დადიანზე ჯვარდაწერილად ჩანს. 1836 წლის 15 ოქტომბერს ზაქარია ორბელიანი თბილისიდან ატყობინებდა გრიგოლ ორბელიანს: „ივანე მუხრანსკიმ ლევან დადიანის ქალი შეირთო“ 329.

მკითხველმა წარმოიდგინოს ეკატერინე ჭავჭავაძის სულის ტკივილი, რომელსაც გამოიწვევდა ჯერ მამის მიერ ჩაშლილი ქორწილი და მერე გულისტოლის ერთბაში გადაწყვეტილება სხვა ქალზე ჯვარისდაწერისა?

ეკატერინე ჭავჭავაძისა და ივანე მუხრან-ბატონის „უიღბლო სამიჯნურო ისტორია“ ბარათაშვილის ბიოგრაფიაში ცნობილი არ იყო. მას კი დიდი მნიშვნელობა აქვს, ეკატერინესა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ურთიერთობის სწორი და პირუთენელი გაგებისათვის, რაიც, სამწუხაროდ, დღემდის სრულიად ყალბი სახით ვრცელდება.

ეკატერინესთვის თურმე გული უცემდა გიორგი ერისთავსაც: პოეტი და დრამატურგი გ. ერისთავი პოლონეთიდან წერდა გრიგოლ ორბელიანს: „ივანე მუხრანსკის დადიანის ქალი შეურთავს, ღმერთო, იქნება კატინკა მე მერგოს, მესამე და მეოთხეები ვართ, რო წახვალ, შენ აგებ მომიხერხო“ 330. რამდენიმე ხნის შემდეგ გ. ერისთავი აგონებდა გრ. ორბელიანს: „კატინასი რა ამბავი იცით, რომ წახვიდე, აგება გამიგო“ 331.

რა უნდა გაეწყო გრიგოლ ორბელიანს? ეკატერინეს კიდევ უამრავი თაყვანისმცემლები ჰყავდა, მაგრამ ივანე მუხრან-

ბატონთან მამის მიზეზით პირველ სიყვარულგაცხენებულ ეკატერინეს გულმა მერე არავინ მიიყარა.

მკითხველმა უკვე იცის, რომ მეგობრობა დელფინა ლანჩულის და ნიკოლოზ ბარათაშვილისა არ იყო ხანგრძლივი, იგი ორი წელი, 1837 და 1838 გაგრძელდა. დელფინას ადგილი ქაბუკი პოეტის გულში 1839 წელს ეკატერინე ჭავჭავაძემ დაიკავა, მაგრამ ამ გატაცებას, როგორც აღვნიშნეთ, 1839 წელსვე დაუსვა წერტილი.

იქ დროს ეკატერინეს ოფიციალურ საქმროდ ითვლებოდა სამეგრელოს ტახტის მემკვიდრე, დავით ლევანის ძე დადიანი (1813 — 1853).

მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში, როცა დავით დადიანი გამოჩნდა თბილისის უმაღლეს საზოგადოებაში, მას დაწინდული ჰყავდა სვანეთის (ჩუბინევის) მთავრის ციოყ მურზაყანის ძე დადუშქელიანის და დურუხანის, რომელიც 1823 წელს მისთვის დაუნიშნია ლევან დადიანს.

თბილისში ჩამოსული დავით დადიანი აედევნა ლუარსაბ ორბელიანის ასულ ელენეს და უარი განაცხადა დურუხანის შერთვაზე. ილია ორბელიანი 1832 წლის თებერვალში თბილისიდან წერდა თავის უფროს ძმას, გრიგოლს: „თქვენი ბიძაშვილი, ელენე, ლუარსაბის ქალი, დანიშნეს, ჯერ კი არა და მალე, დადიანი რომ არის... იმაზე და ის დადიანი დანიშნული ყოფილა აფხაზეთის (უნდა იყოს სვანეთის — ი. ბ.) ბატონის ქალზე და ეშინიანთ იმათ დადიანთ. ამ ყმაწვილმა თავის მამასთან კაცი გაგზავნა და პასუხს მოელოან“<sup>332</sup>.

ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

რამდენიმე წლის წინათ, მოსკოვის საისტორიო მუზეუმში, პროფ. ელენე ვირსალაძემ იპოვა საქმე, რომელიც ეხება და-

ვით დადიანის მიერ ღურუხანის დატოვების გამო წამოწყებულ კონფლიქტს.

„საინტერესოა, — წერს ელენე ვირსალაძე, — დავით დადიანის გარშემო ატეხილი მიმოწერა, რომელიც გასცილებია ოჯახური უკმაყოფილების ფარგლებს და მეფის მთავრობის ყურადღების საგანი გამხდარა იმდენად, რომ როზენს შეუქრებია ყველა მასალა იმის გარშემო. მიმოწერაში ჩართულია დადემშქელიანის წერილი, სამეგრელოს მთავრისადმი მიწერილი.

წერილი შეიცავს მტკარას იმის გამო, რომ დადემშქელიანების ასული ღურუხან, რომელიც დავით დადიანის ოფიციალური დანიშნული იყო და დადიანებთან სტუმრადაც ყოფილა მიწვეული — დავით დადიანს აუთვალისწინებია და გასდევნებია ლუარსაბ ორბელიანის ქალს ელენეს. დადემშქელიანი აღელვებას გამოთქვამს და აფრთხილებს დადიანს — სამეგრელოსა და სვანეთს შორის სისხლისღვრა ატყდებოა.

აღბათ ეს გარემოება არის მიზეზი იმისა, რომ როზენი ერევა ამ საქმეში. იქვე შენახულია წერილი დავითისა როზენის მიმართ. წერილი, დაწერილია რუსულად, დავითის ავტოგრაფს წარმოადგენს. დავითი ემუდარება როზენს — დაეხმაროს მას: „Никакие несчастья, никакие наказания не заставят меня забыть княжну Элену“, — წერს იგი როზენს და დაწყვეტილ უარს აცხადებს ღურუხანის შერთვაზე.

იქვე ინახება ლევან დადიანის პასუხი დადემშქელიანის მიმართ, იგი ფიცს აძლევს, რომ ღურუხანი დავითის ცოლი გახდება. საქმე გართულებულა იმდენად, რომ როზენს თბილისის პოლიცემისტერ ფალავანდიშვილისათვის დაუვალებია — აეძულებინა ლუარსაბ ორბელიანი, ოჯახი სოფელში წაეყვანა

დროებით და გამუდმებით თვალყური ედევნებინა დავითისათვის, რათა იგი ელენე ორბელიანს არ შეხვედროდა.

ფალავანდიშვილის რაპორტები იქვეა დართული. ანოვორც შემდეგი მასალებიდან ჩანს (დავითის დედის, ნინოს წერილები), დავითი როშენს მრავალი ჩინითა და ორდენით დაუმშვიდებია, ღურუხანი დავითს ჩამოაშორეს, მაგრამ როგორც ვიცით, არც ელენე შერთეს. შეიძლება ამით აიხსნებოდეს ჩვენთვის გაუგებარი გულცივობა, მშვენიერ ეკატერინე ქავჭავაძისა და იმის მეუღლის შორის“ 333.

დავით დადიანი მართლაც ჩამოხსნია ელენე ორბელიანს. მანანა ორბელიანი 1835 წლის 16 ივლისს თბილისიდან წერდა გრიგოლ ორბელიანს: „ელენე კიდევ ისე არის უქმროთ, ასე გასუქდა, ასე გაკეთდა ელენე, გრიგოლ, რომ ვეღარ იცნობ“ 334.

1836 წლის პირველ თვეებში თბილისში ჩამოსული, ზაქარია გიორგის ძე ერისთავი, უმალვე მოიხიბლა ელენე ორბელიანით, მოელაპარაკა და მაშინვე ქორწილი დანიშნა.

ეს ამბავი რომ დავით დადიანმა გაიგო, გადასწყვიტა ხელი შეეშალა ჯვრისწერისათვის. ზაქარია ორბელიანი ატყობინებდა თავის ძმას გრიგოლს: „Григорий, я забыл тебе сказать, что Захарий Эристав едва было не женился на нашей Элене, все было готово к свадьбе, но К. Даднани, прежний жених ее, помешал ему, изъявив снова желание, и родственники ее отдают Даднаниу преимущество“ 335.

მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, 1836 წლის 10 ივლისს ზაქარია ერისთავმა იქორწინა ელენე ორბელიანზე.

ზაქარია ორბელიანი თბილისიდან წერდა გრიგოლ ორბელიანს: „ელენე, ჩვენი ლუარსაბის ქალი, ამ თვის (ივლისის—

ი. ბ.) 10-ს, საღამოზედ 10 საათზედ ზაქარა, გიორგი ერისთავის შვილმან შეირთო; კარგი ყმაწვილი და ძალიან ნასწავლი კაცი არის; მაგრამ გამოუცდელი არის ჯერ. ამაში თამაზის ცოლი ძალიან ჯავრობს, რადგანაც დადიანისათვის ჰსურდა, რომელსაც დიდათ ჰსურდა, მაგრამ არ ვიცი, რატომ, აღარ მოხდა“ 336.

დავით დადიანის მომხრეები ქორწინების გაუქმებას ცდილან. ზაქარია ორბელიანი 1836 წლის 15 ივლისს თბილისიდან ატყობინებდა თავის ძმას, გრიგოლს: „ელენეც ხომ ზაქარია ერისთავმა შეირთო, როგორც მოგწერე. მაგრამ არქიერი ჯავრობს, ნათესავნი არიანო. — მეც ხელი მიწერია როსპისკაზედ — არ ვიცი, როგორ მოვრჩები“ 337.

დავით დადიანი კი, 1836 წლის 20 აგვისტოს, თბილისიდან წერდა თავის ძმას, გრიგოლ დადიანს, მწერლობაში კოლხიდელად ცნობილს: „ენიაზ იაგორ ევსეიჩმა, ერისთავმა, თავის შვილს ელენე შიტაცებით შერთო, არქიერი ჯავრობს და აშვებინებს მახლობელი ნათესაობით“ 338.

ქორწინება მაინც არ იქნა გაუქმებული.

ამის შემდეგ გავიდა რამდენიმე ხანი და დავით დადიანმა ახლა ეკატერინე ჭავჭავაძის შერთვა განიზრახა.

დავით დადიანი 1838 წლის პირველ დეკემბერს თბილისიდან გახარებული წერდა თავის ძმას, პოეტ გრიგოლ დადიან-კოლხიდელს: „უნდა მოუპოვო ჩემს ხმატკბილ იადონს ესრეთი სამგალობლო, სამსახიობლო და სასიხარულო საგანი, სჭერეტდეს მას ღირსად თვისისა შერომისა და დაუზოგავად იღვაწოს სამსახეობათა სხვადასხვათა, მრავალთა თხზვაი. საგანი ესე არს სჭულიერსა ქორწინებასა შინა შესვლა ჩემი ეკატერინა აღუქსანდრე ჭავჭავაძის ასულსა თანა, რომელი

უნდა მოხდეს შემდგომ დღესასწაულისა შობისა დღისა...  
შენი ბერი მუზა დაშვრება ჩემის კატინკას სანაქებო...  
სებზე“ 339.

1838 წლის 18 დეკემბერს შემდგარა დავით დადიანისა და  
ეკატერინე ქავჭავაძის ნიშნობა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინს-  
ტიტუტის S ფონდში დაცულ, ალექსანდრე ქავჭავაძის ბიძის,  
გიორგი ავალიშვილის კრებულის ყდის შიგნით არეზე ამ ნიშ-  
ნობის შესახებ ჩაწერილია შემდეგი ცნობა: „1838-სა წელს,  
დეკემბრის 18-სა, დაეწინდა კნიაზ ალექსანდრე ქავჭავაძის  
ასული ეკატერინა დავით ლევან დადიანის მემკვიდრისათვის.  
დღე იყო კვირიაკე“ 340.

1839 წლის 18 მაისს ქაშუთეთის ეკლესიაში დავით დადი-  
ანმა გვარი დაიწერა ეკატერინე ქავჭავაძეზე.

ეკატერინეს ქორწილის დროს გული შეღონებია. ზაქარია  
ორბელიანი 1839 წლის 3 სექტემბერს ქალაქ ლუცკიდან თბი-  
ლისში წერდა მანანა ორბელიანს: „დონზე მომეწია გალავნის  
რძალი და მარია პეტროვნა იმ დროს, როდესაც მე ფოშტით  
მივდიოდი ჩერკეზ-ქირმანიდამ. დავაყენებინეთ კარვტა და  
რამდენიმე ხანი ვალაპარაკეთ, — მათ შორის კატინას ამბავიცა,  
და იმის გულის-წუხილიცა ქორწილის დროს მითხრეს, და სხვა-  
ნი და სხვანი“ 341.

არაფერი ვიცი, თუ რისთვის შეუღონდა გული შეუღლე-  
ბის ცერემონიალისას ეკატერინე ქავჭავაძეს. ეს კია, რომ ეს  
ქორწილი, გარეგნულად ბრწყინვალედ გადახდილი, ნამდვი-  
ლად არ იყო ბედნიერი. დავით დადიანმა დროთა ვითარებაში,  
როგორც კ. ბოროზდინი ამბობს: „შესამჩნევად აიცრუა გული  
თავის ცოლზედ“ 342.



ეკატერინეც გულცივი იყო მეუღლის მიმართ.

ბუნებრივად იბადება კითხვა, ხომ არ მიივიწყა ეკატერინემ ივანე მუხრან-ბატონისადმი ტრფიალი და ნიკოლოზ ბარათაშვილს შეიღოს თანაუგრძნო?

ასეთი დასკვნის გაკეთება, ხელჩასაქიდი საბუთის აღმოჩენამდე, არ შეიძლება. ისე კი ცხადია, რომ ეკატერინე ქვეყანა-ქემ სიკვდილამდე შეინარჩუნა უდიდესი სიყვარული, პატივისცემა და მოკრძალება ბარათაშვილის პოეზიისადმი.

ეკატერინე სხვა ძვირფას რელიქვიათა შორის ინახავდა ბარათაშვილის მიერ მოსადმი მიძღვნილ ლექსთა ხელნაწერ კრებულს, და სიამაყის სავსე გრძნობით, უჩვენებდა და აკითხებდა მას მწერლებსა და ლიტერატურით დაინტერესებულ პირებს.

### ღუელი ბიძასთან

ნიკოლოზ ბარათაშვილი კინაღამ ღუელის მსხვერპლი გახდა.

ღუელის მიზეზი პოეტის ენამახვილობა და პირდაპირობა შეიქმნა, რომელიც არც მოწინააღმდეგისა და არც მეგობრის ნაკლს არ სტოვებდა გაუჭირდავად.

ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია იონა მეუნარგიას ჩანაწერი ლევან მელიქიშვილის ნაამბობისა, რომელიც ნ. ბარათაშვილისა და მის ბიძის — ილია ორბელიანის ორთაბრძოლის აღწერას შეიცავს.

ფრაგმენტში ვკითხულობთ:

„ნ. ბარათაშვილი მეგობრობდა ერთს მაღალაშვილს, რო-



მელიც აგრეთვე ენამწარე და დამცინავი იყო. იგი ხშირად აჯავრებდა რაღაცაზე ილია ორბელიანს. ამ დაცინვაში ხანდახან ტატოც წახმარებოდა ხოლმე მაღალაშვილს. ფრებელიანმა დიდხანს ითმინა, მაგრამ ბოლოს, მოთმინებულად გამოსულმა, გადასწყვიტა პირველსავე შემთხვევაზე გამოეწვია დუელში მაღალაშვილი.

მალე მეგობართა ჩვეულებრივი შეკრებაც მოხდა, მაგრამ იმ საღამოს, რაღაც შემთხვევის გამო, მაღალაშვილი არ მოსულა. ილიამ ჯავრი ტატოზე იყარა. დუელში გამოითხოვა. ჯერ ხუმრობაში მინდოდა ჩამომერთმია, მაგრამ ვერ მოვახერხე.

ილიამ ყაბარდოელი ატაეუკინი აირჩია სეკუნდანტად, ტატომ სწორედ ის — მაღალოვი. ჩავედით დანიშნული ადგილისაკენ ფეხით, რომ ეჭვი არ აეღოთ. მე შუაში მივდიოდი, აქეთ-იქით ილია და ტატო.

მე დავუწყე ლაპარაკი და დაიმედება. ილიამ მკითხა: მე კი არ გეცოდები, არა?! პირობა ასეთი იყო, რომ ვინც ცოცხალი და უვნებელი დარჩებოდა, იმას თავისი მოწინააღმდეგე ქირისუფლებთან მიეყვანა.

ილია, მაღალი, გორაზე დავაყენეთ და ტატო დაბალი — დაბალზე. მაღალოვმა მორთო და დამბაჩები მისცეს. დააყენეს „რაზ, დვა“, ესროლეს. ერთს გაუცუდდა, ფალიამ იფეთქა. ილია გაჯავრდა, ეგონა, რომ მოატყუეს. სული ჩაბერა, გატენილია. ხელახლა წამალი დააყარეს. ტატოს ხელახლა გაუტენეს და ესროლეს. ტატო წაიქცა განგებ. ილია შეწუხდა. დამბაჩები უტყვიოდ იყო გატენილი“<sup>343</sup>.

როგორც საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცული ერთი საბუთიდან ჩანს, ამ ორთაბრძოლის გამჩალებელი საპი-

ორის ოფიცერი ვინმე „მატინოვი“ ყოფილა, რომელსაც ი. მე-  
უნარგია პოეტის შეგობართა შორის იხსენიებს<sup>344</sup>.

უცნობი პირის მიერ ცარსკოე სელოდან გამოგზავნილ,  
ილია ორბელიანისადმი თბილისში მიწერილ ბარათში ვკითხუ-  
ლობთ:

„Дрожайший Илья! Письмо твое от 10 февраля  
я только получил вчера и сейчас отвечаю... Здесь нахо-  
дится в образцовом полку твой хороший знакомый, са-  
перный офицер из Тифлиса, Матынов... Он мне расска-  
зывал, что вы вместе должны были вступить в акаде-  
мию. Он мне говорил, что это он зажег плямя раздора  
между тобой и Баратовым“.<sup>345</sup>

რომელ წელს ეკუთვნის ეს „ორთაბრძოლა?“

პროფ. შალვა ჩხეტია, რომელმაც გამოაქვეყნა ზემოთ ცი-  
ტირებული ბარათი, მას „1840 წლის ახლო დროით“ ათარი-  
ლებს<sup>346</sup>. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს დათარიღება სრულიად  
მართებულია.

საჭიროა აქვე აღვნიშნოთ, რომ ბარათაშვილის ორთა-  
ბრძოლასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია 1840  
წლის 16 ოქტომბერს შედგენილი „საქართველო-იმერეთის სა-  
სამართლო პალატის მოხელეთა ფორმალურ სიებში“ მოთავ-  
სებული „ნიკოლოზ ბარათაშვილის ფორმალური სია“.

მკვლევარი ლევან ასათიანი ამ დოკუმენტის შესახებ  
წერდა:

„საინტერესოა დოკუმენტი № 89 (ფორმალური სია, შედ-  
გენილი 1840 წლის 16 ოქტომბერს) სადაც ვიგებთ, რომ 1840  
წლის 21 მარტიდან ნიკოლოზ ბარათაშვილი, ავადმყოფობის  
გამო, საკუთარი სურვილით გაუნთავისუფლებიათ „სტოლნა-

ჩალნიკის“ თანამდებობიდან, მხოლოდ კანცელარიის მოხელეთა რიცხვში კი დაუტოვებიათ იმავე წლის 5 სექტემბრამდე, როდესაც პოეტი ისევ დებულობს გარკვეულ თანამდებობას. საგულისხმოა, რომ 1840 წლის თარიღით პოეტის არც ერთი პირადი წერილი არ არის ცნობილი, რომელიც წარმოდგენას მოგვეცემდა მის ფიზიკურ ან სულიერ ვითარებაზე. ზემოხსენებული საბუთი კი, საიდანაც ვიგებთ პოეტის ავადმყოფობას, ამ მხრივ საინტერესოა“<sup>347</sup>.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ცნობა ნიკოლოზ ბარათაშვილის ავადმყოფობის შესახებ, რომელმაც თითქოსდა აიძულა ის 1840 წლის 21 მარტიდან იმავე წლის 5 სექტემბრამდე, საკუთარი სურვილით განთავისუფლებულიყო სამსახურიდან, მცდარია.

მცდარია, რადგან, როგორც პოეტის ერთი ბარათიდან ჩანს, იგი 1844 წლის დამლევამდე არასდროს ავად არ ყოფილა<sup>348</sup>.

მაშ, რაშია საქმე? მხოლოდ და მხოლოდ იმაში, რომ როგორც ჩანს, ბარათაშვილისა და ილია ორბელიანის დუელის ამბავი გახშირდა და პოეტს წინადადება მისცეს, ვითომდა ავადმყოფობის მიზეზით, ეთხოვა სამსახურიდან დროებით განთავისუფლება.

ზემოთქმულის შემდეგ, ჩვენ პოეტის ორთაბრძოლას 1840 წლის დამდეგს ვაკუთვნებთ, არა უგვიანეს 1840 წლის 21 მარტისა, როცა ხელისუფლებამ წინადადება მისცა პოეტს, ფიქციური თხოვნა შეეტანა „გახმაურებული დუელის“ გამო, სამსახურიდან, ვითომდა ავადმყოფობის მიზეზით, დროებით განთავისუფლებაზე.



ამჯერად მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ ნ. ბარათაშვილის მიერ 1841 წლის 28 მაისის თარიღით, გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ ბარათს, რომელშიაც მოხსენებულია დიმიტრიევსკი და ბალაშოვი და რომელთა ვინაობაც ბარათაშვილის ბიოგრაფიაში ცნობილი არ არის.

1841 წლის 28 მაისს ბარათაშვილი თბილისიდან წერდა გრიგოლ ორბელიანს: „საყვარელო ძმაო, გრიგოლ, დამნაშავე ვარ შენთან დიდი, მაგრამ შენ რომ ჩემს ადვილს იყო, აღარ გამამტყუნებ, — დიმიტრიევსკის ლექსები გეთხოვნა, — მთელი ქალაქი სულ შევაჯერე და ვერსად ვერ ვიშოვნე“.<sup>349</sup>

ბარათაშვილის თხზულებათა 1939 წლის გამოცემის სარედაქციო შენიშვნებში დიმიტრიევსკის პიროვნების გამოვკითხულობთ: „გამოურკვეველია, რომელ დიმიტრიევსკის გულისხმობს ნ. ბარათაშვილი, ცნობილი იყო მხოლოდ ერთი მწერალი, დიმიტრი ივანეს ძე დიმიტრიევსკი (1758 — 1848); პუდაგოგი, მოაზროვნე და მთარგმნელი, რომლის ლექსების კრებული ცალკე არ ყოფილა გამოცემული (ნ. ბარათაშვილი არ გულისხმობს ივ. დიმიტრიევს (1760 — 1837), რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა მე-19 საუკ. პირველ ნახევარში)“. „დიმიტრიევსკი“-ს ვინაობისა და მისი „ლექსების“ საკითხი ჭერჭეროვნით აუხსნელია“<sup>350</sup>.

დიმიტრიევსკის პიროვნების ამოხსნას 1945 წელს მცირე შენიშვნა მიუძღვნა პროფ. გ. აბზიანიძემ. შენიშვნაში, „ვინ არის პოეტი დიმიტრიევსკი“, იგი წერდა:

„მემუარულ ლიტერატურაში მ. ლერმონტოვის შესახებ

ჩვენ ვიპოვეთ ცნობა, რომელიც შუქს ფენს ბარათაშვილის წერილში მოხსენებულ დიმიტრიევსკის საკითხს.

დეკაბრისტი ნ. ი. ლორერი, 1874 წელს გამოქვეყნებულ მოგონებებში ლერმონტოვის შესახებ, წერს: ლევ პუშკინი ჩამოვიდა პიატიგორსკში დიდი ეპოლეტებით... მან შემახვედრა მე დიმიტრიევსკისთან, რომელიც საგანგებოდ ჩამოსული იყო ტფილისიდან, რომ ჩვენ დეკაბრისტებს გაგვცნობოდა. დიმიტრიევსკი იყო პოეტი, იგი ამავე დროს იყო შეყვარებული და მღეროდა მშვენიერ ლექსებს რომელიც წარმოც თაფლისფერ თვალბზე. ლერმონტოვი აღტაცებული იყო ამ ლექსებით და ჩვეულებრივ იტყოდა ხოლმე — «შენი ლექსების შემდეგ უნებურად დაგავიწყდება შავი და ცისფერი თვალები და შეგიყვარდება თაფლისფერი თვალები».

დიმიტრიევსკი შემდეგში დაუნიშნავთ კავკასიის ოლქის ვიცე-გუბერნატორად. ნ. ლორერი დაძძენს: «მე რამდენიმე ხანს მასთან მქონდა მიმოწერა და ეხლაც ვინახავ „თაფლისფერი თვალების“ ავტოგრაფს».

ლორერის მიერ აღწერილი ამბები ეკუთვნის სწორედ 1841 წელს — იმ დროს, როცა დაწერილია ნ. ბარათაშვილის წერილი გრ. ორბელიანისადმი.

ძნელია ამგვარად, იმის თქმა, თუ რა საქმიანობას ეწეოდა პოეტი დიმიტრიევსკი ტფილისში 40-იან წლებში. მისი დამოკიდებულებიდან დეკაბრისტებთან, რასაც მემუარისტი გადმოგვცემს, ჩანს, რომ იგი რადიკალურად განწყობილი პიროვნება ყოფილა. საფიქრებელია, მისი ლექსები, რომლის შოვნა ნ. ბარათაშვილისათვის უთხოვნია გრიგოლ ორბელიანს — ხელნაწერებად ვრცელდებოდა თბილისში და შესაძლებელია, ქართულ სინამდვილესთან იყო დაკავშირებული“ 351.

პროფ. გ. აბზიანიძის მიერ მიკვლეული ცნობები დიმიტრი-  
ევსკის შესახებ, რა თქმა უნდა, საყურადღებოა, მაგრამ მაინც  
ლიად რჩება, თუ რა ერქვა დიმიტრიევსკის, მის მამას, რომელ  
წლებში იყო იგი საქართველოში და როდისაა გარდაცვლილი?

ბარათაშვილის მკვლევართა მიერ ყურადღება მიუქცეველი  
მასალებიდან ჩანს, რომ, ეს დიმიტრიევსკი ყოფილა — ივანე  
დიმიტრის ძე, ცარსკოე სელოს ლიცეუმის მეექვსე გამოშვე-  
ბის აღზრდილი<sup>352</sup>.

1836 წლის 19 ოქტომბერს ცარსკოე სელოს ლიცეუმის  
მეექვსე დამამთავრებელი კურსის აღსაზრდელებს (და, მათ  
შორის, ივანე დიმიტრის ძე დიმიტრიევსკისაც) პირობა დაუდ-  
ვიათ ყოველწლიურად — 19 ოქტომბერს ეზეიმათ ლიცეის  
გახსნის დღე და ეწარმოებინათ სათანადო „ოქმები“.

ჩვენამდე მოსულ „ოქმებიდან“ ჩანს, რომ 1837 წლის ოქ-  
ტომბერში, ივანე დიმიტრის ძე დიმიტრიევსკი საქართველოში  
იმყოფებოდა. 1837 წლის 19 ოქტომბერს, ზეიმზე მყოფთაგან  
9 მონაწილეს, ი. დ. დიმიტრიევსკისათვის, საქართველოში  
გამოუგზავნია მოკითხვის ბარათები, რომელიც აღრესატს მიუ-  
ღია თორმეტ ნოემბერს.

მომყავს გროტის ბარათი ი. დ. დიმიტრიევსკისადმი მიმარ-  
თული:

„Ты в Грузии, любезный Дмитриевский, но мысль о тебе не покидает нас, и имя твое раздавалось когда в руках наших пенилось искрометное шампанское. Думаешь ли ты о нас в этот прекрасный день для всех, кто провел в лицее золотые годы юности“.<sup>353</sup>

1838 და 1839 წლების ზეიმს დასწრებია ივანე დიმიტრის  
ძე დიმიტრიევსკი. იყო იგი თუ არა შემდეგი წლების ლიცე-

ისტთა დღესასწაულზე, ჩვენ არ ვიცით. გარდაცვლილა ი. დ. დიმიტრიევსკი 1842 წელს.

ახლა ბალაშოვის შესახებ.

ბარათაშვილის იმავე წერილში, რომელიც, როგორც ვთქვით, გაგზავნილია თბილისიდან გრ. ორბელიანისადმი 1841 წლის 28 მაისს, პოეტი წერდა თავის ბიძას: „ბალაშოვის სიკვდილს აქ ასე გლოვობენ, რომ ეს არის შავეები არ აცვიათ, თორემ სხვა აღარა აკლიათ რა“<sup>354</sup>.

„ბალაშოვის“ პიროვნება ბარათაშვილის თხზულებათა არც ერთ გამოცემაში ახსნილი არ არის.

ერთი რუსული წყარო, „Сборник Биографии кавалергардов составлен под редакцией С. Пончулидзева, С. Петербург, 1908“ ადვილად ხსნის ნ. ბარათაშვილის პირად ბარათში მოხსენებულ ბალაშოვის ვინაობას.

ივანე ალექსანდრეს ძე ბალაშოვი დაბადებულია 1816 წელს, პეტერბურგის მაზრაში. 1832 წელს სამხედრო სასწავლებელში მიუბრუნებიათ. 1833 წლის 8 ნოემბერს მას მიეცა იზმაილის პოლკის პრაპორჩიკობა. 1834 წლის 4 დეკემბერს — გადაყვანილ იქნა კავალერგრადად. 1835 — წელს პორუჩიკად. 1839 წელს შტაბროტმისტრად.

იმავე 1839 წლის 27 მარტს ი. ა. ბალაშოვი დაინიშნა სამხედრო მინისტრის ადიუტანტად. „В 1841 г. командирован на Кавказ и убит 8 мая, 1841 г. пулею в голову на вылет при рекогносцировке переправы через р. Сулак. близь с. Ахатл“.<sup>355</sup>

აი, თურმე, ამ ივანე ალექსანდრეს ძე ბალაშოვს გულისხმობს ნიკოლოზ ბარათაშვილი გრ. ორბელიანისადმი მიმართულ ბარათში, რომელიც დაწერილია, ბალაშოვის მოკვლიდან ზუსტად ოცი დღის შემდეგ.





იმისთვის, რომ გავერკვეთ, თუ რა გახდა შემოქმედებითი გამომწვევი მიზეზი, ბარათაშვილს დაეწერა თავისი „მერანი“, საჭიროა გავეცნოთ რამდენიმე ცნობას.

1842 წლის 20 მარტს, ყაზიყუმში, შამილის წინააღმდეგ მებრძოლ რუსეთის ლაშქარში მყოფი ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიძა — ილია ორბელიანი, პოლკოვნიკ სინაქსაროვთან და პრაპორჩიკ ანანოვთან ერთად, ტყვედ ჩაუყარდა შამილის ხელქვეითებს. ილია ორბელიანი შემდეგ იგონებდა:

„მთელი ჩემი ბარგი-ბარხანა, ტანისამოსი, ოქროს საათი, ორლულიანი თოფი, ორი დამბაჩა, შევერცხლილი ხმალი, ხალიჩები, სპარსული შალი, ფულად 340 მან. და ოთხი ცხენი... დავლად დაიტოვეს. ასეთივე ბედი ეწიათ ჩემი ტყვეობის თანამხანაგებს.

პირველად ა[ნანოვი] ჩაუშვეს ხაროში, შემდეგ მე მიმაცოლეს მის კვალს. ხაროს ძირზე ჯაჭვების ჩხარაჩხური მოგვესმა. აქ ჩვენ ვნახეთ ერთი ყიზლარელი სომეხი, რომელიც ყიზლარსა და მოზდოკს შუა შეეპყროთ ჩეჩნებს და შებორკილი აქ ჩაეგდოთ.

ხარო, რომელიც ბნელ დილეგად გადაგვეშალა, სიღრმით ერთი საყენი იქნებოდა და ნახევარი საყენი სიგანე, ასე რომ დასაძინებლად რომ ვწეებოდით, იძულებული ვიყავით ერთმანეთზე ფეხები დაგვეწყო. ჰაერი მხოლოდ მაღლიდან ჩამოდინოდა, საიდანაც ჩვენ ჩამოგვიშვეს. საღამოობით ჩვენს დილეგს სახურავით ჰვეტავდნენ. თვითონ ხაროს თავი გადახურული იყო ფარდულით, უკეთ საყარაულოთ, რის გამოც ჰაერი უფრო გვეხუთებოდა. მალე შემოგვიმატეს ერთი ჭაბუკი ჩეჩენი, რო-



მელსაც მკვლელობას აბრალებდნენ. ბოლოს სულ 15 კაცი მოვემწყვდიეთ, რომელთაც არსად არ გვიშვებდნენ, თვით ფეხისადგილისთვისაც კი.

ადვილად წარმოსადგენაა, როგორ გავეწამებოდით ამ ბნელს ხაროში, როგორ სული მოგვეხუთებოდა ასეთი აყროლებული ჰაერიდან. ამ ყოფაში გავატარეთ სრული სამი კვირა. დღე და ღამეში ჩვენ გვაძლევდნენ სამ-სამ ხინკალს. ეს იყო მონარშული სიმინდის ცომი, ყოვლად უგემური, უნაწიერო.

სამიოდე დღის შემდეგ ჩვენ გვეწვია სოფელ დარგის ყალი, სახელად, ნურ-მახმა. მან უბრძანა, რომ ხაროდან ამოვეყვანეთ, უკანასკნელი ტანისამოსიც წაგვართვა და პერანგის ანაბრად დაგვტოვა. მე და აწნანოქს ფეხში ბორკილები გავვიყარეს და ისევ ხაროში ჩაგვყარეს. ასე ეცხოვრობდით იმ ხაროში, მზის შუქს დანატრებულები. ჩვენ არც დილა გაგვაჩნდა და არც საღამო, მხოლოდ მოლას ხმაზე ვიგებდით, რომ გათენდა, ახალი დღე იწყებოდა. ამაოდ ვევედრებოდით შამილს, რომ რომელიმე ფარდულში გადავეყვანეთ, ან სახლში, მაგრამ არაფერმა გვიშველა“<sup>356</sup>.

ტყვეების მეორე თხოვნაც, ოდნავ მაინც მოემატებინათ საქმელი, არ შეიწყნარეს.

ილია ორბელიანის დაპატიმრებამ, ტყვეობაში გამოჩენილმა გულადობამ და სიმამაცემ, მისცა ბიძგი ნიკოლოზ ბარათაშვილს დაეწერა თავისი გენიალური „მერანი“, რომლის ნამდვილი სათაური, როგორც ერთ-ერთი ხელნაწერის მიხედვით ირკვევა, ყოფილა „თავგანწირული მხედარი“.

1842 წლის 2 მაისს ნიკოლოზ ბარათაშვილი თბილისიდან ატყობინებდა თავის ბიძას, გრიგოლ ორბელიანს:

„საყვარელო ძმაო გრიგოლ! ილია მართლა ტყვეთ არის

შამილთან! ეს ამბავი აღრევე მინდა მომეწერა შენთვის, მაგრამ ჯერ კიდევ ყველას იმედი გვქონდა, რომ ეს ხმა ტყუილი იქნებოდა, ან ყაზიყუმუხელები შეინახავდნენ დამშვიდებამდე.

ფეხეს ოფიციალური მოხსენებიდან ცნობილია მხოლოდ ის, რომ მისი აღიუტანტი, თავადი ორბელიანი, 20 მარტს გაგზავნილი იყო მინდობილობით ანდალალში და რომ ის იქ ტყვედ წაიყვანეს.

ხოლო ლეკმა, რომელმაც ეს ამბავი მოიტანა და რომელიც დამსწრე ყოფილა ილიას დაქერაში, აი, რა ილაპარაკა: ილიკო რომ დაუჭერიათ, სინაქსაროვი და ყაზიყუმუხის ხანი დაჭერილები ყოფილან. მეორეს დღეს შემოსულა ანდალალში თვითონ შამილ. ტყვეები წარუდგენიათ. ილიკოს თანა ჰყოლია ოცი, სულ დაწკებილი ყმაწვილი ბიჭები, ავარელები, ახმეტ ხანისაგან გამოტანებულები.

შამილს ოცისავესთვის ილიას თვალთ წინ თავები დაუყრევინებია; ახტელელები კი, რომელნიც სინაქსაროვს მოჰყოლიან, დაუშიშვლებია და ისე გამოუყრია... აი ილიკოს რა უთქვამს შამილისათვის: «შამილ! როგორ ეკადრება შენს სახელს მაგისტანა უწყალობა! თუ გინდა მაგით შეაშინო ვინმე, ვინ უნდა შეაშინო? ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ჭეშმარიტად ახლა მეც სიკვდილი მიჩვენია შენს ხელში ყოფნასა».

ვითომც შამილს სდომნებია ილიას გამოშვება, მაგრამ ესე ყოჩაღად რომ უნახავს და ამის გვარისშვილობა შეუტყვია, უფიქრია, რომ ეს კარგი აფიცერი უნდა იყოსო და იქნება რუსებმა ჩემს შვილში გამიცვალონო. მაშინ შამილს უთქვამს ილიასა და სინაქსაროვისათვის, რომ თქვენს მამულს ვერა ნახავთ, ვიდრე ხელმწიფე ჩემს შვილს არ მომცემსო.

ახლა ილიკო დარღობია. ასე გასინჯე, გალავნის ცოლმაც კი თქვა, რომ მე ყოველთვის იმედი მქონდა, რომ ქართველი მაგისტანა პასუხს მისცემდაო, ვითომც ილიას რომ უთქვამს სიკვდილი მირჩევნია შენს ხელში ყოფნასაო. მახლას, ილიკო ყოჩაღად ყოფილა. ის ახლა ნაირ-ნაირი ანეგდოტის საგანია. ფეფოს (ნ. ბარათაშვილის დედა ეფემია იგულისხმება — ი. ბ.) მწუხარება გვაწუხებს ყველას. ხომ იცი, ტყვეობა და სიკვდილი ჩვენს დედაკაცებს ერთი ჰგონიათ, მეტადრე, ლეკის ტყვეობა<sup>357</sup>.

ამ სიტყვების შემდეგ ნ. ბარათაშვილი წერს გრ. ორბელიანს: „აი, რას ფიქრობს პოეტი ილიკოს შესახებო“ და უგზავნის რა თავის „მერანს“, დასძენს:

„არ ვიცი, ეს ლექსები როგორ მოგეწონება. აქ კი ბევრი ცრემლი, ტყუილი და მართალი, დაინთხა ამის წაქითხვაზე. რასაკვირველია იმიტომ, რომ ამას ამბობს ილია ტყვეობაში, და არა მე. ილიას დაქერა რომ შევიტყვე, სწორე გითხრა, ძალიან შევწუხდი, ისე, რომ, სამი დღე გაბრუებული ვიყავ ათასის სხვადასხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით და რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა. ბოლოს, მესამე დღეს, ეს ლექსები დავწერე და თითქოს ამან რაღაც შვევა მომცაო. ვცდილობ, რომ ილიკოს როგორმე მივაწვდინო; ვიცი, გულში ჩაიციენებს და არ იქნება, მით არა ენუგეშოს რა“<sup>358</sup>.

ასე შეიქმნა სიკვდილის შიშის დამთრგუნველი, ადამიანის შემოქმედებითი ნებისყოფისა და ძალის სადიდებელი, თავისუფლებისა, სამშობლოს საკეთილოდ თავშეწირვისათვის მარად მზად ყოფნის დიადი ჰიმნი, — გენიალური „მერანი“.



მუდამ ლამაზად მოვლილი ნაწნაეები უწესრიგოდ ეყარა ბალიშზე. ყოველი ამოხველება ძალას აკლებდა და ასუსტებდა.

მერე თავს უკეთესობა დაატყო და ბავშვი მოითხოვა. ძალზე ლამაზი ხელები წინასწარვე ამართა შვილის ჩასაყრავად. სწორედ მაშინ, როცა ბავშვი შემოიყვანეს, მკლავები მოცელილივით ჩამოუყარდა. რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ მხოლოდ ამოიგმინა და მიიცივალა. დიად დარჩენილი თვალები კვლავ ანათებდნენ.

ასე მოკვდა ჭლეჩისაგან ათას რვაას.... მაგრამ ჯერ მის ყმაწვილქალობაზე უნდა გიამბოთ.



მაიკო ქაიხოსროს ასული ორბელიანი დაიბადა 1818 წელს. იგი ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიძაშვილის შვილი იყო დედის მხრივ, უახლოესი მეგობარი, ლამაზი და ჭკვიანი ქალი, შესანიშნავი მქარგველი.

მაიკო ორბელიანი ადრესატია ბარათაშვილის ყველაზე უფრო ღრმა და განცდებიანი ბარათებისა.

მკვლევარი ნუნუ ხომერიკი სრულიად სწორად შენიშნავს: „მართალია XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენ არ გვყოლია არც ერთი გამოჩენილი მწერალი ქალი, მაგრამ არც ოდესმე გვყოლია ლიტერატურულ წრეებთან დაახლოებული, ლიტერატურის მოტრფიალე, შთაბამებელი და წამახალისებელი იმდენი ბანოვანი, როგორც მაშინ.“

ნიკოლოზ ბარათაშვილის წრეს ამშვენებდნენ ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეები, მაიკო ორბელიანი, მანანა ორბელიანი-

ნი, რახაელ ციციშვილი, მართა სოლოლაშვილი, ელენე ერის-  
თავი, ქეთევან ორბელიანი, მარიამ ივანეს ასული ორბელიანი  
ნისა, მარიამ ფალავანდიშვილი და სხვები.

მათი ჰაეროვანი, რომანტიკული იდუმალებით მოცული  
სახეები სამარადისოდ შეუერთდა ნიკოლოზ ბარათაშვილის  
უკვდავ პოეზიას.

ისინი გატაცებული იყვნენ ლიტერატურით და ბევრი მათ-  
განი უთუოდ თვითონაც წერდა ლექსებს.

მაიკო ორბელიანი ამ წრის სული და გული იყო. იგი ერთ-  
მანეთთან აკავშირებდა წრის წევრებს, მას, ერთ პირველთა-  
განს, უკითხავდნენ თავის ნაწერებს, ყველას სწამდა მისი  
ლიტერატურული გემოვნება“<sup>359</sup>.

მაიკო ორბელიანზე შეყვარებული იყო ლევან მელიქიშვი-  
ლი, სკოლის ამხანაგი ნ. ბარათაშვილისა. მაიკო ლ. მელიქიშვი-  
ლის ოფიციალურ საცოლედ ითვლებოდა.

ბარათაშვილი უდიდესი მოკრძალებით, პატივისცემითა და  
სინაზით ეპყრობოდა მაიკო ორბელიანს.

ერთადერთი აღამიანი, რომელსაც ყველაზე მეტად მეგობ-  
რობდა და თავის „გულის ხვამიადს“ უზიარებდა ბარათაშვი-  
ლი, მაიკო იყო.

ამ უახლოესი მეგობრობის დასადასტურებლად, ბარათა-  
შვილმა თავისი ლექსების კრებული უძღვნა მაიკო ორბელიანს,  
შემდეგი წარწერით: „დაო მაიკო! ეს ლექსები იქონიე ჩემეუ-  
ლად. — ვიცი, რომ წამკითხველი მათი მოიგონებ ბევრთა საა-  
როთა დღეთა ყმაწვილობისათა და შეიბრალებ შენსა ყარბსა  
ძმასა“<sup>360</sup>.

1837 წლის 11 ოქტომბერს ნიკოლოზ პირველის პატივის-  
ცემად გამართულ ბალზე, საყოველთაო ყურადღება მიიპყრო

მაიკო ორბელიანმა. იმავე წლის 9 ნოემბერს უცნობი პირი ატყობინებდა ბორის ქილაშვილს: „მისი აღმატებულების ტფილისში ყოფნის მეოთხე დღეს იყო ბალი. ხელმწიფე განსაკუთრებით ყურადღებიანი იყო გრაფინია სიმონიჩთან, გრიბოდოვასთან და მაიკო ორბელიანთან. უკანასკნელი იყო მეტად მშვენიერი და მადიანი, ასჯერ უკეთესი, ყველაზე უფრო წვნიანი, ტკბილ ფორთოხალზე“<sup>361</sup>.

სწორედ ამავე ხანებში თბილისში გაუცვნია მაიკო ორბელიანი საქართველოში გადმოსახლებულ გამოჩენილ რუს პოეტს მიხეილ ლერმონტოვს.

მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულ იმ ფურცლის მეორე გვერდზე, რომელზედაც მოთავსებულია ლერმონტოვის მიერ 1837 წელს საქართველოდან გამგზავრებისას დაწერილი ლექსი „როცა დავშორდი შორეულ საზღვრებს“ პოეტის ხელითვე ფანქრით დაწერილია: „Маико, Мая“.<sup>362</sup>

არავითარ ეჭვს არ შეიძლება, იწვევდეს, რომ ამ ჩანაწერის პირველ სახელში იგულისხმება მაიკო ქაიხოსროს ასული ორბელიანი.

მაიკო ორბელიანს იცნობდა ლერმონტოვის ნათესავი ალექსი (მონგო) სტოლიპინი და მეგობრები: მხატვარი გრიგოლ გაგარინი, ნიკოლოზ ჟერვე და ალექსანდრე ვასილიჩკოვი, რომელნიც 1840 წლის შემოდგომიდან რამდენიმე ხანს თბილისში იმყოფებოდნენ.

დასახელებული წლის 10 დეკემბერს ალექსი სტოლიპინი თბილისიდან წერდა თავის დას: „... მაიკო და კატო ორბელიანები ტფილისური მანიაკის ორი უნაზესი მარგალიტია“<sup>363</sup>.

გაგარინის ნაცნობობას მაიკო ორბელიანთან ტყუილად არ ჩაუვლია. გაგარინმა დახატა მაიკოს ორი პორტრეტი. ერთი ლენინგრადის სახელმწიფო რუსულ მუზეუმშია დაცული, მეორე კი — თბილისში.

1842 წლის შემოდგომიდან მაიკო ორბელიანს კლექმა დარია ხელი და ამის შემდეგ იგი უფრო ხშირად მოშორებული იყო თბილისს. იმავე წლის 31 ოქტომბერს ბარათაშვილი წერდა მას თბილისიდან:

„გუშინწინ იყო ვეჩერი შინაური, მაგრამ ძალიან მხიარული. ტასოს დღეობა იყო და ელენეს სახლში გარდაიხადეს, ისე, მეც არ მოველოდი. ბევრჯერ მოგიგონე, დიდად მინდოდი, რომ იმ დროს აქ ყოფილიყავი...

მაგრამ სულ ამაოა ჩემთვის. ეს დამეც წავიდა, ვითარცა სიზმარი, კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყენილობამ. ვისაც საგანი აქვს ჯერ იმის სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდხანია ობოლი ვარ.

არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მამძღლებია ამდენის მარტოობით, შენ წარმოიდგინე მაიკო სიმწარე იმ კაცის მღვთმარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერავის მიჰკარებია. მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში!

ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია. ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცათუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრაღულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყო-

ფილან ნიშანნი მცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა!  
სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკო თავი?

ვიცი, გაიცინებ, ასე გეგონება, დამწვარი ვლაპარაკობ.  
ჭეშმარიტად, მაიკო, ასე გულცივად ჭერ განსჯა არა მქონია.  
ასეთი თავისუფალი ფიქრი მაქვს და ასეთი მტკიცე გული, რომ  
სამოცი წლის მოხუციც ვერ იქნება ჩემისთანა უსყიდელი მსა-  
ჯული. მოიგონე ცოტა ხანს დრონი წარსულნი და მაშინ  
შემიბრალებ. ყმაწვილობითვე შეჩვეული რაზედმე სული,  
ძნელადღა გარდაიცვლის ჩვეულებას და ვიდრემდის სრულიად  
გადაეჩვევა, მწარეა ტანჯვა და ბრძოლა მისი.

ძნელი არის მარტობა სულისა.  
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,  
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,  
ოხერა არის შება უბედურისა!

შენი ავადმყოფობა შევიტყვე, რა დაგემართა! თუ ფიქრობ,  
ასეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არა ჰქონდეს, ასეთს რას  
მიიღებ, რომ არ დაკარგო? მიჩვენე კაცი, რომ მადრიელი იყოს  
ამ წუთის სოფლისა.

დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა, აი,  
ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი  
წაიღებს ამ სოფლისაგან. სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა  
უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ ივინი შეურ-  
ჩენელნი არიან! თუმცა აქიმბაში არა ვარ, მაგრამ ეს წამალი  
სიზმარში მაქვს ნასწავლი და თუ დამიჯერებ, იმედი მაქვს,  
რომ გარგოს“<sup>364</sup>.

მაიკო ორბელიანს მიუძღვნა მეგობრული სტრიქონები,  
პოეტმა და ღრამატურგმა, გიორგი ერისთავმა:





რათა ხარ აგრე შენ ფერმიხდილი?  
 შენთ ტუჩთ რად ჰყარგეს ტურფა დიმილი?  
 შენებრივ ქალთა ვიცნობ ჰმუნებებსა  
 და წარვიყითხავ მათსა გულებსა.

ვერა დაჰფარავ ჩემგან მაგ ტრფობას,  
 აღმალლებულსა და ტუბილსა გრძნობას.  
 ვიცი ვინც ვიყვარს... რათა ჰსწითლდები?  
 გასტყდი, ხომ იცი, ყველას მივხედები.

რას ჩააცივდი მარტო გულსარსა?  
 ვსთქვათ, მაგალითად, პატარა ლასი...  
 სხვასაც სტყორცნიდე ტრფობის ისარსა,  
 რომელმაც იგრძნო მშვენების ფასი!

მაიკო ორბელიანისადმი მიმართულ ბარათებში ნიკოლოზ ბარათაშვილი ჩვეულებრივ თავის ახალ ლექსებსაც გზავნიდა. ნახიჭევნიდან მოწერილ ერთ ბარათში, პოეტი უგზავნიდა რა მაიკოს თავის ახალ ლექსს: „მადლი შენსა გამჩენს, ლამაზო“, წერდა: „აი, ამ ქართულს ლექსს გიგზავნი მდაბიურულად დაწერილს, როგორღაც ფიქრში მაშვიდა. — «მე ვარ და ჩემი ნაბადი», იმის ხმაზედ“<sup>365</sup>.

მაიკოს სათუთად შეუნახავს ბარათაშვილისაგან ნაჩუქარი ლექსთა კრებული და პირადი ბარათები. ამ ძვირფასმა რელიქვიებმა ჩვენამდე მოაღწიეს. როგორც ჩანს, ამ მასალებს თავის დროზე გასცნობია რუსი პოეტი იაკობ პოლონსკი\*.

1842 წლის გაზაფხულზე, როცა ი. პოლონსკი (1819—1898)

\* ი. პოლონსკის და მაიკო ორბელიანის ურთიერთობის შესახებ შენიშვნა ჯაფარიძის 1950 წლის გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნების“ № 30.

თბილისში ჩამოვიდა და სამსახური დაიწყო მეფის ნაცვლის-  
კანცლარიისაში და გაზეთ „ზაკავკასკი ვესტნიკის“ რედაქციაში,  
ნ. ბარათაშვილი რამდენიმე თვის გარდაცვლილი იყო.

„საქართველოში პოლონსკი, — წერს პროფ. ვანო შადუ-  
რი, — დაუახლოვდა რუს, ქართველ, აზერბაიჯანელ და სომეხ  
ლიტერატორებს, გადმოსახლებულ პოლონელებს (განსაკუთ-  
რებით პოეტ ლადი ზაბოლცკის); ის დაკვირვებით სწავლობდა  
ადგილობრივ ცხოვრებას, ყოფას, ჩვევებს, ისტორიას, ხალ-  
ხურ შემოქმედებას და დასწერა რიგი ნაწარმოებნი“ 366.

პოლონსკის ერთ-ერთი ნაცნობთაგანი მაიკო ორბელიანი  
ყოფილა. აღნიშნულის დასადასტურებლად საკმარისია დასა-  
ხელებულ იქნეს პოლონსკის ლექსი „დღესასწაულის შემდეგ“,  
რომელიც „მარტყოფის“ დღეობის აღწერას წარმოადგენს და  
რომელშიაც ორგზის მოიხსენიება მაიკო ორბელიანი. მოგვ-  
ყავს ნაწყვეტი ამ ლექსიდან:

აქ აზარფეშა აკეთებდა სუფრაზე რკალებს,  
გვახალისებდა ასი ხელი ტაშის გაჩენით,  
როცა მაიკო, საცეცვაოდ გაშლიდა მკლავებს,  
წრეში გასული, მორიდებულ ასულთ არჩევით.  
ვით ნამთერალევი მოქეიფე ნადიმის შემდეგ  
ერთ ცვარ ღვინოში კვლავ იპოვის გულის გასაღებს,  
ისე ზალისით მოცეკვავის მე მზერას ვენდე,  
ჩემო მაიკო, ისევ სითბოს გულში აჩაღებ...

(თარგმანი მიქელ პატარიძისა)

ჩვენ არ გამოგუდგებით აქ პოლონსკისა და მაიკო ორბელი-  
ანის ურთიერთობის გარკვევას. მკითხველთა ყურადღებას მი-  
ვაპყრობთ რუსი მწერლის ერთ ლექსს, რომელიც პირველად  
გამოქვეყნდა 1848 წლის გაზეთ „ზაკავკასკი ვესტნიკის“ მეათე

ნომერში სათაურით: „ერთი ქართული ხალხური სიმღერის შინაარსი“. მოგეყავს ეს ლექსი ხარიტონ ვარდოშვილის თარგმანით:

როცა ნაბადში გამოხვეულს, მღუშარე ღამით,  
ცისკრის ვარსკვლავის ამოსვლამდე მძინავს სიამით,  
სამ მოჩვენებას სამოთხისას საამოს მეტად,  
სამ უღამაზეს მზეთუნახავს მე სიზმრად ვხედავ.  
ისე უბრწყინავს პირველ მათგანს თვალები ეშხით,  
ვარსკვლავს ამკრთალებს მისი ელეა წყველიად ღამეში.  
მეორე წამწამთ როს შეარხევს, გასაკვირველი  
გგონია გიჟვრეტს გამკვეთ ცეცხლით ასპიდი გველი,  
მესამის თვალი ისე ღრმად და შავად კამყამებს,  
რომლის საღარი არ შობილა ჭერ მთაში ღამე.  
როს ალიონზე გაფრინდება სიზმარი ამო,  
მე ისე ვწევარ და ცას გავცქერ დაუსაბამოს,  
დიდხანს ვარ ასე, სანეტარო ფიქრით ვართული:  
სახლს ავაგებდი უღამაზესს, რომ მჭონდეს ფული.  
შემოვავლებდი გარს ქვიტიკრის გაღავენს მალას,  
შიგ ვაცხოვრებდი ჩემს მომხიბლავ სამ მზეთუნახავს  
და აისიდან აისამდე ვუმღერდი ჰანგებს  
თვალში უპვრეტდი საღამოდან შეღამებამდე.

ამ ლექსში ადვილად იგრძნობა ქართული ხალხური სიმღერის „მე ვარ და ჩემი ნაბადის“ პოეტური ხმა, რომელსაც საზოგადოებრივი სახელი პირველად ნიკოლოზ ბარათაშვილმა გაუკეთა ზემოთციტირებულ მაიკო ორბელიანისადმი მიწერილ ბარათში. პოლონსკიც ხომ ამბობს, რომ მისი ლექსი „ერთი ქართული ხალხური სიმღერის შინაარსია“, აი, ეს ხალხური ქართული ლექსი:

მე ვარ და ჩემი ნაბადი,  
გამთენებელი ღამისა,

მოკვდები, ჯადრი ჩამყვება  
სამი ლამაზი ქალისა,  
ერთია მეტად ლამაზი  
შეორე ლერწამ ტანისა  
შესამე ისეთი არი  
დამყუნებელი თეალისა!

ბოლო ორი სტრეჭონის ვარიანტი:

შესამე კოცნას შემპირდა;  
ბე იმან გამახალისა!

ჩვენ გვგონია, რომ პოლონსკიმ მაიკო ორბელიანის მეშვეობით გაიგო ამ ხალხური ლექსის არსებობა და მისი მეშვეობითვე გაეცნო მის ტექსტს.

რაც დრო გადიოდა, მაიკოს ჯანმრთელობა თანდათან უარესდებოდა. 1849 წლის 22 იანვარს ღრმად დამწუხრებული ლევან მელიქიშვილი ატყობინებდა ბორის ჭილაშვილს:

„ჩემი საცოლის მაიკო ორბელიანის გართულებული ავადმყოფობა არის მიზეზი, რომ აქამდე ვერ მოვახერხე აქედან წამოხველა. ჩემდა საუბედუროდ მისი ჯანმრთელობა ისეთია, რომ სიზუსტით არ ძალმიძს მოვახსენო თქვენს აღმატებულებას თუ როდი შეეძლებ გამოცხადებას ჩემს ადგილზე. უმორჩილესად ვთხოვ თქვენს აღმატებულებას ფორმალურ შევებულების გარეშე დამართოთ ნება დავრჩე აქ ჩემი საცოლის ჯანმრთელობის გაუმჯობესებამდე. უკეთუ თქვენს აღმატებულებას ეს შეუძლებლად მიიჩნია, მაშინ უბრძანეთ მაცნობონ და მე იმ საათშივე შევიტან თხოვნას შევებულებაში გაშვების შესახებ“ 367.

ამ ბარათის გაგზავნის შემდეგ მაიკომ ოციოდე დღე იცოცხლა. მაიკო ორბელიანის სილამაზითა და გონიერებით მოხიბ-

ლულმა რუსმა თაყვანისმცემლებმა დოღგორუკოვის ოთხ  
სტრიქონიანი ლექსით გამოიგლოვეს იგი:

Maнko (K.) Opбeлиани

И она когда-то восхищала,  
Но теперь, увы! уже предстала  
В лучший край, где нет обмана ей!  
И все жаль... ведь нет ее милей!<sup>368</sup>

ლევან მელიქიშვილისაგან მაიკო ორბელიანს ჰყავდა ვაჟი-  
შვილი — ივანე, რომელიც 1877 წელს, ყარსის აღების დროს  
მოჰკლეს.

### ბანუხორცილეგელი ალმანახი. ბიგლიოთეკის დაარსება

ლიტერატურული წრე, რომელსაც სათავეში ედგა ნიკო-  
ლოზ ბარათაშვილი, ხშირად თავს იყრიდა დიმიტრი ყიფიანთან  
(1814 — 1887).

„მეგობრები, — წერს დ. ყიფიანი, — იცნობდნენ ბარათა-  
შვილს, როგორც საუცხოო ამხანაგს, რომელიც ყოველთვის  
აცოცხლებდა საუბარს, იცინოდა, აცინებდა, ენამახვილობდა,  
ერთობოდა და იპყრობდა ხანდახან ყველას ყურადღებას თავის  
ნაწარმოებებზე.“

მისი მოასაკენი ყველაზე ხშირად ჩემთან იკრიბებოდნენ და  
აი, აქ იყო ხოლმე იგი განსაკუთრებით თავის კალაპოტში.

ტატოს პოეტური ნიჭი ამ წრეში განვითარდა; აქ იგი კი-  
თხულობდა პირველად თავის ლექსებს; აქ იგი ისმენდა შენიშვ-

ნებს, რასაც თითოეული გამოთქვამდა გულწრფელად და აქვე იგი კითხულობდა ამ ლექსებს, შესწორების შემდეგ. ისიც უნდა ვთქვა, რომ ეს შენიშვნები ეხებოდა მხოლოდ იმას, რაც ხელს შეუწყობდა აზრის გარკვევას, ან უფრო რელიეფურად გამოთქმას. <sup>369</sup>

წრემ მალე საკუთარი ლიტერატურული აღმანახის — „ცდა“-ს გამოცემა განიზრახა და სათანადო მზადებასაც შეუდგა. აღმანახის ერთ-ერთი თანამშრომელი, ლუკა ისარლიშვილი, 1841 წლის 15 დეკემბერს, ქუთაისიდან თბილისში წერდა მიხეილ თუმანიშვილს:

„შენ მწერდი იმის შესახებ, რათა მე შემეტანა რაიმე ლიტერატურული ცნობილ აღმანახში. მე ვერ მოვასწარი გადამეწერა ბოლომდე ბესტუჟევის „გამცდა“. ამის გამო მე აქ მივეცი დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანს ორი ელეგიური ლექსი და არ ვიცი, იქნებთან ისინი თუ არა ღირსნი შეტანილ იქმნენ „ცდა“-ში.

მე დღემდე ამის შესახებ არაფერი ვიცი, თუმცა ვთხოვე დიმიტრი ივანეს ძეს თავისი აზრი და მსჯავრის დადება ამ ლექსების შესახებ. მაგრამ იგი ალბათ გართულია უფრო დიდი საქმეებით და მე ამიტომაც მერიდება კვლავ შევაწუხო იგი“. <sup>370</sup>

აღმანახის გამოცემა არ მოხერხდა და წრე ახლა ბიბლიოთეკის დაარსების ზრუნვაზე გადავიდა. დასახულ იქნა ბიბლიოთეკის მიზანი, შემუშავდა წესდება და 1842 წლის 22 სექტემბერს, იგი წარედგინა დასამტკიცებლად კავკასიის მთავარმართებელს.

ბიბლიოთეკის მიზანდასახულების შესახებ დასამტკიცებლად წარედგინლ წესდების შესავალში აღნიშნულია:

„В Тифлисе нет публичной библиотеки. Молодые люди из Грузинского дворянства, получившие первона-

ჩაღიანი ბიბლიოთეკის დამაარსებელთა სია იმ თანრიგით, როგორც ჩაწერილი აქვს იგი დ. ყიფიანს თავის „მემუარებში“.

დომიტრი ყიფიანი; ზაქარია ერისთავი; ზაქარია ფალავანდოვი; ვახტანგ ორბელიანი, ქართველი შესანიშნავი პოეტი; ელიზბარ ერისთავი; ზაქარია ორბელიანი; კონსტანტინე დადიანი; ალექ. ონიკოვი; ლევან მელიქოვი, ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილი, ქართველი დიდებული პოეტი; თევდორე კოცებუ; ზნაჩკო-იავორსკი; ნიკოლ. ბეზაკი; კონსტანტინე ორლოვსკი; მიხეილ თუმანიშვილი; დომიტრი ჯორჯაძე; დავით არზანოვი; სერგეი ვასილკოვსკი; დავით ქავჭავაძე; გრიგოლ დომიტ. ორბელიანი<sup>372</sup>.

აღნიშნული ბიბლიოთეკის ერთ-ერთი დამაარსებელი — ზაქარია ფალავანდიშვილი, 1842 წლის 26 ოქტომბერს თბილისიდან პეტერბურგში წერდა გიორგი (იური) ახვერდოვს:

„5 წლის შემდეგ ტფილისში არ იქნება საჭირო იმდენი წიგნი, რამდენსაც ჩვეულებრივ ვეზიდებით ხოლმე აქ. ჩვენ დაახლოებით 20 კაცს, აზრად მოგვივიდა, დავაარსოთ კერძო ბიბლიოთეკა, რომელიც შემდეგ გადაკეთდება საზოგადოებრივ ბიბლიოთეკად. ყოველი ჩვენთაგანი შესწირავს 30 მანეთს ვერცხლით. წესდება დამტკიცებულია.“<sup>373</sup>.

დიმიტრი ყიფიანის ფართო და მდიდრულად მორთული საბ-  
ლი, შუადღის შემდეგ, სავსე იყო ლიტერატურით დაინტერე-  
სებული პირებით. ჟურნალ-გაზეთების ახალი ნომრების გადა-  
თვალეირება და წაკითხვა, წიგნების შეცვლა, მსჯელობა, კამა-  
თი, გვიანობამდე არ წყდებოდა.

ბიბლიოთეკამ უმოკლეს დროში შეიძინა მდიდარი ლიტე-  
რატურა ქართულ, რუსულ და ევროპულ ენებზე.

როცა ამ წიგნსაცავის დაარსება გაიგო პეტერბურგში მყო-  
ფმა აკადემიკოსმა, მარი ბროსემ, მან „საბიბლიოთეკო ამხანა-  
გობას“ წიგნების საკმაო ოდენობა შემოსწირა. ზ. ფალაევანდი-  
შვილი მადლობის ნიშნად წერდა ბროსეს: „ბიბლიოთეკას არ  
შეუძლია არ მიიღოს თქვენი შემოწირულება, ესოდენ სანუკუა-  
რი მისთვის, არსებობის პირველ დღეებში“. 374.

ჟურნალ-გაზეთებსა და ახლად გამოსულ წიგნებს პეტერ-  
ბურგიდან და სხვა ქალაქებიდან იწერდნენ. ზ. ფალაევანდი-  
შვილი თხოვდა მარი ბროსეს:

„ჩემს სალაროში სრულიად უმნიშვნელო თანხაა პეტერ-  
ბურგში გამოსაგზავნა—300 მანეთი ვერცხლით, თუ აქვე მი-  
ვათვლით ბიბლიოთეკის ფულსაც. კეთილგანწყობილება, რო-  
მელსაც მე ყოველთვის ვპოვებდი თქვენგან, მაიმედოვნებს,  
გთხოვთ, გაისარჯოთ და დაგვეხმაროთ ჩვენ და, აი, როგორ.  
რუსულ წიგნებისათვის მიმართეთ წიგნის მოვაჭრეებს ოლ-  
ხინს, იუნგემისტერს, ან პოლევოის, რომელნიც ალბათ რამეს  
დაგვიკლებენ. მერე მიეცით კატალოგი, იქ აღნიშნონ ფასები  
გამოგზავნით და შემდეგ ფული უბოძეთ. ფრანგულ წიგნებზე  
მოელაპარაკეთ ისაკოვს. უთხარით ამ ბატონებს გამოგვიგზავ-  
ნონ თავიანთი წიგნების კატალოგები და ანგარიში პატარა გან-  
მარტებით მომავლისათვის“. 375.



ბროსესადმი მიმართულ სხვა ბარათებში ზ. ფალავანდიშვილი თხოვს მას, გაგზავნილი თანხით, ბიბლიოთეკისათვის შეიძინოს გიობნის „რომის იმპერიის დაქვეითებისა და დაშლის ისტორია“, მიშლეს „საფრანგეთის ისტორია“, მონტესკიეს „კანონთა არსი“, „უცხოელ მწერალთა ბიბლიოთეკა რუსეთის შესახებ“ გოეტეს „ფაუსტი“, გრიბოედოვის „ვაი ჰეუსისაგან“, კრილოვის „ივაე-არაკები“, აბ. მაიკოვის, ლერმონტოვის, ბენედიქტოვის, იაზიკოვისა და სხვათა ლექსები.

ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოწერას პეტერბურგიდან ავალებდნენ აგრეთვე გიორგი (იური) ახვერდოვს.

1842 წლის 26 ოქტომბერს ზ. ფალავანდიშვილი თბილისიდან პეტერბურგში გიორგი (იური) ახვერდოვს წერდა: „გავალღებ საფოსტო ექსპედიციაში გამოგვიწერო ფრანგული ჟურნალები: „რევიუ დე დიუ მონდ“, „რევიუ ბრიტანიკ“, „რევიუ დე პარი“, საშინელი ფასებია დაწესებული. ისაკოვმა გასული წლის კატალოგში დააწესა ზომიერი ფასები. ჰკითხე ერთი, გეთაყვა, როგორ გამოგვიგზავნის აქ და რა ფასით?“. 376.

„საბიბლიოთეკო ამხანაგობა“ ნაბეჭდ წიგნების გარდა, ხელნაწერებსაც აგროვებდა. ზ. ფალავანდიშვილი თბილისიდან პეტერბურგში მარი ბროსეს წერდა: „ბიბლიოთეკა უნდა შეეცადოს შეიძინოს ქართული ხელნაწერები, რათა ისინი გაიყინოს მასებმა“. 377.

ბიბლიოთეკის შემოსავალ გასავლის წიგნში, 1843 წლის იანვრიდან გატარებულია წიგნსაცავის დამაარსებელთა მიერ შეტანილი გადასახადი — თითოეულისაგან 30 მანეთი. აღნიშნულ წიგნში რიგით მეექვსე ადგილზე ჩაწერილია ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ გადახდილი 30 მანეთი „От князя Нико-

ლავა მელიტონოვიჩა ბარათოვა ტრიცატი რუბლეი სერებრომ“. 378.

1844 წლის იანვრიდან წარმოებულ ასეთივე ხასიათის წიგნში, ბარათაშვილი აღარ იხსენიება, რადგან ამ დროისათვის მისი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა სრულიად უმწეო გახდა. ამ მიზეზითვე პოეტი იმავე წლის ნოემბრიდან სამშობლოს გარეთ იწყებს სამსახურს.

### „იულიუს ტარენტელის“ თარგმნა

მანანა ორბელიანის (1807 — 1870) სახლი, ერთი მთავარ ადგილთაგანი იყო იმდროინდელ თბილისში, სადაც თავს იყრიდნენ ქალაქის წარჩინებული ადამიანები.

მეცხრამეტე საუკუნის ორმოციან წლებში, მანანა ორბელიანთან მუდმივად დადიოდა ნიკოლოზ ბარათაშვილი, თან მიჰყავდა მოასაკენი და ლიტერატურულ შეკრებებს აწყობდა.

ქველმოქმედი ქალი გულუხვად მასპინძლობდა მათ და ყოველნაირად ეხმარებოდა. ლუკა ისარლიშვილი ამბობს: „აქ იკრიბებოდნენ და კითხულობდნენ ლექსებს: ტატო (ნიკო ბარათაშვილს ასე ეძახდნენ), გიორგი ერისთავი, ბირთველიჩი (მიხეილ თუმანიშვილი), მაღალაშვილი, ხანდახან დ. ყიფიანი და სხვ.“. 379.

ბარათაშვილის თაოსნობით, მანანასთან მოსიარულე მწერლებმა, დიასახლისს მადლობის ნიშნად საგანგებოდ შედგენილი აღმანახი მიოდღენეს. „მათი ნაწარმოებები, — წერს დ. ყიფიანი, — მათ ჩაწერეს და აჩუქეს, როგორც კრებული, მანანა ორბელიანს, რომელიც მათ გულლიად იღებდა და როგორც

პატივცემული დედაკაცი, ახალისებდა მათ ამგვარი „რომისათვის“.<sup>380</sup>

როგორც ჩანს, მანანა ორბელიანს, ამ წრის ერთ-ერთი წევრის — დიმიტრი ყიფიანისათვის შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“-ს ქართულად თარგმნა დაუვალეზბია.

დ. ყიფიანს დავალება შეუსრულებია. პიესის თარგმანის თავფურცელის წარწერა გვამცნობს: „კნეინა მანანა ორბელიანისთვის ქართულსა ენაზედ გადმოღებული ყიფიანის მიერ“.<sup>381</sup>

იმავე ხანებში ნ. ბარათაშვილს უთარგმნია იოჰან ლაიზევიცის (1752 — 1806) ტრაგედია „იულიუს ტარენტელი“, რომლის რუსული თარგმანი დაიბეჭდა 1840 წლის ჟურნალ „ბიბლიოთეკა დლია ჩტენია“-ს დეკემბრის ნომერში.

ბარათაშვილი 1841 წლის 21 მაისს თბილისიდან ატყობინებდა გრიგოლ ორბელიანს: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: კიბანმა გადმოთარგმნა „Ромео и Джульета“, შექსპირის ტრალედია და მე ვთარგმნე „Юлий Тарентский“, ტრალედია ლეიზევიცისა, თუ წაგიკითხავს, „ბიბლიოთეკაში“ (იგულისხმება ჟურნალი „ბიბლიოთეკა დლია ჩტენია“ — ი. ბ.) იყო დაბეჭდილი, მე ძალიან მომეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც, ასე გასინჯე, იტირეს“.<sup>382</sup>

მოტანილი სიტყვიებიდან ჩანს, რომ ბარათაშვილს თავისი თარგმანი საჯაროდ წაუკითხავს. მანანას სახლში ხომ არ მოეწყო, ლაიზევიცის პიესის თარგმანის კითხვა?

ბარათაშვილის ამ თარგმანმა ჩვენამდე არ მოაღწია, ანდა ნაპოვნი არაა. ზ. ჭიჭინაძე წერდა:

„ამ ტრალედის დაკარგვის შესახებ მე ვიცი შემდეგი:

ნ. ბარათაშვილის ლექსები და ტრალედია, მისი სიკვდილის შემდეგ, მისსავე ბიძას, მგოსანს გრ. ორბელიანს შეუქრებია.

ყველა ეს ნაწერები 1852 წ. ქართული თეატრის დამაარსებელს, გიორგი ერისთავს გამოუერთმევია, სდომებია მათი „ცისკარი“ ბეჭდვა. რამდენიმე ლექსიც დაუბეჭდია. 1853 წ. ბოლოს „ცისკარი“ დაიხურა ნ. ბარათაშვილის ხელნაწერები გ. ერისთავმა ისევ გრ. ორბელიანს დაუბრუნა.

მის მერე 1857 წ. „ცისკარი“ განახლდა, ნ. ბარათაშვილის ლექსების ხელნაწერი კი აღმოჩენილა გრ. ორბელიანის ხელში, ხოლო ტრალედია „იული ტარენტელი“ კი აღარ; — სხვისთვის უთხოვებია და დაკარგულა.

1878 წ. მე ვკითხე მგოსანს გრ. ორბელიანს, ნეტა ვის გადაეცით ნ. ბარათაშვილის ტრალედია, იქნებ ჩვენ მოვსძებნოთ და ვიპოვოთ-მეთქი. მან მომიგო: იგი ვათხოვე წასაკითხად ჩემი მეზობლის ალ. საგინოვის მეუღლესაო (იგულისხმება სამარაგდონ ორბელიანის ასული ბარბარე — ი. ბ.). ის ქალი გარდაიცვალა და, ვგონებ, რომ ის ტრალედია ნ. ბარათაშვილის დას ქართლში უნდა ჰქონდეს წაღებულიო, მეც მივწერ წერილს და იქნებ აღმოჩნდესო. ჩვენ ვეძებთ, მაგრამ არსად არაფერი აღმოჩნდა“. 383.

როდის და რა ენიდან თარგმნა ეს ტრალედია ბარათაშვილმა?

როგორც აღვნიშნეთ, ლაიზევიცის პიესის რუსული თარგმანი დაიბეჭდა 1840 წლის ეურნალ „ბიბლიოთეკა დღია ჩტენიას“ დეკემბრის ნომერში. რადგან ბარათაშვილი 1841 წლის 28 მაისის თარიღით გრ. ორბელიანისადმი მიმართულ ბარათში წერდა მე ვთარგმნე „Юлий Тарентский“, ტრალედია ლეიზე-

ვიცისა, თუ წაგიკითხავს, „ბიბლიოთეკაში იყო დაბეჭდილი; მე ძალიან მომეწონაო“, ცხადი ხდება, რომ ბარათაშვილმა ჟურნალ „ბიბლიოთეკა დღია ჩტენიეში“ გამოქვეყნებული რუსული თარგმანიდან გადმოიღო იგი ქართულად 1841 წლის დამდეგს, არა უგვიანეს, მაისის 28-სა.

არაა გამორიცხული ვივარაუდოთ, რომ ბარათაშვილმა, რომელმაც გერმანული ენა გიმნაზიაში საკმაოდ კარგად შეისწავლა, პიესის რუსულიდან თარგმნის პროცესში გერმანული ორიგინალიც გამოიყენა.

### სახუმარო გაკამათება ლექსებით

მკვლევარმა დავით კარიჭაშვილმა 1916 წელს ყურადღება მიაქცია ერთ ხელნაწერ კრებულს (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდის ხელნაწერი № 5190), რომელშიაც არასრული სახით გადმოწერილია სახუმარო გაკამათება ლექსებით. გავეცნოთ მას:

#### სახუმარო გაკამათება ლექსებით

ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილისა, მიხეილ ორბელიანისა, ელენე ერისთავისა და მარიამ ფალავანდიშვილისა.

#### I

პირველი სახუმარო ლექსი ნ. ბარათაშვილისა, მ. ორბელიანისა და აფანასესი, რომელიც ელენეს და მარიამის ხნოვანებას ეხებოდა, ჩვენამდე არ მოღწეულა.

## II



[მარიამ ფალავანდიშვილის პასუხი].

### მ ი ხ ე ი ლ ს

ლექსი თქვენი გვებოძა დიდად არეულია  
აქანკასგან შეთხზული თქვენი საკადრისია,  
ჩვენ არ გვშვენის მაგვარი სიბერისა თქმანია,  
ხანი თქვენც არ გაკლიათ, თუნდა გაჯავრდნენ  
ვარშაველნი ქალნია.

### ტ ა ტ ო ს

პალატაში ჭდომითა ხანი მოგმატებია,  
ფეოდორის ყურებით სევდა გაგზშირებია,  
სათვალეცა თქვენ გშვენისთ, ყავარჩენიც ხელშია,  
ჩვენ არ ეწუხვართ ამ ხანსა, ვაი თქვენი ბრალნია.

ამ აღბომში ოღრო-ჩოღროებია,  
ამ თქვენ სატრფოთ აზრი შემოჰკლებიათ;  
ამის მოტყმელი უნდა იყოს ქალუა და მათუა,  
საყვარელი მათი იყოს გალუა და თათუა.

თქვენ ვერ გკადრებთ ამგვარ შეთხზულებასა,  
რადგან ჩემობთ ვარშავის ფრანტობასა;  
დავანებოთ ეს ლექსები ჩვენსა პოეტ ტატოსა,  
მისი შემწე აქანასე იქნება.

## III

[პასუხი ნ. ბარათაშვილისა]

### ვ ე ლ ე ნ ე ს და მ ა რ ო ს

შე რად მაყვედრით ფეოდორს, თქვენვე მოგვხვდებათ სიძეთა.  
არც იმაზედ ხართ უმცროსი, რაღას დასცინით ხანზედა.

თუნდა კნენა სოფიოს ჰკითხეთ — რამდენის წლისაა ხართ;  
მაგას რომ ქმარი შეურთავს, დაბადებული ყოფილხართ,  
თორემ მეც გატყობთ სიბერეს, წელიწადებსა ნუ იკლებთ;  
გაგთეთრებით თმებიცა, ტყუილად ზეთებს აბრალებთ;  
პაბუნაშვილი თქვენი ყმა თქვენი ლალცა, ყოფილა,  
იმისი თქმითა მარიამ ოცდაათისა ყოფილა!

თ. ნ. ბარათოვი.

#### IV

[მიხეილ ორბელიანის პასუხი] \*

ეს კი ჩაბრუნებული გახლავსთ

როს გადაშლიდე, მეც დამხედავდე,  
გაიღიმებდე, მომიგონებდე,  
ოცდაათ წლის ქალს შეიბრალებდე.

#### V

[მარიამ ფალავანდიშვილის პასუხი]

მიხეილს

თუ სიბერე არა გჯერა, ხელი მოისვი თავზედა,  
კბილები აღარ გივარგა, ყველა შეგატყობს ხმაზედა.

[მიხეილ ორბელიანის პასუხი]

ლექსის წერაში არ შეგედაროთ მადამ აბრერა,  
ასე ბრწყინავენ, როგორც ცაში ვენერა.

\* ავტორები 4, 5 და 7 ლექსებისა თუმცა მოხსენებული არ არიან, მაგრამ მათი ვინაობა ირკვევა კამათის თანმიმდევრობის მიხედვით. ი. ბ.



მაგრამ რიქმა ვერ უსწავლებია წყუელს მადამს,  
 მარცვლებს აკლებთ თქვენს შეთხზულსა მაქამას.  
 თვალი კი დაუდგეს იმ წყუელს ქაჯანას,  
 ფული კი შეჰყარა თავის განჯინას,  
 ატლასის პირიე კი გადააყრა ქუჯინას! —  
 თქვენ კი უსწავლელი გამოგრეკათ შკოლიდგან,  
 ლექსის წერაც არ გამოგლით ჰკუილგან.

თ. მიხეილ ორბელიანი

VII

ამის პასუხი [მარიამ ფალავანდიშვილისა]

არაფერია, არაფერია,  
 მეტად ძველია თქვენი ლექსია. —  
 მიიღეთ, ნუ გრცხვენინანთ, პასუხს მოგწერთ.



ვინ არიან ამ „გაკამათების“ ავტორნი, ვინ მოიხსენებებიან  
 ეპიგრამებში და რომელ წელს ეკუთვნის ეს ლექსებით პაექ-  
 რობა?

ჯერ „გაკამათების“ ავტორთა შესახებ. დავიწყოთ მამაკაცე-  
 ბიდან.

1

არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ „გაკამათების“ ერთ-ერთი  
 ავტორი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილია.

2

ბარათაშვილის მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა  
 იყო. იმის გამო, თუ ვინ არის „გაკამათების“ მონაწილე „მიხეი-  
 ლი“.

ს. ფირცხალავა ბარათაშვილის ნაწერთა 1922 წლის გამო-



ცემაში „მიხეილს“ მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილად მი-  
იჩნევდა<sup>354</sup>. ამ აზრისავე იყო მ. ხელთუბნელიც<sup>355</sup>.

„ქართული წიგნის“ მიერ 1930 წელს გამოცემულ ბარათა-  
შვილის „ნაწერების სრულ კრებულში“ „მიხეილი“ — სრუ-  
ლიად მართებულად — მიხეილ ორბელიანად არის გამოცხადე-  
ბული<sup>356</sup>. ამ მოსაზრებას ამჟამად მოწინააღმდეგე აღარ  
ჰყავს.

მიხეილ ორბელიანი, უახლოესი მეგობარი იყო ნიკოლოზ  
ბარათაშვილისა. მათ ერთმანეთთან ლიტერატურული ინტერე-  
სები აკავშირებდათ. მიხეილ ქაიხოსროს ძე ორბელიანი დაბა-  
დებულა 1817 წელს. 1836 წელს მიხეილმა ოფიცრობა მიიღო,  
ორი წლის შემდეგ პორუჩიკობა.

როგორც ირკვევა, მიხეილს ამ სახუმარო ეპიგრამების გარ-  
და, სხვა ლექსებიც ჰქონია. საქართველოს სახელმწიფო ლიტე-  
რატურულ მუზეუმში დაცულ ერთ-ერთ კრებულში, მოთავესე-  
ბულია მიხეილ ორბელიანის ანაკრეონული შინაარსის ლექსი,  
რომელსაც თარიღად 1841 წლის 24 მაისი უზის. აი, ეს ლექსი:

ქეიფთა ლხენას,  
უზრუნველყოფას,  
ძმანო, მივაგოთ  
დღენი ჩვენია.  
ვისა რა სურდეს  
ბედნიერ ყოფად,  
დეე, მოვიდეს  
ჩვენთან სალხენად!  
ღმერთმან რომ შეჰქმნა სოფელი ესე,  
საკვირველებით აქცია სამსე,  
რადგანაც აქა ყველა ბევრია,  
ლხენას მივაგოთ დღენი ჩვენია.  
ვისაც რა სურდეს

ბედნიერ ყოფად,  
დეე, მოვიდეს  
ჩვენთან სალხენად!  
ჩვენ რასა ებაძავთ ფილოსოფოსთა  
ან ჩვენ რათა ვთვლით მაღლა ვარსკვლავთა —  
იმათი დღენი, სიბრძნით ტანჯულნი,  
განელიან ნწარედ ამა სოფლადა.  
ვისაც რა სურდეს  
ბედნიერ ყოფად,  
დეე, მოვიდეს,  
ჩვენთან სალხენად!  
ფილოსოფოსნი — ჩვენი გულია  
ცისა ვარსკვლავნი — ჩვენი ქალები,  
გული გავაღოთ — ქალთა უწოდოთ,  
ჩვენთვის და მათთვის სადღეგრძელო ვსოთ.  
ვისაც რა სურდეს  
ბედნიერ ყოფად,  
დეე მოვიდეს  
ჩვენთან სალხენად!

1841 წ. 24 მაისი 357

გრიგოლ ორბელიანის ერთი ბარათიდან ჩანს, რომ მიხეილ ორბელიანს ეპიგრაჟა ჰქონია დაწერილი მანანა ორბელიანის ვაჟზე — ივანეზე. 1846 წლის 18 თებერვალს გრიგოლ ორბელიანი თემირხანშურიდან წერდა მანანა ორბელიანს: „ოჰ, ერთი ჩამივარდეს ეგ (ივანე — ი. ბ.) ხელში, რომ ცხარის ცრემლით ვაწყველინო სიცოცხლე, მიხაკო (მიხეილ ორბელიანი — ი. ბ.) ტყუილად კი არ ამბობს:

ვანო ჩვენი ყვიციანი,  
სულით, ხორციით ჩიხიბიხო 358

პოეტო-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე სწორად შენიშნავს, რომ მიხეილ ორბელიანი „ლექსის ტექნიკით ბარათაშვილის სკოლის მიმდევარი ყოფილა და არა არქაისტი, როგორც იყვნენ ბარათაშვილის მეგობარი პოეტები: დავით მაჩაბელი და ალექსი ჩიქოვანი“.<sup>389</sup>

ბარათაშვილსა და მიხეილ ორბელიანს ერთმანეთთან მიმოწერა ჰქონდათ, მაგრამ ამ მიმოწერას ჩვენამდე არ მოუღწევია.

თავისი ცხოვრების ბოლო ხანებში მიხეილ ორბელიანი დაღესტანში, ვასილ ბებუთაშვილის ადიუტანტად მსახურობდა. გარდაიცვალა 1846 წელს, აღდგომა დღეს, ცხენიდან გადმოვარდნისას.

1846 წლის 29 აპრილს გრიგოლ ორბელიანი ჭუნგუთიდან წერდა თავის ძმას, ზაქარიას: „ჩვენის საბრალოს მიხაკოს სიკვდილისა, მგონია, ჩემის წერილით შეიტყობდი მაცნობე, ქაიხოსრომ შეიტყო თუ არა; ბებუთოვმა კი მისწერა“<sup>390</sup>.

თუ რა პატივს სცემდნენ გარდაცვლილ მიხეილ ორბელიანის ხსოვნას, ეს კარგად ჩანს გრიგოლ ორბელიანის მიერ 1846 წლის ექვს მაისს ქეთევან ორბელიანისადმი გაგზავნილი ბარათიდან:

„საბრალო მიხაკო, წავიდა, გაჰქრა სიზმარივით, ნეტავ არ გამეცნო, ძალიან, ძალიან შემიყვარდა ის უბედური. ამის ნივთები სიით აწერილია და ბებუთოვის სახლშია. ამ დღეებში რაც გასასყიდია და არ გამოიგზავნება, მინდა ვსთხოვო ბებუთოვს, რომ გასყიდონ.“

საბრალო ძალიან დიდის პატივით დაიმარხა; არა თუ მარტო რუსნი, შორიდან მოვიდნენ თათრები პატივის მისაცემად. მაგრამ რა ნუგეშია. მეტადრე შურის (იგულისხმება ქალაქი შურა — ი. ბ.) ქალები დამწვრები არიან მისის სიკვდილით: ყოველდღე ვილაცა ამკობს ყვავილებით მის საფლავსა.

ერთ დღეს ვნახე მის საფლავზედ დამტკრებული შამპანსკის ბუტილკა, ბაკალი და წითელი აღდგომის კვერცხები. მეცა, საბრალო დავამარხვინე დიახ მშვენიერს აღდილას. ამისა პორტრეტტი მე მაქუს. მინდა პამიატნიკი დაუდგა“. 391

იმავე წლის 27 მაისს გრ. ორბელიანი წერდა თავის უმცროს ძმას ილიას: „დავმარხე საბრალო ჩვენი მიხაკო, რომელიცა აღდგომას დღეს გადმოვარდა ცხენითგან და მაშინვე მოკვდა; და შენმა წიგნმა ველარ მოუსწრო ამას“. 392.

1847 წლის 28 აპრილს გრ. ორბელიანი ატყობინებდა ქეთევან ორბელიანს: „მაიკოს შეუთვალეთ, რომ საბრალოს მიხაკოს ორივე ბეჭედი — ქაღალდების საბეჭდავი — ერთი გვაროვნობისა, და ერთი პატარა, რომელზედაც გამოჭრილია მისი სახელი, აქა მაქვს. საბრალო მიხაკოს ბიჭი ჩერქეზა მოკვდა ქლეჭობით, და დაიმარხა მიხაკოს საფლავთან“. 393.

მიხეილ ორბელიანის და მაიკო, როგორც მკითხველმა უკვე იცის უახლოესი მეგობარი იყო ნ. ბარათაშვილისა.

### 3.

მამაკაცთაგან სახუმარო გაკამათების მესამე მონაწილე, რომლის ეპიგრამამაც ჩვენამდე არ მოაღწია აფანასეა. მარიამ ფალავანდიშვილი მიხეილ ორბელიანისადმი მიმართულ ლექსში წერდა:

ლექსი თქვენი გვებოძა დიდად არეულია,  
აფანასგან შეთხზული თქვენი საკადრისია.

ხოლო ბარათაშვილისადმი მიძღვნილ ეპიგრამაში ვკითხულობთ: „დავანებოთ ეს ლექსები ჩვენსა პოეტს ტატოსა, მისი შემწე აფანასე იქნება!“

ვინ არის ეს „აფანკა“ — აფანასე?

საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცული ერთი საბუ-

თიდან ჩანს, რომ ეს „აფანასე“ გვარად ივჩენკო ყოფილა. 1845 წლის 9 თებერვლის ბრძანებულებით „საქართველო“ იმერეთის საგუბერნიო სამმართველოს სტოლნაჩალნიკის კოლეჯის რეგისტრატორი „Афанаси Ивченко“ „დამტკიცებულ იქნა“ გუბერსკი სეკრეტარად (ამავე ბრძანებულებით შემდეგ ხარისხში დაუმტკიცებიათ ნ. ბარათაშვილიც).<sup>394</sup>

ბარათაშვილი და ათანასე ივჩენკო ერთად მსახურობდნენ „საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატაში“.

მას შემდეგ, რაც გამოირკვა „აფანასეს“ გვარი, კითხვა ისმის, ელენე ერისთავისა და მარიამ ფალავანდიშვილისადმი მიძღვნილი, ათანასე ივჩენკოს ეპიგრამა, რუსულ ენაზე ხომ არ იყო დაწერილი?

ახლა სახუმარო გაკამათების მონაწილე ქალთა შესახებ.

### 1

მართალია, „გაკამათებაში“ ელენე პირდაპირ არ მოქმედებს, მაგრამ რადგან ბარათაშვილი თავის პასუხს „ელენესა და მაროს“ მიუძღვნის, ჩვენ ელენესაც პაექრობის მონაწილედ ვთვლით და თავიდაპირველად მასზე შევჩერდებით.

დავით კარიჭაშვილი 1916 წელს შემდეგს წერდა გაკამათების მონაწილე ქალთა შესახებ: — „ვინ არის ელენე, არსაიდან ჩანს, ხოლო მარიამის გვარი კი ცხადდება კრებულიდან; სადაც მოთავსებულია ოთხი კუპლეტი, რომელთა ქვეშ მოწერილია მარიამ ფალავანდიშვილისა“.<sup>395</sup>

ელენეს ვინაობა პირველად გახსნილ იქნა ბარათაშვილის ნაწერთა 1930 წლის გამოცემაში. ხსენებულ გამოცემაში ვკითხულობთ: „ელენე და მარიამ დები იყვნენ, ლუარსაბ ორბე-

ლიანის ქალები; პირველი, ელენე, გათხოვილი იყო ზაქარია ერისთავზე, მეორე, მარიამი, ნიკოლოზ ფალაევანდიშვილზე. ეს ახსნა სრულიად მართებულია.

ელენეს და მარიამის მამა, ლუარსაბ ივანეს ძე ორბელიანი, იყო პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ცოლის ძმა. ალექსანდრე ორბელიანი წერს, რომ 1832 წლის შეთქმულების წევრებს ალექსანდრე ჭავჭავაძე „ლუარსაბ ორბელიანის პირით გვარი-გებდაო“.<sup>396</sup> ლუარსაბ ორბელიანი გარდაიცვალა 1834 წელს. ლუარსაბს ცოლად ჰყავდა ანა, რომელიც მოკვდა 1844 წლის 21 აგვისტოს და დასაფლავებულია „კუმისის სამებაში“.

ელენეს უსწავლია ჯერ პრასკოვია ნიკოლოზის ასულ ახვერდოვასთან, ხოლო შემდეგ მატყლდა კასტელას ფრანგულ პანსიონში.

თბილისში ყოფნისას, ახვერდოვებთან და ჭავჭავაძეებთან მოსიარულე მწერალი ალექსანდრე გრიბოედოვი დაახლოებით გასცნობია ელენეს და მოხსენებულიც ჰყავს თავის ბარათებში.

ელენე განათლებული, დარბაისელი ქართველი ქალი იყო, განთქმული თავაზიანობით, ზრდილობით და სილამაზით. მანანა ორბელიანის შვილს, ალექსანდრეს, წერა-კითხვას ელენე ასწავლიდა. თავის მულის, ელენეს შესახებ, მანანა 1835 წელს თბილისიდან წერდა გრიგოლ ორბელიანს: „ალექსანდრე ჯერ ყმაწვილი არის და ელენეს აკითხებს“.<sup>397</sup>

ირკვევა, რომ ელენეს მუსიკა უყვარდა და საკმაოდ კარგი ხმაც ჰქონია. იგი მონაწილეობდა თურმე ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ მოწყობილ საოჯახო კონცერტებზე. გრიგოლ დადიანი გადმოგვცემს: „ალექსანდრე ჭავჭავაძე მშვენიერად უკრავდა ჩონგურზე; თითონ ჩონგურს უკრავდა და ქალებს გარსემო-

ისხამდა: ელენე ერისთავს, მარიამს (ლიზას დედას), სალომეს (მის ცოლს), ეკატერინეს (მის ქალს) და თავის ლექსებს ამღერებდა".<sup>338</sup>

ელენე ორბელიანი ერთ-ერთი შუქურა იყო ელისაბედ როზენის სალონისა. თედორე ტორნაუ აღფრთოვანებით აღნიშნავდა: „ვინ არ სტკებებოდა ტანწერწეტა თავადის ასულ ელენეს მზერით“.<sup>399</sup>

1836 წელს ელენე ცოლად გაჰყვა ზაქარია გიორგის ძე ერისთავს.

ზაქარიას მამა, სენატორი გიორგი იასეს ძე ერისთავი (1760—1863), ლექსებსაც წერდა. ს. დოდაშვილის ჟურნალში („სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ 1832 წ. № 3) დაბეჭდილია გიორგი იესეს ძე ერისთავის ლექსი „მოწოდება ივერთა“, 1893 წლის ჟურნალ „მწყემსის“ № 17 მოთავსებულია მისი მეორე ლექსი „მამის დარიგება“. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომების მეორე ტომში დაბეჭდილია გ. ი. ერისთავის ორი ლექსი 1. „გიორგი კნიაზისაგან თქმული თავის შვილ ზაქარიაზე“ 2. „ეპიტაფია“, რომელიც წარმოადგენს მისი შვილის, ზაქარიას საფლავზე წასაწერ ტექსტს.

ელენეს გათხოვებას გრიგოლ ორბელიანი, 1836 წლის 28 ნოემბერს, ასე აღუწევდა თავის ძმას ილიას: „ელენა ზაქარია ერისთავმა შეირთო“.<sup>400</sup>

ჩვენამდე მოსულ ბარათაშვილის პირად ბარათებში ელენე ორჯერ მოიხსენიება, 1842 წლის 31 ოქტომბერს ბარათაშვილი თბილისიდან წერდა მაიკო ორბელიანს: „ტასოს ღღეობა იყო და ელენეს სახლში გადაიხადეს. მე, სწორეთ გითხრა, მეტად გავმხიარულდი, სრულიად უმიზეზოდ, უანგარიშოდ, ისე მეც

არ მოველოდი. — ბევრჯერ მოგიგონე, დიდად მინდოდა, რომ  
იმ დროს აქ ყოფილიყავი“. 401

1844 წლის ივნისში ზაქარია ორბელიანისადმი ვაგზაურობის  
ბარათში პოეტი წერდა: „... მე და მამუკა გორს გავედით, იქ  
დაგვხვდნენ ელენე, მანანა, რომელიც ორი დღის წინათ ჩვენ-  
ზე წავიდა. მელანია და ბევრნი სხვანი; ნათლობა ჰქონდათ  
ელიზბარის სახლებში, ესტატე ერისთავის შვილისა“. 402

ელენე ქარგულობის საკმაოდ კარგი ოსტატი იყო. 1843  
წლის 6 მაისს გრიგოლ ორბელიანი თბილისში წერდა თავის  
ძმას ილიას: „ელენე ჯერ კარგად მომიკითხე და მას უკან  
უთხარ, რომ ქისა არ მომსვლია-თქო“ 403

ელენეს ქმარი, ზაქარია გიორგის ძე ერისთავი, ორმოციან  
წლებში დაღესტნის ხაზზე იბრძოდა შამილის წინააღმდეგ.  
1844 წლის 10 მაისს ბარათაშვილი თბილისიდან ატყობინებდა  
გრიგოლ ორბელიანს: „ჩვენი ყმაწვილი კაცები ილია, ლევან,  
დავით, ბაკლანა, ზაქარია და ალექსანდრე ერისთავი სულ წამო-  
ვიდნენ შამილის დასაქერად; ესენი სულ სარდლები არიან ქარ-  
თველთ ჯარისა“. 404

როცა მხედრები ადგილზე გამოცხადდნენ, გრიგოლ ორბე-  
ლიანი 1844 წლის 23 ივნისს წერდა თავის ძმას, ზაქარიას: „ჩე-  
მო ძმაო ზაქარიავ! ზაქარია ერისთავიცა აქ მიზის და ამას მა-  
წერიწებს შენთან თავმოპარსული და ნემენცურის სიგარით  
ხელში. დავით ჰავჭავაძე სიღნაღისა, ლევან მელიქოვი თუშე-  
ბისა, ზაქარია ერისთავი ქართლისა მეტივეების დრუჟენებისა  
ნაჩაღნიკად არიან“. 405

1845 წლის ზაფხულში ზაქარია ერისთავმა მძიმე კრილობა  
მიიღო მკლავში. დასახელებული წლის 6 აგვისტოს გრიგოლ  
ორბელიანი თემირხანშურიდან მოწერილ ბარათში ასე მიმარ-



თავდა თავის ძმას ილიას: „ზაქარია ერისთავისა შევიტყვე მკლავში დაქრილობა, შემატყობინე როგორ არის ახლა ანდრეევსკიმ (მედიცინის დოქტორი, ერასტი სტეფანენს ძე ანდრეევსკი 1845 წელს მ. ს. ვორონცოვს ჩამოყვა საქართველოში, ცოლად ჰყავდა ბარბარე თუმანიშვილი — ი. ბ.) მითხრა, უნდა მომეკრა იკლავიო. ძალიან შევსწუხდი მაგის დაქრილობისათვის; გეთაყვანე მალე მომწერე მაგის ამბავი, ხომ იცი ძალიან მიყვარს“. 406

1850 წელს ზაქარია ერისთავი „ასრულებდა ქარ-ბელქანის მაზრის უფროსის თანამდებობას. ამ თანამდებობიდან ის მოხსნა ივლისში ლეკეთ-კახეთის ხაზის უფროსის მოვალეობათა დროებით ამსრულებელმა გენ. ბელგარდმა. შეურაცხყოფილი ზაქ. ერისთავი გაემართა თბილისისაკენ, მაგრამ სადგურ მულანლომდე თავს დაესხნენ ყაჩაღები და მოჰკლეს. ერისთავის საშინლად დასახიჩრებული გვამი დაიბრუნეს ამაღის წევრებმა და ოფიცრებმა. თავის დროზე ზაქ. ერისთავის სიკვდილმა დიდა მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მკვლელობის გამომწვევი მიზეზად სთვლიდენ მის წინააღმდეგ მიმართულ ინტრიგებს. ვორონცოვმა კავკასიიდან გადაიყვანა ბელგრადი და საქმის გამოძიებაც დაიწყო“. 407

ზაქარია ერისთავის სიკვდილის ცნობა მ. ს. ვორონცოვს ასე აქვს ჩაწერილი თავის დღიურში: „1850 წ. 12 აგვისტოს ზაქარია ერისთავი მოკლულია ტყეში ლეკების მიერ. ის ტფილისში მოდიოდა ჩანს იმიტომ, რომ ბელგრადმა ზაქათალის სამხედრო და სამოქალაქო საქმეების უფროსად დანიშნა დავიდოვი. გავიგე რა ეს სამწუხარო ამბავი, დაუყოვნებლივ გავგზავნე გორში, გუშინ აქ ჩამოსული გიორგი ერისთავი (ავტორი), რომ თანაგრძნობა გამოუცხადოს მოკლულის მამასა და ქვრივს“. 408

მეგობრის სიკვდილით გულდამწვარი გრიგოლ ორბელიანი,  
1850 წლის 20 სექტემბერს ლუჩეიდან წერდა ქეთევან ორბე-  
ლიანს: „ზაქარია ერისთავის სიკვდილი ეხლა შევიტყვე-  
დის მიმალავდენ, — ოჰ, რა ძლიერ შემაწუხა ამ ამბავმა. საბრა-  
ლო მოხუცი მამა მისი! აქამდის იმიტომ იცოცხლა, რომ უკა-  
ნასკნელი იმედი თავისი დამარხოს თავის ხელით. საბრალო  
ელენე! ამოიფხვრა ეგ ოჯახიც“. 409

გულდათუთქულმა მამამ, გიორგი იესეს ძე ერისთავმა, რო-  
გორც აღვნიშნე, ორი ლექსი უძღვნა ზაქარიას სიკვდილს.

ზაქარიას შვილი არ დარჩენია.

1875 წლის შემოდგომაზე, საზღვარგარეთიდან დაბრუნე-  
ბული, პოეტ ვახტანგ ორბელიანის ქალიშვილი მარიამი, ელენე  
ერისთავის ცხოვრების უკანასკნელი წლების შესახებ გვიამ-  
ბობს:

„ჩვენს დაბრუნებისთანავე ჩემმა დედამთილმა (ნინო თორ-  
ნიკეს ასული ერისთავი, ცოლი ივანე ორბელიანისა — ი. ბ)  
თავის მხრივ, მოიკითხა თავისი ნათესავეები: მუხრან-ბატონები  
და ერისთავები. ინახულა ეგრეთვე თავისი საყვარელი მეგობა-  
რი, ძმისწული თავის ქმრისა, ელენე ერისთავისა, რომელიც  
მეც ძალიან მიყვარდა. იგი ჩვენი დიდი ხნის მეგობარი იყო და  
ხშირად დავდიოდით მათ სახლში, რომლის აივანი მტკვარს გა-  
დაჰყურებდა, კუკიის ხიდის ყურთან, ალექსანდრეს ბაღის პირ-  
დაპირ. ძალიან მიყვარდა ყოფნა ამ საუცხოვო მოხუც-  
თან.

დღისით, რა დროსაც არ უნდა ყოფილიყო, ჩემი დედამთი-  
ლი და ის უეჭველად საგარეო უნდა ყოფილიყვნენ ჩაცმულნი  
(ჩემს დედამთილს ევროპულად ეცვა, ხოლო მეგობარი ქართუ-  
ლი გემოვნებით შეკერილ კაბას ატარებდა), ისინი სულ მუდამ

ალერსიანი იყვნენ, სულიერი სილამაზის პატრონი, რაც ნათლად ეტყობოდათ მათ ტკბილ სახეებზე.

ელენე ერისთავს, როგორც ამბობდნენ, ვორონცოვი დაწოქილი უნახავს მის ფეხებთან, მაგრამ იმდენად სათნო ყოფილა, რომ არავის სმენია მისი სახელი ოდნავადაც შებლაღულყო. დარბაზში ერთ-ერთ მაგიდაზე თავისი თაყვანისმცემელი ვორონცოვის სურათი ედგა, ფერადი წამლებით დახატული.<sup>410</sup>

ელენე ერისთავი გარდაიცვალა გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში.

## 2.

ახლა მარიამ ფალავანდიშვილის შესახებ:

ლუარსაბ ორბელიანის მეორე ქალი, მარიამი (იგივე მარო და მაიკო), დაიბადა 1817 წელს. იგი ჯერ პრასკოვია ახვერდოვასთან და კასტელას ქვრივთან იზრდებოდა, მერე კი (როგორც ეს ზემოთმოყვანილ მიხეილ ორბელიანის ერთი საპასუხო ეპიგრამიდან ჩანს), მადამ აბრერას შინაურ სკოლაში.

მარიამი დაბალი ტანის, შავგვრემანი და ფაქიზნაკეთიანი ქალი იყო. ის ეკუთვნოდა იმ წრეს, რომელშიაც ბარათაშვილს მუდმივად უხდებოდა ყოფნა. პოეტის წრის ლიტერატურული ინტრესები უცხო არ უნდა ყოფილიყო მარიამისათვის.

1835 წლის მაისში სრულიად ახალგაზრდა მარიამი ცოლად გაჰყვა თბილისის სამოქალაქო გუბერნატორს ნიკოლოზ (კიკო) იოსების ძე ფალავანდიშვილს.

დასახელებული წლის 27 მაისს მანანა ორბელიანი გრიგოლ ორბელიანს ასე აუწყებდა მარიამის გათხოვებას:

„ქორწილი გექონდა, ჩვენი პატარა მაიკო ფალავანდოვა შაიქნა და ვიმხიარულეთ. მოკლედ გეტყვი ქორწილის ამბავს.

ტაბახმელას იყო ჩვენი შეკრულება. ჩვენს ნათესაეებს <sup>გაოდა</sup> უცხონი არავინ იყვნენ. კავალერათ ჩვენი, შენი ძმა, ზაქარია იყო. აქედამ პირველად დედოფალი წავიყვანეთ ღოუბანს მე, მიაიმ და ქეთევანმა. თანაც ზაქარია გვყავდა. აქ მოულოცეთ მეფეს. მეორე დღეს მოვიდა მეფე და დაიწერა ღოუბნის ეკლესიაში ჭვარი.

წამოვედით რას ყოფით იქედამ და რას ჯირითით, მაგრამ სად იყავ, შენ, თუმცა აქ არ იყავ, მაგრამ შენი ხსოვნა ხშირი იყო. ახლა კიდევ ვიამბო: მოვედით ისევ ტაბახმელას და მოგვეგებენ ჩემი რძალი, ოთარის ცოლი, მამუკას ცოლი, კონია და ორნი მელანიები და მოგვიყვანეს დიდი შადიანით და დავსხედით მასუკან ლოტკაზედ, რაც აქ ზაქარიას ყოფა ჰქონდა რალა მოგწერო ამის მხიარულის გულის ამბავი. გავატარეთ ასე დღეები, ერთი კვირა.

ორ დღეში ერთხელ ამოდის ნიკოლაი იოსებიჩი და მხიარულობენ ორნიც ცოლ-ქმარნი. კიდევ დამაფიწყდა: ქორწილის მეორე დღეს წავიდა მეფე და დავრჩით ჩვენ, დიდი სმა და გადლოცვა-გადმოლოცვა“. 411

მანანას ამ ბარათს დართული აქვს ელენე ერისთავის შემდეგი მინაწერი:

„ძმავო გრიგოლ! არ ვიცი რა მოგწერო, რაც ამბავი არის ჩვენში, ყველას ძალუა გწერს. ამხელად ეს არის ჩემი წიგნი და ნუ დამემდურები ამისათვის, მშვიდობით.

შენი ელენე“. 412

ხოლო თვითონ პატარძალი, მარიამი, აი, რას წერდა გრიგოლ ორბელიანს:

„ჩემო გრიგოლ, ჩემს საყვარელ პირს გაკოცებ. ეხლა ბევრს ვერას გწერ. კვლავ მოგწერ გრძელ წიგნს.

შენი და მარიამ ფალავანდიშვილისა“.<sup>413</sup>

იონა მეუნარგია ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიაში წერდა: „... ერთმა ქალაქის ჩინოვნიკის ცოლმაც, რომელსაც აადევნა პოეტმა თავისი სიყვარული, პოეტის ჩანგი გასცვალა მეგრულ აფიცრის ღეზებზე“.<sup>414</sup>

ის, რაც დააქარაგმა ბარათაშვილის ბიოგრაფიულ ნარკვევში, ი. მეუნარგიამ გათქვა, იმისმა უბის წიგნაკმა. ბიძინა ჩოლოყაშვილისაგან გაგონილი ეს სატრფიალო ეპიზოდი ი. მეუნარგიას, ასე აქვს უბის წიგნაკში ჩაწერილი: „უყვარდა ფალავანდოვის ცოლი, ამ ქალმა კი კონსტანტინე დადიანი იჩია“.<sup>415</sup>

სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის უმცროსი ძმა — კონსტანტინე ლევანის ძე დადიანი (1819 — 1889), ნიკოლოზ პირველის ფლიგელადუტანტი, მეტწილად თბილისში ცხოვრობდა.

ჩვენ არ ვიცით, რამდენად ღრმა იყო ბარათაშვილის გატაცება, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ მარიამი, რომელიც უფროსი იყო პოეტზე, სერიოზულად არ უყურებდა ამ ტრფიალს.

„მზიარულმა, ლამაზმა ვაჟკაცმა“, ბრწყინვალე ოფიცერმა, „კონსტანტინე დადიანმა მარიამის გულიდან ისევე ადვილად განდევნა ბარათაშვილი, როგორც მისმა უფროსმა ძმამ დავითმა, ეკატერინე ჭავჭავაძის გულიდან, იგივე ნ. ბარათაშვილი. დადიანები ბედისწერასავით გადაეღობნენ გზაზე ჩვენს დიდ პოეტს“.<sup>416</sup>

მარიამ ფალავანდიშვილის სხვა ლექსები საძიებელია.

მარიამს ჰყავდა ერთადერთი შვილი ელისაბედი (ლიზა).

მარიამი გარდაიცვალა 1851 წლის 13 ოქტომბერს.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, გაირკვეს ეპიგრაფებში მოხსენებულ სხვა პიროვნებათა ვინაობაც.

ერთ თავის ეპიგრამაში მარიამ ფალავანდიშვილისა ასე მიმართავს ნ. ბარათაშვილს:

პალატაში ჯდომითა ხანი მოგმატებია,  
ფეოდორის ყურებით სევდა გაგზშირებია.

ბარათაშვილი პასუხობს:

მე რად მაყვედრით ფეოდორს, თქვენვე მოგხედებათ სიძეთა,  
არც იმაზე ხართ უმცროსი. რალას დასცინით  
ხანზედა.

ბარათაშვილის ნიშნული ცნობა, რომ „ფეოდორს“ ცოლად ქართველი ქალი ჰყოლია, აადვილებს დავადგინოთ თუ „საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატის“ რომელ „ფეოდორს“ იგულისხმებს გაკამათება.

როგორც ჩანს, აქ ლაპარაკია სოვეტნიკ სტატსკი სოვეტნიკ — Феодор Гавриленко-ზე, რომელსაც ცოლად ჰყავდა ბარათაშვილის სკოლის ამხანაგისა და უახლოესი მეგობრის — ლევან მელიქიშვილის და ეკატერინე.

ბარათაშვილისადმი მიმართულ მარიამ ფალავანდიშვილის ეპიგრამაში მოიხსენიება ვინმე „ქალუა“.

ქალუა — შინაური სახელია იოსებ ბებუთაშვილის მეუღლის — მარიამ იოსების ასულ ყორღანაშვილისა. „საქართველოს სიძველენის“ მესამე ტომში მოთავსებულია პოეტი ქალის — მარიამ ბაგრატიონის ორი ბარათი მიმართული ამ „ქალუასადმი“.

ა. გრიბოედოვი დაახლოებული იყო „ქალუასთან“ და მასთან ერთად მონათლა თბილისში ვაეი“ 417.

ქალუა გარდაიცვალა 1841 წლის 24 აპრილს.

საქართველო  
საბჭოთაო

დასადგენი რჩება, თუ ვინ არიან იმავე ეპიგრამში მოხსენებული პირები: მათუა, გალუა, თაფუა. ბარათაშვილის პასუხში ნახსენები „კნენია სოფიო“ და პაპუნაშვილი. დასადგენია აგრეთვე მიხეილ ორბელიანის პასუხში მოხსენებულ „მადამ აბრერას“ ვინაობაც.

რომელ წელს ეკუთვნის მოყვანილი პაექრობა?

რადგან „საქართველოს უმაღლესი მთავრობის სასამართლო ექსპედიცია“ (რომელშიაც ნიკოლოზ ბარათაშვილი 1835 წლიდან მსახურობდა), 1840 წლის 10 აპრილს ბრძანებულებით გადაიქცა „საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატად“ ხოლო, მარიამ ფალავანდიშვილი პოეტს „პალატაში“ მომუშავედ მიიჩნევს („პალატაში ჯდომითა ხანი მოამატებია“) ცხადია, „გაკამათება“ 1840 წლის 10 აპრილის შემდეგ დროს მიეკუთვნება, არა უგვიანეს 1841 წლის 24 აპრილისა, როცა „გაკამათებაში“ მოხსენებული „ქალუა“ გარდაიცვალა.

### ბარათაშვილის მემოზარჩი პოეტი ქალი

მაგიდაზე მიდევს ნიკოლოზ ბარათაშვილის კრებული და, ვინ იცის, პოეტის პირად ბარათებს მერამდენედ ვკითხულობ. ყურადღებას იქცევს ბარათაშვილის მიერ, 1842 წლის 31

ოქტომბერს, თბილისიდან მაიკო ორბელიანისადმი ქართლში  
გაგზავნილი ბარათის შემდეგი ადგილი: „მადლობელი ვარ,  
რომ რახაელს წიგნი დასტყუე, გუშინ იასემ მომიტანა. ამიტომ  
უფრო მიამა, რომ წინა დღეს ამ წიგნზედ ლაპარაკი იყო და  
მეორეს დღეს უნდა მიმეტანა მანანასათვის. ასე ეგონა, რომ მე  
მაქვს“ 418.

რახაელის პიროვნების გამო ვფიქრდები, უბნის წიგნაკებსა  
და საწიგნე რაფებს მივმართავ.



რახაელი (ხაზე) იყო ასული ესტატე ციციშვილისა.

„ციციშვილი ვესტატი, ეს იყო შვილი მეფის ირაკლის ასუ-  
ლის მარიამისა. ეს მარიამი იყო დიდად დახელოვნებული საღ-  
მთოს წერილში, ისეთი მოღეჟსე, რომ ასე ანობდნენ — დი-  
დის მეფის თეიმურაზის ნიჭი გამოყვა ამ ქალსაო.

იყო დიდათ მუზიკის მოყვარე და თითონაც იცოდა ქართუ-  
ლი მუზიკები. ოთხი ვაჟი ყვანდა და ოთხთავ იცოდნენ ქართუ-  
ლი საკრავები და ამხიარულებდნენ დედასა და როდესაც სამ-  
შობლო (იგულისხმება ოჯახი ი. ბ.) რუსეთში გადაუსახლდა,  
ყოველივე მხიარულება დაივიწყა, წავიდა თავის სოფელს ქა-  
რელში, სწერდა სამგლოვიარო ლექსებსა“ 419.

ესტატე ციციშვილი 1811 წელს ნიჟნი ნოვგოროდში გაჰყვა  
კათალიკოს ანტონ მეორეს. აქ დაიბადა მისი ქალიშვილი — რა-  
ხაელი. 1828 წელს ესტატე გარდაიცვალა. რახაელი და მისი  
ძმა — საკმაოდ ცნობილი პოეტი, დავით ციციშვილი — ქა-  
რელში, ბებია-მარიამთან დასახლდნენ.

ციციშვილთა სახლი ქარელში, ერთგვარი სალონი იყო, სა-



დაც გაცხოველებული ლიტერატურული მუშაობა სწავრ-  
ებდა.

თბილისს მომორებული „გულდამწვარი“ რახელი „წიგნე-  
ბის კითხვით“ და „მწერლობით“ იქარვებდა დარდს.

საკითხავ წიგნებს ის თბილისიდან იღებდა, ან თითონ ჩა-  
მოდოდა ქალაქში მათ წასაღებად. ერთ-ერთი „წიგნი“ რახა-  
ელს, როგორც ვნახეთ, ბარათაშვილისთვის გამოუერთმევია, —  
რომელიც მანანა ორბელიანის საკუთრება ყოფილა.

რახელ ციციშვილი საკმაოდ კარგი პოეტი ყოფილა. თქმუ-  
ლის ნათელსაყოფად საკმარისია დასახელებულ იქნეს თუნდაც  
ის, რომ მისი ლექსი „უგვანთა ტრფობა“ ალექსანდრე ჭავჭავა-  
ძისათვის მიუწერიათ.

გაზეთი „დროება“ 1881 წელს გამოსულ ალექსანდრე ჭავ-  
ჭავაძის ნაწერთა შესახებ მოთავსებულ რეცენზიაში აღნიშნა-  
და: „ლექსი «უგვანთა ტრფობა, უგრძნოთ ტკობა, ვისა გსმე-  
ნია?» ეკუთვნის რახიელ ციციშვილისას. ეს რაფ. ერისთავმაც  
იცის“ 420.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინს-  
ტიტუტის H ფონდის ხელნაწერი № 101, ამ ლექსს სრულიად  
სამართლიანად რახელ ციციშვილს აკუთვნებს. „კნეინა რახიე-  
ლისაგან თქმული“.

გავიხსენოთ იგი:

### უგვანთა ტრფობა

უგვანთა ტრფობა, უგრძნოთ ტკობა ვისა გსმენია?  
მეც მმართვეს მოვთქვა, ცრუ მიმოთქმა რაიც მომენია:  
ჭერეთ ნორჩ ხანში, უცხოს ხალხში ოდესა ვრბოდი, —  
არა ვარ მცირე, დასამცირე, ამას ვამბობდი;  
შვენებეთ სრული, გაბადრული მსწრაფლ ვამაყობდი,



ამით ვიცოცხლე, არც სიცოცხლე არ მომწყენია.  
 ხედავთ ამ სოფელს დაუნდობელს, ვით დამწყვა გული,  
 მლიქვნელის ენით დამონებით მიმპრა სალ-გული;  
 ტყვეთ მიმცა ჭირსა გასაჭირსა, მყო დაკარგული,  
 აწ ცრემლით კნივი და ვერვისთვის შემისშირია.  
 ვინც რომ ვის ენდოს და მიენდოს, ჩემებრ კრულდება  
 იყოს, იწყველოს და ეწყველოს ბედის კრულდება!  
 იქ განიკითხონ და იკითხონ ეს შეკრულდება,  
 საღ ჩემი ჩაგვრა და დანაგვრა დამითმენია!

ეს ლექსი ა. ჭავჭავაძის „თხზულებათაგან“ ამოღებულ უნდა იქნეს და დაუბრუნდეს რახაელ ციციშვილს.

1843 წელს რახაელმა გრიგოლ ციციშვილს უამბო სენტ-მენტალური ხასიათის მოთხრობა: „ამბავი ლექტორ სლავენისა და სონიჩკასი, ესე იგი ბულდაკოვისა და მინისტრის ასული-სა“, რომელიც გრიგოლ ციციშვილმა შემდეგ გადაამუშავა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ერთ-ერთი ხელნაწერის შენიშვნა გვამცნობს: „ამბავი ესე ნათქვამი არს მსგავსად ზღაპრისა კნენინა რახაილ ციციანოვის ასულის მიერ კნიაზის გრიგოლ ციციანოვისადმი ჩუმგ-ს (1843 — ი. ბ.) წელსა შინა, ხოლო ამის მიერ გამშენიერებული არს სიტყვანი და ლექსნი და შემდგომ გადაწერილ არს ბრძანებისამებრ კნენინა როსკანა ერისთავის ასულისა წულუკიძისა ჩინთ-ს (1859 — ი. ბ.) წელსა ოქტომბრის იგ-სა (13 — ი. ბ.) დღესა“ 421.

რახაელი ცოლად ჰყავდა იასონ ციციშვილს, რომელიც ვერაგულად მოუკლავთ არსენ ვალიშვილსა და სხვებს.

ქმრის დაღუპვის შემდეგ რახაელი სოფელ ზემოხვედურეთში გადავიდა საცხოვრებლად და ღრმად მოხუცი მოკლულ იქნა

1910 წელს. აღნიშნული წლის „სახალხო გაზეთი“ „სახალხო ამბებში“ იუწყებოდა:

„როგორც გვწერენ, ამ დღეებში გორის მაზრის სოფელ ზე-  
მოხვედურეთში ყაჩაღებს აბრამ ხორბალაძეს, არსენ ვალი-  
შვილს და ერთ უცნობს თავის სახლში რევოლვერებით მოუქ-  
ლავთ ციციშვილის ქერივი რაზიელ ესტატეს ასული.

მკვლელობის მიზეზი შურისძიება ყოფილა ვალიშვილის  
მხრივ, რომელიც ადმინისტრაციულის წესით გადასახლებული  
ყოფილა იმის გამო, რომ მოკლულის კნენის ქმრის იასონ ცი-  
ციშვილის მოკვლაში მონაწილეობის მიღება ბრალდებოდა.  
მკვლელნი მთებში გაქცეულან“ 422.

ამ რაზიელ ციციშვილის ძმისწულის, ალექსანდრე დაეითის  
ძე ციციშვილს სურათიდან გაკეთდა ბარათაშვილის ის ყალბი  
პორტრეტი, რომელიც 1904 წელს პრემიად დაურთვდათ  
ჟურნალ „მოგზაურის“ ხელისმომწერთ და რომელიც უკანას-  
კნელ ხანებამდე გავრცელებული იყო.

## ბეჯითობა სამსახურში. ავადმყოფობა. ქართლში გატარებული დღეები

ნიკოლოზ ბარათაშვილს კატასტროფული მდგომარეობა  
ჰქონდა ოჯახში. ავადმყოფ მამას, შეუშოსავ დედასა და დებს,  
ვერ ასდიოდა პოეტის მცირე ხელფასი. ვალი დღითიდღე იზრ-  
დებოდა.

ბარათაშვილი თავისი გარჯით ცდილობდა დაწინაურებუ-  
ლიყო სამსახურში, რომ ჯამაგირი რამდენიმედ მაინც მომატე-  
ბოდა.

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია საბუთი, საიდანაც ირკვევა, რომ 1838 წლის 3 თებერვალს, დაწესებულებას, სადაც პოეტი მსახურობდა, გასჩენია ჩანაწერი მის ჩაქრობის დროს ბარათაშვილს გამოუჩენია მამაცობა და თადარიგიანობა, რისთვისაც დაწესებულების მესვეურებისაგან საგანგებო მადლობა მიუღია <sup>423</sup>.

ბუნებით ბობოქარი სულის მქონე და მოუსვენარ ბარათაშვილს, სამსახურში ყველაფერი რიგზე ჰქონდა. ზოგიერთს არ სჯეროდა ეს და როცა რწმუნდებოდნენ, რომ ეს ასეა, გაცუბულნი რჩებოდნენ. გრ. ორბელიანი გადმოგვცემს:

„პალატის უფროსს ილინსკის არაფრად მოსწონდა, რომ მისი სტოლნაჩალნიკი ასე ბევრს დარბოდა, და ერთხელ რევიზია უყო. მაგრამ რა დაინახა ყველაფერი სწორად ჰქონდა, უთხრა: — В таком роде продолжайте бегать, сколько вашей душе угодно.

ეს კაცი ისეთი დიდი აზრისა იყო ბარათაშვილის ნიჭზე და მეტადრე თავის თანამდებობაზე, რომ ამბობდა თურმე: „Баратов на моем месте будет сидеть“ <sup>424</sup>.

1842 წელს, როდესაც სამხედრო მინისტრმა ჩერნიშევმა და პოზენმა რევიზია ჩაუტარეს თბილისის სამოქალაქო დაწესებულებებს, პოზენს ისე მოსწონებია ბარათაშვილის საქმის წარმოება, რომ ბრძანება გამოუცია, ქართველობას უპირატესობა მისცემოდა სამსახურში <sup>425</sup>.

როგორც იქნა, ბარათაშვილისათვის გამოიმეტეს პატარა წარმატება. კანცელარისტის თანამდებობიდან „თავადაზნაურობის სამეურნეო ნაწილის უფროსად“ დანიშნეს „ექსპედიციიაში“. მერე, — ვინაიდან „სააპელაციო ნაწილისათვის“ სა-



ჭირო გახდა „ნიჭიერი და კეთილსაიმედო“ მაგიდის უფროსი, პოეტი დაამტკიცეს „სააპელაციო საქმეთა გამგებლად“.

1843 წელს ბარათაშვილმა წელთა ნამსახურობისათვის მიიღო ჩინი „გუბერსკი სეკრეტრისა“, იმავე წლის ნოემბერში კი „კოლეესკი სეკრეტრობა“. ამაზე მალე პოეტი აღარ წაუწყევიათ.

არანაკლები სახელი ჰქონდა ბარათაშვილს მეგობარ-ნათესავთა წრეში. იცოდნენ რა პოეტის ფხა და გულისყური საქმისადმი, ვინ იცის, რას არ ავალებდნენ შესასრულებლად. 1843 წლის 7 სექტემბერს ზაქარია ორბელიანი წერდა თავის უმცროს ძმას ილიას: „ტორგში შეგზავნე ჩემი დისწული ტატო, ან ქეთევანის სახელზედ ან თავის სახელზედ ასყიდვინე. Работай молодым“ 426.

ბარათაშვილს ახლადმინიჭებული ჰქონდა „კოლეესკი სეკრეტრის“ ჩინი, რომ მძიმედ ავად გამხდარა. ეს ყოფილა ბარათაშვილის პირველი ავადმყოფობა. სწეულებამ განსაკუთრებული დაღი დააჩინა პოეტს. 1844 წლის 15 აპრილს ბარათაშვილი თბილისიდან წერდა ზაქარია ორბელიანს:

„შენმა წერილმა, რომელიც აღსავსეა სევდითა და დაღლილობის გრძნობით ცხოვრების აზვირთებული ნაკადისაგან, ღრმა გამოხმაურება პოვა ჩემს სულში, თუმცა ჩვენ ერთნაირი მიზეზი არ მოგვეპოვება ამისათვის. მე ძალიან ავად ვიყავი, ცოტა დააკლდა, რომ ილვისიოსის მინდვრებში გადავსახლებულიყავ. მანამდის არავითარი ავადმყოფობა არ ვიცოდი, ამიტომ მან რაღაც გაუგებარი გავლენა მოახდინა მთელს თითქმის ჩემს სიცოცხლეზე.“

ჩვენი არსებობის მიზნის მიუწვდომლობამ, ადამიანის სურვილთა უსაზღვროებამ და ყოველივე ამ ქვეყნიურის ამოვებამ,

საშინელი სიცალიერით აღავსეს ჩემი სული. მე რომ პატარა  
დამოუკიდებელი მდგომარეობა მქონდეს, იმწამსვე მივატოვებდი  
დი ქვეყანასაც და ადამიანებსაც მათი გაუმადლოებით, და დამ-  
შვილებული და მოსვენებული — გავატარებდი პატარა ქა-  
ლურ ცხოვრებას მარტივი ბუნების წიაღში, რომელიც ასე დი-  
დებული და წარმტაცია ჩვენს სამშობლოში. ასეთი მწარე ფიქ-  
რებით ვიყავი მე, გამომთელებისას, შეპყრობილი, რო-  
დესაც შენი წერილი მივიღე. აი რატომ თანაგიგრძნობდი  
შენ! 427.

ლოგინიდან ახლად ამდგარ პოეტს, დის — ეკატერინეს  
მზითვზე გაუჩნდა საზრუნავი, რომელიც 1844 წლის 6 აპრილს  
დაიწინდა რევაზ ქსნის ერისთავზე. იმავე წლის ივნისის შუა  
რიცხვებში, ბარათაშვილმა რამდენიმე დღე გაატარა ქართლში,  
დის ქორწილში.

დიმიტრი ვეზირიშვილის ცნობით, პოეტს მაშინ „სადღაც  
ეკლესიის კარზედ დაუწერია მომღერალ სათარას ქე-  
ბა“ 428.

1844 წლის 15 აგვისტოს ნიკოლოზ ბარათაშვილი მამასთან  
ერთად ქართლში წავიდა, რომ ქსნის ხეობაში დასწრებოდა  
„ალეევობას“. ზაქარია ორბელიანისადმი გაგზავნილ ბარათში  
პოეტი წერდა: „მე და მამა ალეევობას, რომ ამ თვის თხუთმეტს  
იყო, ვეწვივენით კატოს... საუცხოო ჭვარობა იყო. ახალგორი-  
დან თორმეტი ვერსტია, მაღალს მთაზედ. — ქალები ცხენე-  
ბით, საწვიმრებით, ქოლგებით, დიდის ამალით, ოსურის სიმ-  
ღერით ავედით სალოცავად. ის ღამე და მეორე დღეც იყო  
მშვენიერი. — ძალიან მხიარულება იყო“ 429.

სამი დღის შემდეგ პოეტი დაბრუნდა თბილისში.



სოფელ მარტყოფში 1843 წლის 15 აგვისტოს, ღვთაების დღეობაზე, დიდი თავყრილობა აყო. ბარათაშვილი ექვსი დღის შემდეგ წერდა თავის ბიძას გრიგოლ ორბელიანს:

„კნიაზი ქავჭავაძე (ალექსანდრე — ი. ბ.) თავისის კნენათი (სალომე, ივანე ორბელიანის ასული — ი. ბ.) მარტყოფს იყვნენ ჯვარობას. ამათ დასტაში იყვნენ სავარსამიძის (ლეონტის — ი. ბ.) ცოლი (სიდონია — ი. ბ.), სივრიჩის ცოლი (ორბელიანის ასული — ი. ბ.) და ბეზაკის ცოლი (სოფიო ივანე ორბელიანის ასული, აკენიდანე გრიგოლ ორბელიანის დანიშნული, მიათხოვეს ნიკოლოზ ბეზაკს — ი. ბ.), ეს კი მუხრავანიდან გადმოვიდა, ამ ზაფხულს იქ იდგა, უქმროდ. არ გინდა, რომ ერთს საათს მაგ მთებში გამომძვრალიყავ და მუხრავანში, იმის ოთახში, შუადამისას დაბადებულიყავ? იქიდან კალასკაში კნიაზი (ალექსანდრე ქავჭავაძე იგულისხმება — ი. ბ.) და სივრიჩის ცოლი ერთად ისხდნენ წინ, და კნენა (ა. ქავჭავაძის მეუღლე სალომე — ი. ბ.) და სავარსამიძის ცოლი ერთად უკან“ 430.

ბარათაშვილი მეტს არაფერს ამბობს 1843 წლის 15 აგვისტოს მარტყოფობის შესახებ. ცნობილი ეთნოგრაფის, ავგუსტ ჰაქსტაუზენის ჩანაწერების მიხედვით, საშუალება გვეძლევა უფრო დაწვრილებით აღვწეროთ ეს დღესასწაული, რომელშიც მონაწილეობა მიუღია პოეტს.

ავგუსტ ჰაქსტაუზენი თავის მოგზაურობის წიგნში წერს:

„1843 წლის 14 აგვისტოს, სადილის შემდეგ ორ თანაგზავრთან ერთად გავემგზავრეთ ტფილისიდან რამდენიმე მილით დაშორებულ მარტყოფის ტაძრისაკენ.

დღე იყო ნათელი. გზად გვხვდებოდნენ ხატობაზე მიმავალი  
ჯგუფები. ფეხით მიმავალთა შორის მიემართებოდნენ ხარბ-  
შებმული ურმები. ცხენოსნები გარბოდნენ ჩვენ წინ, ბევრი  
გამვლელთაგანი იცნობდა და ესალმებოდა ერთ-ერთ ჩემს თა-  
ნამგზავრთაგანს კ—ს. ერთ მათგანს თავად ქავეჭავაძეს კ—  
სთხოვა ეშოვნა ჩვენთვის ღამის გასათევი.

ღამე გლეხის ქოხში გავათიეთ და მეორე დილით ექვს სა-  
ათზე სხვებთან ერთად შევეუდექით გზას ეკლესიისკენ. დავა-  
თვალა ერთ ეკლესია, იგი თითქმის დანგრეული იყო. საკურ-  
თხეველის გარშემო ათასი სანთელი ენთო. მღვდელი წა-  
რავდა.

ეკლესიიდან გამოსულები, რომელ ჯგუფსაც კი მიეუახ-  
ლოვდით, წრფელი გულით გვეპატიებოდნენ სასმელზე და  
საკმელზე. ვისაუზმეთ ამ მხარის მაზრის უფროსთან თავად  
გურამიშვილთან. მიწაზე დაგებულ ქრელ ნოხებზე გაშლილ  
სუფრის გარშემო დაესხედით. მოვიდნენ მომღერალი გლეხები  
და დაიწყეს სიმღერა. მათ აჰყვა მასპინძელი და სუფრის სხვა  
წევრები.

როცა ისინი სიმღერას მორჩნენ, მოვიდა იმპროვიზატორი  
თავისი სტვირით, ჯერ ჩვენი მასპინძლის, გურამიშვილის ქება  
ჩაიმღერა, მერე მისი მეუღლისა, მათი ვაჟისა და ბოლოს ჩვენი.  
მერე სხვა ჯგუფებისაკენ წავედით. ერთ ადგილას ორი გოგონა  
ცეკვავდა ხალიჩაზე, ისმოდა დაირისა და ტაშის ხმა. სხვა  
ჯგუფში მამაკაცები ცეკვავდნენ. ღვინო თანდათან მოქმედებ-  
და. მატულობდა ხმაურობა. მალალი წრის ქალებმა იწყეს წა-  
მოსვლა, ჩვენც წამოვედით“ 431.

ჰაქსტაუზენის მიერ ნახსენებ მოცეკვავე მამაკაცთაგან  
დღეობაზე საყოველთაო ყურადღება ნიკოლოზ ბარათაშვილს



მიუქცევია. ლუკა ისარლიშვილი გადმოგვცემს: „ნ. ბარათა-  
შვილმა მარტყოფში მშვენიერი ლეკური ითამაშა“<sup>432</sup>  
სხვა დეტალები, პოეტის მიერ მარტყოფში გატარებულ  
დღეებისა, ჩვენთვის უცნობია.

## ყაფლან ორბელიანი

ნინაობაა დღეს, 1846 წლის 14 იანვარს, რევან ანდრონიკა-  
შვილისას დიდი თავყრილობა იყო.

როცა განჯაში უდროოდ გარდაცვლილი ნიკოლოზ ბარათა-  
შვილის მოსახსენებელი შეისვა, სთხოვეს დამსწრეთა შორის  
უკეთესი ხმის მქონეს „სულო ბოროტო“ ემღერა.

ეს ბარათაშვილის ლექსების „ხმათა შემწყობელი“, ნათესა-  
ვი, უახლოესი მეგობარი, სიტყვა მოსწრებული ყაფლან ორბე-  
ლიანი იყო.



ყაფლან ასლანის ძე ორბელიანი დაიბადა 1792 წელს. იგი  
„ორბელიანთა აულში“ ცხოვრობდა, პატარა სახლი ჰქონდა  
გრიგოლ ორბელიანის ბინის პირდაპირ.

„როცა ყაფლანი დილით აღგებოდა და მის წინ აივანზე მო-  
სიარულე გრიგოლ ორბელიანს დაინახავდა, გადასძახებდა: „ა,  
კურკა, კურკა!“ გრიგოლიც საპასუხოდ გაეხუმრებოდა ხოლ-  
მე“<sup>433</sup>.

შეხედულებით ყაფლანი დიდი ტანისა იყო, ლურჯთვალა,  
იცვამდა ქართულად. ყაიისფერ კაბას ატარებდა, ყელზე სულ  
მუდამ ქალაღია ჰქონდა შემოხვეული და ჩატეხილი ქუდი ეხუ-  
რა.

უყაფლანოდ მეჭლის-პურობა არათრად ღირდა. სწორედ ამის შესახებ წერდა მას გრ. ორბელიანი: „საახალწლოდ მქონდა დიდი ბალი, ბალი ჩინებული, დიდკაცური, სარდალ-დარბაისლური, მზიარული და ლამაზებით სავსე. არა მყავდი მხოლოდ შენ, რომ კარტინა მეჭლისისა ყოფილიყო სრული“.<sup>434</sup>

ყაფლანისთვის უცხო იყო „ხახვის ფრანტების“ თავდადება „ჩინებისა და მენდლებისათვის“, არც „შტაკი“ სამსახური იზიდავდა.

მართალია, ერთ დროს ბორჩალოს მაზრის მმართველის თანამდებობას ასრულებდა, მაგრამ მოწოდებით არც მოხელე იყო, საქმეები მალე აერია და პასუხისგებაში ყოფნაც იწვინია.

ყაფლან ორბელიანი არ ყოფილა „სულ უქნარა“ კაცი. მას „უხადო ხმა“ ჰქონდა და უნარი ლექსებისათვის „ხმათა შეწყობისა“.

ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ თარგმნილ ლექსს „მე შენ არ გეტყვი“, თურმე ყაფლან ორბელიანი მღეროდა<sup>435</sup>.

ბარათაშვილი თავის ლექსში „ღამე ყაბახზედ“ გვაუწყებს, რომ ა. ჭავჭავაძის ლექსს „თავსა უფლად“ მღეროდა ყაფლან ორბელიანი.

ყაფლანი გრიგოლ ორბელიანის ლექსებსაც მღეროდა და ხშირად საგანგებო ტექსტს უკვეთავდა პოეტს. ერთ-ერთ ბარათში ყაფლან ორბელიანი წერდა გრიგოლს: „... ახალ ეშხში შევსულვარ, თუ ძმა ხარ ერთი ლექსი გამომიგზავნე აზიურს ვკუსხედ, რომ ვიმღერო“<sup>436</sup>.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსთა უმრავლესობას ყაფლანმა „შეთრჩია ხმები“ და „გულის საკვდავად დალიდინებდა“ „სულლო ბოროტოს“, „წარვედ წყლისა პირს“, „საყურეს“ და სხვებს.

ტკბილი მოსაუბრე და ოხუნჯი ყაფლან ორბელიანი<sup>ჩმ</sup>  
დროის თბილისის „სიყვარული“ იყო.

თბილისს მოშორებულნი „ახალი ამბების“ გაგებას<sup>აქედან</sup> ყაფლან<sup>ის</sup>  
ნისაგან ელოდნენ.

გრიგოლ ორბელიანის ინფორმატორი ყაფლანი იყო. თავის  
ბარათებში, ხშირად სიმართლეს ღალატობდა, აღამაზებდა,  
ასხვაფერებდა ამბებს. ამის გამო ბევრნი ემდუროდნენ  
მას.

გაგულისებული მანანა ორბელიანი ყაფლანის შესახებ წერ-  
და გრიგოლ ორბელიანს: „არა, შენ გაზდას, ყაფლანის ლაპა-  
რაქს როგორ იჯერებ, სირცხვილი არ არის? ყაფლანმა რომ აღ-  
დგომას ქრისტე აღსდგა, მითხრას, ისიც ტყუილი მეგონება, და  
შენ იმისი ლაპარაკი გჯერა. მე ხომ შენი გონება აგრე მოკლე  
დამნახავი არ მეგონა“ 437.

1837 წელს, როცა თბილისში ნიკოლოზ პირველი ჩამოვიდა,  
„იმათაც კი დაიპარსეს წვერ-ულვაში, ვინც საზოგადოების არ-  
ჩევანით მსახურობდა, ისე რომ თვით ყაფლან ორბელიანსაც  
ჩამოაცილეს წვერ-ულვაში. საწყალი ზასედატელი თურმე  
იყო“ 438.

ყაფლანი, „სისხლით ნათესაობის“ გარდა, უახლოესი მეგო-  
ბარი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილისა.

ბარათაშვილის ჩვენამდე მოღწეულ ბარათებში ყაფლანი  
სამგზის იხსენიება.

1841 წლის 18 ოქტომბერს ბარათაშვილი თბილისიდან  
წერდა გრ. ორბელიანს: „ყაფლანს ვაჟი ჰყავს, დიდს ნათლობას  
აპირებს ხანურად, თუმცა ხანებმა ნათლობა არ იციან“ 439.

იმავე ადრესატისადმი თბილისიდან 1844 წლის 23 მაისს  
გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „ეგ ბატონი ქართველთ

სარდლები რომ წამობრძანდნენ, ყაფლან მაგათზე იცინის. ასე ამბობს, სულ ჩამომავლობით ჭირვეულნი არიანო“ 440.

ბარათაშვილის დის, ეკატერინეს ქორწილის „გამგებელი და ავანჩავანი“ ყაფლანი იყო. მას სადღეგრძელოების თქმით „ენა დაეღალა“, სიმღერით „ბაგეები დაუცვდა“ და თარზე დაკვრით თითებზე „ტყავი გადასძვრა“.

ყაფლანი თან ახლდა ბარათაშვილს ახალგორში გადახდილ მეჯლისშიც. ზაქარია ორბელიანისადმი მიმართულ ბარათში პოეტი დაწერილებით აღწერს ქეიფს და ყაფლანის მზიარულებას 441.

ყაფლანის დაშორება ბევრს მეტად უმძიმდა. ერთი მათგანი გრიგოლ ორბელიანი იყო. კერძო წერილში გრ. ორბელიანი სთხოვდა მას:

„ჩემო თვალის ჩინო ყაფლან! თუ ჩემი სიცოცხლე განდა, დაეხატინე დაღეროტიფსა და გამომიგზავნე შენი პორტრეტი შენ გენაცვალოს ჩემი თავი, ამაზე უარს ნუ მეტყვი“ 442.

უსაყვარლეს მეგობართან პირისპირ შეხვედრის საშუალებას მოკლებული გრიგოლ ორბელიანი, მოუთმენლად ელოდა ყაფლანისაგან სურათს, რომ მისი ყურებით მაინც დამტკბარიყო.

გრიგოლი ვერ იტანდა ყაფლანის უნახაობას, ზედიზედ წერდა ბარათებს და ჩამოსვლას სთხოვდა: „ერთხელ ვერ ამოხვიდი აქა, რომ მენახე და მეთქვა დიახ ბევრი, დიახ ბევრი, ამბავი, ახალთახალი, სულ ნემსიდან ამოღებული. ნაჭაიდა აქ ვის უთხრა, არავინ არის და მე ეს დარდი გულში მუწუკად მიხდება“ 443.

მეორე წერილში ვკითხულობთ: „მეტად და მეტად დაი-

გვიანე და დამაგდე ამდენი ხანი მარტო, ობლად; საშინელი ვე-  
დარი, ნისლი, ნისლი ისეთი, რომ თითქმის ქაშვეთიც არა სჩანს,  
სევდებს მიშლის და ველი და ველი, როდის ჩამოხვალ, რომ  
ჩემმა გულმა მართლად გაიხაროს და განვისვენო“ 444.

ყაფლან ორბელიანს „ჩაღლევა“ და „ქალებთან ტრფიალი“  
ყველაფერს ერჩია. გრ. ორბელიანი წერდა მასზე: „ყაფლან ამ-  
ბობს, რომ ეს ქვეყანა ქალია“ 445.

ქალთა მარაქას ყაფლანი ზაფხულის პაპანაქება სიცხეებ-  
შიაც არ შორდებოდა და სულ ისევ თბილისში იყო. ნიკო ქვე-  
ქავაძისადმი მიმართულ ბარათში გრ. ორბელიანი წერდა:  
„ყაფლან ჭერაც ქალაქშია ამ საშინელ სიცხეებში; სწორედ და-  
ტყვევებულია, ვერ მოშორებია იმ შეჩვენებულ დედაკაცებ-  
სა“ 446.

ქალებიც აფასებდნენ და პატივს სცემდნენ ყაფლანს. მომ-  
ჯადოებელი ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვა წერდა გრიგოლ ორ-  
ბელიანს: „ფას სუყველანი ყაფლანთან“ 447.

ყაფლან ორბელიანი მუდამ იყო ვინმეზე შეყვარებული.  
ტრუბადურების დარად იგი სატრფოს სარკმელთან „სერენა-  
დებსა“ და „ანცონებს“ მღეროდა. „როცა მე ვინმე მიყვარ-  
და, — უთქვამს ერთხელ ყაფლანს, — მთელ ღამეს მის ფან-  
ჯრის ქვეშ ვათენებდი და ვმღეროდი. ხანდახან სატრფო ფან-  
ჯრიდან გადმომძახებდა, ყაფლან, გეყოფა გაცივდებიო. მეც  
ვეტყობდი: მაშ შენი საბურველი გადმომიგდევო და მართლაც  
გადმომიგდებდაო“ 448.

ყაფლან ორბელიანს ორი მსახური ჰყავდა: კირუშკა და  
როსტომა, რომელნიც მეტად შეჩვეულნი იყვნენ მასთან. კი-  
რუშკა სულ უკან დასდევდა „თავის ბატონს“.

ყაფლანი „შეშლილი იყო“ შუშეულობაზე. „კვირაობით

სახლს შუშებით ააგებდა. ცოლი სულ ესაყვედურებოდა: „რა არის, კნიაზო ყაფლან, ამდენი მინეულობის ყიდვით“<sup>449</sup>

1846 წლის დასაწყისში ყაფლანი ილია ორბელიანს გააჰყვა განჯაში. იგი ყაჩაღების დაქვრამში ეხმარებოდა. დასახელებული წლის 19 იანვარს ლევან მელიქიშვილი თბილისიდან წერდა გრ. ორბელიანს:

„ილიცო ელიზავეტოპოლის მაზრაში ავაზაკებს იჭერს. ყაფლანიც თან ჰყავს. იმ დღეს ოთხი ავაზაკი გამოეტანებინა ყაფლანისათვის. უნდა გენახა ყაფლან იარაღში ჩამჯდარი და ოცი ყაზახით რომ შემღვიდა ქალაქში და მთავარმართებელთან მისხა რაზბონიკები“<sup>450</sup>.

ყაფლანი განჯაში სულ ცოტა ხანს დარჩა.

1850 წლის 25 სექტემბერს, ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე მეორის თბილისში ჩამოსვლის დროს, ყაფლან ორბელიანი „საპატიო დარაჯთა უფროსი“ იყო. გრ. ორბელიანი ქეთევან ორბელიანისადმი გაგზავნილ ბარათში წერდა: „ყაფლან თურმე ასე იბერებოდა და ასე იჭიმებოდა, რომ ახალუხი ვეღარ ჰსწვდებოდა გულზედ ყარაულის უფროსობაში ნასლედნიკის მოსვლის დროსა“<sup>451</sup>.

1857 წლის ივნისი ყაფლანმა ირანში გაატარა. მის ჩამოსვლისთანავე გრ. ორბელიანი წერდა ქეთევან ორბელიანს: „ჩემი თვალის ჩინი ყაფლან სიყვარულით მომიკითხე მისის ქულფათით, მაგრამ აქამდის კი უნდა მოეწერა ჩემთვის თავისი მოსვლა მშვიდობიანად საქრისტიანოში და აღეწერა მგზავრობა თავისი ირანში. მაინც იმედი მაქვს, რომ არ დამივიწყებს“<sup>452</sup>.

თავისი „წყეული და საგინებელი“ თანამდებობა „ზასედატელობისა“ ყაფლანმა მალე უკუაგდო და „პოდრიატჩიკობას“ მიჰყო ხელი, მაგრამ საშინლად ჩავარდა. გულმოსული გრიგოლ

ორბელიანი ატყობინებდა ლევან მელიქიშვილს: „ყაფლანს აუღია ტფილისიდან ვლადიკავკასამდის სტანციები, სადაც უნდა მიიტანონ ფურაჟი, რაღა თქმა უნდა, რომ სრულად იღუპება. ახლა რა უყო? გაგონილა ამისთანა ზისულელე? ბრაზებისაგან ყელში სისხლი მემსება: ვერ მომიფიქრია, თუ როგორ ან რით უნდა ეშველოს ამ ყოვლად უგუნურსა“ 453.

გრიგოლს დიდი ჯაფა და ფული დაუჭდა, რომ გამოეხსნა ყაფლანი ამ გაჭირვებიდან.

პასუხისგებას გადარჩენილი ყაფლანი სოფელში წავიდა და თბილისი აღარ აგონდებოდა. ქალაქში მის ჩამოყვანაზე ისევ გრიგოლ ორბელიანი იზრუნა. 1860 წლის 3 იანვარს გრ. ორბელიანი თბილისიდან წერდა ყაფლანს: „ორშაბათს აქვს თეატრში აღასათარს ბენეფისი და ამ ბილეთიდან ვსცნობ, რასაც იმღერის. თუ შეგიძლიან მოდი პირდაპირ ჩემს ლოჯაში“. 454

მაგრამ ამ წერილმა არ გაჭრა. იმავე წლის 18 ნოემბერს გრიგოლ ორბელიანი სთხოვდა ბაბაღე საგინაშვილს: „ეგების ყაფლანიც წამოიყვანოთ ქალაქში, რომ ცოტაოდენი ხანი გაერთოს ხალხში და პატარაც არის გამოათხიზლოს. თორემ ყოველივე მაგის რაღაებიც მოდის უსაქმობისაგან, ნიჩემ ნე ზანატ, დილით საღამომდის დედაკაცებშია და მოეშვა სულით და ხორციით. ჩემ სიტყვას არ დაიჯერებს, რომ ურჩიო ბალში წამოსვლა და შენ კი შეგიძლიან შეაგულიანო“ 455.

ამის შემდეგ ყაფლანი ჩამოვიდა ქალაქს. გრიგოლ ორბელიანი ჯერ თავისთან გადმოიყვანა იგი და მერე სახლის შეკეთება დააწყებინა. ლევან მელიქიშვილთან გაგზავნილ წერილში გრ. ორბელიანი წერდა:

„ყაფლან ამჟამად ჩემთანა სდგას, სოფლიდან ჩამოსული

და ერთად უყურებთ ამის სახლის განახლებასა. ჯერ მხოლოდ  
ქერი დახურა კრამიტით და ვნახოთ შემდეგ რა გამოვა, რადგან  
ნაც პადრიატჩიკი გაუკუტრდა და გაიქცა.

მეც ვეუბნები: «ყაფლან, ერთი პადრიატჩიკი შენც იყავ და  
ვერ შეასრულე საქმე, მაგრამ კი არავინ გახრჩობს და ითხოვ  
კიდევ ოცის წლით ასტროჩკას, შენცა მიეც ორი წლის ვადა,  
ეგებ აგიშენოს». ამ სიტყვებზე ძალიან ილანძლება და მაშინ-  
ნებს, რომ სხვაგან გადავალო, შენთან ცხოვრება არ შემიძლია-  
ნო» 456.

სახლი მალე განახლდა და ყაფლანი გადავიდა შიგ.

გრიგოლ ორბელიანის მთავარმართებლად ყოფნის პერი-  
ოდს ეკუთვნის საინტერესო დიალოგი გრ. ორბელიანსა და  
ყაფლანს შორის.

„მთავარმართებლის თანამდებობის ასრულების დრო რომ  
დაუდგა გრიგოლ ორბელიანს, — წერს იონა მეუნარგია, —  
იმას თავი სულ ზეცას მიუბჯენია. დიდი ხელმწიფის ნაცვალი,  
თავი სამასი ათასი ჯარისა, პატრონი მთელი კავკასიისა, საცა ამ-  
დენი სამეფოები და სამთავროები იყვნენ, დღეში ოდესმე ცხრა  
შაურიანი პარუჩიკი, თავმოყვარეობა დაკმაყოფილებული,  
თავი როგორ არ უნდა აეწია მალა!

— ყაფლან, ყაფლან, როგორა გგონია, ვინა ვარ მე, ვინ? —  
ეკითხება ამ დროს პოეტი თავის მეგობარს და ნათესავს ყაფ-  
ლან ორბელიანს.

— ვინ უნდა იყო? ორშაბათის ყენი ხარ, თქვენმა ნზემ,  
თავი რა მალლა მოგაქვს?

— ჰეი, შენ ისე გგონია! ამ თითებს ხომ ხედავ, აი ამ თი-  
თებს (უჩვენებს მარჯვენა ხელის პირველ სამ თითს) ერთა მო-



ვაწერო, რომ შიგ ციმბირში ამოგაყოფინო თავი, აი მე ვინა ვარ!" 457.

გადიოდა დრო, ყაფლანს „სიბერე ეპარებოდა“ და იგი სინანულით იგონებდა ახალგაზრდობის ბედნიერ დღეებს. ნინო ქობულაშვილი გადმოგვცემს: „ერთხელ, გორიდან წამოსვლისას, როცა ყაფლანი თავის დას ეთხოვებოდა, მოითხოვა ჭურა და დაამლერა: „ერთხელ მეც ვიყავ ბედნიერი, მეც მიყვარდა, მეც ვტკბებოდი“. ყველა ატირდა და თვითონ ყაფლანსაც ცრემლები მოერია“ 458.

ყაფლან ორბელიანის ამ გრძნობებს კარგად გამოხატეს რევაზ ერისთავის ლექსი:

#### ბიძაჩემს ყაფლანს

გულით მხნეთა ვარ, ჯერ ტრფობის ცეცხლი  
მწამს მე, სურვილით შეგზნება სისხლი,  
ჯერ ვიდევა მაქვს კოცნის წყურვილი,  
კვალად შეზმანვის მე სიუვარული.

მაგრამ ქალები, მივალ რა მათთან  
ტურბ-აბზუებით მორცხვობენ ჩემთან,  
მოხუცი სახე ჩემი ჰსძაგთ მათა,  
ქალარა წვერიც ჰსჩანთ საშიშრადა.

ხანდახან ვეძებ სხვა გვარს ლამაზსა,  
მე მის მახესა ვცდილობ გაბმასა,  
მაგრამ ჰაბუენი იქაც მიშლიან,  
მიმზერენ ქვეშ ქვეშ და დამცინიან.

დამიდუნდება უცებ მკლავები,  
რა მაგონდება სატრფო დღეები  
— ირ ვიყავ, რა ვარ, რა შევიქმნები,  
გული მიცვენსის, რომ ასე ექრები.



მარტო ჯაერობით, სიმწარის ოხერით,  
 ვნუგეშობ ვამბობ თავ ჩამოვდებით:  
 „ — აცა ლამაზო, შენცა დასტკნები,  
 ვავითეთრდება ეგ შავი თმები;

„ვისაც შეხედავ არშეიყის თვლით,  
 „გულს ჩავითუთქვენ ცივის ღიმილით.  
 „გამოვეცლები, ჩუმაღ ტირილით,  
 „ღა მომიგონებ შენ სინანულით“ 459.

1868 წელს. როცა აკაკი წერეთელი თავისი დასით ქუთაისიდან თბილისში ჩამოვიდა, ყაფლან ორბელიანი უღარესად განაცვიფრა მსახიობთა მოხდენილმა თამაშმა. აკაკი წერეთელი იგონებს:

„ერთხელ ტფილისში მოგვიწვიეს, ჯერ რკინის გზა არ იყო გათავებული. ქუთაისიდან წავედით ოთხი და სხვები მოყვარეები მოვიშვიღეთ. წარმოვადგინეთ „ყვარყვარე ათაბაგი“, დიდძალი ხალხი დაესწრო. ეფრო (ეფროსინე კლდიაშვილისა) მენახშირის ქალის როლს თამაშობდა და ისე გაიტაცა პუბლიკა, რომ ზოგიერთებს ისტერიკა მოუვიდა. ყაფლან ორბელიანმა, რომელიც, მუხლზე თახშემოდამოლი იჯდა პირველ წყობაში დაიღრიალა: «გაიყვანეთ ეგ მოთამაშე, თვარამ დავხოცავო» 460.

ხანდაზმულობას ავადმყოფობა მოჰყვა. ყაფლანი იშვიათად თუ იყო ფეხზე. 1878 წლის აგვისტოში ყაფლანი მიიცვალა. უსაყვარლესი მეგობრის სიკვდილით დამწუხარებული გრიგოლ ორბელიანი იმავე წლის 24 აგვისტოს წერდა ელისაბედ ორბელიანს: „ყაფლანს არა მარტო თქვენ დასტირით, ირწმუნეთ რომ არიან მრავალნი რომელთა არც იცნობთ, მაგრამ თქვენთანვე იგონებენ ცრემლით ყაფლანსა“ 461.

თითქმის მთელმა თბილისმა მიაცილა ყაფლანი სამარის კარამდე.

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტროს  
საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტროს

## ყ ა ზ ბ ე გ შ ი

ბარათაშვილებს ნათესაობა და უახლოესი მეგობრობა ჰქონდათ ყაზბეგებთან.

მიხეილ გაბრიელის ძე ყაზბეგი, მამა ჩვენი დაუფიწყარი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგისა, რომელსაც შემთხვევა ჰქონდა 1829 წელს, თავის საკუთარ სოფელში შეხვედროდა და ესაუბრა ა. ს. პუშკინთან, თავისი პირველი ცოლით, ქეთევან საგინაშვილით, ემოყვებოდა პოეტის ოჯახს.

1819 წლის 15 აპრილს მიხეილ ყაზბეგმა თბილისში იქორწინა ქეთევან საგინაშვილზე, რომელიც მკვიდრი მამიდაშვილი იყო ნ. ბარათაშვილისა.

საქართველოს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აღრიცხვის სამმართველოს არქივში დაცული ქორწინების ჩანაწერი გვაძლავს შემდეგნაირად:

„ტფილისში მყოფმა გაბრიელ ყაზბეგოვის შვილმა მიხეილმა, იქორწინა პირველითა ქორწინებითა ტფილისში მცხოვრების საგინოვის ქალს ქეთევანთან და გვირგვინი უკურთხა დეკანოზმა იესე ჩუბინოვმა თვესა აპრილსა 15. თავდებნი იყუნენ: თავადი მარშალი იოესებ მელიქოვი, ოთარ ქობულოვი, ზაალ ტერიევი, ნიკოლოზ ყაზბეგი და გიორგი საგინოვი. ჩყით (1819) წელი“<sup>462</sup>.

იმავე არქივის სხვა ჩანაწერებიდან ჩანს, რომ მიხეილს ამ პირველი ცოლიდან ყოლია ვაჟი — კონსტანტინე, რომელიც

გარდაიცვალა 2 წლის ასაკისა, „პირის ტკივილებით“, 1822 წლის 23 იანვარს.

მიხეილ ყაზბეგის ოჯახსა და მელიტონიანთ სახლობას შორის „დამოყვრება“ მალე მეგობრულ ურთიერთობად გადაიქცა და ისინი ერთმანეთის ხშირი და საყვარელი სტუმრები ვახდნენ.

ნ. ბარათაშვილის და-ძმათა ზემოთ მოყვანილი „დაბალების ჩანაწერებიდან“ მკითხველმა უკვე იცის, რომ 1831 წლის 22 თებერვალს დაბადებულ პოეტის დის ელენეს ნათლია იყო „ღუშეთის უეზდის პორუჩიკის მიხაილ გაბრიელის ძის ყაზბეგოვის მეუღლე ქეთევან დიმიტრის ასული, სტეფანწმინდას მცხოვრები“.

მკითხველმა ისიც იცის, რომ ხუთი წლის შემდეგ ბარათაანთ ოჯახში დაბადებულ მეორე ელენეს ნათლიაც იყო „სტეფანწმინდას მცხოვრების პორუჩიკის მიხეილ ყაზბეგოვის ცოლი ქეთევან“.

ეს „ჩანაწერები“ საშუალებას გვაძლევენ სწორად ამოვხსნათ ნ. ბარათაშვილის მიერ 1844 წლის 23 მაისის თარიღით გრ. ორბელიანისადმი გაგზავნილი ბარათის ერთი ადგილი.

1844 წლის 23 მაისს პოეტი თბილისიდან წერდა გრ. ორბელიანს: „ეიცი გეწყინება, ქ. ყ-ის ცოლი ჭკუაზე შესცდა, საწყალი! ტირილი მოგივიდოდა ამის ნახვაზედ. მგონია დიდხანს ვერ იცოცხლოს“<sup>463</sup>.

ბოლო ხანებამდე გამოთქმა, „ქ. ყ-ის ცოლი“, ახსნილი არ იყო.

ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებთა 1945 წლის საიუბილეო გამოცემაში გამოთქმა „ქ-ყ-ის ცოლი“ გაშიფრულია ამგვარად:

„ქ. ყ-ი ქაიხოსრო (ქოჩო) ყიფიანის მეუღლე, დიმიტრი ყიფიანის დედა (?)“.

კითხვის ნიშანი ბარათის კომენტატორს ეკუთვნის, ეს ეჭვი სრულიად მართებულია.

ბარათაშვილის ნაწერთა 1945 წლის გამოცემაში მოთავსებული, პოეტის პირადი ბარათების შენიშვნების ავტორი ცდება, როცა ქაიხოსრო და ქოჩო ყიფიანი ერთი და იგივე პირი ჰგონია.

დიმიტრი ყიფიანის მამის ოფიციალური სახელი იყო ივანე, ხოლო შინაურობაში ქოჩოს ეძახდნენ. „ქოჩო“ და „ქაიხოსრო“ შენაცვლებითი სახელი არ არის. „ქაიხოსრო“, — დ. ყიფიანის მამას კი არ ერქვა, არამედ დ. ყიფიანის უფროს ძმას, რომელიც ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის დ. ყიფიანის აღმზრდელი იყო, სურამში მსახურობდა „დამოუჩენის ნაწილში“.

ნ. ბარათაშვილი ქოჩო (ივანე) ყიფიანის მეუღლეს, დიმიტრი ყიფიანის დედას — ბარბარე ფურცელაძის ქალს კი არ გულისხმობს, არამედ თავის მამიდაშვილს — ქეთევან დიმიტრის ასულ საგინაშვილს, რომელიც პირველი ცოლი იყო მიხეილ ყაზბეგისა.

გამოთქმას „ქ. ყ-ის ცოლი“ ჩვენ ასე ვკითხულობთ: ქ[ეთევან] ყ[აზბეგ]-ის ცოლი“, რაც სრულიად ეთანაბრება, 1836 წელს დაბადებულ პოეტის დის — ელენეს მეტრიკულ ჩანაწერში მოხსენებულ ნათლის რეგისტრს.

ზემოთმოყვანილი საბუთების გაცნობის შემდეგ, სრულიად დამაჯერებელი ხდება სოფიო თარხნიშვილის ცნობა ნ. ბარათაშვილის ყაზბეგებთან სტუმრობის შესახებ.

სოფიო თარხნიშვილი წერდა: „მიხეილ ყაზბეგი ძალიან ლა-

მაზი, თვალტანადი კაცი იყო. პირველად შეირთო საგინაშვილის ქალი (ქეთევანი ი. ბ.), რომელიც ძალიან ჰყვიათ, კეთილი, ლამაზი ქალი იყო და იმ დროისათვის ნასწავლიც. მისი მამიდაშვილი ნიკოლოზ ბარათაშვილი ზაფხულობით მასთან ცხოვრობდა და ბევრი თავისი ლექსები ყაზბეგში დასწერა“ 464.

1844 წელს, სულიერად დაავადებული ქეთევან საგინაშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1845 წელს, მიხეილ ყაზბეგმა შეირთო მეორე ცოლი — ეკატერინე (კეკე) თარხნიშვილის ქალი, თუმანიშვილის ნაცოლარი, დედა მწერალ ალექსანდრე ყაზბეგისა.

„ყაზბეგში დაწერილ ბევრ ლექსებთან“ ერთად, ალბათ ყაზბეგებთან სტუმრობის დროსვე, მომხიბლავი მიდამოების უშუალო ხილვისა და ცოცხალი შთაბეჭდილებების გავლენით არის აწერილი, ბარათაშვილის მიერ, „ბედი ქართლისაში“, თვალწარმტაცი სურათები, „არაგვიანი არაგვისა“ და „მთიულეთის ხეობის არისა“.

## მართა სოლოლაშვილი

პირბადრი და ტანკენარი მართა ივანეს ასული სოლოლაშვილი, — ნიკოლოზ ბარათაშვილის უახლოესი მეგობართაგანია.

ლექურის სახელგანთქმული მოცეკვავე, მართა, ჭავჭავაძიანთ სალონის ერთ-ერთი მშვენიეა იყო.

ა. ფადეივის სიტყვით: „1842 წელს რთილისში ჩამოსული სამხედრო მინისტრი ალექსანდრე ჩერნიშევი, ჭავჭავაძეებთან საღამოებზე ახალგაზრდული გატაცებითა და დიდის ხელოვნე-

ბით ცეკვავდა ლეკურს, სილამაზითა და გრძელი ნაწნავებით/  
განთქმულ მართა სოლოლაშვილთან“ 465.

ლეკურის ჩინებული მოცეკვავე ბარათაშვილი, ცუდი ჯუფ-  
თი არ იქნებოდა მართა სოლოლაშვილისა.

ორმოციან წლებში მართა ცოლად გაჰყვა ალექსანდრე  
ერისთავს. ნიკოლოზ ბარათაშვილს მართასთვის თავისი ლექს-  
მიწერილი თასი მიუერთმევია:

ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის,  
ბედნიერი ვარ მე, თასი:  
სამღერალო ვარ ტურფა ხელთ  
და მოსალხინო მართასი!

მოვედით, სევდით მაშვრალნო,  
ვასვათ სასმელი ღმერთასი,  
და შეის გიქარვოთ გულისა,  
ვით ერთი ჰიქა ათასი.

გათხოვების შემდეგ მართა უმთავრესად გორში ცხოვრობ-  
და და იქაურ ქალთა მარაქის თვალისჩინი იყო. 1845 წლის აპ-  
რილში, მართა სოლოლაშვილ-ერისთავისას, გორში ესტუმრა  
ცნობილი მწერალი და მეცნიერი ფრიდრიხ ბოდენშტედტი.  
თავის მოგზაურობის წიგნში, „ათას ერთი დღე აღმოსავლეთ-  
ში“, ბოდენშტედტი გვიამბობს:

„პოლკოვნიკმა კაპიოვმა, გორში მდგარი პოლკის მეთაურ-  
მა, დიდთავაზიანობით მიმიღო; თავაზიანმა პოლკოვნიკმა ბა-  
ტონიშვილების სახლებში მიმიყვანა. მიგვიღო მხოლოდ მართა  
ერისთავმა, რომლის მომხიბლავი ტანი და დიდებული თმა  
მთელს საქართველოში იყო ცნობილი.

პოლკოვნიკმა წინასწარი თადარიგი დაიჭირა. ვიდრე თავა-

დის ქალთან წავიდოდით, ერთი საათის წინ შეატყობინა. მოვალთო, «რადგანო, ამიხსნა ღიმილით, მშვენიერი ქართველი ქალი არასოდეს ეჩივნება უცხო სრუმარს, თუ წინასწარათაჲსისი ტუალეტი არ მოაწესრიგაო»<sup>466</sup>.

მართა სოლოლაშვილი შინაურ სპექტაკლებშიც მონაწილეობდა. 1845 წლის 1 და 8 მაისს, 11 ივლისსა და 7 აგვისტოს ქ. გორში მას მონაწილეობა მიუღია დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის (1815 — 1878) პიესის — „გამოუცდელობა ანუ დროებითი განშორება საყვარელთა“ ინსცენირებაში<sup>467</sup>.

ხსენებული პიესა ერთმოქმედებიანია, ოთხი გამოსვლით, განკუთვნილი შინაური წარმოდგენისათვის. მწერლის როლი ავტორს შეუსრულებია. თხზულების მასალად აღებულია ერთი ეპიზოდი გორის მაზრის მაშინდელი მარშლის — ალექსანდრე შანშეს ძე ერისთავის ოჯახის ცხოვრებიდან. მოქმედი პირები არიან თვით მარშალი, მისი სახლობა და მახლობელნი. ეს მახლობელნი და სცენის მონაწილენი ყოფილან — ივანე სოლოლაშვილის ასული მართა, დიმიტრი ერისთავის ასული დარიკო, ოთარ ქობულაშვილის ცოლი ბარბარე, ავტორი და სხვანი<sup>468</sup>.

პიესის ქარგა ასეთია:

„ვორონცოვის განკარგულებით, ერისთავი კრებს ჯარს შამილის წინააღმდეგ საბრძოლველად. ახლად შერთულ ცოლს უნდა მასთან ერთად ბრძოლაში წასვლა. ქმარი გაემგზავრება, ცოლი ძლიერ სწუხს დაშორებას. ფრონტიდან სამწუხარო ამბები მოდის, ცოლი მეტად აღელვებულია ამით. ამასობაში იგი მოიშშობიარებს, შეეძინება ასული. მამა ვაჟის დაბადებას ელოდა თურმე, გიორგი უნდა დაერქმია. დაჯილდოებული ალექსანდრე ბრუნდება ჯარიდან, შინაურები გახარებულნი არ-



იან მისი დაბრუნებით და აღტაცებულნი მისი სამხედრო წარმატებებითა და ჯილდოებით“ 469.

1850 წელს თბილისში ჩამოსულმა ცნობილმა <sup>გერმანელმა</sup> რუსმა მწერალმა ვ. ა. სოლოგუბმა (1814 — 1882) რამდენიმე ლექსი უძღვნა მართა სოლოდაშვილ-ერისთავისას.

მომყავს ერთ-ერთი ლექსი ვ. ა. სოლოგუბისა და მისი გ. ერისთავისეული თარგმანი ისე, როგორც ეს ორი ლექსი ერთმანეთს მისდევს ხელნაწერში:

### Княжне Марфе Эрстовой

Не бойтесь, братцы, горцев смелых,  
Вершин скалистых страшных круг!..  
Бог милостив, оставит, целых,  
В вас бодрость есть, ваш дух могуч.  
Но только боже вас избави  
От длинных кос и тавсакравн.

Граф Сологуб.

გ. ერისთავისასა გრაფის სოლოგუბისაგან  
თქმული და ქართულად გადმოღებული გიორგი  
ერისთავის მიერ

ნუ გეშინიათ, ყმაწვილნო,  
კავკასის მთისა მაღლისა,  
ნუ გეშინიათ ნურც ლეკთა,  
ნურცა ჩაჩანთა ხმალისა,  
თქვენცა გაქვთ პასუხსაგებლად  
ვაჟაკობა და მხნეობა,  
ვერ შეგაშინებთ თქვენ კლდენი,  
ვერცა ტყე, ვერცა ხეობა,

მხოლოდ ეცადეთ, რომ ქართლში  
მყარად დაიკვთოთ თქვენ გული,  
რომ არ შეიქმნათ მონებად,  
როს ნახოთ მართა მორთული 470.



გ. ერისთავს თარგმნილი აქვს ვ. სოლოგუბის მეორე ლექსი,  
მიძღვნილი მართასადმი:

გრაფის სოლოგუბისაგან თქმული  
კნეინა მ. ერისთავზედ

გიყვარდეს, ეტრფე ვიდრემდის  
დრო გაქვს შენ ყვავილებული,  
გიყვარდეს, ტრფობა არს ციღვან  
კაცთათვის მოვლინებული;

ტრფობა არს ამა სოფლისა  
სიტკბო და ბედნიერება,  
გიყვარდეს გულით და სულით,  
ვიდრე გაქვს შშვენიერება.

მაშ, ეცადე, რომ ტრფობა  
გულსა შინა დაიმყაროს,  
მაგრამ ამას გვევდრები,  
პირველ კი მე შემეყვარო.

მართა გარდაიკვალა 1856 წელს. ათი წლის შემდეგ მისი  
დედა კონია წერდა მართას ქალიშვილს ანეტა ამილახვარს:  
„ამას გთხოვ, ისეთი სახელი მოიპოვო, როგორც დედაშენი  
იყო, რომ გვიან დაავიწყდებათ ხალხსაც და თავის ნათესა-  
ობასაც“ 471.

მართა სოლოღაშვილის სახელი, დიახაც, რომ დაუვიწყარია.



ერთ დროს ნახიჭევანი დიდი ქალაქი იყო, ტაძრებითა და საზოგადო შენობებით დამშვენებული, მასში ოცდაათ ათასამდე სახლი მდგარა.

1828 წელს, როცა რუსეთის იმპერიამ ნახიჭევანი შეიერთა, ქალაქიდან მხოლოდ ნანგრევებიღა იყო დარჩენილი.

ქალაქის დარბევის შემდეგ, მოსახლეობა თიხაში არეული, დაკეპილი ჩალითა და საყორე ქვით აშენებდა ერთსართულიან, სწორ ბანიან სახლებს. სახელმწიფო დაწესებულებები კერძო ბინებში იყო მოთავსებული.

ერთადერთი შენობა, რომელიც გამვლელთა ყურადღებას იქცევდა, იყო ქალაქის გარეთ მდებარე სასახლე, ნახიჭევანის ყოფილი ხანის ექსანიასა, რომელიც რუსეთთან შეერთების შემდეგ, კიდევ რამდენიმე წელს მართავდა ქალაქს და სასახლის გვერდით აღმართული დიდი კოშკი.

იმხანად ნახიჭევანში შემდეგი დაწესებულებები იყო. საკარანტინო-საბაჟო სამმართველო, სამხედრო ჰოსპიტალი, 105 საწოლით, სამაზრო საწაველებელი, ფოსტა და საუბნო სამმართველოები.

ქალაქის მოსახლეობა ოთხი ათას ხუთასამდე სულს ძლივს ითვლიდა. ორ მესამედს ქენღერლები და თურქომანები შეადგენდნენ, ერთ მესამედს სომხები. რადგან ნახიჭევანი ირანიდან რუსეთში მიმავალ გზაზე მდებარეობდა, მას გვერდს ვერ აუვლიდა ვერც ერთი მგზავრი, რომელიც კავკასიის გზით ირანიდან რუსეთს მიდიოდა.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ირანთან ვაჭრობა ნახიჭევანს მეშვეობით სწარმოებდა, გასაგები გახდება, თუ

რატომ აქცევდა ცარიზმი ასეთ განსაუკუთრებულ ყურადღებას, აქ გასაგზავნ მოხელეთა და სამხედრო პირთა შერჩევის საქმეს. დიდი სიფრთხილე და ტაქტი იყო საჭირო, რომ ამ მხარეში მომუშავეს თავი არ წაეგო. არა ერთი მოხელე შერცხვენილი და კარიერაგაშავებული დაბრუნებულა ნახიქვეანიდან.

1844 წლის დამდეგს ნახიქვეანში რამდენიმე ქართველი მსახურობდა. მათ შორის სამაზრო სკოლის მასწავლებელი — გაბრიელ ესტატეს ძე ჩერქეზიშვილი. აქ მსახურობდა რამდენიმე გადმოსახლებული პოლონელიც. მათგან დაეასახელებთ ნახიქვენის მაზრის ექიმს — ვიქტორ კაზიმირის ძე ლუნკევიჩს და მის ძმას — სამხედრო პოსპიტლის მთავარ ექიმს ივანე ლუნკევიჩს.

მაზრის უფროსად იმხანად მაიორი ფოფონოვი იყო, მოადგილედ პორუჩიკი მელეშკო. მაზრის უფროსი და მისი თანაშემწე ერთმანეთში ვერ რიგდებოდნენ. ფოფონოვი ზედიზედ დაბეზლებებს წერდა მელეშკოზე — უუნარობას, საქმის არცოდნასა და სიზარმაცეს აბრალებდა.

საქმე ასე დამთავრდა: ნახიქვენის მაზრის უფროსი — ფოფონოვი თანამდებობიდან გადააყენეს. გაანთავისუფლეს გოროდნიჩი, კოლეესკი სეკრეტარი მოკიევსკი-ზუბოვიც.

ფოფონოვის ადგილას დანიშნეს პოლკოვნიკი ლუცენკო და რადგან იგი მივლინებაში იმყოფებოდა 1844 წლის 17 ნოემბერს, ნახიქვენის მაზრის უფროსის მოვალეობის დროებით აღმსრულებლად გაიგზავნა ბარათაშვილის თანაგომნაზიელი და მეგობარი, შტაბს კაპიტანი, ლევან მელიქიშვილი.

1844 წლის 25 ნოემბერს ამიერ-კავკასიის სამოქალაქო მმართველობის უფროსმა, გენერალმა გურკომ მისწერა სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატას:

„Предлагаю палате служащего в одной столице начальником губернского секретаря князя Баратова, ныне же командировать в распоряжение состоящего по канцелярии штабс-капитана князя Меликова“.<sup>472</sup>

ნიკოლოზ ბარათაშვილს სასწრაფოდ გადააბარებინეს საქმეები და მაშინვე გაგზავნეს ნახიჭევნის მაზრის უფროსის ლევან მელიქიშვილის განკარგულებაში.

იმავე წლის 28 ნოემბერს იგი უკვე ნახიჭევანშია.

1844 წლის 28 ნოემბერს ნახიჭევნის მაზრის მმართველმა ლევან მელიქიშვილმა, მოხსენებითი ბარათი წარუდგინა ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის უფროსს, რომელშიაც ითხოვდა მისი თანაშემწის, მელეშკოს გოროდნიჩად გადაყვანას და მის მაგიერ — ნიკოლოზ ბარათაშვილის ნახიჭევნის მაზრის უფროსის თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად დანიშვნას<sup>473</sup>.

ვიდრე ეს „მოხსენებითი ბარათი“ სათანადო ინსტანციებს მოივლიდეს, გავეცნოთ ბარათაშვილის ცხოვრებას ნახიჭევანში.

ნახიჭევნის ჰავა ავთვისებიანი და ციებიანი იყო. იგი განსაკუთრებით ამ მხარეში შეუჩვეველთ ერეოდა. 1844 წლის 5 დეკემბრით დათარიღებული ერთი ოფიციალური დოკუმენტის სიტყვით: „Все чиновники более или менее страждут беспрерывною лихорадкою“<sup>474</sup>.

ნახიჭევანში გამომწესებულთ არ ეუცხოებოდნენ ადგილობრივი ხანები. ნიკოლოზ ბარათაშვილსაც ჰქონდა მათთან ურთიერთობა.

ცნობილია, რომ პოეტი დაახლოებული იყო ექსანხანის ოჯახთან. ნახიჭევანიდან მაიკო ორბელიანისადმი მიწერილ ბარათში ვკითხულობთ:

„ახლა ნახეჩევანში ერთი ახალი ლექსია, თერამეტე წლის ქალის ნათქვამი, რომელსაც სახელად გონჩა-ბეგუმ ჰქვია; ხანის ქალია, ძალიან ლამაზი და მარილიანია, ბევრში წარმოვიდგინეთ ორლოვის ცოლს. საცოდავი დამწვარია თავის ქმრისაგან და ახლა იმასთან აღარ არის და ცდილობს რომ გაუშოს; საწყალი თორმეტის წლისა ყოფილა, რომ ძალად გაუთხოვებიათ. ამათი ამბავი რომ იცოდეთ, ერთი კარგი რომანია, — ამ ლექსში თავის თავს სტირის: ერთ ადგილას ამბობს:

„ჩემო მშვენიერო ბახჩაო, მინდა მოვიდე, ვიმუსაიბო შენს შადრევანთან, შენს ყვავილებთან, მაგრამ მეშინიან, რომ ჩემი ქმარი იქ არ იყოსო“.

ამ ლექსს დავაწერინებ და თავის თარგმანით გამოგიზავნით. მგონია, სათარამ ეს ხმა უნდა იცოდეს, კარგი ხმა არის“<sup>475</sup>.

პოეტმა თანაუგრძნო ხანის სულის სულიერ ტკივილებს და ყოველნაირად ცდილობდა დაეცვა იგი დესპოტი ქმრის რისხვისაგან. დახმარებისათვის ლევან მელიქიშვილისათვის მიუმართინია, რათა განეჭორწინებინათ ცოლ-ქმარი. მელიქიშვილი ამის გამო წერდა მაიკო ორბელიანს: „ტატო დღე და ღამე იხვეწება, თუ ღმერთი გწამს გააშვებინე ქმარიო, მე, როგორც დამკდარი კაცი, არა ვშვრები“.<sup>476</sup>

ცოლ-ქმარი მალე შეარიგეს. ბარათაშვილი ატყობინებდა მაიკო ორბელიანს: „მე კიდევ შევარიგე ცოლ-ქმარნი“<sup>477</sup>.

გონჩა-ბეგუმს ეძღვნება ბარათაშვილის ლექსი „მადლი შენს გამჩენს“.

მადლი შენს გამჩენს, ლამაზო,  
ქალო, შავთვალეზიანო,  
დღისით მზევ, ღამე მთოვარევე.  
წყნარო და ამოდ ხმიანო!



შენს ლოდინით ვსულდგმულვარ,  
 თაყვანს ვცემ შენსა სახელსა;  
 დედისერთა ვარ, ნუ მაპკლავ,  
 ნუ დამანანებ სოფელსა!  
 ღარიბი ვინმე მოვსულვარ,  
 სოფლისა მუშა საწყალი,  
 ამხანავად მყავს ნაბადი,  
 ძმობილად — ბასრი ხანჭალი,  
 მე სხვა სიძლიდრე რად მინდა?  
 მე შენი გულიც მეყოფის,  
 მის ფასი კიდე საუნჯე  
 ცას ქვეშეთ განა იმყოფის?

ბარათაშვილს ნახიქევანში ყოფნისას ესტუმრნენ შექის; უკანასკნელი მფლობელი ხანის, სენიშის შვილი სულეიმანი და მომღერალი ჯაფარა. პოეტს საშუალება მიეცა პირადად შეემო-წმებინა, — მისი საყვარელი მომღერალი სათარა სჯობია, თუ ჯაფარა. მაიკო ორბელიანისადმი მიწერილ ბარათში ბარათშვი-ლი წერდა:

„ილაჯი წაიღეს მაგ ჯაფარას ქებით, ვისიცი წიგნი მოგვივი-და, მაგის ქება ეწერა. — ნეტა ყველასათვის აგრე მალე რო-გორ გაგიყდებით? — მაგის ამბავი ჩვენა გვკითხონ: ეგ სუ-ლეიმან ხანმა გადმოიყვანა სპარსეთიდგან, ორი დღე და ღამე აქ ჩვენთან იდგნენ, ჰუნარები რაც ჰქონდა, სულ აქ დაასრულა.

ეგ რომელი ამბობს, რომ სათარასა სჯობსო? ეტყობა, კარ-გი სმენა ჰქონია. მე გეტყვით: ეგ უფრო ნაკითხია სათარაზედ, მაგრამ სათარასთვის ომერთს ხმა მიუცია და თანაც დაუტანე-ბია, რომ მაგისთანა ხმა აღარავის ექნებო! ერთი ორივეს სახე ნახეთ, ერთი რაცია, მეორე ჯოჯოხეთის მამხალა“ 478.

პოეტი მოხიბლული იყო ერთი აღმოსავლური მელო-

დით, რომელსაც სათარაყა და ჯაფარაც ასრულებდნენ. მაიკო ორბელიანს პოეტი წერდა: „ერთი ხმა არის... ძალიან სასიამოვნო, ჯაფარამაც იცის და სათარამაც, როცა შეგვხვდეთ, ასე უთხარით: რომ «ეი, მუსელმან ნამარი ხანჯალზანი», იმღეროს“ 479.

თუ როგორი კმაყოფილნი იყვნენ ნახიჭევანში ყოფნით ბარათაშვილი და ლევან მელიქიშვილი, ამას საუცხოოდ ადასტურებს პოეტის შემდეგი ადგილი მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი ბარათიდან: „ჩვენი აქ ცხოვრება, სწორე გითხრა, ტანჯვისა და უსიამოვნების მეტი არა არის რა! ლევანიც ავად გამიხდა და თავად ბლო იყო, უფრო დაბლუდა სიცხისაგან. რასაც ეს ნეიდგარდს სწყევლის, აქ გამოგზავნისათვის, არ ვიცი, თუ რა მოუვიდის“ 480.

ლევან მელიქიშვილი ზედიზედ თხოვნებს წერდა, რათა ნახიჭევნიდან გაენთავისუფლებინათ და მომკმედ არშიაში ვადეყვანათ. 1845 წლის 12 მარტს გაიცა განკარგულება და ნახიჭევნის მაზრის უფროსის თანამდებობაზე გაიგზავნა იასე ზაქარიას ძე სულხანიშვილი.

ლევან მელიქიშვილს წამოყოლია ბარათაშვილიც. 1845 წლის მარტის ბოლო რიცხვებში დიმიტრი ჯორჯაძე თბილისიდან გორში წერდა მიხეილ თუმანიშვილს: „...დღეს სულხანოვი ნახიჭევანს გავისტუმრით ნაჩალნიკათ, ლევანის ადგილს, ის და ტარო აქაი მოდიან“ 481.

იონა მეუნარგია ბარათაშვილის ნახიჭევნიდან წამოსვლას ასე წარმოგვიდგინს: „პოეტი... 1844 წელს გაემგზავრა ნახიჭევანს. აქ ის დიდხანს არ დარჩენილა. 1845 წელს ლევან მელიქიშვილი წამოვიდა ქალაქს და ამასთან ბარათაშვილიც. ორასი მანეთი თურმე წაეგო ქალაქში და მელიქიშვილს... ეთქვა



მისთვის: ტატო, ჩქარა ქალაქს, თორემ მერე გზის ფულსაც ვერ იშოვიო, და ჩამოიყვანა ტფილისში“ 482.

პროფ. შ. ჩხეტიას მიერ გამოქვეყნებული ერთი ნაშრომიდან ჩანს, რომ ბარათაშვილი ნახიკევენიდან ლევან მელიქიშვილს კი არ წამოუყვანია იმის გამო, რომ პოეტს თითქოს ბანქოში ფული წაეგო როგორც ამაში ი. მეუნარგია გვარწმუნებდა, 482 არამედ ხელისუფლებას გადმოუყვანია მისი სურვილის წინააღმდეგ ძველ სამუშაოზე.

1845 წლის 10 მაისს ნიკოლოზ ბარათაშვილი ამის გამო მოახსენებდა საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორს:

„Господину главноуправляющему Закавказским краем генерал-адъютанту Нейдгарту угодно было в последних числах ноября 1841 года прикомандировать меня к состоявшему при нем капитану князю Меликову, назначенному для управления Нахичеванским уездом; а вслед затем, его высокопревосходительство, через Бывшего начальника гражданского управления, 12 декабря... предложил губернскому правлению помощника Нахичеванского уездного начальника, поручика Мелешка, перевести в другой уезд, а меня допустить к исправлению его должности.

Но губерское правление, оставив предложения это без исполнения до последних чисел марта нынешнего года, наконец, сделало следующее распоряжение: поручика Мелешка перевело в Гурийский уезд, а меня возвратило на прежнее месте моего служения, совершенно против моего желания.

Между тем, состоя при управляющем Нахичеванским

уездом в течении четырех месяцев, я исполнял все поручения его не только по производству следствий, собственно ему порученных, но и по другим предметам, относящимся до обязанности помощника уездного начальника.<sup>483</sup>

ამგვარად, პოეტმა ნახიჭევანში დაჰყო ოთხი თვე — 1844 წლის ნოემბრის ბოლოდან 1845 წლის მარტის დამლევამდე.

### ზ ა ნ ჯ ა შ ი

ნახიჭევნიდან თბილისში ჩამოსული ნიკოლოზ ბარათაშვილი ვაკანტური ადგილის ძებნას შეუდგა.

რადგან ქალაქში შესაფერისი სამუშაოს შოვნის იმედი არ ჰქონდა, 1845 წლის 10 მაისს, საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი, რომელშიაც ითხოვდა ერთ-ერთ მაზრაში — მაზრის უფროსის თანამემწის თანამდებობაზე გამწესებას.

იმავე დღეს საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარია შეეკითხა სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატის თავმჯდომარეს დუნინს, ხომ არ არის წინააღმდეგი, ნ. ბარათაშვილმა „იმსახუროს საეროზო პოლიციისაში“.

მეორე დღეს საქართველო-იმერეთის სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატის თავმჯდომარემ, დუნინმა, შემდეგი პასუხი გასცა შეკითხვაზე:

„Согласно с требованием Вашего Превосходительства от 10-го мая за № 2928, имею честь представить формулярный список о службе столоначальника Палаты губернского секретаря князя Баратова и доложить, что на увольнение его из Палаты препятствия никакого нет.

При этом случае долгом считаю свидетельствовать перед Вашим Превосходительством, что чиновник сей отличными способностями, примерным усердием по службе и благородным поведением обращал на себя всегда особенное внимание начальства“.<sup>484</sup>

ბარათაშვილისათვის ადგილი მაშინვე გამოიძებნა. 1845 წლის 14 მაისს, საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორმა სოტნიკოვმა, კავკასიის მეფის ნაცვალს მიართვა მოხსენება, რომელშიაც ითხოვდა თელავის მაზრის უფროსის თანაშემწის, იესე ანდრონიკაშვილის საგანგებო დავალებათა მოხელედ გადაყვანას და მის ადგილზე ნ. ბარათაშვილის გამწესებას.

ათი დღის შემდეგ, კავკასიის მეფისნაცვალი მ. ს. ვორონცოვი, წერდა საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორს, იესე ანდრონიკაშვილი გადაეყვანათ საგანგებო დავალებათა მოხელეთ, ხოლო მის ადგილზე დაენიშნათ ნიკოლოზ ბარათაშვილი.

1845 წლის ივნისის 6 დაიწერა ბრძანებულება ბარათაშვილის თელავის მაზრის უფროსის თანაშემწედ დანიშვნის შესახებ<sup>485</sup>.

საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიის მმართველმა წერილობით განკარგულება გასცა, თე-

ლავის მაზრის თანაშემწედ დანიშნულ ნ. ბარათაშვილისათვის მიეცათ საგზაო ფული.

პოეტი წასვლის თადარიგში იყო. „ის იყო უნდა წასვლიყო კახეთს, ტროიკაც მოეყვანათ წასასვლელად, მაგრამ ამ დროს იმასთან მოსულა მამუკა ორბელიანი, რომელიც მაშინ განჯის მაზრის უფროსად იყო და თელავის მაგიერ წაეყვანა განჯას“ 456.

მამუკა ორბელიანს 1844 წლის 21 დეკემბრიდან განჯის მაზრის უფროსის თანამდებობა ეკავა. ეს თანამდებობა მამუკას ავთვისებიანი ციებით „განთქმულ“ განჯაში „შეაჩეჩეს“ ვითომდა დროებით პოლკოვნიკ ლუცენკოს ჩამოსვლამდე, მაგრამ ლუცენკო განჯაში არ ჩამოსულა და მამუკა ორბელიანი აღარ გაანთავისუფლეს ამ ადგილიდან.

მამუკას თანაშემწედ განჯაში მუშაობდა ტიტულიარნი სოვეტნიკი ბენზარი, რომელიც 1845 წლის 21 მარტს ახალციხის მაზრის უფროსის თანაშემწედ იქნა გადაყვანილი, ხოლო მის ადგილზე გაიგზავნა რამაზ ანდრონიკაშვილი, რომელიც მანამდე ბორჩალოს უბნის „ზასედატელი“ იყო.

რამაზ ანდრონიკაშვილმა მოახერხა სამი თვის შემდეგ გაცლოდა იქაურობას. მამუკა ორბელიანმა ამ რამაზ ანდრონიკაშვილის ადგილზე ბარათაშვილი განჯაში წაიყვანა.

1845 წლის ივნისის 19-ით დათარიღებულ მიმართვაში საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორი წერდა, რომ ნ. ბარათაშვილი „დაუყოვნებლივ უნდა გაემგზავროს განჯას და შეუდგეს მოვალეობის შესრულებას“ 457.

ამ „მიმართვის“ საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პოეტი თბილისიდან განჯას გაემგზავრა 1845 წლის 19, 20 ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, 21 ივნისს.

საქართველოს  
საბჭოთაო  
საზღვრო  
სამსახური

ძველი ქალაქი განჯა რუსეთის ხელისუფლების მიერ/ქვემო-  
ერთებულ იქნა 1804 წელს. მას მაშინვე სახელი შეუცვალეს  
და ელისავეტოპოლი უწოდეს.

ბარათშვილის იქ ყოფნის დროს, განჯა საქართველო-იმერე-  
თის გუბერნიის სამაზრო ქალაქად ითვლებოდა. მასში 1200  
მცხოვრები იყო. განჯაში მოსახლე აზერბაიჯანელთა რიცხვი,  
ცოტა მეტი ყოფილა სომეხ მოსახლეობაზე.

მდინარის მიერ ორ ნაწილად გაყოფილ ქალაქის ერთ მხა-  
რეს „მუსილმანურს“ ეძახდნენ, მეორეს „სომხურს“ (მთიანს).

ქალაქის მმართველობის დაწესებულებანი „სომხურ“ ნა-  
წილში იყო მოთავსებული. აქ რამდენიმე აგურით ნაშენი სახ-  
ლი იდგა. ქალაქის დანარჩენი შენობები კი, საყორე ქვითა და  
თიხით იყო ამოყვანილი. მათ მაღალი თაღები ჰქონდათ მოდგ-  
პული.

პოეტი ქალაქის „სომხურ“ ნაწილში ცხოვრობდა „ნიზამის  
რაიონში“, რომელიც დღევანდელი კიროვაბადის შედარებით  
ძველ მხარეს წარმოადგენს. ამჟამად ქალაქის „მთავარ ქუჩაზე  
საბჭოთა არქიტექტურის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აშე-  
ნებულ ნაგებობათა შორის დგას ერთთვლიანი პატარა სახლი,  
სადაც ცხოვრობდა ნ. ბარათაშვილი.

ეს სახლი კარგა მოზრდილი ეზოს წინაპლანზეა, ეზოს სიღრ-  
მეში დგას ორსართულიანი აგურით ნაგები დიდი სახლი. ეზოს  
გარს შემოვლებული აქვს ქვიტკირის გალავანი. ოთახი, რომ-  
ელშიც ჩვენს დიდებულ პოეტს უცხოვრია, დაახლოებით  
20 კვ. მეტრის ფართობს მოიცავს. ეტყობა, სახლს აღრევე მო-  
დგმული ქონია რაღაც ნაგებობა 488.

ბარათაშვილის ნაბინარი აშენებული ყოფილა სპარსთა ბა-  
ტონობის დროს და სპარსი ხანი რეზიდენციას წარმოადგენდა.

მას შემდეგ, რაც განჯა, რუსთა მფლობელობაში გადავიდა, აქ სამაზრო მმართველობა მოთავსდა. აქვე სახლობდნენ მაზრის უფროსი და მისი თანაშემწე.

ნიკოლოზ ბარათაშვილსაც აქ მოუხდა ცხოვრება.

ბარათაშვილის და მამუკა ორბელიანის გარდა, იმ დროს, განჯაში, კიდევ რამდენიმე ქართველი მსახურობდა. განჯის „გოროდნიჩი“, დ. ი. ჯორჯაძე, ჰაირუმის უბნის „ზასედატელი“ ა. ი. მელიქიშვილი, შამშადილის უბნის „ზასედატელი“ პ. ა. ბე-ბუთაშვილი, მისი თანაშემწე მ. ი. მელიქიშვილი, ყაზანის უბნის „ზასედატელი“ ა. მ. ლამაზაშვილი და სხვანი.

რუსი სამხედრო და სამოქალაქო პირების გარდა აქ მსახუ-რობდნენ პოლონელებიც.

ბაქოსა და ჩრდილოეთ-კავკასიის გზაზე მდებარე განჯა, მა-შინ საკმაოდ დიდ როლს თამაშობდა. განჯით იგზავნებოდა ჯა-რი შამილის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამიტომ იყო, რომ აქ, ხშირად დიდი სამხედრო პირები, ხან თვითონ ვორონცოვიც ჩამოდიოდა. განჯაში მოდიოდნენ სპარსელი ელჩებიც.

განჯის მაზრის უფროსი ამ მხარის სრულ გამგებლად ითვ-ლებოდა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი უმაღვე გაერკვა საქმეში და ხში-რად ცვლიდა მივლინებაში წასულ მაზრის უფროსს, მამუკა ორბელიანს.

ჩვენამდე მოვიდა ბარათაშვილის. როგორც განჯის მაზრის უფროსის თანაშემწის მიერ, თბილისში გამოგზავნილი სხვა-დასხვა ცნობების შემცველი რამდენიმე მოხსენებითი ბარათი.

ეს პატაკები მოგვითხრობენ: საშუალო საეაქრო ფასებზე განჯის მაზრაში 1845 წლის ივნის-ივლისის თვეებში, სახაზინო მიწაზე გაშენებული დუქნების გაქირავებაზე, აზერბაიჯანელი

უსუბის დაკრახე, ერევანში მოვაჭრე აზერბაიჯანელების —  
ალიაქფერ ჰასან-ოღლისა და მამადი მამედ შახ უსეინ-ოღლის  
გაძარცვაზე, მამედ მუსთაფა-ოღლის მოკვლაზე, მისი მკვლე-  
ლის დაპატიმრებაზე და სხვა ამბებზე <sup>489</sup>.

ბარათაშვილისთვის მეტად ძნელი იყო განჯაში ყოფნა და  
ადმინისტრაციული თანამდებობის შესრულება, მაგრამ რ. უნ-  
და ექნა; ეს იყო ერთადერთი სახსარი გადატაკებული ოჯახისა-  
თვის ლუკმაპურის მისაწოდებლად. ალ. საგინაშვილისადმი  
გაგზავნილ ბარათში ბარათაშვილი წერდა: „ქალაქიდან განჯა  
ორასი ვერსია, თუნდა გაჯავრდეთ, რას შეგეპუებით. მაგრამ  
ტყუილად ვხუმრობ: Скучно, грустно“ <sup>490</sup>.

განჯის საშინელი სიციხეების დროს, როცა პოეტს ამის სა-  
შუალება ჰქონდა, მრეთში (მურუთში) მიდიოდა.

მურუთი განჯიდან 14 ვერსით იყო დაშორებული. განჯიდან  
აქ სააგარაკოდ მოდიოდნენ კარგი ტყისა და წყლის გამო.

იმ ზაფხულს ბარათაშვილი რამდენჯერმე ეწვია დილიჯანში  
თავის ნათესავს, თამარ იაკობის ასულ ორბელიანს, რომელიც  
ცოლად ჰყავდა საგზაო ინჟინერს, ანდრია სტეფანეს ძე სან-  
კოვსკის. დილიჯანში ერთ-ერთი სტუმრობის შემდეგ, ბარათა-  
შვილი 1845 წლის 23 აგვისტოს მურუთიდან წერდა ბაბაღე სა-  
გინაშვილს: „ამ ოთხი დღის წინათ თაძართან ვიყავ დილიჯანში  
პრინცს მოველოდი გატეხილს ხიდზედ, აღარ მოვიდა და იქ  
შევებრუნდი... ორა დღე ვიყავ, ძალიან მზიარულად გავატარეთ  
დრო“ <sup>491</sup>.

ეს იყო მხოლოდ დროებითი აღტაცება.

თბილისში გადმოსვლის საქმე ჭიანურდებოდა და სასიკე-  
თო პირი არ უჩანდა. ზ. ჭიჭინაძე ბარათაშვილის მცნობათა შო-  
რის შეკრებილი ცნობების საფუძველზე წერდა: „განჯაში

მყოფ ბარათაშვილს დაახლოებითი მიწერ-მოწერა ჰქონდა გრ. ორბელიანთან. ბარათაშვილმა ორბელიანს წერილობით სთხოვა და ეხევეწებოდა, რომ ეგების საქართველოში რამე ადგილი მიშოვნო და გადმოგიყვანო მადეთო; გრ. ორბელიანი იმედებს აძლევდა და ჰპირდებოდა, რომ მოგიხერხებო, ცოტა მოითმინე და გიშოვნი და გადმოგიყვან აქეთო“ 492.

სამშობლოში დაბრუნება პოეტს არ ეღირსა. ბიძინა ჩოლოყაშვილის გადმოცემით, 1845 წლის სექტემბერში ბარათაშვილი „ყაჩაღების დევნის დროს გაციებულა, ის იყო, უნდა ძორჩენილიყო, რომ ერთბაშად ბევრი ლუდი არ დაეღია სიცხეში მყოფს, ხელახლა გაცივდა“ 493.

აედამყოფობამ 1845 წლის 9 ოქტომბრამდე გასტანა. 9 ოქტომბერს პოეტი მიიცვალა.

მამუკა ორბელიანი ამ დროს თბილისში იყო და თავის ხელქვეითის, ნათესავისა და უახლოესი მეგობრის სიკვდილისა არაფერი იცოდა.

## გარდაცვალების თარიღი

ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების თარიღიც დადგენას საჭიროებს.

ზაქარია ჭიჭინაძე 1885 წელს წერდა, რომ „...გამოჩენილის და ობლად მოძკვდარის ნ. ბარათაშვილის სიკვდილის წელა ერთობ არეულია ჩვენში“ 494.

ეს „არევა“ მომდინარეობს ბარათაშვილის სკოლის ამსანაგ და მეგობარ კ. მამაცაშვილისაგან, რომელმაც მეტად საყურადღებო მოგონება დაგვიტოვა პოეტზე და სადაც, ყველა თარი-



დი, მგოსნის გარდაცვალების თარიღის გარდა, სწორია და სწორითარ ლავას არ იწვევს.

კ. მამაცაშვილის ატყვით: „ნ. ბარათაშვილი 1844 წელს წავიდა ტფილისიდან ნახიჩევანში თანაშემწედ მაზრის უფროსისა, მერმე 1845 წელსა გადაიყვანეს ელისავეტპოლში (განჯა) იმავე თანამდებობაზე. ეს თანამდებობა ძალიან არ უნდოდა, მაგრამ იმის სახლის გარემოება ისე გამოიკვალა, რომ უნდა მიეღო ეს ადგილი. დაუცხრომელ შრომაში და სამსახურში 1847 წელს ზაფხულში გახდა ავად განჯის ცუდის ცივებითა და აგვისტოს 21 გარდაიცვალა“<sup>495</sup>.

ამ ცნობის საპასუხოდ პეტრე უმიკაშვილი გაზეთ „დროებაში“ შენიშნავდა: „ბატონის კ. მამაცაშვილის ნაწერი ერთს მიზნებს მაძლევს პატარა შენიშვნა გაუკეთო მისგან მოხსენებულსა, რომელიც შეეხება ბარათაშვილის გარდაცვალების ეამსა. მოხსენებულია წერილში, რომ პოეტი გარდაიცვალა 1847 წელსა აგვისტოს 21-სა. ერთი წერილი ვიცი ბარათაშვილის გულითადის მეგობრისა\*, რომელიც დასტირის პოეტის დაკარგვას. ეს წიგნი დაწერილია ტფილისში, 1846 წელს, 19 იანვარს. შიგ წიგნში არ არის მოხსენებული, როდის, რომელ თვეში გარდაიცვალა, მაგრამ, ცხადია, რომ პოეტი ან 1846 წლის დასაწყისში უნდა გარდაცვლილიყო, ან 1845 წლის დამლევს“<sup>496</sup>.

პ. უმიკაშვილის შენიშვნის გამო კ. მამაცაშვილის მიერ დაწერილ განმარტებაში ვკითხულობთ:

„დაბადების წელიწადი ნიკოლოზ ბარათაშვილისა მე ვიცოდი თითონ იმისაგან, ხოლო წელიწადი გარდაცვალებისა სწო-

\* ლაპარაკია ლევან მელიქიშვილის წერილზე გრიგოლ ორბელიანისადმი (იხ. ეურ. „მნათობი“, 1938 წ. № 12) ი. ბ.

რედ არ ვიცოდა, რადგანაც ნიკოლოზ ბარათაშვილი გარდაიცვალა ტფილისის გარეთ ელიზავეტპოლში. მე ვკითხე იმის ახლო ნათესავეებს, და ჩემდა სამწუხაროდ, არც ერთმა არ იცოდა ნამდვილად გარდაცვალების წელიწადი. ნიკოლოზ ბარათაშვილისა: ზოგნი ამბობენ 1846 წელსა, ზოგი 1847 წელსა.

შემდეგ მე ვთხოვე წიგნით ქალ. ელიზავეტპოლის მახრის უფროსს გ. ს. განძიელს და იქაურის სობოროს მღვდელს მამა მიხეილ მძინაროვს და იმათგან, ორივესგან, მივიღე ერთნაირი ცნობა: ნ. ბარათაშვილი არის დასაფლავებული სამხრეთის მხრით ეკლესიის ახლო (5 არშინზედ), სადაც ბარათაშვილი არის დამარხული აქ ყოფილა უწინ საზოგადო სასაფლაო, რომელიც დეკანოზს გრიგოლ ბასიანოვს, არქიერის ნებართვით, ბაღად გადაუქეთებია.

ზოგი საფლავის ქვები ძირს დაუწყვეიათ და მიწა წაუყრიათ, ზოგი ქვები კი ამოუღიათ საფლავიდან: ის ქვაც აღარა ჩანს, რომელიც ეკუთვნოდა ბარათაშვილის საფლავს, ხოლო რომელს ქვებშიაც ყოფილა ჩასმული მარმარილოს ფიციკები ზედწარწერით, ეს ფიციკები ამოუღიათ და შეუნახავთ ეკლესიაში; ამათ შორის ბ. განძიელს და მღვდელს მძინაროვს უპოვნიათ მარმარილოს ფიციკი, რომელზედაც აწერია რუსულად შემდეგი:

«აქა მდებარეობს ნეშტი საქართველოს თავადის გუბერნიის მდივნის, ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათაშვილისა, რომელიც გარდაიცვალა ახალგაზრდობაში მყოფი, ოცდამეცხრე წელს, 9 ოქტომბერს 1845 წლისა»<sup>497</sup>.

კ. მამაცაშვილის მიერ 1881 წლის გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ ნ. ბარათაშვილის საფლავის წარწერის საწინააღმდეგოდ ოთხი წლის შემდეგ ზ. კიკინაძე შენიშნავდა:

„... ამ წარწერის შემდეგ, მამაცაშვილი თავის პირველ მრ-  
ხსენებულს რიცხვს 1847 წ. 21 აგვისტოს აუქმებს და უფროდ  
ერწაუხება უფრო ამ ქვის წარწერას. შემდეგ დარწმუნებით  
უმატებს, რომ სწორედ 9 ოქტომბერს გარდაიცვლებოდაო,  
რადგანაც მისი საფლავის ქვის წარწერა ესე უჩვენებსო. ჩვენ  
მეტი გზა არ გვქონდა, ვერწმუნეთ ამას, მაგრამ ბარათაშვილის  
ერთი წერილის სიტყვით ეს 1845 წ. ოქტომბრის ცხრაც  
უქმდება და ცოტა არ იყოს, უფრო პეტრე უმიკაშვილის  
მოსაზრება მართლდება.

იმ წერილით, რომლითაც უქმდება, ბარათაშვილის საფ-  
ლავის ზედწარწერა. ეს არის ბარათაშვილის საკუთარი ხელ-  
ნაწერი, წერილი, რომელსაც ბოლოზე 1845 წ. 9 დეკემბერი  
აქვს მიწერილი. ეს წერილი საკუთარის ბარათაშვილის ხელ-  
ნაწერიდან გადმოუბეჭდიათ 1873 წ. ეურნ. „კრებულის“  
წიგნებში.

ამ ორს, ერთმანეთს მინაგვარს ცნობებში, რომელი უნდა  
იყოს მართალი, ამისი ჩვენ არაფერი ვიცით და იმეღია, რომ  
ამას შემდეგ მაინც გაარკვევენ. ჩვენ არ ვიცით, იქნება  
„კრებულის“ რედაქციაში მოხდა რაიმე შეცდომა და ოქ-  
ტომბრის მაგიერ დეკემბერი იხმარეს. ჩვენ ვფიქრობთ  
„კრებულის“ რედაქციას კი არა და უფრო ბარათაშვილის  
საფლავის ქვის დადების დროს უნდა მომხდარიყოს, რადგანაც  
ბარათაშვილის სიკვდილის შემდეგ, ვინ იცის, როდის დაადვეს  
ქვა და ან როგორის სისწორით დაიცვეს მისი სიკვდილის  
რიცხენი“. 498

ზ. ჭიჭინაძე აქ გულისხმობს ნ. ბარათაშვილის მიერ მაიკო  
ორბელიანისადმი გაგზავნილ იმ ბარათს, რომელიც 1845  
წლის 9 დეკემბრით დათარიღებული, პირველად 1873 წლის

ეურნალ „კრებულში“ გამოქვეყნდა. პოეტის დაბადების თარიღის მიმოხილვისას უკვე აღენიშნეთ, რომ ამ წერილს, დედანში არ უზის არც დაწერის წელი, თვე და რიცხვი, მაშასადამე, იგი, როგორც ბარათაშვილის დაბადების, ისე გარდაცვალების თარიღის დასადგენად არ გამოდგება.

კ. მამაცაშვილის, პ. უმიკაშვილის, ზ. ჭიჭინაძის, და სხვათა მიერ წარმოდებული პოლემიკის შემდეგ ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების თარიღად დადგინდა 1845 წელი. სხვადასხვანაირად წერდნენ პოეტის მკვლევარ-ბიოგრაფნი მხოლოდ სიკვდილის თვესა და რიცხვს.

სილოვან ხუნდაძეს და აკაკი ჭყონიას ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების თარიღად ნაჩვენები აქვთ 1845 წლის 2 ოქტომბერი<sup>499</sup>, პროფ. ა. ხახანაშვილის, ი. მეუნარგიას და დ. კარიჭაშვილის აზრით, ნიკოლოზ ბარათაშვილი გარდაიცვალა 1845 წლის 9 ოქტომბერს<sup>500</sup>. არტარი-კოლუმბოს სიტყვით, „ნ. ბარათაშვილი 1845 წლის ზაფხულში ავად გახდა ადგილობრივი ავთვისებიანი ციებით და იმავე წლის 27 ოქტომბერს გარდაიცვალა“<sup>501</sup>. ს. ჰელიძე თავის წიგნში, „ნ. ბარათაშვილი და მისი პოეზია“, წერს: „განჯაში პოეტი რამდენიმე თვის სამახურის შემდეგ გახდა ავად ადგილობრივი ცუდთვისებიანი ციებ-ციხელებით და იმავე წელს, ე. ი. 1845 წ. 9 ნოემბერს გარდაიცვალა“<sup>502</sup>.

1937 წლის ეურნალ „მნათობის“ მეოთხე ნომერში პროფ. პაატა გუგუშვილმა გამოაქვეყნა 1845 წლის 30 ოქტომბერს „ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის უფროსის მოხსენება მეფისნაცვლის მ. ვორონცოვისადმი“. ამ საბუთზე და სხვა დოკუმენტებზე დაყრდნობით, პროფ. შ. ჩხეტიამ 1945 წელს გამოცემულ წიგნში, „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, კატეგორიუ-

ლად მოითხოვა პოეტის გარდაცვალების თარიღად 1845 წლის 10 ოქტომბრის დადგენა<sup>503</sup>.

ვნახოთ, ზემოთდასახელებული თარიღებიდან რომელი უნდა იქნას მიღებული ბარათაშვილის გარდაცვალების თარიღად?

ჩამოთვლილი თარიღებიდან, რომლებიც ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებას 1845 წლის 9 ნოემბერს და 1845 წლის 27 ოქტომბერს მიუთითებენ, ჩვენ არ გამოვეყამათებით, რადგან მათ მიერ აღნიშნულ თარიღებს არავითარი დოკუმენტური საფუძველი არა აქვთ. რაც შეეხება იმათ, რომლებიც პოეტის გარდაცვალების თარიღად ასახელებენ 1845 წლის 2 ოქტომბერს, საჭიროა შევნიშნოთ, რომ ისინი ემყარებიან ბარათაშვილის საფლავის წარწერის იმ არასწორად გადმოწერილ პირს, რომელიც ი. მეუნარგიამ გამოაქვეყნა 1893 წლის გაზ. „ივერიაში“ და სადაც 9 ოქტომბრის ნაცვლად შეცდომით წერია 2 ოქტომბერი.

რადგან ბოლო ხანებში მკვიდრდება პროფ. პაატა გუგუშვილის მიერ ზემოთდასახელებულ პუბლიკაციაზე დაყრდნობილი ვარაუდი, პოეტის 1845 წლის 10 ოქტომბერს გარდაცვალებისა, და ამ თარიღის განმტკიცება „სხვა მასალებით“ სურს პროფ. შ. ჩხეტიას, საჭიროდ ვთვლი, საგანგებოდ შევჩერდე ამ საკითხზე.

ვნახოთ, რამდენად სანდოა საქართველოს ცენტრალური არქივის ის „საბუთები“, რომელთა მეშვეობითაც ლამობენ ბარათაშვილის გარდაცვალების თარიღად დაადგინონ 1845 წლის 10 ოქტომბერი.

უკვე აღნიშნული მაქვს, რომ ნ. ბარათაშვილი იყო განჯის მაზრის უფროსის მამუკა ორბელიანის თანაშემწე. მისი არყოფნის დროს, პოეტი ასრულებდა მაზრის უფროსის მოვალე-

ობას. როცა მაზრის უფროსი განჯაში არ იყო, მისი თანაშემწე ნ. ბარათაშვილი ასე აწერდა საბუთებს ხელს: „За отсутстви-  
ем уездного начальника, в должности помощника его,  
князь Баратов“ 504.

ჩვენამდე მოსული ბოლო საბუთი, რომელიც მაზრის უფ-  
როსის — მამუჯა ორბელიანის განჯაში არყოფნის გამო, ბარათა-  
შვილის მიერ არის მოწერილი, დათარიღებულია 1845 წლის  
25 სექტემბრით. ამ საბუთში ვკითხულობთ:

„სამი კვირის წინათ ელიზავეტპოლის მაზრის სოფელ სარ-  
ლარის მცხოვრებთ ქეჩი ნაბის და შათდი ჯაფარ ქალბაღალ  
ირზა-ოღლის ერთმანეთის დაუჭრიათ, ქეჩი ნაბი მომკვდარა  
ჭრილობისაგან და ჩუმაღ დაუმარხავთ, ხოლო ჯაფარ გადარჩე-  
ნილა და ავად არის. ეს ამბავი მხოლოდ 23 სექტემბერს გავიგე  
ადგილობრივ პროკურორისაგან, რომელსაც საიდუმლოდ მო-  
სვლია ცნობა. მაშინვე გავემგზავრე პროკურორთან შემთხვე-  
ვის აღგილზე და სანამ დამნაშავეებს გამოვამელავნებდი, დავა-  
პატიმრე სოფლის მამასახლისი, რომელმაც ეს ბოროტმოქმე-  
დება დაჰფარა, და აგრეთვე ზოგიერთი პირი, ამ საქმესთან და-  
კავშირებული, მათ შორის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ჯაფა-  
რი“ 505.

სალარში ჩასვლა ავბედითი გახდა ბარათაშვილისათვის,  
როგორც ჩანს, პოეტი იქ გაციებულა. მართალია, იგი 25 სექ-  
ტემბერს, ხელს აწერს პატაკს, მაგრამ უკვე თავს კარგად არ უნ-  
და გრძნობდეს. 27 სექტემბერს ბარათაშვილი მწოლიარეა, სამ-  
სახურის ხაზით მის მაგივრობას განჯის გოროდნიჩი სავარსამი-  
ძე ასრულებს. ეს დასტურდება 1845 წლის 4 ოქტომბრის პატა-  
კიდან, რომელსაც ასეთი ხელმოწერა აქვს: „მაზრის უფროსის  
არ ყოფნისა და მისი თანაშემწის ავადმყოფობის გამო გოროდ-

ნიჩი პოლკოვნიკი თავადი სავარსამიძე“<sup>506</sup>. ასეთივე სახის ხელმოწერა აქვს 10 ოქტომბრით დათარიღებულ პატაკს,<sup>507</sup> ხოლო 11 ოქტომბრის პატაკში სავარსამიძე აღარ იხსენიებს მაშურის უფროსის ავადმყოფ თანაშემწეს ნ. ბარათაშვილს<sup>508</sup>.

აი ეს „საბუთები“ და 1845 წლის ოქტომბრის 30-ს „ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის უფროსის გენ. ლადინსკის მოხსენება მეფისნაცვლია მ. ვრონცოვისადმი“<sup>509</sup>, სურთ გამოიყენონ ზოგიერთებმა იმისათვის, რომ ბარათაშვილის გარდაცვალების თარიღად 1845 წლის 10 ოქტომბერი დააკანონონ. ვნახოთ, რამდენად იძლევიან ეს „საბუთები“ ამის შესაძლებლობას?

1845 წლის 10 ოქტომბრის თარიღით ხელმოწერილი პატაკი მხოლოდ ვარაუდს ბადებს იმისას, რომ 10 ოქტომბერს საბუთის შედგენისა და თბილისში მისი გამოგზავნის დრომდე, სავარსამიძეს არ სცოდნია წინა დღით გარდაცვალებული პოეტის ამბავი.

სხვა არავითარი მისიის შესრულება ამ პატაკს არ შეუძლია. უნდა ვივარაუდოთ, რომ სავარსამიძემ, 10 ოქტომბერს, — პატაკის შედგენისა და მისი თბილისში გამოგზავნის შემდეგ, გაიგო ნ. ბარათაშვილის სიკვდილი.

ბარათაშვილის გარდაცვალების თარიღის დასადგენად მხედველობაში მისაღები არ არის, სავარსამიძის მიერ 10 ოქტომბრის თარიღით გამოგზავნილ პატაკზე დამყარებული მოხსენება გენ. ლადინსკისა მეფისნაცვლის მ. ვრონცოვისადმი, რომელიც შედგენილია თბილისში 1845 წლის 30 ოქტომბერს<sup>510</sup>.

ეს „მოხსენება“ მხოლოდ ვარაუდით მიუთითებს ბარათაშვილის გარდაცვალების დროს.

ნიკოლოზ ბარათაშვილს გარდაცვალების თარიღის დასად-

გენად უძვირფასესი ცნობა იქნებოდა საეკლესიო წიგნში ჩანაწერი, რომელიც მიუთითებდა პოეტის გარდაცვალებისა და დაკრძალვის თარიღს.

საქართველოს  
საეკლესიო  
არქივები

არსებობს თუ არა ასეთი ჩანაწერი?

1934 წელს ერთს ჩემს განჯელ ნაცნობს წერილით ვთხოვე მოეძებნა განჯის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების აღრიცხვის სამმართველოს არქივში 1845 წლის საეკლესიო ჩანაწერების წიგნი და თუ ასეთი აღმოჩნდებოდა, ამოეწერა ზუსტად ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების წელი, თვე და რიცხვი.

პასუხად განჯელი ამხანაგი მწერდა: მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის საეკლესიო დავთრები, აქ არ ინახება, თბილისში უნდა იყოს გადატანილიო. ამის შემდეგ ძიება საქართველოს მმაჩის ცენტრალურ სამმართველოს არქივში დავიწყე.

მართლაც, აღნიშნულ არქივში ვიპოვე: „Метрическая Книга данная из Грузино-Имеретинской Святейшего Правительствующего Синода конторы в Елисаветпольскую градскую церковь для записки родившихся, браком сочетавшихся и умерших на 1845 год“.

ამ წიგნში არის ნაჩვენები ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილის გარდაცვალება — დაკრძალვის წელი, თვე და რიცხვი, გარდაცვალების მიზეზი, დასაფლავების ადგილი და სხვა.

აი, ეს საეკლესიო ჩანაწერი:

„Счет умерших мужес?. 32. Месяц и день (смерти)? Октябрь 9. (Погребения)? Октябрь 11. Звания, имя и отчество и фамилия умершего? Елисаветпольского Уезного Начальника Попощник. Губернский Секретарь Князь Николай Баратов . Лета умершего? 25. Отчего



უმერ? От горячки. Кто исповедывал и приобщал? Священник Стефан Вердеревский. Кто совершал погребений и где погребены? Священник Стефан Вердеревский, при Елисавет польской градской церкви“.<sup>511</sup>

ამ ჩანაწერიდან ჩანს, რომ ნ. ბარათაშვილი გარდაცვლილა 1845 წლის 9 ოქტომბერს, ხოლო დაუმარხავთ 11 ოქტომბერს.

აქ მოყვანილი ჩანაწერი 1845 წლის 11 ოქტომბრისაა, და იგი პოეტის გარდაცვალების თარიღად 9 ოქტომბერს უჩვენებს.

ეს ყოველმხრივ საყურადღებო ჩანაწერი გვამცნობს, რომ მომაკვდავ ნიკოლოზ ბარათაშვილს, 1845 წლის 9 ოქტომბერს, აღსარება ათქმევინა და აზიარა მღვდელმა სტეფანე ვერდერევსკიმ, მანვე, 11 ოქტომბერს, განჯის ციხის რუსული ეკლესიის გალავანში წესი აუგო პოეტს და იმავე დღეს სათანადო აღნიშვნა გააკეთა საეკლესიო დავთარში.

სტეფანე ვერდერევსკის ეს ჩანაწერი სასიკვდილო სარეცელზე მწოლარე პოეტის ცოცხალი მოწმის, მაზიარებლისა და დამსაფლავებლის ჩანაწერია და ის არავითარ ეჭვს არ შეიძლება იწვევდეს.

აბა მითხარით, რა საჭიროებას მოითხოვდა ვერდერევსკის 10 ოქტომბრის მაგიერ 9 ოქტომბერი აღენიშნა ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების თარიღად, პოეტი მართლაც რომ 10 ოქტომბერს მომკვდარიყო?

ზემოთქმულის შემდეგ არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი გარდაიცვალა 1845 წლის 9 ოქტომბერს, ხოლო დაუმარხავთ 11 ოქტომბერს.

აქვე ერთი საკითხიც, სად გარდაიცვალა პოეტი თვით განჯაში, თუ აგარაკაზე მურეთში?

პოეტი — აკადემიკოსი გ. ლეონიძე აღნიშნულ საკითხის გამო შემდეგს წერს:

„სექტემბერი, როცა პოეტი ავად გახდა, განჯისთვის ცხელ თვედ ითვლება, ამიტომ ვფიქრობთ, იგი მურუთიდან განჯას ჯერ არ უნდა ჩამოსულიყო. ამას გარდა, ყურადღებას იქცევს ერთი ფაქტიც, ბარონ ა. პ. ნიკოლაიმ ბარათაშვილის სიკვდილის თითქმის წინა დღეს, სახელდობრ, 5 ოქტომბერს (პოეტი კი გარდაიცვალა 9 ოქტომბერს) განჯაში ინახულა ის ბინა, სადაც პოეტი ცხოვრობდა, მაგრამ ნიკოლაის იმ ბინის მობინადრეები — მამუკა ორბელიანი, რომელიც მაშინ განჯაში არ იმყოფებოდა, — და თვით ნ. ბარათაშვილი თავისს დღიურში ნახსენები არ ჰყავს.

დღიურის მიხედვით კი ვიცით, რომ ნიკოლაი სწორედ მათ სადგომში გაჩერდა. იგი ასწერს კიდევ ამ ბინას: „საშინელი ქოხმახიაო“. 5 ოქტომბერს კი ბარათაშვილი სასიკვდილო აგონიას განიცდიდა და შეუძლებელია, ნიკოლაის კრიტიკა მაინც არ დაეძრა, რომ იმ ბინაში, სადაც ის გაჩერდა, აღამიანი კვდებოდა. სხვა არა იყოს, რა მომაკვდავის სახლში ბინად იგი არც გაჩერდებოდა, მით უმეტეს, ბარათაშვილის ბინა, სადაც ნიკოლაი გაჩერდა, აპარტამენტს კი არ წარმოადგენდა, არამედ ვიწრო „ქოხმახს“.

ამიტომ ვფიქრობთ, შესაძლოა ბარათაშვილი გარდაიცვალა მურუთში, სადაც მან ზაფხული გაატარა და საიდანაც მძიმე ავადმყოფობის და ჯერ კიდევ სიცხეების გამო, შეიძლება ვერ მოახერხა განჯას ჩამოსვლა“ 512.

გ. ლეონიძის ამ ვარაუდს სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს, მაგრამ გადაწყვეტით თქმა იმისა, რომ პოეტი მურუთშია გარდაცვლილი, უფრო სარწმუნო საბუთის გამოვლინებამდე ნაადრევად მიგვაჩნია.



ნიკოლოზ ბარათაშვილის ავადმყოფობისა და გარდაცვალების ამბავი მაშინვე მოსულა თბილისში.

„პოეტის სიკვდილმა, — წერდა იონა მეუნარგია, — დიდად შეაწუხა ქალაქის საზოგადოება, რომელშიაც უმეტესი ნაწილი ან ნათესავი იყო, ან მეგობარი“ 513.

ოჯახის მარჩენელი შვილის დაკარგვამ თავზარდამცემად იმოქმედა ბარათაშვილებზე.

დამბლადაცემულ და ლოგინად ჩავარდნილ, ოდესღაც ხელგაშლილ და სტუმართმოყვარე პოეტის მამას, საშუალება არ ჰქონდა გადაეხადა შვილის მოსაგონარი „აღაპი“ და იგი მარტო პანაშვიდებით დაკმაყოფილდა.

სახალხო მოქანდაკის, ნიკო ნიკოლაძის დედა ნატალია, გაზეთ „სახალხო ფურცლის“ კორესპონდენტს უყვებოდა:

„მე არც ერთხელ ნიკოლოზ ბარათაშვილი თვალით არ მინახავს, მახსოვს მხოლოდ, როდესაც მისი სიკვდილის ამბავი მოუვიდათ მშობლებს, ღრმა მწუხარებამ მოიცვა იგინი. ეხლაც თვალწინ მიდგანან განსვენებული ნიკოლოზის დები, რომელნიც შავძაძებში, მწუხარე სახით ეკლესიაში მიემართებოდნენ ხოლმე მგოსნის პანაშვიდზე. ყველა ძალიანა სწუხდა მელიტონის თავზედ მოვლინებულ უბედურებას და ამბობდნენ: — საწყალი, უცხო ქვეყანაში მოუკვდა შვილიო“ 514.

დისწულის გარდაცვალება კავკასიის საბრძოლო ხაზზე მყოფ გრიგოლ ორბელიანს დაუმაღის. თუმცა ილია ორბელიანმა ამის შესახებ მისწერა თემირხანშურაში გრიგოლ ორბელიანთან მომსახურე მიხეილ ორბელიანს.

გრიგოლ ორბელიანმა, რომელმაც იცოდა ნიკოლოზ ბარათა-

თაშვილის ავადმყოფობის ამბავი, გუმანით ექვი აიღო. ამის გამო იგი თავის უმცროს ძმას ილიას თბილისში წერდა: „ტატოს ამბავი, ჩემი გულით საყვარელის ტატოს ამბავი მომწერე, ცოცხალია თუ მკვდარი? — უცნობობა მკლავს; შენ მიხაკოსთვის მოგეწერა ტატოს უიმედოთ ავადმყოფობა, ამანაც წიგნი არ მაჩვენა. ისე ზეპირად მითხრა, მაგრამ ისე მითხრა, რომ თითქმის მკვდარი უნდა იყოს. — ახ, ეს დამალვა რა არის? — თუ მიხაკოს ჰსწერ, მე რაღა ვარ? აქაურმა ცხოვრებამ და ამ უცნობობამ ტატოსათვის მე ავით გამხადეს: ეს ექვსი დღეა ვწევარ გარიაჩკით მიხაკოსთან. — თუ ხატი გრწამს, მომწერე ტატოს ამბავი სიწრფეობით“ 515.

სხვა რა გზა იყო, და ილია ორბელიანმა შეატყობინა უფროს ძმას ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალება. 1845 წლის 29 ნოემბერს ილია წერდა გრიგოლ ორბელიანს: „ამ საწყლების მელიტონის და იმის ცოლ-შვილის ყურებისათვის ველარ გამოძლია. გულს ცეცხლი მეკიდება, ვგეჟდები და აღარა მესმის რა, ჩვენი სიცოცხლე ტატო გარდაცვალა განჯას და იფიქრე ჩვენი ცხოვრება. ნეტავი შენა, რომ მელიტონს და ეფემიას არა ხედავ“ 516.

ავადმყოფმა გრიგოლ ორბელიანმა მდულარე ცრემლებით დაიტირა საყვარელი დისწული და მერე მანუგეშებელი წერილი მისწერა მგლოვიარე დას: „ჩემო საყვარელო დაო ეფემიავ! წერილთან გიგზავნი ხუთს თუმანს, გთხოვ მიიღო და არ დამემდურო სიმცირისათვის. თუ, რამ მეზადება, არას დავიშურებ შენთვის: ვაიმაგრე გული სასოებითა ღვთისადმი, რომლისა ბრძანებასა ვერავენ გადუვალს, და რომელსაც არა ჰნებაეს მომატებული მწუხარება და სასოწარკვეთილება. ევედრე ღმერთსა და მან განჰკურნოს მწუხარება შენი“ 517.

გლოვობდნენ ბარათაშვილის მეგობარ-ამხანაგებიც. პოეტის სკოლის ამხანაგი ლევან მელიქიშვილი გრიგოლ ორბელიანს ასე მიმართავდა:

„არ ვიცი როგორ აგიწერო ის საშინელი გრძნობა, რომლითაც გული სავესე მაქვს საწყალ ბარათაშვილის სიკვდილის გამო: მასში დავკარგე მხოლოდ სკოლის ამხანაგი კი არა, არამედ მეგობარი, რომელსაც სიყრმითვე ყოველ ჩემ გულის კუთხეს უხსნიდი და რომლის მეგობრულ ურთიერთობით ვსარგებლობდი.

სამძიმოა, სამძიმო, დაკარგვა კაცისა, რომელიც თავისი თბილის გულით და თბილის სულით გვარიგებდა ადამიანებთან, ამ არა რა, სუსტ, შავ და ბოროტ არსებათ თანა.

სამძიმოა სულით დაობლება. და მარტო მე კი არ მომივიდა ეს საშინელი დანაკარგი! საქართველომ მასში დაჰკარგა კაცი, რომელსაც იგი უყვარდა, სრულის პოეტური სულითა და სიყვარულს ყოველ თავის მოვალეობაზე მალლა აყენებდა, ყმაწვილი კაცი მშვენიერის და ბრწყინვალე ნიჭისა, რომლის იმედი ჰქონდა, ვიდრე სხვა ეხლანდელის თავის ქაბუჯ შვილებისაგან.

მშობლებმა დაჰკარგეს მასში ერთადერთი ბურჯი თავისის მოხუცებულობისა და მთელის ოჯახისა; ნათესავეებმა — კეთილი ნათესავეი; ქართველებმა ერთი თავის უკეთეს მემამულეთაგანი.

იქნება ვცოდავდე, მაგრამ თავი ვერ დამიჭერია, რომ არა ვთქვა. სად არის სამართალი ზეენარი, რომელსაც მუდამ დღე გვიტყვიან. — რისთვის გამოეცალა უდროოდ ადამიანს მეგობარი. სამშობლოს ერთგული მოყვარული მისი შვილი, ბრწყინვალე ნიჭის პატრონი, დედ-მამას შვილი ყვავილოვანი ასაკისა და უკანასკნელი ბურჯი, მითხარი, სადა ჩანს აქ სამართალი? 513.

ბრათაშვილი უფროსმა თაობამაც გამოიტირა. ალექსანდრე ორბელიანი წერდა:

„ცოდო არ არის ეხლა შორსა გზაზედ იყო შენ-შენ კაცის გულის გამომტქმელი სინაღვლისა, შენ ჩვენ საქართველოს უზადო პოეტო ყმაწვილო კაცო, თავადო ნიკოლოზ ბრათაშვილო! იმ დაუღვეველს გზაზედ იდგე, სადაც სანატრელი სიმართლეა, მხოლოდ იქა?“

ჯერ არ იყო დრო: გემოვნება გაგელო შენ, რომელმა მსაჯულებმა წაიღო ეგ შენი სხივმოსხმული ნათელი სული პოეტობისა? აკი ძლიერ ჰფლობდა, პატრონობდა მის დაწმენდილს სულსა შენსა? არა მგონია, ანგელოზის ვისიმე მარჯვენა შეეხებოდა მას. განგებულებაე! განგებულებაე! ვძრწი და ვფრთხილობ, სწორე სიტყვა ველარ მითქვამს ამისათვის განგებულებაე...

ეხლა იყო დრო, ეხლა სრულსა ჰაზრსა აიღებდა პოეტობისას ის! ეხლა მის პატარა ლამაზსა თავზედ, მამულისა პოეტობის ბრწყინვალეების გვირგვინს დაადგამდნენ... შენ ქართველების მომავლო დიდო პოეტო!

მაინც რაღაც უნდა იყოს, შენა წევხარ უნაკლულოს პოეტების საგალობელს კუბოს ჩანგში, რომელიცა გენიის ღმერთა შენს ძილსა მშვიდობასა უალერსებს, შენსა მიღულებულს თვალებს ჰკოცნის უმანკოს და წრფელის გულით. ახ! უდროვო ესე ძილო ესე მშვიდობიანო... ასე ბედკრულო შენ უბედურო! ობლობის ცრემლსა იხოცს, შენს საფლავზე საქართველო!“<sup>519</sup>.

უფროსი თაობის პოეტმა და დრამატურგმა გიორგი ერისთავმა ასეთი ლექსით გამოიგლოვა ბრათაშვილი.

თ. ნიკოლოზ ნელიტონის ძის  
ბარათოვის გარდაცვალებაზედ



პეი, კაბუკო, ახლად სოფელს კინგადაშლილო,  
ყოვლის კეთილით აღსავესო მამულისშვილო!  
რა სოფელს შეხველ, სათნოება ისხივ-ცისკარე,  
შენ შშობელს მამულს რად შემოსწყერ, ობლად დაგვეყარე?  
ნუთუ სოფლია მღელვარება ვერ შეიწყნარე?  
ანუ, ანგელოსთ შეიშურეს და აღგატრინეს,  
თვისთა გუნდშიგან დაგამკვიდრეს, ფრთანი შეგასხეს?  
რა მიგვეფარე? ცას შევეტკერი, რა დღე ბნელდების,  
უყურებ, ტატო რომელ ვარსკვლავად გამობრწყინდების!  
თითქო გხედავ შენ მოარულსა რძისა გზაზედან,  
ანგელოსთ დასნი გეხვევიან, ყურს დაგივლებენ,  
მერე ცის სივრცეს ლაქვარდოვანს განავარდებენ!  
ვგონებ, კმუნვითა ქედამშერი ჩვენსა ცხოვრებას,  
პხედავ რა შენ ძმათ და მათ შორის შურსა მტერობას;  
მაგრამ შეგიინდონ, შეგვევედრე ცისა მცხოვრებთა  
და ნუ მოგვეითხვენ სოფლიურსა ჩვენთა ცოდვებთა.

ლუკა ისარლიშვილმა, რომელმაც მეტად საინტერესო მო-  
გონება დაგვიტოვა ნიკოლოზ ბარათაშვილზე, ლექსი უძღვნა  
უდროოდ გარდაცვლილ მეგობარს:

ნიკოლოზ ბარათაშვილს

ნეტარ მას, ვინცა სიკაბუკისა  
სიყვარულისას შესწირავს ეშხსა,  
და ამა მსწრაფსა ჩვენსა სიცოცხლეს, —  
ტრფობისა ცეცხლით თავსა იხარებს  
და გულსა ეშხით მარადის იგზნებს;  
ვინცლა ტკბილად სიყვარულისა,  
ამა საწუთროს ნეტარებისა  
ფიალა შესვა სიკაბუკისა.

ვინცა გამოვლის მაცთურსა სოფელს,  
და სიყვარულის ტანჯვას და სევდას,  
ოხვრითა ხსოვნა თან არ დაჰყვება  
და ღროს წარსულსა, მარად გამჭრალსა  
ოდენ სიამით მოიგონებსა!..



ხელისუფლებამ კი „წყალობა გაიღო“, ერთდროული დახმარების სახით პოეტის ოჯახს 675 მანეთი გადასცა ვერცხლით.

### ნიკოლოზ ბარათაშვილის გახსენება ცარსკოე სელოში

ახლა გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს, რომ ილია ჭავჭავაძე 1858 წლის ზაფხულამდე, ვიდრე იგი ცარსკოე სელოში, ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანთან გადაიკითხა და ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანს“, „ბედი ქართლისას“ და სხვა ზოგიერთ იმხანად ასევე გამოუქვეყნებელ ქმნილებებს, უეჭველად იცნობდა გენიოსი ქართველი რომანტიკოსის პოეტურ სახელს, მისი პოეზიის ცალკეულ ნიმუშებს.

სამაგიეროდ, სრულიად შეუსწავლელია საკითხი, თუ რა ვითარებაში მოხდა ილიასა და ეკატერინე ჭავჭავაძის შეხვედრა ცარსკოე სელოში, რომელმაც ნიკოლოზ ბარათაშვილის გახსენება გამოიწვია.

უცნობი მასალები საშუალებას გვაძლევენ, ზოგად ხაზებში მაინც წარმოვადგინოთ ეს ვითარება და ისიც, რომ ცარსკოე სელოში, სამოციან წლებშივე თურმე ბარათაშვილის შესახებ სხვა საუბრებსაც ჰქონია ადგილი.



პეტერბურგში მოსწავლე ქართველი „სამოციანელები“ ზაფხულს პეტერბურგის ახლო — ტიარლევოსა და პავლოვსკში ატარებდნენ.

ამ აგარაკების მახლობლად — ცარსკოე სელოში, ზაფხულობით ჩამოდიოდა იმპერატორი ალექსანდრე მეორე, რომელსაც იცავდა „ლეიბ-გვარდიის კავკასიის ესკადრონი“.

1857 წლის დასაწყისში ალექსანდრე მეორემ გამოსცა საგანგებო ბრძანება კანვოს გაძლიერების შესახებ. კანვოი ოთხი ოცეულისაგან უნდა შედგენილიყო. პირველი — ქართული ოცეული — თბილისისა და ქუთაისის ახალგაზრდებისაგან. მეორე მთიელებისაგან, მესამე ლეკებისაგან, მეოთხე — აზერბაიჯანელებისაგან.

კანვოს ქართული ოცეულის შესადგენად პირველი ჯგუფი თბილისიდან 1857 წლის 18 დეკემბერს გაემგზავრა.

კავკასიური ესკადრონის მეთაურად დაინიშნა ნიკოლოზ ბარათაშვილის თანაკლასელი, მაშინ უკვე სახელოვანი ფიზიკოსი და ქიმიკოსი პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი (1818—1876).

ამ თანამდებობაზე იგი იყო მხოლოდ ორიოდ წელი. მაგრამ ამის შემდეგაც ზაფხულს ჩვეულებრივად ცარსკოე სელოში ატარებდა თავის აგარაკზე, სადაც ძვირფასბალიანი ვილა ედგა.

პეტრე ბაგრატიონის შუამდგომლობის შედეგად, 1858 წლის თებერვლის დასაწყისში კანვოელები საცხოვრებლად ცარსკოე სელოში — სოფლის უბანში გადაიყვანეს. ქართველთა ოცეული დააბინავეს კანიევსკის სახლში. ორი წლის შემდეგ კანვოს კავკასიური ესკადრონი მუდმივ საცხოვრებლად კვლავ პეტერბურგში იქნა გადაყვანილი.



კანვოს ქართულ ოცეულში ირიცხებოდნენ: სამსონ აბაშიძე, გ. ანდრონიკაშვილი, სამსონ (ილია) წერეთელი (აკაკი), გ. ნაკაშიძე, ა. ციციშვილი და სხვ.

ქართველ სტუდენტებს პირადი, ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ქართველ კახოელებთან.

ვიდრე შევეხებოდე თუ რა ვითარებაში გადაიკითხა ილიამ ცარსკოე სელოში ბარათაშვილის „მერანი“, „ბედი ქართლისა“ და სხვა თხზულებანი, საჭიროა გავეცნოთ ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის ცარსკოე სელოში ყოფნას.

უპირველესად იმაზე, რუსეთში ეკატერინე როდის და რამდენჯერ ყოფილა?

ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა პირველად პეტერბურგში წავიდა 1855 წლის ივლისში, თავის დასთან, ნინო გრიბოედოვასთან ერთად, რუსეთის იმპერატორის კურთხევაზე დასასწრებლად. სამეგრელოში დაბრუნდა 1857 წლის აპრილში.

მეორედ პეტერბურგს „1857 წელსა, 8-ს ნოემბრის რიცხვში წაიყვანეს დედოფალი ეკატერინა, ძე მისი ნიკო და ხსენიცა მთავრის ძენი და ასულნი“ 520.

რადგან ეკატერინე ჭავჭავაძის პეტერბურგში ყოფნის ეს მეორე პერიოდი, სრულიად შეუსწავლელია და მას კი პირდაპირი კავშირი აქვს ჩვენს თემასთან, საჭიროდ მიგვაჩნია ამ საკითხზე მკითხველს რამდენიმე ცნობა მივაწოდოთ.

პეტერბურგში 1857 დეკემბრის პირველ რიცხვებში ჩასულ ეკატერინეს თან ახლდნენ შვილები: ნიკოლოზი (1847—1920), სალომე (1848 — 1913), ანდრია (1850 — 1910), თამარი (1853 — 1859), მავლი კონსტანტინე დადიანი (1818 — 1889), თევდორე ხოშტარია და სხვა მხლებელნი. თევდორე ხოშტარიას გამოუქვეყნებელ ღლიურში ვკითხულობთ:

„პეტერბურგში რომ მივედით, მთავრინა დროებით დაბნა  
ნავდა ნევის პროსპექტზე, კაზანის სობოროსთან ახლო და  
კონსტანტინე და ჩვენთანები გარდა მოსამსახურეებისა „უერო-  
ვის“ გასტინიცაში, ისაკის სობოროს პირდაპირ. ჩვენ გაგვაცოცა  
ისაკის სობოროს დიდებულმა შენობამ, რომელიც ჯერ კიდევ  
სრულიად არ იყო მოთავებული, სულ ცოტა უკლდა შესრუ-  
ლებას...

ქალაქის სიდიდე და ნევისკის პროსპექტის მოძრაობა და  
მდინარე ნევის მაშინ გაყინულის სივრცეზე გაღმა-გამოღმა გა-  
ხედვა ჩვენთვის მეტად გასაკვირველი იყო.

ხელმწიფე იმპერატორის გავლა-გამოვლა ზოგი ფაიტონით  
და ზოგჯერ ქვეითად სასახლის ნაბერეენზე და დიდებულო  
ლმობიერი გახედვ-გამოხედვა და შეხედვა ჩემს თვალსა და  
გულს სიხარულით ავსებდა.

პირველი მისი მობრძანება ახალი წლის მოსალოცად  
მთავრინასთან იყო ჩვენთვის სანუგეშო. ხელზე აიყვანა მთავ-  
რი ნიკო და ისე გაკოცნა. ჩვენ მოწიწებით თავის დაკვრით  
დიდ ზალაში თავი დავახაზვეთ ჭაბრძანების დროს. ჩვენც მიშა-  
ნი გვიჩვენა მისალმების, მაშინ ჰკითხა ხელმწიფემ მღვდელ მო-  
ნაზონ ბესარიონს, რუსული იცი თუ არა. — მოახსენა — ცო-  
ტაო, მაშინ უბრძანა ისწავლეთ კარგადო.

ამ დროს ჩვენ ვიდექით სასახლის ნაბერეენზე ლენერალ-  
ადიუტანტის იერიევიჩის სახლებში, საიდანაც მშვენიერი სანა-  
ხაობა იყო, რომ გადავყურებდით ნევის პირს და თვალწინ გაღ-  
მა ნაპირს“ 521.

სამეგრელოს სამთავროს ხელმძღვანელობიდან ჩამოშორე-  
ბულ, რუსეთში გაწვეულ ეკატერინეს, ალექსანდრე მეორე

გუნდრუკს უკმევდა, პატივობდა სასახლეში, და თვითონაც უკეთებდა ვიზიტებს.

1858 წლის 29 მარტს ეკატერინე ჭავჭავაძე პეტერბურგშიდან წერდა დიმიტრი ყოფიანს:

„... ჩვენ აქ გახლავართ ღვთის შეწვევით ახლა სიმრთელით... შვილები ცოტათი შეეჩვივნენ აქაურს აერს. ბრწყინვალე კვირაში დიდი ცერემონიები იყო სასახლეში, სადაც, რასაკვირველია, მეც გახლდით ჩემის ნიკოთი და ანდრიათი. აღდგომის მესამე დღეს ხელმწიფე იმპერატორი ბრძანდებოდა ჩემთან. ასე მოწყალებით და მხიარულათ მოგვიალერსა მე და ჩემს შვილებს, რომ ყოველივე ჩემი გულის მწუხარება დააშშვიდა“ 522.

როგორც კი პეტერბურგის სიცხიანი დღეები დაიწყო, ეკატერინე შვილებითა და მხლებლებით ცარსკოე სელოში, პეტრე ბაგრატიონის ვილაში გადავიდა საცხოვრებლად. თვეღორე ხოშტარიას დღიურში ვკითხულობთ:

„1858 წლის... ის ზაფხული გავატარეთ ცარსკოე სელოში, სადაც ხელმწიფე თავისის სახელმწიფო ოჯახით ზაფხულობდა. ვიდრე კნიაზ პეტრე ბაგრატიონის სახლში, მშვენიერად მორთულში, თავისის ჩინებულის ბალით, სადაც სეირნობა დიდი სასიამოვნო რამ იყო, როგორც დიდებულის სახლის გახედვ-გამოხედვით, ისე მეტისმეტად რამ შესანიშნავი სისუფთავე იყო დაცული ღენერალ-ადიუტანტის ზახარეევსკის თადარიგით“ 523.

1858 წლის ზაფხულს ილია ჭავჭავაძე ცარსკოე სელოს მახლობლად, ტიარლევოში ატარებს. ცარსკოე სელოსა და ტიარლევოს სულ ახლო ემიჯნება პავლოვსკი, სადაც 1856 — 1861 წლების ზაფხულში თავის სახელგანთქმულ ორკესტრს დირი-

ურობდა გენიალური ავსტრიელი კომპოზიტორი იოჰან შტრაუსი (1825 — 1899).

პეტერბურგიდან და მისი მახლობელი ადგილებიდან შტრაუსის ორკესტრის მოსასმენად უამრავი ხალხი მოდიოდა. თვედორე ხოშტარია თავის დღიურში წერს:

„ცარსკოე სელოს ეახლებოდა სამ-ოთხ ვერსტზე პავლოვსკის ვაგზალი, სადაც ზაფხულობით იყო დიდი სეირნობა ცარსკოე სელოდან მიმავალთაგან, თუ თვით პეტერბურგიდან, ორჯერ იქეთ და აქეთ მიმავალ-მომავალ ურიცხვი პირთაგან, რადგან იქ იყო დიდი გაჭიმული ბალკონზე საზაფხულო-გამართული შესანიშნავი მუზიკის კვრა, შესანიშნავი შტრაუსით, რომელიც კამანდობდა მუზიკანტებს თავისის ქიანურით, რომელიც შუაში საგანგებო მაღალ ადგილზე იდგა და მართვიდა ხელების აქნევ-დაქნევით მემუზიკეებს.“

იმისთანა განსაკუთრებულ აღტაცებაში მოყავდა თავისის მიხვრა-მოხვრით და მიხედ-მოხედვით მთელი უთვალავი მაცურებლები, რომ ტაშის კვრას და „ბრაეოს“ ძახილს საზღვარი არ ქონდა. თაიგულში ჩარკობილ სხვადასხვა ძვირფას თვალმარგალიტებით შემკობილს ნივთებს უგდებდნენ წარჩინებულნი, მაღალი მდგომარეობის ქალები“<sup>524</sup>.

სიტყვის გაგრძელება იმაზე, რომ ეკატერინე თავისი შვილებით ესწრებოდა პავლოვსკში შტრაუსის კონცერტებს, ზედმეტად მიგვაჩნია მას შემდეგ, რაც მოვიყვანეთ მისი მხლებლის თვედორე ხოშტარიას დღიურიდან ამონაწერი.

როგორც ჩანს, იმ ზაფხულს პავლოვსკში ყოფილა ილია ჭავჭავაძეც. აქ განცდილი შთაბეჭდილებების გავლენით, ჭავჭავაძეც, 1858 წლის პირველ აგვისტოს, ტიარლევოში წერს ლექსს „პავლოვსკის პარკი“.

იმ ზაფხულსავე ილია თავის ნათესავ სტუდენტთან, კობტა აფხაზთან (1838 — 1913) ერთად სტუმრად ზღებია ცარსკოე სელოში ეკატერინე ქავკავაძე-დადიანისას. კობტა აფხაზი იგონებს:

„ცარსკოე სელოში, წავედით და იქ ვეწვიეთ ქალბატონ დადიანისას... ქ. დადიანისამ გამოიჩანა და მოგვცა წასაკითხად ბარათაშვილის ლექსები... ბარათაშვილის საკუთარი ხელნაწერი. ეს... იყო: „ქართლის ბედი“ და „მერანი“. ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ. თითქმის მთელი ერთი კვირა ყმაწვილი ჰბოდავდა ბარათაშვილით“<sup>525</sup>.

1858 წლის ზაფხულისათვის ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებიდან დაბეჭდილი იყო: 1852 წ. ჟურნალ „ცისკრის“ თებერვლის თვის ნომერში ოთხი ლექსი: „ბულბული ვარდზედ“, „ჩემი ლოცვა“, „ქალი“ („რად ჰყვედრი კაცსა“), „სულო ბოროტო“. 1858 წ. ჟურნალ „ცისკრის“ თებერვლის თვის ნომერში სამი ლექსი: „ლაშქრობა ქართველთან კავკასზე“ („ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა“), „გალობა სიტურფისა“ („შევიშრობ ცრემლსა“), „ჩჩვილი“.

დასახელებული წლის ზაფხულში კი, ცარსკოე სელოში ილია ეკატერინე ქავკავაძე-დადიანთან გასცნობია ნიკოლოზ ბარათაშვილის ორ ავტოგრაფ კრებულს:

1. „ბედი ქართლისა“, თქმული წელსა 1839-სა, ტფილისს“<sup>526</sup>.

2. „ლექსები“. ხელნაწერი წარმოადგენს 1843 წლის ავტოგრაფს. ეს ირკვევა 1) მინაწერიდან: „ლექსნი, თქმულნი თავადის ნიკოლოზ ბარათაშვილისაგან, 1843“, 2) უკანასკნელი თარიღიანი ლექსი, რომელიც კრებულშია მოთავსებული, დაწერილია 1843 წ.

ამ ავტოგრაფულ კრებულში მოთავსებულია ნიკოლოზ ბარათაშვილის 26 ლექსი: „ბულბული ვარდზედ“, „შემოდამება მთაწმინდაზედ“, „ხმა იდუმალი“, „მტკვრის პირას“, „ჩონგურს“, „თავადის ... ძის ასულს... ნას“, „ჩემს ვარსკვლავს“, „ნაპოლეონ“, „საყურე“, „ჩჩვილი“, „სული ობოლი“, „სატრფოვ, მახსოვს“, „ჩემი ლოცვა“, „ჩემთ მეგობართ“, „აღმოჰხდა მნათი“, „არ უციყინო“, „ევროვე ტაძარი“, „მიყვარს თვალები“, „სუმბული და მწირი“, „შენი დაღალნი“, „რად ჰყვედრი კაცსა“, „მიიბის, მიმაფრენს“, „საფლავი მეფის ირაკლისა“, „კნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ“, „სულო ბორტო“ 527.

ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძეზე საუბრისას, რატომღაც ივიწყებენ აღნიშნონ, რომ მეცხრამეტე საუკუნის ამ ორი ბუმბერაზის მამები პირადად, ახლო იცნობდნენ ერთმანეთს.

ილიას მამის, გრიგოლ პაატას ძე ჭავჭავაძის (1811 — 1852) შესახებ, რომელსაც შინაურ სახელად „პაჭუა“ ეძახდნენ, ნიკოლოზ ბარათაშვილის მამა მელიტონი, 1832 წლის 15 იანვარს, თბილისიდან რუსეთში გრიგოლ ორბელიანს წერდა: „ჭავჭავაძე რომ არის დრააუნის პოლკში, ის პაჭუა ნაბერალი იმანაც თავის... მსგავსი შეირთო“ 528.

ეჭვი არაა, რომ ცარსკოე სელოში, — ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა ილიასა და კოხტა აფხაზს ბარათაშვილის შესახებ ბევრ საყურადღებო ცნობას გადასცემდა.

ეკატერინე, უწინარეს ყოვლისა, ეტყოდა ილიას, რომ მისი მამა, გრიგოლ ჭავჭავაძე, ხშირი სტუმარი იყო მათი ოჯახისა 529.

ეკატერინე უამბობდა მათ, რომ 1839 წელს, ახლადდასრულებული პოემა „ბედი ქართლისა“ ნ. ბარათაშვილმა მათ სა-

ლონში წაიკითხა. ზ. ჭიჭინაძე აკი წერს: „გამიგონია, რომ ბარათაშვილმა პოემა „ბედი ქართლისა“ ა. ჭავჭავაძის სახელის ბანზე წაიკითხა“ 530.

ეკატერინე ეტყოდა იმასა, რომ ავტოგრაფ კრებულში მოთავსებული ლექსები: „თავადის ჭ... ძის ასულ ეკ... ნას“ და „საყურე“ მას ეძღვნა.

კიდევ ბევრ რამეს მოუთხრობდა ბარათაშვილზე ეკატერინე, მაგრამ ჭერჭერობით არ მოგვეპოვება მეტი მასალა, რომ აღვადგინოთ ეს მოთხრობა.

რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძე, 1858 წლის ზაფხულამდე იცნობდა ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბეჭდილ ლექსებს, მაგრამ „ბარათაშვილის შემოქმედებითი გენიის მისი ბობოქარი სულის, იდეებისა და სახეების, როგორც მთელი სისტემის ღრმა, კონცენტრირებული ათვისება კი, ნამდვილად დაკავშირებულია იმ მომენტთან, როცა ილიას საშუალება მიეცა წაეკითხა ბარათაშვილის ლექსების სრული, ავტორისეული ხელნაწერი.

ამაშია ეკატერინე ჭავჭავაძისეული ხელნაწერის შთამაგონებელი ძალის მნიშვნელობა. ბარათაშვილის... შედეგების წაკითხვამ... ერთბაშად ააფეთქა ილიას გულში ბარათაშვილისადმი სათუთად, კრძალვით ნატარები გრძნობა, სადინარი მიეცა შინაგან შემოქმედებითს დუდილსა და ჭიდილში დაგუბებულ მღელვარე განცდებს და ორი ეპოქის დიდი გენიის აზრები სამულამოდ გადაეჭდო, გადაესკვნა, გადაეხლართა ერთმანეთს 531.

1858 წლის ზაფხული ნაყოფიერი იყო ილია ჭავჭავაძისათვის. ამ პერიოდში დაწერილ ლექსებში საკმაოდ შეინიშნება ბარათაშვილის ლირიკის ცხოველმყოფელი კვალი.



აკაკი წერეთელი 1859 წლის იენისის დასაწყისში უმაღლესი განათლების მისაღებად პეტერბურგში ჩავიდა.

აკაკი მაშინვე თავის ძმასთან, ილიკოსთან გაემართა, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმპერატორის კანცოლიში მსახურობდა, მაგრამ ძმა უკვე ცარსოვე სელოში იმყოფებოდა და აკაკიმაც მეორე დღეს იქით გასწია.

უსაზღვრო იყო ილიკოს სინაზული, როცა ცარსოვე სელოში თავისი უმცროსი ძმა იხილა.

ერთმანეთი მოიკითხეს. მერე ილიკომ ჰკითხა აკაკის, რას აპირებ, სად გინდა მოეწყო. ბოლოს გადასწყვიტა, შადლულიდან დაბრუნების შემდეგ, აკაკი თავის უფროსთან — პეტრე ბაგრატიონთან წაეყვანა რჩევა-დარიგებისათვის.

შადლულიდან დაბრუნებულმა ილიკომ აკაკი პეტრე ბაგრატიონთან მიიყვანა და მან ნიკოლოზ ბარათაშვილზე მეტად საყურადღებო ეპიზოდი უამბო. აკაკი წერეთელი ამ მონათხრობს ასე გადმოგვცემს:

„ორი საათი იყო ნაშუადღევის, ილიკო რომ დაბრუნდა და წამიყვანა ბაგრატიონთან. სახლის პატრონმა ქართულად მომიკითხა, მე გავკვირდი და იმანაც სიცილით მითხრა: «განა ქართველი აღარა გგონივარო? დიდი ხანია რუსეთში ვარ და ცოტა დამაფიწყდა... ტფილისში სააზნაურო სასწავლებელში ვსწავლობდი ერთად ტატო ბარათაშვილთან... გამიგონია, შაირებით. დიდკაცების ლანძღვა? ავციოლია ჩვენც, მისი მეგობრები: ის წერდა ჩვენ ვაგზავნიდით: როცა ფოსტალიონი მოვიდოდა ხოლმე ჩვენს სასწავლებელში, ჩვენ შემოვიხვეოდით გარს, უცბად ავუწევდით ჩანთის თავს, სადაც წიგნები ელაგა, და ჩაუღებდით ხოლმე ჩუმიად ჩვენს გალექსილ წერილებს. ის რას

მოიფიქრებდა, რომ ნახავდა წერილებს ჩანთაში? მიჰქონდა აღრესისამებრ. ერთი ალიაქოთი ატყდა ტფილისში, გამოძიებდა დაინიშნა. ბოლოს გაგვიგეს, დაგვიჭირეს და ბარათაშვილს პონორარად ოცდახუთი როზგი მიანიჭეს; ჩვენც იმდენივე ვადაგვიწყვიტეს, მაგრამ მე ვავიქეცი, გამოვედი სასწავლებლიდან, კორპუსში გამომგზავნეს და მას აქეთ აქა ვარ სამსახურ-შიო»<sup>532</sup>.

რადგან კანვოელები კრასნოე სელოში გადადიოდნენ, ილიაკომ თავისი უმცროსი ძმა პეტერბურგში ჩაიყვანა და ქართველ სტუდენტებთან დააბინავა.

1859 წლის ივნისის თვის მეორე ნახევარში პეტერბურგში, ქართველ სტუდენტთა „სათვისტომოში“ უნდა მომხდარიყო ილიასა და აკაკის პირადი გაცნობა.

ილია ჭავჭავაძე საქართველოსაკენ წამოვიდა, აკაკი წერეთელი კი საზაფხულოდ ქართველ სტუდენტებს პავლოვსკში გაჰყვა.

1860 წლის ზაფხულში, ეკატერინე ჭავჭავაძე ცარსკოე სელოში წავიდა და კვლავ პეტრე ბაგრატიონის სახლში დასახლდა.

იმ ზაფხულსვე, ცარსკოე სელოს მახლობლად, პავლოვსკში, ილია ჭავჭავაძე იმყოფებოდა.

1860 წლის ზაფხულში, ცარსკოე სელოში კვლავ ადგილი ჰქონდა ნიკოლოზ ბარათაშვილის გასხენებას. კანვოელი სამსონ აბაშიძე მოგვითხრობს:

„1860 წ. ა. ცარსკოე სელოშიდ ცხოვრობდა მყოფი ჩემი პოლკის კომანდირი თ. პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი.

ერთ სალამოს, სადილის შემდეგ, გვქონდა ლაპარაკი შესახებ ქართული ლიტერატურისა და სხვათა შორის, აი, რა მიაბნო:

მე, ლევან მელიქიშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, ერთად ვსწავლობდით მაშინდელს გიმნაზიაში და სამივე ერთს დღეს სასწავლობლიდან გამოგვრიცხეს შემდეგი საქმისათვის.

ჩვენს დროს დიდად დრტვინავდა საზოგადოება ვაჭრებზედ, როგორც სიძვირისათვის, აგრეთვე ზომაში მოტყუებისათვის. ჩვენ როგორც პატრიოტებმა განვიზრახეთ, რომ ასეთნაირად ვაჭრების მოქმედება გვეუგებია და გვსურდა იმათი გამოსწორება, ამისათვის ნ. ბარათაშვილი ლექსებს წერდა, ლ. მელიქიშვილი გადამწერი იყო და მე კი კონვერტებს ვამზადებდიო.

ამნაირად შემზადებულს ლექსებს ვგზავნიდით მთავარმართებლის და დიდკაცობის და ზოგიერთ ვაჭრების სახელზედ. ჩუმად ვსდებდით პოქტალიონის ბოლჩაში, როცა მოდიოდა ჩვენთან. ერთ ხანს ვერა გაიგეს რა და მერმედ დაგვიკვირდნენ და პოქტალიონმა არ გაგვირონია თავის მახლობლად, როცა მოდიოდა.

მერმედ ჩვენ განვიზრახეთ კონვერტებში ერთათ ლექსებთან პატარა ქვების ჩაწყობა და ვსროლილობდით იმის ეზოში ქუჩებიდან. ვის სახელზედაც კონვერტი იყოვო: მაგრამ ესეც ძლიერ საძნოლოო დაავირჩა და ვამჯობინეთ დაბეჭდილი კონვერტები ფოქტაში შიგვეტანა, საიდგანაც მისდიოდათ, ვისაც ვგზავნებოდა.

ბოლოს აქაც დაავიკვირდნენ თორმე და მერმეო ბეჭდით იკინეს და ჩვინი დაგზავნილი დაიქირის. შესთაა ამაზეო დიდი საქმე და ჩვენ, სამივე მეთაურები, — მე, ლ. მელიქიშვილი და ნ. ბარათაშვილი, — გამოგვრიცხეს და რომ მთავარს — მართე-

ბელს ბარონ როზენს არ ვეპატივებთ, გაროზგეასაც მიპირებ-  
დნენ. შემდეგ ამისა მე პეტერბურღშიდ გვარდიის პოდპორუ-  
ჩიკების სასწავლებელშიდ გამომგზავნეს და ისინი კი თავიანთ  
სახლში წაიყვანეს <sup>533</sup>.

ეს მონათხრობი ზოგიერთ ახალ დეტალს შეიცავს პეტრე  
ბაგრატიონის იმ ნაამბობთან შედარებით, რომელიც აკაკის მო-  
ჰყავს „ჩემს თავგადასავალში“, და ამიტომ აქ მთლიანად გად-  
მოვწერეთ.

სამსონ ივანეს ძე აბაშიძე (1835 — 1894) სამოციან წლებში  
პეტერბურგში გვერდით ედგა ილია ჭავჭავაძესა და მის ჯგუფს,  
მწერლობდა, მთარგმნელობდა.

1860 წლის ზაფხულში, პავლოვსკში სააგარაკოდ მყოფი  
ილია ჭავჭავაძე, კვლავ უნდა სტუმრებოდა ცარსკოე სელოს,  
სადაც ზაფხულს ატარებდა: პეტრე ბაგრატიონი, ეკატერინე  
ჭავჭავაძე-დადიანისა თავის შვილებით და სამსონ აბაშიძე.

ჩვენ გვგონია, რომ ამ სტუმრობისას ილიამ მოიგონა 1858  
წლის ის ზაფხული, როცა ეკატერინესთან ნ. ბარათაშვილზე  
ისაუბრა, როცა წაიკითხა ბარათაშვილის ავტოგრაფ-კრებულე-  
ბი. ამ მოგონებების შედეგად მან 1860 წლის 19 ივნისს, პავ-  
ლოვსკში დაწერა ლექსი „ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“:

როს წაიკითხე მისი ლექსები,  
ვერა რა ვთქვი რა განცვიფრებულმა..  
ვით ქარიშხალით ატეხილ ბუქმა,  
ცას ვანებნივოს შავი ღრებლები,  
ისე იღარა ჩემ მწუხარ შუბლმა!  
ხალხო ობოლო, შენ მებრალევი,

რომ დაგაობლა მის ციურ შექმა  
და განაშორა თვისი სხივები!..  
როს წარეიკითხე მისი ლექსები,  
ამოვიყენეს დაობლებულმა!



ეკატერინე ჭავჭავაძისეული ბარათაშვილის ავტოგრაფ-კრებულები ხელიდან ხელში გადასულა. მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში ისინი პეტერბურგში შეუძენია აკად. ექვთიმე თაყაიშვილს. ორივე კრებულს მისი ხელით მიწერილი აქვს „ვიყიდე 1887 წელს პეტერბურგში, ბუკინისტ პ. ი. ვორონინისაგან, ნევის პროსპექტზე, № 54. ე. თაყაიშვილი“.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეს ავტოგრაფ-კრებულები ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (S №№ 2517, 2516) არის დაცული.

### ნეშთის განჯიღან თბილისში გადმოსვენება

1876 წელს ნ. ბარათაშვილის ნაწერთა ცალკე წიგნად გამოსვლისთანავე გაზეთმა „დროება“ აღძრა საკითხი პოეტის ნეშთის თბილისში გადმოსვენების შესახებ. მაგრამ, თითქმის ორმა ათეულმა წელმა ისე გაიარა, რომ ამ საკითხს არავინ გამომხაურებია.

1891 წლის გაზეთ „ნოვოე ობოზრენიაში“, განჯილმა კორესპონდენტმა, დასტამბა წერილი, რომელშიაც მოთხრობილი იყო ბარათაშვილის საფლავის მეტად უმწეო და უნუგეშო მდგომარეობა. კორესპონდენტი სხვათაშორის იუწყებოდა, რომ ქალაქის ადმინისტრაციას განძრახვა აქვს, ეკლესიის გა-

ლავანში, სადაც ბარათაშვილი იყო დამარხული, ქუჩა გაიყვანოსო.

განჯელი კორესპონდენტის წერილს მაშინვე გამოეხმაურა გაზეთი „ივერია“. გაზეთი „ივერია“ და მისი რედაქტორი ილია ჭავჭავაძე მაშინვე შეუდგა ნ. ბარათაშვილის ნეშთის თბილისში გადმოსვენების საკითხის მოგვარებას. გაზეთი მოუწოდებდა საზოგადოებას, რომ აუცილებელია პოეტის ნეშთის თბილისში გადმოსვენება. 1891 წლის გაზ. „ივერიის“ 143 ნომერში ამ საკითხზე საგანგებო წერილია დაბეჭდილი.

ხელისუფლებას არაფრად ესაჭიროებოდა ეს. არც თანხები გაიღო და ხელის შეშლის მეტს არაფერს აკეთებდა. სხვა რა გზა იყო, გადმოსვენება საზოგადოების ხარჯზე უნდა მოწყობილიყო. ი. ჭავჭავაძის თაონსობით გაზეთ „ივერიაში“ დაარსდა ნ. ბარათაშვილის ნეშთის თბილისში გადმოსვენების სახსართა ფონდი. შემოწირულობა მოდიოდა საქართველოს ყოველი კუთხიდან და გარეშე მხარეებიდან. საკმარისი თანხა შეგროვდა, მაგრამ საქმის სისრულეში მოყვანა რატომღაც იგვიანებდა.

1892 წლის 9 ოქტომბერს მოეწყო იმდროინდელი ქართველი მთავრი საზოგადოების, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი“ საზოგადოების კრება, რომლის დღის წესრიგში იყო: „მოხსენება საზოგადოების თავმჯდომარის, ილია ჭავჭავაძისა, პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის გვამის გადმოსვენების შესახებ“. კომისიამ დაადგინა: ეთხოვოს გრიგოლ ორბელიანს, როგორც მახლობელ ნათესავს პოეტისას, მიიღოს ნება ბარათაშვილის ნეშთის გადმოსვენებისა.

1893 წლის დასაწყისში პოეტის დებმა და სხვა უახლოესმა ნათესავებმა, მიიღეს ნებართვა ბარათაშვილის ნეშთის თბილისში გადმოსვენებისა. იმავე წლის აპრილის დამლევს, ბარათა-

თაშვილის ნეშთის გადმოსასვენებლად თბილისიდან განჯას გაემგზავრნენ: პოეტის ბიძაშვილი გიორგი ილიას ძე ორბელიანი და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრები გ. ნ. იოსელიანი და ა. მ. ჭყონია.

თუ როგორ იპოვეს მათ ბარათაშვილის ნეშთი, მოვესმინოთ გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტს:

„მეკუბოვე შეუდგა მიწის მიყრა-მოყრას, კუბო თითქმის აღარ შენახულიყო. იპოვეს მხოლოდ მისი მოსართავი ბუზმენტის რამდენიმე ნაწყვეტი. მისივე გაყოლებით ჩონჩხიც ესვენა უმთავრესი ნაწილებით ანუ სახსრებით, დაუმიწებელი.

ტანსაცმელისა აღმოჩნდა სერთუკი, ოთხი თითბრის ფოლაქი მძიმედ ქანგმოდებული და დამპალი მაუდის ნაგლეჯებზედ დაკიდებული. უცხო და საინტერესო იყო ერთი მაუდის ნაფლეთთაგანი, როგორც ჩანდა, სახელოსი, ზედ სამოქალაქო უწყების მუნდირის ოქრომკედის კანტი და მასზედ კიდევ ფოლაქი. ფეხსაცმელისა კი იპოვეს ცალი ლანჩა, ცალი ქუსლი და ცალიც საპირე ყელითურთ, როგორც ჩანდა, ძველებური ქართული სამოგვის წალისა, რადგან შესაკვრელი თასმები ზედვე ჰქონდა.

კუბო, ტანსაცმელი და წვრილი სახსრები სრულიად გახრწნილიყო. ამოიტანეს კუბო და ფრთხილად შეუდგნენ ნაწილების ამოკრეფას. თავის ქალა დაუშლელი იყო. უმთავრესი სახსრები, როგორც ზედა ისე ქვედა ტანისა, გაუხრწნელი და შეუმუსვრელი იყო. და განსვენებული მგოსანი, როგორც იქ დამსწრე ერთმა ექიმმა სთქვა, მოსული ვაჟაკი ყოფილა. წვრილი სახსრებისა ზოგიერთი ნამტვრევილა აღმოჩნდა. ძვლები რომ ამოკრიფეს, მერმე ის მიწაც ამოიღეს, ჩონჩხის გაყოლებით რომ იყო.

ყოველივე აღმოჩენილი ნაშთი გემისა, ტანსაცმლისა თუ კუბოსი დაიკრძალვა კუბოს შუა უჯრაში, მხოლოდ ორგოდე ფოლაქი და აგრეთვე ის ფოლაქიც, რომელსაც საყვლთს ოქრომკედლის კანტი შეერჩენოდა, ალექსანდრე ჭყონიამ ჩაიბარა“ 54.

1893 წლის 25 აპრილს ნეშთი ნიკოლოზ ბარათაშვილისა განჯიდან თბილისს იქნა ჩამოსვენებული. გაზ. „ივერია“ გადმოგვცემს:

„კვირა დილას, 25 აპრილს, დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი ტფილისის რკინის გზის ვაგზალზე. ვაგზლის არემარეს და თვით მისასვლელ მოედანზე ჰედვა იყო, იმოდენა საზოგადოებას მოეკრიფა თავი.

რკინიგზის ბაქანზე იყვნენ წარმომადგენელნი ქართველი ინტელიგენციისა და მაღალი საზოგადოებისა. დეპუტაციებმა სხვადასხვა ქალაქებისა და დაწესებულებათა გვირგვინებით პოეტის კუბოს შესამკობად.

9 1/2 საათზე ძოვიდა მატარებელი და ვაგონიდან გადმოსვენეს კუბო ძვირფასი ნეშტით. კუბოს მოჰყვნენ: პოეტის ნათესავი, ღვიძლი ბიძაშვილი გიორგი ილიას ძე ორბელიანი და სხვა პატივცემულნი ქართველნი, რომელნიც ვაგზაზე იყვნენ განჯას. ნეშტი გადმოსვენეს ვაგზლიდან. აქ, ვაგზალთან, ამოდენა ხალხმა მუხლი მოიდრიკა და პატივი სცა დიდებული მგოსანის ცხედარს. შემდეგ ეს აუარებელი და ზღვა ხალხი დაიძრა და გაემართა ლიტანიით დიდუბისაკენ. ამფიონი შემკული იყო ძვირფასი სხვადასხვაგვარი გვირგვინებით და კუბო ხელში ეჭირათ ხან ახალგაზრდობას, ხან ნათესავებსა და ისე მისვენებდნენ.

გზადაგზა რამდენიმე ხორო გალობდა: ხორო ქალებისა; სა-



სულიერო სემინარიის შეგირდებისა, სათავადაზნაურო სკოლის მოწაფეთა და მ. შარაბიძისა, ფ. ქორიძის ხელმძღვანელობით. ქალების ხორო შეედგინა ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებლის კურსდასრულებულ შეგირდებისაგან ვ. კარბელაშვილს.

როცა ლიტანია მიუახლოვდა დიდუბეს, ხალხმა კვლავ მოიდრია მუხლი. საფლავზე სიტყვები და ლექსები წარმოთქვეს: აკაკი წერეთელმა, ილია ჭავჭავაძემ, ნინო ორბელიანისამ, ქუთაისის ქალაქის მოურავმა ლ. ლოლუამ, ქუთაისის დეპუტატმა დ. ბაქრაძემ, გ. წერეთელმა, სომეხთა ახალგაზრდა პოეტმა თემანიანმა, ბიძინა ჩოლოყაშვილმა და სხვათა“ 535.

ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება ქართველთა ნაციონალური გრძნობის გამომვლინებელ ფაქტად გადაიქცა. მან ჭეშმარიტად ეროვნული მოძრაობის ელფერი მიიღო. თბილისის უანდარმთა სამპარტველოს უფროსი 1894 წლის 7 მარტს პოლიციის დეპარტამენტს საიდუმლო მოხსენებაში წერდა:

„ქართველებმა ხელახლა წამოაყენეს მივიწყებული საკითხი ქართველი პოეტის ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების შესახებ განჯიდან ტფილისში, რომელიც გარდაიცვალა ამ საუკუნის დასაწყისში და დასაფლავებული იყო განჯაში.

განსაკუთრებული მიზნით მოთხარეს მიწიდან რაღაც ძვლები და ეროვნული პოეტის ნეშტის სახით გადმოსვენეს ტფილისში, სადაც ამ ნეშტს მიეგება მრავალ ათასიანი საზოგადოება და დიდის პატივით და მოწიწებით მიაბარეს მიწას.

კუბო ხელიდან ხელში გადადიოდა და არამცთუ ყველა წოდების პირები ეცილებოდნენ ერთმანეთს მის წაღებაში, არამედ ქალებიც კი ცდილობდნენ როგორმე რამდენიმე ნაბიჯზე კუბოს ტარებაში მონაწილეობა მიეღოთ. დედებს მოეყვანათ

თავისი პატარა შვილები, აჩოქებდნენ კუბოს წინ და თაყვანს სცემდნენ კუბოს, როგორც წმინდანის ნეშტს“ 536.

ნიკოლოზ ბარათაშვილი დაასაფლავეს დიდუბის ეკლესიის გალავნის შუა ადგილას. ძეგლზე, რომელიც მას დაუდგეს 1905 წელს დააწერეს: „ნიკ. ბარათაშვილი 1816—1845“ ძეგლის გარშემო ნაწყვეტები ეწერა პოეტის ლექსებიდან, ერთ მხარეზე:

გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო,  
ვარდამატარე ბედის სამზღვარი,  
თუ აქამომდე არ ემონა მას,  
არც აწ ემონოს შენი მხედარი!

მეორეზე:

რა ხელ-კერის პატივს ნაზი ბუღბუღი,  
გალიაშია დატყვევებული?  
და ველად იგი, ამხანავთ შორის,  
ჭირსაც, ვით ლხინსა, ერთგვარ დამღერის!  
ესრეთ რას არგებს კაცსა დიდება,  
თუ მოაკლდება თავისუფლება?

მესამეზე:

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა  
ემსგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფლისათვის არა  
იზრუნოს!

მეოთხეზე:

კუდად ხომ მაინც არ ჩაივლის  
ეს განწირული სულის კვეთება,  
და გზა უქალი, შენგან თელილი,  
მერანო ჩემო, მაინც დარჩება.



ქართველი ხალხის მრავალი წლის ოცნება, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის დიდუბიდან მთაწმინდაზე გადასვენებისა 1938 წლის 15 ოქტომბერს ახდა. მოწყაეს გადასვენების აქტი:

აქტი

ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადასვენების  
შესახებ დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდის  
მწერალთა პანთეონში.

1938 წლის 15 ოქტომბერს, დილის 8 საათზე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმომტანი კომისიის წევრების ა. შაშაშვილის, შ. ლალიანის, გ. ლეონიძის, ი. მოსაშვილის და პროფ. ვლადიმერ ჯღენტის თანდასწრებით დიდუბის პანთეონში გათხრილ იქნა პოეტის ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილის საფლავი. საფლავიდან ნეშტის ამოღებას დაესწრო მწერალთა აქტივი.

საფლავში აღმოჩნდა ცინკის კუბო დაბურული, კარგად შენახული. კუბოს ხის კუბო დაშლილია. ცინკის კუბო არის სიგრძით 97 სანტიმეტრი, სიმაღლით 25 სანტი; სიგანით — 56 სანტი.

8 1/2 საათზე ნ. ბარათაშვილის ნეშტი გადასვენებულ იქნა მთაწმინდის მწერალთა პანთეონში. პროფ. ვლ. ჯღენტმა მოახდინა ნეშტის მეცნიერული დათვალიერება და ჩონჩხის აღდგენა-გაზომვა. ასისტენტობდა დოც. ა. ჯორბენაძე.

მეცნიერული ექსპერტიზის დასკვნა ასეთია: ნ. ბარათაშვილის ნეშტის ჩონჩხი ძირითადად კარგად არის შენახული. ჩონჩხის აღდგენის სურათი ადასტურებს, რომ პოეტი საშუალო ტანის და ძვალმსხვილი კაცი ყოფილა. მარცხენა ქვედა კიდურის წვიცკოპის მიდამოში ძვლებს ეტყობა ოდნავი დაკოყიება. თავის ქალა და პირისახის ჩონჩხი კარგად შენახულია. თავის ქალა საშუალო ზომისაა.

12 საათზე და 45 წუთზე ნ. ბარათაშვილის ნეშტი ჩასვენებულ იქნა ახალ აკლდამაში 537.

მთაწმინდის მოგვები ზეიმ-ზარით შეხვდნენ ბარათაშვილის  
ქათამინდაზე დამკვიდრებას.



ასეთია დაახლოებით ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრების  
გზა, რომელიც სიცოცხლეს განაგრძნობს მკერდთან, გულის  
ჯიბით სატარებელი პატარა წიგნით.

## წყაროების მარკინებელი

1. ი. მეუნარგია, «ქართველი მწერლები», 1954 წ., I, გვ. 481.
2. იგივე წყარო, გვ. 483.
3. იგივე წყარო, გვ. 203 — 204.
4. Газ. «Кавказ», 1846 г. № 16.
5. «Кавказский календарь» 1864 г., стр. 236.
6. С. Морозов, «Русские путешественники фотографы», 1953 г., стр. 9—10.
7. «ლიტერატურული ძიებანი», 1947 წ. წიგნი III, გვ. 147.
8. С. Морозов, «Русские путешественники фотографы», 1953 г., стр. 10.
9. გაზ. «ივერია», 1891 წ., № 120.
10. Газ. «Новое обозрение», 1891 г., № 2560.
11. Газ. «Кавказ», 1963 г. № 33.
12. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1961 წ. ტ. X, გვ. 210.
13. გაზ. «ლიტერატურა და ხელოვნება», 1945 წ., № 86.
14. გაზ. «დროება», 1881 წ., № 214.
15. ჟურ. «მნათობი», 1938 წ., № 12.
16. ჟურ. «მოგზაური», 1904 წ., № 1—2.
17. ჟურ. «მოგზაური», 1904 წ., № 3 — 4.
18. «ლიტერატურის მართიანე», 1940 წ., № 1 — 2, გვ. 441 — 442.
19. გაზ. «ლიტერატურული საქართველო», 1938 წ., № 25.
20. იგივე წყარო.
21. იგივე წყარო.



- 22. Г. Туманов. «Характеристики и воспоминания», 1913 г., кн. I, стр. 152.
- 23. იქვე.
- 24. „ლიტერატურის მატრიანე“, 1940 წ., № 1—2, გვ. 553—554.
- 25. Г. Туманов, «Характеристики и воспоминания», 1913 г., кн. I, стр. 151—153.
- 26. იქვე.
- 27. ქურ. „მნათობი“, 1938 წ., № 10.
- 28. ი. მეუნარგია, „ქართული მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 483.
- 29. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1922 წ., გვ. 245.
- 30. გაზ. „დროება“, 1881 წ., № 206.
- 31. ი. მეუნარგია, „ქართული მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 204.
- 32. ზ. მთაწმინდელი (კიკინაძე) „ნ. ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 30.
- 33. ა. ორბელიანი, „ნაწერი“, 1876 წ., გვ. 252.
- 34. „ლიტერატურის მატრიანე“, 1940 წ., № 1—2, გვ. 409.
- 35. იგივე წყარო, გვ. 410.
- 36. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1922 წ., გვ. 245.
- 37. Г. Туманов, «Характеристики и воспоминания», 1913 г., кн. I, стр. 152.
- 38. „ლიტერატურის მატრიანე“, 1940 წ., № 1—2, გვ. 552.
- 39. დ. ყიფიანი, „მემუარები“, 1930 წ., გვ. 105.
- 40. Газ. «Закавказский вестник», 1845 г., № 15.
- 41. „პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, 1948 წ., ტ. V, გვ. 110.
- 42. „ლიტერატურის მატრიანე“, 1940 წ., № 1—2, გვ. 553—554.
- 43. იგივე წყარო, გვ. 554.
- 44. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1922 წ., გვ. 242.
- 45. ი. მეუნარგია, „ქართული მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 483.
- 46. „ლიტერატურის მატრიანე“, 1940 წ., № 1—2, გვ. 409.
- 47. ნ. ბარათაშვილი „თხზულებანი“, 1922 წ., გვ. 245.
- 48. იქვე.
- 49. გაზ. „დროება“, 1881 წ., № 206.
- 50. ა. ორბელიანი, „ნაწერი“, 1876 წ., გვ. 252—253.
- 51. ზ. მთაწმინდელი (კიკინაძე), „ნ. ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 30.



- 52. ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 204
- 53. ქურ. „დროშა“, 1956 წ., № 4.
- 54. ქურ. „ცისკარი“, 1963 წ., № 5.
- 55. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1954 წ., გვ. 90.
- 56. პროფ. შ. ჩხეტიანი, „ნ. ბარათაშვილი“, 1945 წ., გვ. 148.
- 57. „ლიტერატურის მატრიანე“, 1940 წ., № 1 — 2, გვ. 398 — 399.
- 58. Газ. «Кавказ», 1858 г., № 86.
- 59. ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 483.
- 60. «Акты» т. II, стр. 77
- 61. გ. კაკიაშვილი, „არსენა ქართულ ლიტერატურაში“, 1955 წ., გვ. 17 — 18.
- 62. ზ. კიკინაძე, „საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები“, 1925 წ., ტ. VI, გვ. 383 — 385.
- 63. გაზ. „ივერია“, 1893 წ., № — 85.
- 64. გ. ნადირაძე, „ნ. ბარათაშვილი“, 1938 წ., გვ. 11.
- 65. იგივე წყარო, გვ. 12.
- 66. ქურ. „მნათობი“, 1838 წ., № — 9.
- 67. გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916 წ., № — 736.
- 68. ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 192.
- 69. გრ. ორბელიანი, „წერილები“, 1936 წ., ტ. I, გვ. 50.
- 70. გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916 წ., № 736.
- 71. ზ. კიკინაძე, „საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები“, 1925 წ., ტ. VI, გვ. 382.
- 72. ქურ. „მნათობი“, 1938 წ., № — 12.
- 73. იგივე წყარო.
- 74. იგივე წყარო.
- 75. საქართველოს ცენტრარქივის საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, საქმე № — 171.
- 76. გრ. ორბელიანი, „წერილები“, 1936 წ., ტ. I, გვ. 32.
- 77. საქართველოს ცენტრარქივის საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, საქმე № — 171.
- 78. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1939 წ., № — 19.
- 79. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ც ფონდის ხელნაწერი, № — 155 (ბ).



80. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1954 წ., გვ. 34 — 35.
81. საქართველოს ცენტრარქივის საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, საქმე № — 176.
82. იგივე წყარო.
83. იგივე წყარო.
84. „ლიტერატურის მატრიანე“, 1940 წ., № — 1 — 2, გვ. 483.
85. გრ. ორბელიანი, „წერილები“, 1936 წ., ტ. I, გვ. 106.
86. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1945 წ., № — 11.
87. ეურ. „მნათობი“, 1938 წ., № — 12.
88. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1922 წ., გვ. 243.
89. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდის ხელნაწერი, № — 2660.
90. ეურ. „მნათობი“, 1938 წ., № — 12.
91. იგივე წყარო.
92. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1954 წ., გვ. 92.
93. ეურ. „მნათობი“, 1938 წ., № — 12.
94. საქართველოს ცენტრარქივის საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა ფონდი საქმე, № — 176.
95. გრ. ორბელიანი, „წერილები“, 1936 წ., ტ. I, გვ. 28.
96. საქართველოს ცენტრარქივის საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, საქმე, № — 176.
97. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1954 წ., გვ. 95.
98. გრ. ორბელიანი, „წერილები“, 1936 წ., ტ. I, გვ. 106.
99. ეურ. „მნათობი“, 1938 წ., № — 12.
100. ეურ. „მნათობი“, 1937 წ., № — 4.
101. ეურ. „მნათობი“, 1938 წ., № — 12.
102. გრ. ორბელიანი, „წერილები“, 1936 წ., ტ. I, გვ. 190.
103. ი. მუხნარგია, „ქართული მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 31.
104. გაზ. „დროება“, 1881 წ., № 206.
105. გაზ. „დროება“, 1881 წ., № — 234.
106. გაზ. „დროება“, 1881 წ., № — 237.
107. ზ. შთაწმინდელი (კიკინაძე), „ნ. ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 8.
108. ეურ. „ქართული მწერლობა“, 1928 წ., № — 6 — 7.
109. ეურ. „მნათობი“, 1938 წ., № — 10.





110. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1922 წ., გვ. 242.
111. ჟურ. „ჩვენი თაობა“, 1940 წ., № — 4.
112. ვ. ბატონიშვილი, „ისტორიები ილწერა“, 1914 წ., გვ. 18.
113. ჟურ. „ჩვენი თაობა“, 1940 წ., № — 4.
114. იგივე წყარო.
115. პროფ. შ. ჩხეტია, „ნ. ბარათაშვილი“, 1945 წ., გვ. 150.
116. იქვე.
117. იგივე წყარო, გვ. 156.
118. ჟურ. „მნათობი“, 1938 წ., № — 10.
119. ჟურ. „მნათობი“, 1933 წ., № — 8 — 9.
120. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1910 წ., გვ. 14.
121. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1945 წ., გვ. 114.
122. პროფ. შ. ჩხეტია, „ნ. ბარათაშვილი“, 1945 წ., გვ. 150.
123. გაზ. „დროება“, 1881 წ., № 237.
124. იგივე წყარო.
125. იგივე წყარო.
126. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი. მიხეილ თუმანიშვილის პირადი საარქივო ფონდი.
127. ი. შეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 467.
128. „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, 1961 წ., № — 1, გვ. 208 — 212.
129. ი. გრიშაშვილი, „ლიტერატურული ნარკვევები“, 1947 წ., გვ. 492.
130. იგივე წყარო, გვ. 491 — 492.
131. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1954 წ., გვ. 108.
132. იგივე წყარო, გვ. 110 — 111.
133. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1945 წ., № — 11.
134. ი. გრიშაშვილი, „ლიტერატურული ნარკვევები“, 1957 წ., გვ. 495.
135. „ლიტერატურის მატთანე“, 1940 წ., № — 1 — 2, გვ. 410.
136. იქვე.
137. გრ. ორბელიანი, „წერილები“, 1936 წ., ტ. I, გვ. 194.
138. იგივე წყარო, გვ. 198 — 199.
139. დ. კლდიაშვილი „მემუარები“, 1932 წ., გვ. 41.
140. საქართველოს ცენტრარქივის საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, საქმე № — 176.



141. იგივე წყარო.

142. გრ. ორბელიანი, „წერილები“, 1936 წ., ტ. I, გვ. 43.

143. საქართველოს ცენტრარქივის საგანგებო მნიშვნელობის საქმეაქტონი  
ლი, საქმე, № — 176.

144. „ლიტერატურის მატრიანე“, 1940 წ., № — 1 — 2, გვ. 425.

145. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის S  
ფონდის ხელნაწერი № — 2660.

146. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1922 წ., გვ. 242.

147. ზ. მთაწმინდელი (ქიქინაძე), „ნ. ბარათაშვილი“ 1885 წ., გვ. 6 — 7.

148. გაზ. „დროება“, 1881 წ., № — 206.

149. ჟურ. „მნათობი“, 1938 წ., № — 9.

150. ი. ქართველიშვილი, „მემუარები“, 1952 წ., გვ. 66.

151. პ. იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, 1936 წ., გვ. 179.

152. П. Иоселиани, «Описание древностей города Тифлиса», 1866 г.,  
стр. 82.

153. „სწავლა აღზრდის ისტორია საქართველოში“, 1937 წ., გვ. 103.

154. ზ. მთაწმინდელი (ქიქინაძე), „ნ. ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 5.

155. ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 192 — 193.

156. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1922 წ., გვ. 242.

157. იქვე.

158. ზ. მთაწმინდელი (ქიქინაძე), „ნ. ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 6.

159. პროფ. ტრ. ხუნდაძე, „ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან  
საქართველოში“, 1951 წ., გვ. 16 — 18.

160. დ. უფიანი, „მემუარები“, 1930 წ., გვ. 3.

161. იგივე წყარო, გვ. 7 — 8.

162. ჟურ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1955 წ., № — 12.

163. В. Базанов, «Вольное общество любителей российской словес-  
ности», 1949 г., стр. 408.

164. И. Ениколопов, «Грибоедов в Грузии», 1954 г., стр. 94.

165. Газета «Тифлисские ведомости», 1829 г., № 24.

166. იგივე წყარო.

167. პროფ. გ. გოზალიშვილი, „1832 წლის შეთქმულება“, 1935 წ., ტ. I,  
გვ. 339.

168. იგივე წყარო, გვ. 339 — 340.



169. იგივე წყარო, გვ. 297.  
 170. იგივე წყარო, გვ. 296.  
 171. იგივე წყარო, გვ. 295.  
 172. იგივე წყარო, გვ. 291 — 294.  
 173. იგივე წყარო, გვ. 296.  
 174. ლ. ასათიანი, „ცხოვრება აკაკი შერთლისა“, 1953 წ., გვ. 125.  
 175. იგივე წყარო, გვ. 126.  
 176. ეურ. „ცისკარი“, 1861 წ., № — 8.  
 177. პროფ. ტრ. ხუნდაძე, „ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში“, 1951 წ., გვ. 21.  
 178. პროფ. გ. თავზიშვილი, „სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში“, 1948 წ., გვ. 156.  
 179. იქვე.  
 180. ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 195.  
 181. Л. Исарлов, «Письма о Грузии», 1889 г., стр. 83.  
 182. პროფ. შ. ჩხეტია, „ნ. ბარათაშვილი“, 1945 წ., გვ. 156.  
 183. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდის ხელნაწერი № — 31.  
 184. ეურ. „მნათობი“, 1932 წ., № — 5 — 6.  
 185. ზ. კიკინაძე, „ს. ლოდაშვილი და ნ. ბარათაშვილი“, 1920 წ., გვ. 7.  
 186. ზ. მთაწმინდელი (კიკინაძე), „ნ. ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 6.  
 187. ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 195.  
 188. „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 1935 წ., წიგნი I, გვ. 633.  
 189. ეურ. „მნათობი“, 1938 წ., № — 12.  
 190. „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 1935 წ., წიგნი 1, გვ. 633.  
 191. საქართველოს ცენტრარქივის საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, № — 171.  
 192. ეურ. „მნათობი“, 1932 წ., № — 5 — 6.  
 193. ი. მეუნარგია „ქართველი მწერლები“. 1954 წ., ტ. I, გვ. 196.  
 194. ეურ. „მნათობი“, 1938 წ., № — 12.  
 195. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1939 წ., გვ. LXXIV.  
 196. ეურ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1954 წ., № — 9.  
 197. გაზ. „კომუნისტი“, 1955 წ., № — 29.  
 198. ზ. კიკინაძე, „ს. ლოდაშვილი და ნ. ბარათაშვილი“, 1920 წ., გვ. 13.



199. იგივე წყარო, გვ. 10 — 11.

200. პროფ. გ. გოზალიშვილი, „1832 წლის შეთქმულება“, 1935 წ., ტ. I, გვ. 177.

201. ჟურ. „მწყემსი“, 1893 წ., № — 5 — 6.

202. საქართველოს ცენტრარქივის საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა ფონდი № 171.

203. იგივე წყარო.

204. ზ. ქიქინაძე, „ს. დოდაშვილი და ნ. ბარათაშვილი“, 1920 წ., გვ. 13.

205. იგივე წყარო, გვ. 17.

206. ჟურ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1954 წ., № — 9.

207. პროფ. გ. გოზალიშვილი „1832 წლის შეთქმულება“, 1935 წ., ტ. I, გვ. 128.

208. ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 482.

209. В. Базанов, «Очерки декабристской литературы», 1953 г., стр. 175—176.

210. მ. გოცაძე, „სოლომონ დოდაშვილი“, 1955 წ., გვ. 87 — 88.

211. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ნ ფონდის ხელნაწერი № — 1208.

212. «Избранные социально-политические и философские произведения декабристов», 1951 г., т. II, стр. 381—382

213. ჟურ. „მნათობი“, 1955 წ., № — 5.

214. ს. დოდაშვილი, „წერილები“, 1945 წ., გვ. 210.

215. იქვე.

216. ჟურ. „მნათობი“, 1955 წ., № — 1.

217. ს. დოდაშვილი „წერილები“, 1945 წ., გვ. 138.

218. М. Нечкина, «Грибоедов и декабристы», 1951 г., стр. 95.

219. И. Якушкин, «Записки», 1926 г., стр. 26.

220. «Литературное наследство», 1954 г., стр. 735.

221. «Декабристы на каторге», 1925 г., стр. 322.

222. იგივე წყარო, გვ. 323.

223. Жур. «Русский вестник», 1860 г., № 4.

224. მ. გოცაძე, „ქართული ეურნალისტიკის ისტორია“, 1954 წ., ტ. I, გვ. 256.

225. «Избранные социально-политические и философские произведения декабристов», 1951 г., т. III, стр. 122—123.
226. «Избранные социально-политические и философские произведения декабристов», 1951 г., т. I, стр. 561—562.
227. დ. ყიფიანი, „მემუარები“, 1930 წ., გვ. 8.
228. ი. მეუნარგია, „ქართული მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 195.
229. პროფ. გ. გოზალიშვილი, „1832 წლის შეთქმულება“, 1935 წ., ტ. I, გვ. 298.
230. „ლიტერატურის მატრიანე“, 1940 წ., № — 1 — 2, გვ. 388.
231. ი. მეუნარგია, „ქართული მწერლები“, 1854 წ., ტ. I, გვ. 195.
232. «Декабристы и их время», 1951 г., стр. 39.
233. იგივე წყარო, გვ. 40.
234. პროფ. შ. ზანდუკელი, „ახალი ქართული ლიტერატურა“, 1956 წ., ტ. I, გვ. 310.
235. А. Хаханов, «Очерки по ист. груз. слов. 19 в.», 1906 г., т. IV, стр. 35—36.
236. „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 1935 წ., წიგნი 1, გვ. 565.
237. ზ. მთაწმინდელი (ჭიჭინაძე), „ნ. ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 7.
238. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1922 წ., გვ. 243.
239. ი. მეუნარგია, „ქართული მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 468.
240. გრ. ორბელიანი, „წერილები“, 1935 წ., ტ. I, გვ. 12.
241. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1945 წ., გვ. 68.
242. „ლიტერატურის მატრიანე“, 1940 წ., № — 1 — 2, გვ. 484.
243. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1922 წ., გვ. 243.
244. პროფ. შ. ჩხეტია, „ნ. ბარათაშვილი“, 1945 წ., გვ. 205.
245. იგივე წყარო, გვ. 192.
246. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1945 წ., გვ. 68 — 69.
247. პროფ. გ. ჩხეტია, „ნ. ბარათაშვილი“, 1945 წ., გვ. 20 — 21.
248. ზ. მთაწმინდელი (ჭიჭინაძე), „ნ. ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 9.
249. საქართველოს ცენტრარქივის საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, საქმე № — 176.
250. იგივე წყარო.
251. ჟურ. „მნათობი“, 1938 წ., № — 12.
252. ჟურ. „მნათობი“, 1938 წ., № — 9.



253. ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 204.

254. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1945 წ., გვ. 69.

255. იგივე წყარო, გვ. 76 — 77.

256. ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 217.

257. ეურ. „მნათობი“, 1945 წ., № — 10.

258. Жур. «Библиотека для чтения», 1848 г., т. 86.

259. «Литературное наследство», 1950 г., № 56, т. II, стр. 373.

260. იგივე წყარო, გვ. 378.

261. მ. ხელთუბნელი, „წარსულიდან“, 1938 წ., გვ. 187.

262. იქვე.

263. «Литературное наследство», 1950 г., № 56, т. II, стр. 384.

264. მ. ხელთუბნელი, „წარსულიდან“, 1938 წ., გვ. 189.

265. იგივე წყარო, გვ. 190.

266. იგივე წყარო, გვ. 188.

267. იგივე წყარო, გვ. 189.

268. იქვე.

269. იგივე წყარო, გვ. 186 — 187.

270. Газ. «Кавказ», 1847 г., № 1.

271. Газ. «Кавказ», 1947 г., № 33.

272. მ. ხელთუბნელი, „წარსულიდან“, 1938 წ., გვ. 187.

273. „ლიტერატურის მატთანე“, 1940 წ., № — 1 — 2, გვ. 410.

274. ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 202—203

275. იგივე წყარო, გვ. 205.

276. „ლიტერატურის მატთანე“, 1940 წ., № — 1 — 2, გვ. 410.

277. ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 199—200.

278. გაზ. „დროება“, 1881 წ., № — 206.

279. „ლიტერატურული ძიებანი“, 1947 წ., ტ. III, გვ. 134 — 135.

280. გაზ. „დროება“, 1881 წ., № — 206.

281. „ბათუმის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული“, 1941 წ., წიგნი I, გვ. 150.

282. გაზ. „დროება“, 1881 წ., № — 206.

283. მ. ხელთუბნელი, „წარსულიდან“, 1938 წ., გვ. 48.

284. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1945 წ., გვ. 71.

285. „ლიტერატურის მატთანე“, 1940 წ., № — 1 — 2, გვ. 387.

24. ი. ბალახაშვილი

286. ი.მეუნარგია, „ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა“, 1945 წ., გვ. 74 — 75.
287. იგივე წყარო, გვ. 75.
288. ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. 1, გვ. 204.
289. ი. ანდრონიკაშვილი, „საქართველო მ. ლერმონტოვის შემოქმედებაში“, 1953 წ., გვ. 246.
290. «Из архива Андреевского», 1913 г., стр. 110.
291. იქვე.
292. Газ. «Кавказ», 1846 г., № 16.
293. Жур. «Старина и новизна», 1902 г., кн. 5, стр. 213.
294. «Из архива Андреевского», 1913 г., стр. 110.
295. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცულ ა. ნიკოლაის გამოუქვეყნებელი მემუარებიდან.
296. იგივე წყარო.
297. ეურ. „მნათობი“, 1938 წ., № — 9.
298. А. Е. Яновский «Словарь иностранных слов и научных терминов», 1905 г., стр. 300.
299. ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 216 — 217.
300. „ლიტერატურის მატრიანე“, 1940 წ., № — 1 — 2, გვ. 410.
301. ზ. მთაწმინდელი (ჭიჭინაძე), „ნ. ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 18.
302. გაზ. „დროება“, 1881 წ., № — 206.
303. იგივე წყარო.
304. ზ. მთაწმინდელი (ჭიჭინაძე), „ნ. ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 15.
305. ი. მეუნარგია, „ა. ჰავჭავაძე“, 1937 წ., გვ. 60.
306. ა. ორბელიანი, „დაღესტნიდან ლექების გამოსვლა და სხვა ამბები“, 1914 წ., გვ. 12.
307. ზ. მთაწმინდელი (ჭიჭინაძე), „ნ. ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 17 — 18.
308. ეურ. „მნათობი“, 1938 წ., № — 12.
309. „საქართველოს შეცნირებათა აკადემიის მოამბე“, 1944 წ., № — 8, გვ. 857 — 858.
310. ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 217.
311. ეურ. „მნათობი“, 1938 წ., № — 9 — 10.
312. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1922 წ., გვ. 241.
313. გაზ. „დროება“, 1881 წ., № — 206.

314. ი. ანდრონიკაშვილი, „საქართველო მ. ლერმონტოვის შემოქმედებაში“, 1953 წ., გვ. 244.
315. იგივე წყარო, გვ. 246.
316. ი. ბალახაშვილი, „ახალი ფურცლები ლერმონტოვის ცხოვრებისა“, 1964 წ., გვ. 72.
317. ი. ანდრონიკაშვილი, „საქართველო მ. ლერმონტოვის შემოქმედებაში“, 1953 წ., გვ. 247.
318. გრ. ორბელიანი, „წერილები“, 1936 წ., ტ. I, გვ. 25.
319. ი. ბალახაშვილი, „ლიტერატურული წრეები და სალონები“, 1940 წ., გვ. 227.
320. ი. ბალახაშვილი, „ახალი ფურცლები ლერმონტოვის ცხოვრებისა“, 1964 წ., გვ. 73 — 74.
321. იგივე წყარო, გვ. 74.
322. იქვე.
323. ი. გრიშაშვილი „ლიტერატურული ნარკვევები“, 1957 წ., გვ. 76.
324. გრ. ორბელიანი, „წერილები“, 1936 წ., ტ. I, გვ. 34.
325. იგივე წყარო, გვ. 32.
326. ი. ბალახაშვილი, „ახალი ფურცლები ლერმონტოვის ცხოვრებისა“, 1964 წ., გვ. 75.
327. „ლიტერატურის მატთან“, 1940 წ., № — 1 — 2, გვ. 392.
328. ი. ბალახაშვილი, „ახალი ფურცლები ლერმონტოვის ცხოვრებისა“, 1964 წ., გვ. 76.
329. იქვე.
330. გ. ერისთავი, „თხზულებანი“, 1936 წ., გვ. 364.
331. იგივე წყარო, გვ. 366.
332. საქართველოს ცენტრარქივის საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, საქმე № — 171.
333. „ლიტერატურული ძიებანი“, 1947 წ., წიგნი III, გვ. 129.
334. საქართველოს ცენტრარქივის საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, საქმე № — 176.
335. იგივე წყარო.
336. იგივე წყარო.
337. იგივე წყარო.
338. ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1957 წ., ტ. II, გვ. 300.





- 339. იგივე წყარო, გვ. 314.
- 340. იქვე.
- 341. ეურ. „მნათობი“, 1938 წ., № — 9.
- 342. კ. ბოროზდინი, „სამეგრელო“, 1934 წ., გვ. 64.
- 343. ი. მენუარგია, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 469.
- 344. იგივე წყარო, გვ. 214.
- 345. პროფ. შ. ჩხეტია, „ნ. ბარათაშვილი“, 1945 წ., გვ. 225.
- 346. იგივე წყარო, გვ. 226.
- 347. ვაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1946 წ., № — 22.
- 348. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1945 წ., გვ. 82.
- 349. იგივე წყარო, გვ. 72.
- 350. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1939 წ., გვ. 98.
- 351. ვაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1945 წ., № — 86.
- 352. «Пушкин и его современники», 1910 г., выпуск XIII, стр. 78—85.
- 353. იგივე წყარო, გვ. 83.
- 354. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1939 წ., გვ. 98.
- 355. С. Панчулидзе, «Сборник биографий Кавалергардов», 1908 г., стр. 40.
- 356. „ლიტერატურის მატეიანე“, 1940 წ., № — 1 — 2, გვ. 450 — 452.
- 357. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1945 წ., გვ. 74 — 76.
- 358. იგივე წყარო, გვ. 75.
- 359. ნ. ხომერიკი, „ლიტერატურული წერილები“, 1961 წ., გვ. 56 — 57.
- 360. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1922 წ., გვ. 129.
- 361. Жур. «Русский архив», 1904 г., № 1.
- 362. Жур. «Красная новь», 1939 г., № 10—11.
- 363. ი. ბალახაშვილი, „ახალი ფურცლები ლერმონტოვის ცხოვრებისა“, 1964 წ., გვ. 117.
- 364. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1945 წ., გვ. 76 — 77.
- 365. იგივე წყარო, გვ. 90.
- 366. პროფ. ვ. შადური, „რუსი მწერლები საქართველოს შესახებ“, 1949 წ., ტ. I, გვ. 413.
- 367. Жур. «Русский архив», 1904 г., № 1.
- 368. ი. ბალახაშვილი, „ლერმონტოვის ქართველი ნაწინებები“, 1941 წ., გვ. 23.



- 369. „ლიტერატურის მატიანე“, 1940 წ., № — 1 — 2, გვ. 410.
- 370. ი. ბალახაშვილი, „ლიტერატურული წრეები და სალონები“, 1940 წ., გვ. 179—180.
- 371. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, 1953 წ., ტ. XVII, გვ. 215.
- 372. დ. ყიფიანი, „მემუარები“, 1930 წ., გვ. 104 — 106.
- 373. ეურ. „მნათობი“, 1955 წ., № — 6.
- 374. გზ. „საბჭოთა მასწავლებელი“, 1945 წ., № — 14.
- 375. იგივე წყარო.
- 376. ეურ. „მნათობი“, 1955 წ., № — 6.
- 377. გზ. „საბჭოთა მასწავლებელი“, 1954 წ., № — 14.
- 378. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, 1953 წ., ტ. XVIII, გვ. 217.
- 379. „ლიტერატურის მატიანე“, 1940 წ., № — 1 — 2, გვ. 387.
- 380. იგივე წყარო, გვ. 411.
- 381. ი. ბალახაშვილი, „მანანა ორბელიანი“, 1941 წ., გვ. 35.
- 382. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1945 წ., გვ. 72.
- 383. ეურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1910 წ., № 15.
- 384. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1922 წ., გვ. 149.
- 385. მ. ხელთბენელი, „წარსულიდან“, 1938 წ., 45.
- 386. ნ. ბარათაშვილი, „ნაწერების სრული კრებული“, 1930 წ., გვ. 125.
- 387. „ლიტერატურის მატიანე“, 1940 წ., № — 1 — 2, გვ. 430—431.
- 388. გრ. ორბელიანი, „წერილები“, 1936 წ., ტ. I, გვ. 120.
- 389. „ლიტერატურის მატიანე“, 1940 წ., № — 1 — 2, გვ. 431.
- 390. გრ. ორბელიანი, „წერილები“, 1936 წ., ტ. I, გვ. 121.
- 391. საქართველოს ცენტრარქივის საგანგებო ნიშნელობის საქმეთა ფონდი, საქმე № — 171.
- 392. გრ. ორბელიანი, „წერილები“, 1936 წ., ტ. I, გვ. 123.
- 393. იგივე წყარო, გვ. 152.
- 394. პროფ. შ. ჩხეტია, „ნ. ბარათაშვილი“, 1945 წ., გვ. 309.
- 395. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1910 წ.
- 396. საქართველოს ცენტრარქივის 1832 წლის შეთქმულების ლენინგრა-დისეული ფონდის მასალები, რვეული I, გვ. 11, 66.
- 397. ი. ბალახაშვილი, „მანანა ორბელიანი“, 1941 წ., გვ. 32.



398. „ლიტერატურის მატრიანე“, 1940 წ., № — 1 — 2, გვ. 394.

399. Жур. «Русский вестник», 1869 г., № 4.

400. გრ. ორბელიანი, „წერილები“, 1936 წ., ტ. I, გვ. 43.

401. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1945 წ., გვ. 76.

402. იგივე წყარო, გვ. 86.

403. გრ. ორბელიანი, „წერილები“, 1936 წ., I, გვ. 68.

404. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1945 წ., გვ. 83.

405. გრ. ორბელიანი, „წერილები“, 1936 წ., ტ. I, გვ. 93.

406. იგივე წყარო, გვ. 116.

407. იგივე წყარო, გვ. 307 — 308.

408. Жур. «Старина и новизна», 1902 г., книга 5.

409. გრ. ორბელიანი, „წერილები“, 1936 წ., ტ. I, გვ. 20 — 21.

410. „ლიტერატურის მატრიანე“, 1949 წ., წიგნი 5, ნაკვეთი პირველი, გვ. 89.

411. საქართველოს ცენტრარქივის საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, საქმე № — 176.

412. იგივე წყარო.

413. იგივე წყარო.

414. ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1945 წ., ტ. I, გვ. 204.

415. „ლიტერატურის მატრიანე“, 1940 წ., № — 1 — 2, გვ. 385.

416. ვაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1941 წ., № — 21.

417. «Кавказский сборник», 1902 г., т. XXIII, стр. 51—52.

418. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1945 წ., გვ. 76.

419. „საისტორიო კრებული“, 1929 წ., წიგნი № — 4, გვ. 118—119.

420. ვაზ. „დროება“, 1881 წ., № — 225.

421. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდის ხელნაწერი № — 242.

422. ვაზ. „სახალხო ვაზეთი“, 1910 წ., № — 147.

423. პროფ. შ. ჩხეტია „ნ. ბარათაშვილი“, 1945 წ., გვ. 289.

424. ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 208.

425. იქვე.

426. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის Θ ფონდის ხელნაწერი № — 155 (ბ).

427. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1945 წ., გვ. 82.

428. ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 207.



- 429. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1945 წ., გვ. 87.
- 430. იგივე წყარო, გვ. 79.
- 431. А. Гастгаузен, «Закавказский край», 1857 г., кн. I—II, стр. 98—104.
- 432. „ლიტერატურის მატრიანე“, 1940 წ., № — 1 — 2, გვ. 387.
- 433. იგივე წყარო, გვ. 470.
- 434. იგივე წყარო, გვ. 471.
- 435. ი. მეუნარგია, „ა. ჭავჭავაძე“, 1937 წ., გვ. 64.
- 436. საქართველოს ცენტრარქივის საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, საქმე № — 176.
- 437. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის  $\Theta$  ფონდის ხელნაწერი № — 155 (ბ).
- 438. ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“ 1954 წ., ტ. I, გვ. 204.
- 439. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1945 წ., გვ. 73.
- 440. იგივე წყარო, გვ. 85.
- 441. იგივე წყარო, გვ. 86.
- 442. გრ. ორბელიანი, „წერილები“, 1937 წ., ტ. II, გვ. 122.
- 443. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდის ხელნაწერი № — 2660.
- 444. „ლიტერატურის მატრიანე“, 1940 წ., № — 1 — 2, გვ. 470.
- 445. იგივე წყარო, გვ. 469.
- 446. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდის ხელნაწერი № — 2660.
- 447. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის  $\Theta$  ფონდის ხელნაწერი № — 155 (ბ).
- 448. „ლიტერატურის მატრიანე“, 1940 წ., 1 — 2, გვ. 470.
- 449. იქვე.
- 450. ქურ. „მნათობი“, 1938 წ., № — 12.
- 451. გრ. ორბელიანი, „წერილები“ 1936 წ., ტ. I, გვ. 211.
- 452. გრ. ორბელიანი, „წერილები“, 1937 წ., ტ. II, გვ. 196.
- 453. ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 140.
- 454. „ლიტერატურის მატრიანე“, 1940 წ., № — 1 — 2, გვ. 471.
- 455. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდის ხელნაწერი № — 2660.

456. ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 140.
457. იგივე წყარო, გვ. 133.
458. „ლიტერატურის მატრიანე“, 1940 წ., № — 1 — 2, გვ. 470.
459. იგივე წყარო, გვ. 472.
460. ლ. ასათიანი, „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“, 1953 წ., გვ. 224.
461. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდის ხელნაწერი № — 2660.
462. საქართველოს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აღრიცხვის სამმართველოს არქივის მასალებიდან.
463. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1945 წ., გვ. 84.
464. თურ. „მნათობი“, 1927 წ., № — 8 — 9.
465. А. Фадеев, «Воспоминания», 1897 г., стр. 117.
466. ფ. ბოდენშტედტი, „ათას ერთი დღე აღმოსავლეთში“, 1965 წ., გვ. 154.
467. ვაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1950 წ., № — 21.
468. იგივე წყარო.
469. იგივე წყარო.
470. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდის ხელნაწერი № — 2559.
471. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1945 წ., გვ. 98.
472. პროფ. შ. ჩხეტია, „ნ. ბარათაშვილი“, 1945 წ., გვ. 297.
473. იგივე წყარო, გვ. 298.
474. იგივე წყარო, გვ. 301.
475. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1945 წ., გვ. 89.
476. იგივე წყარო, გვ. 90.
477. იქვე.
478. იგივე წყარო, გვ. 89.
479. იქვე.
480. იგივე წყარო, გვ. 90.
481. „ლიტერატურის მატრიანე“, 1940 წ., № — 1 — 2, გვ. 352.
482. ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 210.
483. პროფ. შ. ჩხეტია, „ნ. ბარათაშვილი“, 1945 წ., გვ. 324 — 325.
484. იგივე წყარო, გვ. 326.
485. იგივე წყარო, გვ. 329.
486. ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 210.



- 487. პროფ. შ. ჩხეტია, „ნ. ბარათაშვილი“, 1945 წ., გვ. 333.
- 488. ვაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1950 წ., № — 27.
- 489. პროფ. შ. ჩხეტია, „ნ. ბარათაშვილი“, 1945 წ.
- 490. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1945 წ., გვ. 93.
- 491. იგივე წყარო, გვ. 92.
- 492. ზ. მთაწმინდელი (ქიქინაძე), „ნ. ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 21.
- 493. „ლიტერატურის მატრიანე“, 1940 წ., № — 1 — 2, გვ. 385.
- 494. ზ. მთაწმინდელი (ქიქინაძე), „ნ. ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 22.
- 495. ვაზ. „დროება“, 1881 წ., № — 206.
- 496. ვაზ. „დროება“, 1881 წ., № — 208.
- 497. ვაზ. „დროება“, 1881 წ., № 232.
- 498. ზ. მთაწმინდელი (ქიქინაძე), „ნ. ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 23—24.
- 499. ს. ხუნდაძე, „ნ. ბარათაშვილი“, 1926 წ., გვ. 3.
  - ა. ტყონია, „ნ. ბარათაშვილი“, 1930 წ., გვ. 5.
- 500. ა. ხახანაშვილი, „ქართული ლიტ. ისტორ. 19 საუკ.“, 1918 წ., გვ. 36.
  - ნ. ბარათაშვილი, „ლექსები“, 1910 წ.
- 501. «Баратовский томик», 1905 г., стр. 14.
- 502. ს. ჭელიძე, „ნ. ბარათაშვილი და მისი პოეზია“, გვ. 7.
- 503. პროფ. შ. ჩხეტია, „ნ. ბარათაშვილი“, 1945 წ., გვ. 10.
- 504. იგივე წყარო, გვ. 366.
- 505. იგივე წყარო, გვ. 344.
- 506. იგივე წყარო, გვ. 345.
- 507. იგივე წყარო, გვ. 346.
- 508. იქვე.
- 509. იგივე წყარო, გვ. 347 — 348.
- 510. იგივე გვერდები.
- 511. „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 1935 წ., წიგნი I, გვ. 638.
- 512. „ლიტერატურის მატრიანე“, 1940 წ., № — 1 — 2, გვ. 424 — 425.
- 513. ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, 1954 წ., ტ. I, გვ. 210.
- 514. ვაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916 წ., № 736.
- 515. გრ. ორბელიანი, „წერილები“, 1935 წ., ტ. I, გვ. 118.
- 516. ჟურ. „მნათობი“, 1938 წ., № 12.
- 517. ნ. ბარათაშვილი, „თხზულებანი“, 1922 წ., გვ. 244.
- 518. ჟურ. „მნათობი“, 1938 წ., № 12.

519. ა. ორბელიანი, „ნაწერი“, 1879 წ., გვ. 252—253.
520. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის  
H ფონდის ხელნაწერი № 3046.
521. საქართველოს ცენტრარქივი, თედო ეორდანიას პირადი საარქივო  
ფონდი, ხელნაწერი № 2.
522. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის  
დ. ყიფიანის პირადი საარქივო ფონდი, ხელნაწერი № — 309.
523. საქართველოს ცენტრარქივი, თედო ეორდანიას პირადი საარქივო  
ფონდი, ხელნაწერი № 2.
524. იგივე წყარო.
525. „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 1935 წ., წიგნი I, გვ. 564.
526. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის  
S ფონდის ხელნაწერი № 2517.
527. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის  
S ფონდის ხელნაწერი № 2516.
528. ეურ. „მნათობი“, 1938 წ., № 12.
529. მ. ნასიძე („მე გახლავარ“), „ილია ჭავჭავაძე“, 1898 წ., გვ. 5—6.
530. ზ. მთაწმინდელი (ჭიჭინაძე), „ნ. ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 15.
531. ეურ. „მნათობი“, 1950 წ., № 11.
532. ა. წერეთელი, „რჩეული ნაწერები“, 1930 წ., ტ. I, გვ. 67—68.
533. ს. აბაშიძე, „ნაწერები“, 1957 წ., გვ. 95—96.
534. გაზ. „ივერია“, 1893 წ., № 88.
535. გაზ. „ივერია“, 1893 წ., № — 86.
536. ეურ. „მნათობი“, 1938 წ., № 10.
537. „ლიტერატურის მატრიანე“, 1940 წ., № 1—2, გვ. 484.

ს ა რ ა ნ ე ზ ი

პორტრეტისათვის . . . . .	3
პოეტის ნაბინარები . . . . .	30
წინაპრები . . . . .	31
მშობლები . . . . .	35
ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების თარიღისათვის . . . . .	55
და-ძმანი . . . . .	72
პოეტის ბავშვობის პირველი წლები . . . . .	88
„კეთილშობილთა სასწავლებელში“ . . . . .	94
„ეფრემ ალექსი-მესხიშვილი . . . . .“	99
„კეთილშობილთა სასწავლებლიდან“ გიმნაზიაში . . . . .	106
ნიკოლოზ ბარათაშვილის გიმნაზიიდან გარიცხვისა და დაპატიმრების შესახებ . . . . .	118
ხელნაწერი აღმანახი . . . . .	126
ნიკოლოზ ბარათაშვილის თარგმანი ტაციტიდან . . . . .	130
„ტფილისის გიმნაზიის ყუავილი“ . . . . .	142
ნიკოლოზ დემენტიევი . . . . .	150
გიმნაზიის დასრულება . . . . .	155
სამსახურში გამწესება . . . . .	158
ფსევდონიმი . . . . .	164
„ღამე ყაბახზედ“ . . . . .	167
„შემოღამება მთაწმინდაზედ“ ერთი ადგილის გაცემისათვის . . . . .	172
ფადეი ზაბლოცი . . . . .	174
„ყველგან შინაური კაცი“ . . . . .	184
„საქართველოს ისტორიის შემდგენი წრე“ . . . . .	187





„ბ. დ. ჩ.“	192
„ბედი ქართლისა“	207
„საყურე“	216
დღეული ბიძასთან	231
დიმიტრიევსკისა და ბალაშოვის ვინაობისათვის	235
„შერანის“ გენეზისისათვის	239
მაიკო ორბელიანი	243
განუხორციელებელი აღმანახი. ბიბლიოთეკის დაარსება	252
„იულიუს ტარენტელის“ თარგმნა	257
სახუმარო გაკამათება ლექსებით	260
ბარათაშვილის მეგობარი პოეტი ქალი	273
ბეჭითობა სამსახურში. ავადმყოფობა. ქართლში გატარებული დღეები	282
მარტყოფში	286
ყაფლან ორბელიანი	288
ყაზბეგში	296
მართა სოლოღაშვილი	301
ნახიჭევანში	306
განჯაში	313
ვარდაცვალების თარიღი	319
სიკვდილის გამოძახილი	330
ნიკოლოზ ბარათაშვილის გახსენება ცარსკოე სელოში	335
ნეშტის განჯიდან თბილისში გადმოსვენება	348
დიდუბიდან მთაწმინდაზე	354
წყაროების მაჩვენებელი	356

რედაქტორი ნ. ხომერიკი  
მხატვარი ი. უთურაშვილი  
მხატვ. რედაქტორი ირ. ჭანაშვილი  
ტექნიკური რედაქტორი თ. მამფორია  
კორექტორი ც. ქაროსანიძე

ბელოწერილია დასაბეჭდად 8/11-67 წ., ქალაქის  
ზომა 70×1081/32. ნაბეჭდი თაბახი 16,6, სააღრიცხველ-  
სავამომცემლო თაბახი 14,29.

უე 00214. ტირაჟი 10.000. შვეკ. № 1104.

ფასი 69 კაპ.

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“  
პლენხანოვის 179. თბილისი, 1967.

30

106/360



Балахашвили Яков Семенович

**Жизнь Н. Бараташвили**

(На грузинском языке)

Издательство «Литература და ხელოვნება»

Плеханова 179

Тбилиси, 1967



ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ., 5.  
Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

K 65.945

საქართველოს  
საბიბლიოთეკო  
სისტემა

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



K 65.945/2